644/
1970/4

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ცისკარი

3

1970

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცისკარი

154

გამოცემის მეთოთხმეტე წელი

11.205

მარტი

1970

თბილისი

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობა

ლიტერატურულ-მხატვრული და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი

საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტისა და მწერალთა კავშირის ორგანო

ეროვნული ბიბლიოთეკა

შინაარსი

3. **რობინ მეტრეველი.** ახალგაზრდობის ფრთვა და შემოქმედება ხალხის სამსახურში

პოეზია

13. **მედეა კახიძე.** ლექსები

74. **რეზო ამაღუკელი.** ლექსები

104. **ემზარ კვიტაიშვილი.** გახსენება. პოემა.

პროზა

15. **რევაზ ინანიშვილი.** ახალი მოთხრობები

33. **რეზო ჭეიშვილი.** დალი. რომანი. გაგრძელება

79. **გურამ დოჩანაშვილი.** იგი სიკვდილისათვის იყო გაჩენილი, ანუ გრიშა და მთავარი. მოთხრობა.

109. **ნუგზარ შუბაიძე.** ზამთარი. მოთხრობა

პოეზიის მერიდიანები

113. **ახალგაზრდა გერმანული პოეტები:** იურგენ ბეკერმანი, როლფ ჰუფში, სტეფან შეკენერი. ლექსები. თარგმნა **ნოდარ ჯალაღონიამ**

გმირული დღეების გახსენება

115. **იაროსლავ იოსელიანი.** ქარიშხალში. მოთხრობა. გაგრძელება

ლენინიანა

127. **თეიმურაზ ჟურღოვანიძე.** ვ. ი. ლენინის სახე ქართულ ხალხურ პოეზიაში

ჩვენი კალენდარი

133. „ცისკარი“ ულოცავს ბ. ნატროშვილს

წერილები

134. **ოგია პაჭკორია.** დრო და სახელები

139. **აკაკი ბაკრაძე.** „ბახტრიონის“ მითოლოგიური სარჩული

ხელოვნება

143. **თინათინ ჩიჩუა.** ჩვენი ქალაქის რეკონსტრუქციის ზოგიერთი საკითხი

იუმორი

148. **გოგი ჩარკვიანი, რევაზ ბაბრიაძე.** ფეიერა. მოთხრობა. დასასრული

159. **ყოველი მხრიდან**

მთავარი რედაქტორი
ჯანსუღ ჩარკვიანი

სარედაქციო კოლეგია:
გურამ ასათიანი,
აკაკი ბაკრაძე,
ია გაგოშიძე,
ბეჟან გეგეჭკორი,
გურამ გვეტრიძე,
მერაბ ელიოზიშვილი,
კარლო კალაძე,
კონსტანტინე ლორთქიფანიძე,
ოგია პაჭკორია,
(პასუხისმგებელი მდივანი),
ნოდარ ფულეისკირი,
ტარიელ ფანტურია,
სერგი ფილია,
თამაზ ფილაძე,
ლაშა ჯანაფარი.

როინ მეჯრეველი

საქართველოს კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ახალგაზრდობის შრომა და შემოქმედება ხალხის სამსახურში*

საქართველოს კომკავშირის 28-ე ყრილობამ შეაჯამა რესპუბლიკის კომკავშირული ორგანიზაციის ორი წლის მუშაობის შედეგები. ორი წელი დროის არც თუ დიდი მონაკვეთია, მაგრამ ჩვენი ახალგაზრდობის ცხოვრებაში იგი დატოვებს წარუშლელ კვალს, რადგანაც ეს პერიოდი ხასიათდებოდა ორი უმნიშვნელოვანესი მომენტით. მათგან პირველი იყო ლენინური კომკავშირის ნახევარსაუკუნოვანი იუბილე, მეორე — მზადება დიდი ლენინის დაბადების 100 წლისთავისთვის. ამ ღირსშესანიშნავმა თარიღებმა განსაზღვრეს რესპუბლიკის კომკავშირული ორგანიზაციის იდეურ-აღმზრდელობითი და ორგანიზატორული მუშაობის ძირითადი მიმართულებები.

ლენინური კომკავშირის 50 წლისთავზე ზეიმმა ერთხელ კიდევ დაადასტურა, რომ ქართველი ახალგაზრდობის დღეკანდელი თაობა გამსჭვალული მამების ტრადიციებისადმი ღრმა ერთგულებითა და პატივისცემით. ხმამაღლა შეგვიძლია განვაცხადოთ, რომ თაობათა ამ შესანიშნავ შემკვიდრეობას საფუძველი ჩაეყარა ჯერ კიდევ მაშინ, როცა 20-იანი წლების ახალგაზრდობამ რევოლუციის საქმისათვის თავდადების, შეუპოვრობის, სიმამაცისა და გმირობის პირველი ფურცლები ჩაწერა საბჭოთა საქართველოს ისტორიაში. მას შემდეგ თითქმის 50 წელი გავიდა. რომ გადაეხედოთ განვლილ გზას, გული სიხარულით აივსება. ჩვენი რესპუბლიკის ეკონომიერ, კულტურულ, პოლიტიკურ ცხოვრებაში არ ყოფილა არცერთი მნიშვნელოვანი საქმე, რომელსაც ქართველი ქალაშვილებისა და ჭაბუკების გარეშეა და ენერგიის, ნიშისა და უნარის, შემოქმედების და ფანტაზიის მირთნი არ ეცხოს. საქმეთა ჩამოთვლას რომ თავი დავანებოთ, საკმარისია გავიხსენოთ საქართველოს ცაცის პრეზიდიუმის დადგენილება, რომელიც 1932 წლის 25 ოქტომბერს საზეიმო პლენუმზე წაიკითხა ამბ. ფილიპე მახარაძემ.

„სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმი აღნიშნავს რა საქართველოს ახალგაზრდათა ლენინური კომკავშირის ვმრიულ ბრძოლას მეწმენვიზმთან საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისათვის, პროლეტარიატის განმტკიცებისათვის, ნაციონალ-უკლონისტების წინააღმდეგ ამიერკავკასიის ფედერაციის პოლიტიკური სიძლიერის განმტკიცებისათვის, ყველა ჯურის გადახრებისადმი შემარიგებლობის, კოლრრევოლუციური ტროციკიზმის და მისი ნარჩენების წინააღმდეგ პარტიის ეკნერალური ხაზის ურყევად გატარებისათვის, რომელიც ამავე დროს, პარტიის ხელმძღვანელობით, ბოლშევიკური თავდადებითა და გატაცებით იბრძოდა სოციალისტური მშენებლობის ყველა ფრონტზე — ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის, სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციის, კულტურული რევოლუციის განვითარებისა და სოციალისტური შეჯიბრებისა და დამკვრელობის მაღალ საფეხურზე ასაყვანად ქალაქად და სოფლად, ა დ გ ე ნ ს: საქართველოს ახალგაზრდათა კომკავშირი დაჯილდოებულ იქნეს საქართველოს სსრ შრომის წითელი დროშის ორდენით“.

ამ ორდენით დაჯილდოების გამო მიღებულ მიმართვაში ნათქვამია: „შრომის წითელი დროშის ორდენი“ არის არა მხოლოდ ჯილდო, არამედ უდიდესი შინაარსის ვალდებულება, რომელიც დღეიდან ეკისრება საქართველოს ლენინურ კომკავშირს“. თუ როგორ შესრულდა ეს ვალდებულება, ღაღადებენ კოლხეთის ამშრობილი ველებები, პირველი ხუთწლედების, გიგანტები, ფაშიზმის ურჩხულისაგან განთავისუფლებული ჩვენი ქვეყნის ტრამალები, ფერფლისაგან აღდგენილი ქალაქები, გატეხილი ყამრი, დაკეტილი ენგური. ქვეყნის ინტერესებისათვის თავდადებამ ჩაყარა მოწინავეთა რიგებში საქართველოს კომკავშირი, ქართველი ახალგაზრდობა.

ასე მოვიდა დღეკანდლამდე. ასე დაიმსახურა

---

* საქართველოს კომკავშირის XXVIII ყრილობაზე წარმოთქმული მოხსენება იბეჭდება შემოკლებით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მან პარტიის ნდობა და დაფასება, ხალხის სიყვარული და პატივისცემა, ქეყენის იმედისა და მომავლის სპპატონ სახელი.

დარწმუნებით შეიძლება განვაცხადოთ, რომ პარტიისა და კომკავშირის აღმზრდელობითი მუშაობის შედეგად ახალგაზრდობის ამსოლუტური უმრავლესობას უკავია სწორი იდეური პოზიცია. ამის დასტურებს კომკავშირის შემოქმედებითი ენერგია, რომელიც ყოველდღიურად, ყოველ საათობით შეინაშნება მის მრავალმხრივ საქმიანობაში, შესანიშნავი ახალგაზრდების ცხოვრებაში.

სწორედ ეს ახალგაზრდები და მათი მსგავსი ასეულობით ქალაქელი და ჭაბუკი იყო თათსანინ იმ დიდი მოძრაობისა, რომელმაც სათავე დაუდო კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს დამაარსებლის ვლადიმერ ილიას ილ ლენინის საყეონიანი იუბილეს მზადებას.

ამ ღირსშესანიშნავი თარიღისათვის ღირსეული შეხვედრა გაგდა კრატერიუმი, რომლითაც შეიძლება შეფასდეს კომკავშირული ორგანიზაციების საქმიანობა. საკითხის ასე დაყენება საგსებით ლოგიკურად მივიჩნიეთ ჯერ კიდევ საქართველოს კომკავშირის 27-ე ყრილობაზე. სწორედ ამ ყრილობამ გამოაცხადა ქართველი ახალგაზრდობის შრომისა და ბრძოლის ორ წლის პროგრამა, რომელსაც „ლენინური ორწლედი" ეწოდა.

გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ „ლენინურმა ორწლედმა" გაიერთიანა სხვადასხვა კატეგორიის ახალგაზრდების ინტერესთა სფერო, მასში ზუსტად გამოიკვეთა ჭაბუკებისა და ქალიშვილების ამოცანები ლენინიზმის ღრმად და საფუძვლიანად დაუფლების, შრომის სოციალისტური დისციპლინის განმტკიცების, სოფლად კულტსაგანმანათლებლო დაწესებულებებისა და საყოფაცხოვრებო ობიექტების მშენებლობისა თუ სოფლისადმი ქალქის შეფობის გაძლიერების ძირითად საკითხებში. რესპუბლიკის კომკავშირის 27-ე ყრილობამ მიერ გამოცხადებული „ლენინური ორწლედი" ძირითადში შესრულებულია.

ჩვენი მუშაობის ყველა ფორმა თუ მეთოდი, ჩვენს მიერ ჩატარებული ყველა ღონისძიება ემსახურება ერთ ამოცანას — იდეურად ჩამოყალიბებული, კომუნიზმის საბოლოო გამარჯვებაში უარყეველ დარწმუნებული, სამშობლისათვის თავდადებული ახალგაზრდობის აღზრდას. ეს ამოცანა განსაზღვრა სკკპ XXIII ყრილობამ, რომლის გადაწყვეტილებების შესრულება ამჟამინდამდე გასულ პერიოდში ჩვენს ორგანიზაციას.

საკავშირო ალკკ XV ყრილობამ ხაზგასმით აღნიშნა იდეურ-აღმზრდელობითი მუშაობის გაუმჯობესების აუცილებლობა. იგი უფრო საფუძველიანი, გამიზნული მეცნიერული დასაბუთებული გახდა. ამისათვის კი უდაოდ დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ახალგაზრდობის სხვადასხვა კატეგორიასთან დიფერენცირებულ მიდგომისა პრაქტიკაში დანერგვას, აგრეთვე იმ ფაქტორების მხედველობაში მიღებას, რაც დაკავშირებულია ახალგაზრდობის წრეში ობიექტურ ცვლილებების მიმდინარეობასთან.

ამ ფაქტორთაგან პირველ რიგში გასათვალისწინებელია ასაკობრივი მომენტი.

ასაკობრივი პრობლემა უნდა განვიხილოთ იმ კუთხით, რომ ახალგაზრდობის ახლანდელ თაობას არ განუცდია არც კლასობრივი ბრძოლის მწველე პერიოდი, არც ომის საშინელება, არც აღდგენით პერიოდის სიმძიმე, სამაგიეროდ, მას საშუალება ჰქონდა ეცოცხალა და აემაღლებინა კულტურული დონე. შედარებისათვის საინტერესოა, რომ 1923 წელს წერა-კითხვის უცოდნენთა რიცხვი 39%-ს აღწევდა. ამჟამად, ჩვენი რესპუბლიკა განათლების მხრივ ერთ-ერთი პირველია მსოფლიოში. ახლა საქართველოში მილიონამდე მოსწავლე და 83 ათასი სტუდენტია. საგრძნობლად გაიზრდა ახალგაზრდობის ხვედრითი წონა ტექნიკურ, სპეციალურ, შემოქმედებით და სოფლის ინტელიგენციაში.

ყოველივე ზემოდთქმულმა, აგრეთვე მეცნიერებისა და ტექნიკის არნახულმა პროგრესმა, ცხოვრების დონის ამაღლებამ ერთგვაროდ გაარღვია ახალგაზრდობაში პოლიტიკური, პროპაგანდისტული მუშაობა. დღეს იგი წარმოუდგენელია მეცნიერული საფუძველისა ანალიზის გარეშე. გვაქვს თუ არა იმის საშუალება, რომ ჩვენი იდეოლოგიური მუშაობა იდგეს თანამედროვეობის მოთხოვნათა დონეზე?

ახალგაზრდობის კომუნისტური აღზრდისათვის საქართველოს კომკავშირს, მთელს რესპუბლიკას გააჩნია მასობრივი პროპაგანდის საშუალებათა მდიდარი კომპლექსი — გაზეთები: „ახალგაზრდა კომუნისტი", „ოლოდო�ეიდ გრუზიი", „ნორჩი ლენინელი", ჟურნალები: „ცისკარი", „პიონერი", „დილა", ამ საქმეს ემსახურებიან რადიოსა და ტელევიზიის ახალგაზრდულ გადაცემათა რედაქციები, ბიბლიოთეკები, კლუბები, კულტურის სახლები, მუზეუმები, კინოდანადგარები, სტადიონები, სპორტული მოედნები და დარბაზები.

მიუხედავად მასობრივი პროპაგანდის საშუალებათა ასეთი სიმდიდრისა, ახალგაზრდობის პოლიტიკური აღზრდის ერთ-ერთ ძირითად ფორმად მაინც რჩება კომკავშირული პოლიტგანათლების სისტემა, რადგანაც პოლიტიკურ წრეებში, კლუბებსა და სემინარებში სისტემატური, პროფესიონალურ სწავლება იძლევა მყარ პოლიტიკურ ცოდნას.

კომკავშირის იდეოლოგიური მუშაობის მთავარი მიზანი არის გადაჯაბნილ ცოდნა მტკიცე რწმენად, მსოფლმხედველობად. კომუნისტური მსოფლმხედველობა ჩამოყალიბება კი წარ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოუდგენლია მარქსისტულ-ლენინური მოძღვრების საფუძველიანი შესწავლის გარეშე. ამიტომ უკანასკნელ წლებში კომკავშირული პოლიტგანათლების სისტემის მუშაობა დაქვემდებარებულია ვ. ი. ლენინის თეორიული მემკვიდრეობის ღრმად დაუფლებისადმი. ეს დროის მოთხოვნა გახლავთ.

„ლენინერი ჩათვლებში“ მონაწილეობას იღებს რესპუბლიკის ხუთას ათასზე მეტი კომკავშირელი და ახალგაზრდა. ასეთი მასობრივობა იმანაც განაპირობა, რომ უკვე მიმდინარე „ლენინური ორფუდი“ ორგანულად შეერწყა „ლენინური ჩათვლების“ პირველი ეტაპის დაწყებას. და რადგანაც „ლენინური ორწუდის“ პირველი და ძირითადი პუნქტი ლენინიზმის გაძლიერებულ პროპაგანდას გულისხმობდა, ამან ხელი შეუწყო ორივე ღონისძიების წარმატებით გაშლას.

როცა ლენინიზმის პროპაგანდაზე ვლაპარაკობთ, მხედველობაში გვაქვს ლენინური თეზის გაარკვევლი დამუშავება. ჩვენ იმთავითვე განვაცხადეთ, რომ არ გვინდა ლენინიზმის ცალეული დებულების მექანიკური დაზეპირება; ბელადს ნაწარმოებები ახალგაზრდა უნდა ეცნობოდეს და პოეტობდეს პასუხს ყველაზე ძნელ კითხვებზე, მხოლოდ ამ შემთხვევაში გარდაიქმნება თეორიული ცოდნა მისი პრაქტიკული მოქმედების სახელმძღვანელოდ.

სწორედ ამას ითვალისწინებდა საქართველოს კომკავშირის ცენტრალური კომიტეტი, როცა სხვადასხვა კატეგორიის ახალგაზრდებისათვის ბელადის ნაწარმოებთა შესწავლის საჩქარმწენდაცალ სიტი და მეთოდური ხასიათის წერილებში შემოუშვა. ჩვენ თავიდანვე სასტიკი ბრძოლა გამოვუცხადეთ ფორმალიზმს და პარადოქსობას ამ საქმეში.

წინ გველის მთავარი გამოცდა, ხატოვნად რომ ვთქვათ, გამოცდა „სიმწიფის ატესტატზე“. ეს არის „ლენინური ჩათვლების“ დასკვნითი ეტაპი. იგი უნდა გადაიქცეს ახალგაზრდული ძალების გენერალურ დათვალიერებად. ჩათვლებს საბოლოო წერტილი უნდა დაესვას აპრილში, საკავშირო კომკავშირულ კრებაზე. თვითეული კომკავშირულ ორგანიზაციაში უნდა შეჯამდეს ჩვენი მუშაობა ყველა სფეროში, ყველაფერი ის, თუ რა ვიკავეთეთ იუბილესთვის მზადების პერიოდში. ეს შეჯამება უნდა მოხდეს ლენინის ანდერძის კუთხით.

— თუ როგორ ვეუფლებით რევოლუციურ თეორიას;

— ვიძლევით თუ არა მაგალითს შრომაში;

— კრებაზეა თუ ეაფასებთ მიღწეულს;

— საკუთრივ როგორ გვაქვს გამოშუშავებული შეგნებული დისციპლინა;

— რას აკეთებს თვითეული კომკავშირელი ჩვენი ორგანიზაციის განმტკიცებისათვის.

ეი საკავშირო კომკავშირული კრების საკითხები და ლენინური ჩათვლების მიღების კრიტერიუმები.

ახალგაზრდობის პოლიტიკური აღზრდის ინტერნაციონალურ ფორმა იყო და კვლავ რჩება კომკავშირული პოლიტგანათლების სისტემა, რადგანაც პოლიტიკურ წრეებში, სემინარებსა და კლუბებში სისტემატური, პროგრამირებული სწავლება იძლევა მყარ პოლიტიკურ ცოდნას.

ახალგაზრდობის პოლიტიკურ სწავლებაში ჩვენი წარმატებები უდაოა, მაგრამ აუცილებლად მიგვანშია აღენიშნოთ შემდეგი:

წარსული წლების გამოცდილება კიდევ ერთხელ გვიჩვენებს, რომ კომკავშირული ორგანიზაციები ზოგჯერ გატაცებულნი არიან წრეების რაოდენობით, მუშაობის გარეგნული ფორმით და მეორე პლანზე გადააქვთ მეცადინეობის მთელი პოლიტიკური შინაარსი. არ უნდა დაგვიავიწყდეს რომ თვითეულ მოსწავლესა თუ სტუდენტში, მუშასა თუ სოფლის მშრომელში: მეცნიერია თუ ჯარისკაცში არის თავისებური, სპეციფიკური ინტერესები, საკუთარი, განსხვავებული მისწრაფებები, რომლებიც მოითხოვენ ღრმა დიფერენცირებულ მიდგომას.

ახალგაზრდობის პოლიტიკურ სწავლებაში ჩაბმა უნდა დაიწყოს იქიდან, რომ ყველა კომკავშირელი მუშაკი, კომიტეტის წევრი, მუდმივად და ძალიან მჭიდროდ უნდა იყოს დაკავშირებული ახალგაზრდობის ამა თუ იმ კონკრეტულ ჯგუფთან, ისწავლოს მისი განწყობილებები, მისწრაფებები და მოთხოვნილებანი. ასეთ მთავარ საფუძველზე უნდა იბადებოდეს რეკომენდაციები, გადაწყვეტილებები და ღონისძიებები. ისინი კანონებებში კი არ უნდა მოვიგონოთ, არამედ ცხოვრებისეული მოთხოვნილებიდან უნდა წამოიზარდონ. მაშინ ყველა კომკავშირულ საქმიანობაში იქმნება მტკიცე ორმხრივი კავშირი.

პროპაგანდასა და აგიტაციაში მნიშვნელოვანია პრინციპულობა, პარტიულობა. მიზნდება და უნარი გულღიად, გულუბრყვილად ისაუბრო აუდიტორიასთან, რის გარეშეც არ დაეკარგებენ პროპაგანდისტს, არ იქნება ის კონტაქტი, რომელიც უზრუნველყოფს პროპაგანდის ნაყოფიერ წარმატებას.

კომკავშირულ პროპაგანდისტთა სწავლებაში დიდი ოდენ უნდა შეასრულონ პარტიული პოლიტგანათლების სახლებმა და კაბინეტებმა. სასიამოვნოა, რომ ამ რამდენიმე ხნის წინათ პოლიტიკური განათლების რესპუბლიკერ და საოლქო სახლებში, სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა დაუშვა შტატები მეცნიერ-კონსულტანტებისა, რომლებიც სპეციალურად იმუშავებენ კომკავშირული პოლიტგანათლების ორგანიზაციისა და მეთოდიკის საკითხებზე. დამუშავებაზე.

ასეთივე ყურადღება არის საჭირო კომკავშირის კომიტეტების ლექტორთა ჯგუფებისადმი. მოგეხსენებათ, ინფორმაციის ვერაკეთარი სა-

შეალება ვერ შეცვლის ცოცხალ სიტყვის. ამიტომ კომკავშირის ცოცხალ სიტყვაში და რაინონული კომიტეტის კომკავშირეულ ორგანიზაციებში ატარებენ ლექტორის დღეებს, თეორიულ კონფერენციებს, მონაწილეობენ ლენინური კითხვის ახალგაზრდულ ლექტორიუმებში, რეგიონალიურ დიდების მუზეუმებისა და ოთახების მოწყობაში.

ჩვენ უაღრესად დიდ მნიშვნელობას ვანიჭებთ ახალგაზრდობის წინაშე ხელმძღვანელი პარტიული, საბჭოთა და კომკავშირული მუშაკების გამოსვლებს ლენინურ თემატიკაზე და საზოგადოებრივი ცხოვრების აქტუალურ პრობლემებზე.

ახლა, როცა მთელი საბჭოთა ხალხი ემზადება ფართოდ აღინიშნოს ჰიტლერულ გერმანიაზე გამარჯვების 25-ე წლისთავი, საჭიროა კიდევ უფრო გაეშალოთ მსგავსი მუშაობა, რადგანაც იგი ერთ-ერთი მთავარი კომპონენტია იმ მნიშვნელოვანი საქმიანობისა, რომელსაც ეწოდება ახალგაზრდობის რეგოლეციური, საბრძოლო და შრომით ტრადიციებზე აღზრდა.

ყველასათვის ცხადია ის, რომ რაც უფრო ღრმად აღიქვამს უფროსი თაობის გმირობისა და თავდადების სიდიადეს, ახალგაზრდობა მით უფრო ზუსტად განსაზღვრავს თავის ადგილს საზოგადოების რეგოლეციური ბრძოლაში.

ახალგაზრდობას უნდა შთაეუნერგოთ, უნდა ეუჩვენოთ დიდი ოქტომბრის 50 წლის განმავლობაში თუ რა ნათელი გზა განვლო პირველმა კომკავშირელმა შეუსებამ, ჩვენი მამებისა და დედების პლეადამ, რომელმაც თავის საკუთარ მხრებზე გადაიტანა რეგოლუცია და სამოქალაქო ომი, შეისისხლხორცა სოციალიზმის იდეების გამარჯვების მტკიცე რწმენა, დასაბამი მისცა კომუნისტურ შაბათობებს, იდეურ-პოლიტიკური მუშაობის ტრადიციებს.

საბჭოთა ქვეყნის სიძლიერეშია ჩაქსოვილი ჩვენი თაობის შშვიდობიანი ცხოვრება. დღეანდელ კომკავშირელთა უმრავლესობა დაიბადა დიდი სამამულო ომის შემდეგ და თუ ჩვენ არ გაგვიცდია ომის ტრაგედია, თუ შშვიდობიან პერიოდში ვიზრდებით, ესწავლობთ და ვშრომობთ, ამას ჩვენი სამშობლოს სამხედრო პოტენციალს, მის არმიას უნდა ეუმადლოდეთ.

მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ დღეკანდელ მსოფლიოში არ არსებობს ომის საფრთხე. პირიქით, ვიეტნამის ბარბაროსული ომი, ნეოფაშიზმის აქტივიზაცია დასავლეთ გერმანიისა და ბევრ სხვა ქვეყანაში, ფაშისტური რეკიმი სპერანტინში, ჩილეს მოღალატეთა პროვოკაციები ჩვენს საზღვრებთან ომის სერიოზული გაფრთხილებაა, რომ საჭიროა ყოველდღიურად ეზრდიდეთ ახალგაზრდობას პატრიოტული სულისკვეთებით, ჩვენი ხალხის საბრძოლო ტრადიციებისადმი, საბჭოთა არმიისადმი პატივისცემის სულისკვეთებით. ერთი წუთითაც შეცდომა ლებულია დავივიწყოთ ჩვენი სამშობლოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის დაღვრილი სისხლი, მილიონობით გაწირული სიცოცხლე.

ბოლო ჭლებები კომუნისტურმა პარტიამ და საბჭოთა მთავრობამ მთელი რიგი ღონისძიებები გაატარეს სოფლის მეურნეობის განვითარებისა და აღმავლობისათვის.

ამის დასტური გახლავთ კოლმეურნეთა III საკავშირო ყრილობა, რომელზედაც მიიღეს კოლმეურნეობის ახალი სანიმუშო წესდება. ხაზგასმით უნდა აღინიშნოს ის დიდი და სერიოზული საკითხი, რომელიც გაიმართა საქართველოს კოლმეურნეთა ყრილობაზე. ამ ყრილობამ კიდევ ერთხელ დაადასტურა ქართველ კოლმეურნეთა შრომითი აქტივობა, მათი დარაზმულობა პარტიის მიერ დასახულ ამოცანათა განხორციელებისათვის.

რესპუბლიკის სოფლის მშრომელთა მიღწევებში მნიშვნელოვნი წელილი შეაქვს ახალგაზრდობას, დღეისათვის სოფლად დასაქმებულია 150 ათასზე მეტი ქალიშვილი და ჭაბუკი. ეს არის დიდი ძალა, რომლის ენთუზიაზმისა და ენერგიის სწორი წარმართვა, მისთვის მიწის, მხნეულ-მთესველის პროფესიისადმი პატივისცემისა და სიყვარულის ჩანერგვა არის კომკავშირული ორგანიზაციების მუშაობის მთავარი ამოცანა. ამ ამოცანის გადაწყვეტისათვის გაგვაჩნია მუშაობის საკუთარი, კომკავშირული ფორმები და მეთოდები. ეს პირველ რიგში გამოიხატება სოციალისტური შეჯიბრების ფორმად გაწოლაში, ახალგაზრდობის ინიციატივის ხელშეწყობაში.

სწორედ ამ ორი მომენტის გათვალისწინებით იქნა მიღწეული ის დიდი წარმატება, რაც მოიპოვეს ახალგაზრდა მეჩაიეებმა. მათ წელად მოდის 170 ათასი ტონა ჩაის ხარისხოვანი ფოთოლი, ნაცვლად ვალდებულებით გათვალისწინებული 140 ათასი ტონისა.

სასახელო წარმატებებს მიაღწიეს რესპუბლიკის ახალგაზრდა მევენახეებმა და მებაღეებმა, მეცხოველეებმა და მემანდვრეებმა. მათ პირნათლად შეასრულეს ყველა ვალდებულება.

შედეგები მართლაც მნიშვნელოვანია, მაგრამ შეცდომა იქნებოდა მიღწეულით დაკმაყოფილება. უკანასკნელ ხანს პარტიამ კომკავშირს დაუსახა ამოცანები, რომელთა გადაწყვეტისათვის უნდა მივმართოთ მთელი ჩვენი შესაძლებლობანი.

ამას ცენტრალური კომიტეტის დეკემბრის პლენუმზე აღინიშნა იმ შეფერხების შესახებ, რაც შეიმჩნევა ჩვენი ქვეყნის მეცხოველეობის განვითარებაში. რესპუბლიკის კომკავშირმა თა-

ვისი წელილი უნდა შეიტანოს ამ მდგომარეობის გამოსწორებაზე.

პირველი დიდი ამოცანა, რომელიც ჩვენს წინაშე დგას არის მეცხოველეობის ფერმების ახალგაზრდა კადრებით დაკომპლექტება, მათი ელადიფიკაციის ამაღლებისა და საყოფაცხოვრები პირობების გუმანობესებისათვის ზრუნვა.

ვ. ი. ლენინის დამადების 100 წლისთავის ღირსეულად შეხვედრისათვის კომკავშრის ცენტრალური კომიტეტის მიერ გამოცხადებულია მეცხოველეობის წარმოების, ელეტრონის და შრომის პირობების დათვალიერება ახალგაზრდულ ფერმებში. ვფიქრობთ, აღნიშნული ღონისძიება ხელს შეუწყობს არსებული ნაკლოვანებების ნაწილობრივ გამოსწორებას.

კოლმეურნეობა III საკავშირო ყრილობაზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ამხ. ლ. ი. ბრეჟნევმა აღნიშნა: „უნდა მივაღწიოთ ისეთ მდგომარეობას, რომ ტექნიკა არ ცდებოდეს კადრების მოლოდინში... ამ საერთო სახელმწიფოებრივი საკითხის გადაწყვეტაში დიდნაწილოვანი როლი შეუძლია შეასრულოს და კიდეც უნდა შეასრულოს კომკავშირმა“.

ახლა როცა ჩვენი პარტია უდიდეს პოლიტიკურ და სახელმწიფოებრივ მნიშვნელობას ანიჭებს ქალაქსა და სოფელს შორის არსებული ზღვარის წაშლას, ახალგაზრდა ინტელიგენცია ამ დიდი ლაშქრობის სათავეშია. ყოველგვარი საკითხი სოფლად, იქნება ის ბრძოლა საყოველთაო-სახალხო განათლებისათვის თუ კულტურულ-ესთეტიკური დონის ამაღლებისათვის. შრომის მოწინავეთა მიღწევების პროპაგანდა თუ ფარული რეზერვების გამოვლენა, სპორტული მუშაობის გაშლა თუ ზრუნვა ადამიანის ჯანმრთელობაზე — ახალგაზრდა ინტელიგენციის ჩასვლის უკავშირდება.

საკანონმდებლო უფრადღება გვინდა დავუთმოთ ჩვენი ახალგაზრდობის საბჭოთა პატრიოტიზმისა და პროლეტარული ინტერნაციონალიზმის სულისკვეთებით აღზრდის საკითხს.

კარგად მოგეხსენებათ, რომ საქართველო ერთ-ერთი ყველაზე მრავალეროვნული რესპუბლიკაა საბჭოთა კავშირში. ჯერ კიდევ რევოლუციის გარიჟრაჟზე აქ მხარდამხარ იბრძოდნენ ქართველი, რუსი, სომეხი, აზერბაიჯანელი, უკრაინელი და სხვა ეროვნებათა წარმომადგენლები. ბუერა მათგანმა თავი შეწირა ჩვენი ხალხის თავისუფლებისათვის ბრძოლაში. მათი დაღვრილი სისხლი გვავალებს სათუთად შევინახოთ და ენერგიულად ხალხთა მეგობრობა, პროლეტარული ინტერნაციონალიზმის წმინდათაწმინდა ტრადიციები.

მინდა გავიხსენო ერთი შემთხვევა.

1921 **წელ.**, როცა საქართველოს აჯანყებული პროლეტარიატის დასახმარებლად აზერბაიჯანიდან მე-11 არმია შემოდიოდა, მენშევიკებმა ააფეთქეს ფოილოს რკინიგზის ხიდი. ხიდის შენებლობაში აქტიურად ჩაებნენ ქართველები, სომხები, აზერბაიჯანელი, სომეხი ჯარისკაცები, ადგილობრივი კლეხები და რკინიგზელი მუშები, სულ 1200 კაცი. ოთხი დღე-ღამე შეუსვენებლივ მუშაობდნენ ისინი. ყინულივით წყალი ყველამდე წვდებოდათ, მაგრამ უკან არავის დაუხევია. ხიდი აღადგინეს და ვიღრე ჯარისკაცებით დატვირთული მატარებლები საქართველოსაკენ გამოსწევდნენ, ფოილოში სახელდახელო მიტინგი გაიმართა.

მიტინგის მონაწილეებმა დეპეშა გაუგზავნეს ლენინს: „ჩვენ დავადგინეთ, ხიდს ლენინის სახელი ვეწოდოთ, დაე იგი იყოს ქართველ და რუს პროლეტართა ერთობლივი, მეგობრული შრომის პირველი ძეგლი და ისე შეაკავშიროს ორივე ეროვნება, როგორც ჩვენ შევაერთეთ მდინარე მტკვარის ორივე სანაპირი. მსოფლიო რევოლუციის ბვირფასო ბელადო, ამხანაგო ლენინ, ნუ დაიგიწყებთ, რომ ამ ხიდით ქართველი ხალხი ისწრაფვის თქვენკენ, როგორც თავისი განმათავისუფლებელისაკენ“. საჭიროა, რომ ასეთი ფაქტები ზმირად გავიხსენოთ, გავიხსენოთ იმიტომ, რომ ისინი შესანიშნავად მეტყველებენ მეგობრობის; სამშობლოს საქმეისათვის თავდადების, ინტერნაციონალიზმის იმ კრისტალურ თვისებებზე, რომლებიც ჩვენ უფროს თაობას გაანჩდა. ეს ღრმად აქვეს შეგნებული ჩვენს კომკავშირულ ორგანიზაციებს. ყოველდღიურად მტკიცდება მეგობრული კავშირები მომავ რესპუბლიკებისა და სოციალისტური ქვეყნების ახალგაზრდობასთან. ხდება დელეგაციათა სისტემატური გაცვლა, ეწყობა ერთობლივი სინტერესო ღონისძიებანი, რომლებიც ხელს უწყობენ სხვადასხვა ქვეყნის და ეროვნების ახალგაზრდების დაახლოვებასა და საერთო მიზნისათვის საბრძოლველად შეკავშირებას.

ჩვენი რესპუბლიკის ახალგაზრდობა ყოველმხრივ უჭერს მხარს მსოფლიო დემოკრატიული ახალგაზრდობის ბრძოლას იმპერიალიზმის აგრესიის წინააღმდეგ ვიეტნამში, ფაშიზმისა და ნეონაციზმის აღორძინების წინააღმდეგ დასავლეთ გერმანიაში, ფაშისტური დიქტატურის წინააღმდეგ საბერძნეთში, ესპანეთსა და პორტუგალიაში. გმობს ისრაელის აგრესიას არაბი ხალხის წინააღმდეგ, სოლიდარულია თავისუფლების, ეროვნული დამოუკიდებლობისა და კოლონიალიზმის წინააღმდეგ მებრძოლი ყველა ხალხისა.

ჩვენ ვეცდილობთ ყოველივე ეს გამოვხატოთ პრაქტიკულად, კონკრეტული საქმეებით. ამის ნათელი მაგალითია ვმირი ვიეტნამისათვის მხარდაჭერის კომპანია.

რესპუბლიკის ახალგაზრდობა თავის ხმას ეტერთებს ამერიკელ აგრესორთა წინააღმდეგ მიმართულ მრავალმილიონიანი საბჭოთა ახალ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაზრდის პროტესტს. ჩვენ წმინდა ინტერნაციონალურ მოგალობად მივგებნნა გავაძლეროთ სოლიდარობა ვიეტნამელ თანატოლებთან, რომელნიც მედგრად იბრძვიან თავიანთი სამშობლოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის. მთელს რესპუბლიკაში ჩატარდა მოვალრიცხოვანი კრებები და მიტინგები. მოეწყო, შაბათობები, შეიქმნა გმირული ვიეტნამელი ხალხისათვის დახმარების ფონდი. ჩვენ ღრმად გვწამს, რომ საბოლოოდ ვიეტნამელი ხალხი გამარჯვებას და უნდა ვიამაყოთ, რომ ამ გამარჯვებაში ჩვენი მცირე წვლილიც იქნება შეტანილი.

ჩვენ ვცხოვრობთ ეპოქაში, როცა უადრესად გამწვავდა იდეოლოგიური ბრძოლა ორ სამყაროს შორის. ორ ბანაკს შორის. საკამათო არ არის ის ფაქტი, რომ უკანასკნელ ხანს ბერკეტაზიული პრობაგანდა გასდა ეფრო მოქნილი, უფრო ეერაგი და აქკენტს სწორედ ახალგაზრდობაზე იღება, იგი ყოველნაირი საშუალებით ცდილობს ჩაიწვეთოს გელი ახალგაზრდობას, მოწამლოს მისი შეგნება ნაციონალიზმის, ეროვნული შეზიდულობის. ურწმუნოების შხამით. ცდილობს გაიეიოს მტრობა საბჭოთა ერეს შორის, შეარყიოს სოციალისტური ქვეყნების ხალხებსა და მსოფლიო პროლეტარიატთა ჩვენი მეგობრობისა და თანამშრომლობის საფუძველი. მაგრამ ამის ნებას ჩვენ ახალგაზრდა ლენინელები არავის არ მივეცემთ.

იმპერიალიზმის იდეოლოგიურ დივერსიებს ჩვენ უნდა დავუპირისპირთ თვითეული ჩვენგანის, თვითეული ახალგაზრდა ადამიანის მტკიცე იდეური რწმენა ლენინური იდეებისადმი, ერთგულება რევოლუციური მონაპოვრებისადმი, პროლეტარული ინტერნაციონალიზმის პრინციპებისადმი, ხალხისა და სამშობლოს სიყვარული ღრმა გრძნობა. კომკავშირულ ორგანიზაციებს ზხედველნის არეს მიღმა არ უნდა დარჩეს არც ერთი ახალგაზრდა, რადგან იდეოლოგიური ბრძოლა ეს არის ბრძოლა თვითეული ადამიანისათვის.

სპარტაკიადელს კომკავშირის ერთ-ერთ უმთავრეს საზრუნავს ყოველთვის წარმოადგენდა და წარმოადგენს ლენტერატურისა და ხელოვნების ახალგაზრდა მუშაკთა შემოქმედებითი დაოსტატება, მათი კომუნისტური სულისკვეთებით აღზრდა. ამ მიმართულებით ბევრი რამ გაკეთდა გასულ ორ წელიწადშიც. შეგვიძლია ვანვაცხადოთ, რომ შემოქმედთა ბაკურიანის ტრადიციულმა სემინარებმა გარკვეული როლი ითამაშეს ახალგაზრდა მწერლების, მხატვრების, მუსიკოსების, თეატრისა და კინოს მუშაკების შემოქმედებითი ზრდისა და ურთიერთდაახლოებაში. ეს ურთიერთდაახლოება კი აუცილებელია. აუცილებელია, რადგან ის დიდი და პასუხისმგებელი ამოცანა, რომელიც ახალგაზრდა თაობის კომუნისტური აღზრდისათვის აკისრია კომკავშირს, ლიტერატურასა და ხელოვნებას. წარმატებით ვერ გადაიჭრება თუ ჩვენ ამ საქმეში ხელიხელჩაკიდებული არ ვიმუშაეეთ. განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ახალგაზრდა შემოქმედთა აღზრდას პარტიისა და ხალხის ერთგულების სულისკვეთებით. ლენინური იდეების ღრმა რწმენით. თუ ჩვენ გვინდა, რომ ხვალ და ზეგ ჩვენმა მწერლებმა და ხელოვნების მუშაკებმა შექმნან ეეშმარიტად სახალო ნაწარმოებები, მეიდენენ ადამიანთა გულებთან და ალანთონ იაინი კომუნისტური იდეალებისადმი მხსწრაფვიანთ, დღეს თვით ეს მწერლები და ხელოვნების მუშაკები ეზედ აღეზარდოთ. ამ მხრივ გარკვეული მეშობა ტარდება ჩვენს კომკავშირულ ორგანიზაციებში, შემოქმედებით კავშირებში. კომკავშირის ცენტრალურ კომიტეტთან არსებული ესთეტიკური აღზრდის კომისია ცდილობს ახალგაზრდობასთან მუშობაში ჩაბაბა ჩვენი ცნობილი მწერლება, ხელოვნების მუშაკები. რამდენიმე საინტერესო ღონისძიება ჩატარდა ამ მიმართულებით თბილისის, ახალგაზრდობის კლუბშიც. მაგრამ ჩვენ ვფიქრობთ, რომ ახალგაზრდა შემოქმედებთან მუშობის ცენტრი უნდა ვადაეტანოთ თვით შემოქმედებით კავშირებში. აქ უნდა შეიქმნას საქმიანი, პრინციპულობის, კრიტიკისა და თვითკრიტიკის ატმოსფერო. უნდა მივადწიოთ იმას, რომ ახალგაზრდა შემოქმედის არცერთი ნაწარმოება არ დარჩეს განხილვის გარეშე. თუ ვამოვეეეთ ახალგაზრდა პოეტის წიგნი, ეს ნიშნავს, რომ მისგან მეტს მოველოდ. უკეთესი პროდუქციისა რომ მივიღოთ, საჭიროა გულდასმით, პირუთვნელად გავარჩიოთ პირველი სტრიქონები. ამაში დიდი დამხმარეობის გაწევა შეეძლოთ ჩვენს სახელოვან მწერლებსა და უფროსი თაობის სხვა მოღვაწეებს. გადამწყვეტი სიტყვა ამ საქმეში უნდა თქვან ჩვენი შემოქმედებითი კავშირების ახალგაზრდობასთან მუშაობის სექციებმა და კომკავშირულმა ორგანიზაციებმა.

საბჭოთა საქართველოს განვითარების სხვადასხვა ეტაპზე ჩვენი ხალხის გმირული ბრძოლისა და შრომის ამსახველი შესანიშნავი ნაწარმოებები შექმნეს ჩვენი უფროსი თაობის სახელოვანმა წარომადგენლებმა. მათი ტრადიციების ღირსეული გამგრძელებელნი არიან ჩვენი თაობის ახალგაზრდა მწერლები: მურნაკ მაჭავარიანი და ნოდარ დუმბაძე, ჯანსუღ ჩარკვიანი და ზოთა ნიშნიანიძე, ოთარ ჭილაძე და ტარიელ ჯანტუტია, არჩილ სულკავური და თამაზ ჭილაძე, გივი გეგეკორი და მორის ფოციხიშვილი, ზაურ ბოლქვაძე და მერაბ ელიოზიშვილი, თანამედროვე ახალგაზრდობის ფიქრებისა და მისწრაფვებების გამოხატვის საინტერესო ცდები აქვთ რეეაზ ამაშუკელსა და ლიან სტურუას, ემზარ კვიტაიშვილსა და ფილარ ივარდავას და კიდევ ბევრ სხვას.

გამოთქვამთ ღრმა რწმენას, რომ უახლოეს

ხანში ქართული მწერლობის კარებს თამამად შეაღებენ ისინი, ვინც ახლა პირველ გაუბედავ ნაბიჯებს ადგამს ლიტერატურის ასპარეზზე და მოიტანენ ახალგაზრდული მგზნებარებით; სამშობლოს, ხალხს, პარტიის სიყვარულით ანთებულ ვეფერ.

გასული ორი წლის მანძილზე შეიქმნა მრავალი წიგნი, ფერწერული ტილო, ქანდაკება, მუსიკალური ნაწარმოები, დაიდგა მრავალი სპექტაკლი, კინოფილმი, რომელთა ავტორები მხოლოდ ახლა გამოდიან ხელოვნების დიდ გზაზე.

ბევრი ნიჭიერი ახალგაზრდა გამოავლინა საქართველოს თეატრალურმა ფესტივალმა, არქიტექტურული სწავლების სტუდენტთა ნამუშევრების რესპუბლიკურმა დათვალიერებამ, რომელიც ვასულ წელს არქიტექტორთა კავშირთან ერთად მოვაწყეთ. კარგი შედეგი გამოიღო ქუთაისში განსხლილმა დასავლეთ საქართველოს ახალგაზრდა მხატვართა პირველმა ზონალურმა გამოფენამ.

მნიშვნელოვან შემოქმედებით წარმატებებს მიაღწია ახალგაზრდა მხატვრობა ილიას ქოიავამ, რომელსაც მაღალმხატვრული, აქტუალური თემებით აღსავსე ჭედური ნამუშევრებისათვის და ქანდაკებისათვის საქართველოს კომკავშირის პრემია მიენიჭა.

ბევრი სანტერესო მიღწევით აღინიშნა უკანასკნელი ორი წელი ახალგაზრდა არქიტექტორებისათვისაც. მათ შორის უნდა დავასახელოთ პოლიტექნიკური ინსტიტუტის კურსდამთავრებული — დემური ელოშვილის წარმატება. ბუენოს-აირესში გამართულ არქიტექტორთა საერთაშორისო კონგრესზე მის ნამუშევარს — „საცხოვრებელი სახლი 1000 ოჯახისათვის“ — მიეკუთვნა მთავარი პრემია.

ჩვენმა ნიჭიერმა მომღერალმა ზურაბ სოტკილავამ ახალგაზრდობისა და სტუდენტთა სოფიის IX საერთაშორისო ფესტივალზე „ოქროს ორფეოსის“ პრიზი დაიმსახურა. ამაღლდა ახალგაზრდა მუსიკოსთა საშემსრულებლო ოსტატობა, ნინო ჭირაქაძისა და მარინე ხვიტიას შემოქმედებით გამარჯვების მოწმენი გახდნენ მსოფლიოს მრავალი ქვეყნის მუსიკის მოყვარულები.

თამამად შეიძლება ითქვას, რომ ქართული თეატრის მამოძრავებელი ძალაა ახალგაზრდობა. მთლიანად ახალგაზრდულია რუსთაველი და ახალციხის სახელმწიფო დრამატული თეატრები. ახალგაზრდა რეჟისორები ხელმძღვანელობენ სოხუმის, ზუგდიდის, ცხინვალის, მახარაძისა და ქუთაისის თეატრებს.

კომკავშირული ორგანიზაციების ეალი კალეიდ მთელი ყურადღება დაუთმონ ლიტერატურისა და ხელოვნების ახალგაზრდა მუშაკებთან ნაყოფიერ შემოქმედებით მუშაობას, მათ აღზრდას, სწორი იდეური კონცეფციის გამომუშავებას. ამ საქმეში მათ მხარში უნდა ამოუდგნენ ჩვენი ახალგაზრდული ეურნალ-გაზეთები. განსაკუთრებით კი „ცისკარი“. ეურნალ „ცისკრის“ განსაკუთრებული როლი ქართული მწერლობის წინაშე არაერთხელ აღნიშნულა. ამჯერად მხოლოდ იმას დავუმატებთ, რომ საჭიროა ეურნალის სარედაქციო კოლეგიამ ეური ყურადღება დაუთმოს ახალგაზრდა შემოქმედებითი ძალების შემოკრებას, მათთან მუშაობას. არ დატოვოს გამოხმაურების გარეშე ახალგაზრდა შემოქმედი, არცერთი წიგნი, ხშირად დაბეჭდოს პრობლემური წერილები ჩვენი ახალგაზრდობის ცხოვრების საკრიბოროო საკითხებზე, ფართოდ გააშუქოს მშრომელთა ახალგაზრდული კოლუქტივების, კომკავშირული ორგანიზაციების სასახელო საქმეები, მეტი ადგილი დაეთმოს ხელოვნების ახალგაზრდა მუშაკების იდეურ-ესთეტიკური აღზრდის საკითხებს.

საჭიროა მუდამ გვახსოვდეს ჩვენი გენიალური ბელადის ვლადიმერ ილიას ძე ლენინის სიტყვები, რომ ლიტერატურული საქმე არის საერთო პროლეტარული საქმის ნაწილი, საჭიროა პირნათლად ვასრულებდეთ ჩვენი პარტიის მითითებას იმის შესახებ, თუ რა უდიდესი როლი აკისრია ლიტერატურას და ხელოვნებას ახალი ადამიანის, კომუნისტური საზოგადოების ადამიანის აღზრდაში.

პრესგზობის 50 წლის მანძილზე საქართველოს კომკავშირმა გამოზარდა ასეული ათასობით ქალიშვილი და ჭაბუკი, აზიარა ისინი მარქსიზმ-ლენინიზმის უკედავ სავანძურს, ხალხისათვის ბრძოლისა და შრომის მიმზიდველობას, შეაგრძნობინა საკუთარი ძალებისა და შესაძლებლობების რწმენა, გაუკვალა ცხოვრების გზა ეს კომკავშირის დიდი დამსახურებაა.

თვის დრიზე ვ. ი. ლენინ სვამდა შეკითხვას: შეიძლება თუ არა ასეულის ძალამ გადაალეწოს ათასეულის ძალა? და იქვე უპასუხებდა: შეიძლება და გადადაჭარბებს კიდეც, როცა ასეული ორგანიზებულია.

ჩვენი მთავარი ამოცანა იყო რესპუბლიკის კომკავშირის პოლიტიკური და ორგანიზაციული განმტკიცება. ამ მხრივ თვალსაჩინო წარმატებებს მივაღწიეთ. მოგეხსენებათ, რაოდენ დიდი მნიშვნელობა ენიჭება კომკავშირის რაოდენობრივ და ხარისხობრივ ზრდას.

მარტო ვასული ორი წლის მანძილზე კომკავშირს თავისი ბედ-იღბალი დაუკავშირა 152.267 ქალიშვილმა და ჭაბუკმა. თუკი 1920 წლის მაისში ჩატარებული საქართველოს კომკავშირის პირველი ყრილობის დროს ჩვენში 2.300 კომკავშირელი იყო, დღეს კომკავშირის ბილეთს ატარებს 454.624 ახალგაზრდა.

არასოდეს ვყოფილვართ ასე ბევრი. დღესასთვის საქართველოს კომკავშირი თავის რიგებში ითვლის 116 ათასზე მეტ მუშას, 64 ათასამდე კოლმეურნეს, 5.600 ინჟინერს, 2.790 აგრონომს, ვეტერინარს და ზოოტექნიკოსს, 8.200 მასწავლებელს, კულტურისა და ხელოვნების 2.600-ზე

მეტ მუშაკს, მოსწავლე და სტუდენტი ახალგაზრდობის საგრძნობ ნაწილს. რესპუბლიკის კომკავშირში 60-ზე მეტი ეროვნების ახალგაზრდობაა.

ეს ციფრები იმაზე მეტყველებენ, თუ რაოდენ დიდი ნდობა და პატივისცემა აქვს ჩვენს ორგანიზაციას, რაოდენ დიდი ავტორიტეტი აქვს მას ახალგაზრდობაში.

ნდობა, პატივი, ავტორიტეტი მარტო აღიარება კი არა, დიდი ვალდებულებაც გახლავთ. ვალდებულება იმისა, რომ ახალგაზრდობის ინტერესებიდან და მისწრაფებებიდან გამომდინარე ყოველდღიურად უნდა ვსრულოფდეთ ორგანიზაციულ და პოლიტიკურ საქმიანობას, მის ფორმებსა და მეთოდებს. ისინი უნდა სუნთქავდნენ თანამედროვეობის მოთხოვნებით.

პირველი და უპირველესი ამოცანაა სწორად განსაზღვროთ ჩვენი საქმიანობის თავკავი მიმართულებები. ცხოვრება წინ მიდის, იზრდება ახალგაზრდობის ინტელექტი, მატი შეგნება, მისი აქტივობა. სწორედ ამიტომ მუშაობის მთავარ მიმართულებათა არჩევა უნდა ხდებოდეს გამიზნულად, დასაბუთებულად, ახალგაზრდობის კატეგორიების სპეციფიკის გათვალისწინებით.

საანგარიშო პერიოდში ახალგაზრდობასთან დიფერენცირებული მუშაობის საინტერესო ფორმები შემოიღეს აფხაზეთში, თბილისში, ზუგდიდში, ჯიათურაში, მაიაკოვსკი, მარნეულში. ბევრი კომკავშირული ორგანიზაცია საფუძვლიანად სწავლობს ახალგაზრდულ პრობლემებს. პრაქტიკაში დაინერგა ახალგაზრდობის კატეგორიებთან მუშაობის პრინციპეტული, კომპლექსური პროგრამების შემუშავება. ამ საქმეში კომკავშირის კომიტეტებს დიდ დახმარებას უწევენ სოციოლოგთა ჯგუფები, რომელთა მუშაობასაც წარმართავს კომკავშირის ცენტრალურ კომიტეტთან არსებული ახალგაზრდ მეცნიერთა საბჭო.

კომკავშირული მუშაობის გაუმჯობესებისათვის, ჩვენი კავშირის ავანგარდული როლის გაძლიერებისათვის უდიდესი ინიშვნელობა ჰქონდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებებს „საკ. ალკ 50 წლისთავისა და ახალგაზრდობის კომუნისტური აღზრდის ამოცანების შესახებ“ და „კომკავშირისადმი ხელმძღვანელობისათვის კრასნოიარსკის სამხარეო პარტიული ორგანიზაციის მუშაობის შესახებ“. პარტიულ დოკუმენტებში ხაზგასმით არის აღნიშნული ჩვენი პირველადი როლის ბრძოლისუნარიანობის ამაღლების აუცილებლობა, რადგანაც ეგია კომკავშირის ძალისა და სიმტკიცის საფუძველი.

ახლა რესპუბლიკაში 8127 პირველადი ორგანიზაციაა. ეგიზარდა საამქროების, სპორტიგადო ორგანიზაციების, კომკავშირული ჯგუფების რაოდენობა. ამ პროცესმა გარკვეულად გაუმჯობესა რაიონული და საქალაქო კომიტეტების უშუალო კავშირი თვითეულ კომკავშირულთან. ამ კავშირის გაუმჯობესება კი საყოფიერი მუშაობის გარანტიაა.

აუცილებლად უნდა აღინიშნოს, ის, რომ ერთგვარად გაუმჯობესდა პირველადი ორგანიზაციების ინფორმირება კომკავშირის ხელმძღვანელი ორგანოების საქმიანობის შესახებ.

400 ათასი კომკავშირელი, პრაქტიკულად ყველა პირველადი ორგანიზაციის წევრები მონაწილეობდნენ იმ კრებებში, რომლებზედაც განხილულ საკითხველოს კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის ანგარიში „რესპუბლიკის კომკავშირის 27-ე ყრილობის გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის მუშაობის შესახებ“. რესპუბლიკის ქალაქებსა და რაიონებში გაეგზავნენ კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის წევრები, წევრობის კანდიდატები, სარეკვიზიო კომისიის წევრები, საბჭოთა კავშირისა და რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოების დეპუტატები. ორი თვის მანძილზე ჩატარდა 7526 კრება, 30 ათასზე მეტმა კომკავშირელმა გამოთქვა აზრი ცენტრალური კომიტეტის საქმიანობაზე.

მსგავსი ღონისძიებების მთავარი მიზანი იყო და არის კომკავშირის ცენტრალური, საოლქო, საქალაქო და რაიონული კომიტეტების კავშირის განმტკიცება ოგიგი კომკავშირელთა მასებთან. მაგრამ მარტო ამით რიდი ამოიწურება ეს კავშირი. ახალგაზრდობის წერილები, განცხადებები, რომლებიც ხელმძღვანელ ორგანოებში მოდის ამ კავშირის გამტკიცების ხელშეწყობის ცდაა. ოგია ძირეული ორგანიზაციებიდან, ახალგაზრდობის წრიდან პირდაპირი, უშუალო ინფორმაციის მიღების, მათი ინტერესების, მისწრაფებების, ფიქრის, წუხილის, წინადადებების გაცნობის ჩინებული საშუალება.

სწორედ ამიტომ, კომკავშირის ცენტრალური კომიტეტი უდიდესი პრინციპულობით მოითხოვდა და მოითხოვს ახალგაზრდობის წერილებსა და განცხადებებზე კომკავშირის კომიტეტების მუშაობას.

უკანასკნელ წლებში განთავისუფლეულ კომკავშირულ სამუშაოზე მოვიდა ბევრი შრომისმოყვარე, ინიციატივიანი და განთავლებული ახალგაზრდა. ახლა რესპუბლიკის საოლქო, საქალაქო და რაიონული კომიტეტების 189 მდივნიდან ბასოლუტური უმრავლესობა უმაღლესი განათლებითაა.

განსაკუთრებული ყურადღება ეთმობოდა კომკავშირში პარტიული ბირთვის გაზრდასა და განმტკიცებას. ღღეისათვის რესპუბლიკის კომკავშირში მუშაობს 13.372 კომუნისტი. მათგან პირველადი ორგანიზაციების 8.127 მდივნიდან 32% პარტიის წევრი და წევრობის კანდიდატია. ეს უკეთესია, ვიდრე წინა წლებში, მაგრამ საჭიროა კიდევ უფრო მეტის გაკეთება. რესპუბლი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

კაში 30 წლამდე არის 37 ათასზე მეტი კომუნისტი, კომკავშირში მუშაობით კი დაკავებულია მათი მესამედი. მარტო გასულ საანგარიშო პერიოდში კომკავშირული აღრიცხვიდან მოეხსნა 4.360 ახალგაზრდა კომეშილის. ჩვენი მტკიცე რწმენით, საჭიროა პარტიის ახალგაზრდა წევრების მაქსიმალური გამოყენება კომკავშირულ სამუშაოზე.

საინტერესოა პრაქტიკა დამკვიდრდა რუსთავში. კომკავშირლები, რომლებიც შედიან პარტიაში, საკანონიდაო სტატუს გადიან მხოლოდ კომკავშირში, ასოულებენ მუდმივ კომკავშირულ დავალებებს. ეს პრაქტიკა მხარდასაჭერი და მისაბაძია.

მეტი ყურადღება უნდა მიექცეს ქალთა დაწინაურებასაც. თუკი პირველად ორგანიზაციებში ამ მხრივ საქმე ურიგოდ არ არის, ამას ვერ ვიტყვით ხელმძღვანელ ორგანოებზე. რესპუბლიკის სოფლებ, საქალაქო და რაიონული კომიტეტების პირველი მდივნებიდან მხოლოდ 17 ქალია. ეს ერთგვარი შეუსაბამობაა. სიტყვა ქალებზე ჩამოვაგდა, გვინდა აღვნიშნოთ, რომ საქართველოს კომკავშირელთა ნახევარს ისინი შეადგენენ. ქართველი ქალიშვილებმა თავდადებული შრომით, თავანირი ინტელექტით, ხელოვნებით შეძლეს გაეთქვეს სახელი ჩვენს სამშობლოს. არა ნაკლებ საპატო მოგალეობა აკისრია ქალს — დედას, შვილების გამზრდელს, ქალს — დიასახლისს, ოჯახის ფუძეს. ეს თვისებები ყოველთვის ამაღლებული იყო ქართველი ქალისათვის.

ასე უნდა იყოს მომავალშიც. ეს არის ეროვნული სულისკვეთების, ეროვნული ზრდის, ერის გამრავლების სათავე.

პარტია მოითხოვს, რომ კომკავშირულმა ორგანიზაციებმა გამოიჩინონ მეტი მომთხოვნელობა თვითეული კომკავშირელისადმი. ზოგჯერ ზოგიერთი ჩვენი თანატოლი ცალმხრივად უდგება შინაგან კომკავშირული დისციპლინის საკითხებს, განიხილავს მას მარტო იმის უფლებით, რომ ორგანიზაციის საქმიანობაზე იმსჯელოს კრებებზე და პრესაში. მათ ავიწყდებათ, რომ ისინი თვითონ უნდა იყვნენ კომკავშირული ორგანიზაციის აზრის, სურვილის, გადაწყვეტილებების ცხოვრებაში აქტიური გამტარებელები, აქტიური შემსრულებლები. კომკავშირში უფლება ყოველთვის დაკავშირებული იყო და არის მოვალეობასთან, დემოკრატია — დისციპლინასთან, ინიციატივა — დამორჩილებასთან. სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1969 წლის დაკვმრების პლენუმზე ხაზგასმით აღინიშნა მომთხოვნელობის გაძლიერების აუცილებლობის შესახებ. პლენუმის გადაწყვეტილებებიდან საჭირო დასკვნები უნდა გააკეთოს ყველა კომკავშირის კომიტეტმა, თვითეულმა კომკავშირულმა მუშაკმა. საჭიროა რომ მაკცრად ვითხოვდეთ წესდების ყველა მუხლის უყოყმანოდ და კეთილსინდისიერ შესრულებას, პრინციპალად ვიფუსტებდეთ მის ყოველ დარღვევას.

საქართველოს კომკავშირის ორგანიზატორიული მუშაობის ერთ-ერთი მთავარი მიზანი არის, ვაზიაროთ ახალგაზრდობის ფართო მასები საჭელმწიფოს მართვის ჩვენგებს, პრაქტიკული მონაწილეობა მივიღებინოთ მას მართვის ორგანოების მუშაობაში. თვითეულ ახალგაზრდას უნდა ვუნვითარებდეთ ქეეყნის ინტერესების, სახელმწიფოებრივი პრობლემების ღრმა გაგების, მათ გადაჭრაში აუცილებელი მონაწილეობის თვისებებს. სწორედ ამიტომ კომკავშირელი ორგანიზაციები უდიდეს ყურადღებას აქცევენ ახალგაზრდა დეპუტატებთან მუშაობას. აღგილობრივ საბჭოებში წინა მოწვევასთან შედარებით ახალგაზრდა დეპუტატთა რაოდენობა 20,7 პროცენტით გაიზარდა. საქართველოს კომკავშირს, ახალგაზრდობას თავისი წარმომადგენლები ყავს რესპუბლიკისა და ჩვენი ქეეყნის პარლამენტებში.

ჩვენ გეგმაზომიერად ვმუშაობთ. მათთან ეს მუშაობა ითვალისწინებს ახალგაზრდა დეპუტატების სწავლებას, მათ ინფორმირებას ახალგაზრდობის ცხოვრების, მისი სწავლა-აღზრდისა და შრომის აქტუალური საკითხებზე. საქართველოს კომკავშირის ცენტრალურ კომიტეტთან შექმნილი ახალგაზრდა დეპუტატთა საბჭო კოორდინაციას უწევს სახელმწიფო ორგანოებში ახალგაზრდობის წარმომადგენელთა საქმიანობას.

ასევეე დიდი ყურადღებით ეკიდებიან კომკავშირული ორგანიზაციები თავიანთი წარმომადგენლების საქმიანობის სხვადასხვა სახელმწიფო და საზოგადოებრივ ორგანიზაციებში. კომკავშირის წარმომადგენელები ხშირად არიან საბჭოებში, სამინისტოოებსა და საზოგადოებრივ ორგანიზაციებში ახალგაზრდობასთან დაკავშირებული საკითხების განხილვის ინიციატორები. ჩვენ კელავაც გავაგრძელებთ მსგავს საქმიანობას, რადგან იგი მიგვაჩნია ახალგაზრდობის საზოგადოებრივი და პოლიტიკური აქტივობის ამაღლების კარგ საშუალებად. ამ საქმეში ჩვენ მხარს გვიჭერს და ხელ გვიწყობს საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი. საერთოდ, უნდა ხაზგასმით აღვნიშნოთ, რომ იმ დიდი ყურადღების, ზრუნვისა და დახმარების შესახებ, რასაც პარტიული ორგანიზაციები იჩენენენ კომკავშირისადმი. პარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროსა და სამდივნოს სხდომებზე არა ერთხელ განხილულა კომკავშირის მუშაობასთან დაკავშირებული საკითხები. საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა სპეციალურად იმსჯელა ახალგაზრდობის კომუნისტური აღზრდის ამოცანებზე და კომკავშირისადმი პარტიის ხელმძღვანელობის ვალდებულებებზე.

ჩვენ ყოველთვის ვგრძნობდით და ვგრძნობთ ამ დამხარებას და მხარდაჭერას. პატრია ასწავლიდა კომკავშირს, უნერვიული შემოქმედებითი ინიციატივის გრძნობას და განამტკიცებდა მის შესაძლებლობებს. ასეთი ყურადღება, ასეთი დამოკიდებულება გმმატებდა და გვმატებს ძალას, ენერგიას, იგი იყო და არის საქართველოს კომკავშირის ყველა წარმატების წყარო და საფუძველი.

ყველასათვის ნათელია, რომ ჩვენი აღმზრდელობითი სისტემის ქვაყუთხედი იყო და არის შრომითი აღზრდა. ვ. ი. ლენინი ყოველთვის ხაზს უსვამდა, რომ ახალგაზრდობის კომუნისტური კავშირი ხელს უნდა უწყობდეს ქალიშვილებსა და ბაბუებს ისწავლოს კომუნიზმი. ეხმარებოდეს პარტიას აშენოს კომუნიზმი. საჭიროა, რომ „ახალგაზრდობა პრაქტიკულად წყვეტდეს საერთო შრომის ამა თუ იმ, სულ მცირე, თუნდაც სულ უბრალო ამოცანას" — ამბობდა ილიჩი კომკავშირის მესამე ყრილობაზე.

ამიტომ სავსებით ბუნებრივია, რომ ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობის სიმძაფე გადატანილი იყო კომუნისტურ მშენებლობაში ახალგაზრდობის კონკრეტული მონაწილეობის ფართო გაშლაზე, ხეთწლიანი გეგმების შესრულებაში აქტიურ მონაწილეობაზე.

აბ არსებობს იმაზე სპატიო მოველობა, თუ არა ის, რომ საკუთარი გარჯითა და შრომით შექმნა მატერიალური ფასეულობა, დოვლათი, ქვეყნის სიმდიდრე. ჩვენი ახალგაზრდობა თავისი მარჯვენით დაუზარელად იღწვის დაზგებთან, საკალმეურნეო მინდვრებზე, ფერმებში. ისინი ღირსეულად აგრძელებენ იმ სასახელო ტრადიციებს, რომლებსაც სათვე დაუდო მუშათა კლასისა და კოლმეურნე გლეხობის უფროსმა თაობამ.

ახალგაზრდობის თავდადებული შრომა — ათასობით ტონა გამოდნობილი ფოლადი თუ მოკრეფილი ჩაი, ციტრუსი თუ თამბაქო შეუძლებელი შეფასდეს განყენებულად. ეს შედეგები გაგებული უნდა იქნას როგორც ჩვენი ახალგაზრდობის ღრმა იდეური რწმენის პრაქტიკული განხორციელება. ამის დასტურია ის დიდი შრომითი აღმავლობა, რაც გამოწვეულია დიდი ლენინის საუკუნოვანი იუბილეს მოახლოებებით.

დიდი მნიშვნელობა ჰქონდა სოციალისტური შრომის გმირების, ლენინის ორდენოსნების, ლენინური პრემიის ლაურეატების მიმართვას „გადავეკიცოთ იუბილემდე დარჩენილი ყოველი დღე დამკვირვლურად", რომლის საპასუხოდ კიდევ უფრო ფართოდ გაიშალა სოციალისტური შეჯიბრი, კიდევ უფრო გაიზარდა ახალგაზრდა შრომელთა აქტიურობა. ამაზე მეტყველებს შემდეგი ციფრები: 42 ათასი მუშა და კოლმეურნეა გაერთიანებული ახალგაზრდულ ბრიგადებში, 1270 ასეთ კოლექტივს მინაშენებული აქვს კომუნისტური შრომის კოლექტივის სახელი, ორჯერ მეტი კი იბრძვის ამ წოდებისათვის.

„შეგხვდეთ სახელოვან იუბილეს პირადი შრომითი საჩუქრით" — ეს დევიზი იყო რეპუბლიკის წარმოება-დაწესებულებების ახალგაზრდობის საქმიანობის მთავარი მამოძრავებელი ძალა ორი დიდი იუბილეს, კომკავშირის 50 წლისთავისა და ლენინის დაბადების 100 წლისთავის ღირსეულად აღნიშვნისთვის.

„სასარგებლო ინიციატივით გამოიღწევნ თბილისის წინდების ფაბრიკა „კრწანისის", ელმავალმშენებელი და დიმიტროვის სახელობის საავიაციო ქარხნის ახალგაზრდები. რომლებმაც ლენინის იუბილემდე დარჩენილი ყოველი დღე დამკვირვლურად გამოაცხადეს. ამ ინიციატივის რეპუბლიკის ყველა სამრეწველო ორგანიზაცია გამოეხმაურა.

კომკავშირის 50 წლისთავისა და ლენინის დაბადების 100 წლისთავისადმი მიძღვნილი სოციალისტური შეჯიბრებათა გამოცდილება აღსანიშნავია იმითაც, რომ რეპუბლიკის კომკავშირულმა ორგანიზაციებმა შესძლეს განესაზღვრათ თვითეული ახალგაზრდული კოლექტივის, თვითეული კომკავშირელის კონკრეტული როლი ამ შეჯიბრებში, შეძლეს მოეწყოთ საქმე ისე, რომ ჭაბუკებსა და ქალიშვილებს სოციალისტურ ვალდებულებებში გეგმის შესრულებასთან ერთად გათვალისწინებული ყოფილიყო განათლება., პროფესიული ოსტატობის, გაღრმავება, ცოდნის და კვალიფიკაციის ამაღლება. ასლის ძიება, რომელიმე ტექნიკური მოვაობის გადაწყვეტა.

განვლილი ორი წელი სისხლხორცეული ნაწილი იყო იმ დიდი გზისა, რომელზედაც თიოქმის ნახევარი საუკუნის მანძილზე მხრებგაშლილი მიაბიჯებს საქართველოს კომკავშირი.

გაცვთად ბევრი კარგი საქმე, სასიეთო, საამაყო, სასახელო... მაგრამ გასაკეთებელია კიდევ უფრო მეტი, მით უმეტეს, სულ მალე მოდის ჩვენი საბჭოლოს — საბჭოთა საქართველოს ოქროს იუბილე.

საქართველოს კომკავშირი ისე წარმართავს თავის საქმიანობას, რომ თვითეულმა კომკავშირელმა, თვითეულმა ახალგაზრდამ თავისი ძალა, უნარი, ნიჭი, შეგნება მოახმაროს ყველაზე დიდი და სახატო ამოცანის — ჩვენი ქვეყნისათვის თავდადებულ შრომას; მისი სიძლიერის, მისი აუტორიტეტის განმტკიცებას. ეს იქნება პასუხი იმ შეკითხვაზე, რასაც მოზარდი თაობა ხშირად უსვამს საკუთარ თავს: რა გავაკეთეთ და რა უნდა გავაკეთოთ ქვეყნისა და ხალხის სასარგებლოდ, მათ სასახელოდ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამოვარდება მზე

ამოვარდება მზე,
ააღადღადებს გზებს,
დააღვრის ოქრო ბადაზშ
თოვლქვეშ მოხეთქილ ბალახს.

კვირტი ქალური კდემით
გამომიწოდებს ხელს,
და გაზაფხულის ხვევნით
კვლავ დაქალდება ხე.
მერე მინდორი კვლავ
შეიმყუდროვებს ქარს,

ჩამოღონდება ცა,
ჩამოიღვრება ხე,
ზამთარს — უგულო ძმას
ცივად გავუწვდი ხელს.

წაშლის წყალუხვი ცა
მწვანედ შეღებილ ზვრებს.

... არ დასჭირდება ცდა,
მოღონივრდება დღე,
ამოვარდება მზე,
ააღადღადებს გზებს.

ჩემი თამუნია და ეკა

ბირკებმა დამიქარგეს კაბა.
ცოტაც და ამ ძნასაც შევკრავ,
რამ უნდა შეინახოს აბა,
ჩემი თამუნია და ეკა.
გზა არის ბურბურა თონე,
სიცხისგან მელევა ღონე.
ასე შუადღემდე ვწვალობთ,
მერე ვეწაფებით წყაროს,
მერე ცხელ მიწაზე ვწვებით,
იმათ ემატებათ წლები,
ჩვენი დაკლებული წლები.
ყურს ვუგდებ ნამგლების შრიალს,
ცოტაც და ამ ძნასაც შევკრავ,
ვაი, თუ თამუნიას შია,
ვაი, თუ ეძინება ეკას.
ამ გზაზე მრავალ მგზავრს ჩაუვლია,
მივდევ და ვაგროვებ კენკრას,
გზა-გზა სიმღერებსაც შევაგროვებ
და თქვენთვის ძნებივით შევკრავ;
ჩემო სათაყვანო თამუნია,
ჩემო საყვარელო ეკა...

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხერთვისი

დრონი შეჩერდნენ,
ტალღებივით წლები
მოვარდნენ,
არსაით მოყმე,
არც თანამოძმე,
დგახარ მეჩეჩზე
გარიყული,
როგორც ხომალდი,
სულის საოხად
აღავლენ ლოცვებს.

დაგიდრეკია ქედი,
გეფშვნება
კლდეში ლოდები,
ოდესღაც ძალუმს,
აწ დამცხრალ ხერთვისს,
მივდივარ, ნეტამც
არ მენახე,
გემშვიდობები!
ილოცე ჩვენთვის.

არავინ არ თმობს

ტროლეიბუსი სავსეა ხალხით,
სარკმელში წვება საღამო თალხი,
ტროლეიბუსში ფეხმძიმე ქალი.
დგას და სკამისკენ გაურბის თვალი.
დგას სავსე, როგორც ვენახი სართვლო,
და თბილ სავარძელს არც ერთი არ თმობს,
მველას თხოულობს დაღლილი მზერა
და მოკრძალებით დასაჯდომს ზვერავს.
არც სიბრალული, არც მორიდება,
არც თანაგრძნობა მომავალ დედას.

... ბინდი ედება სოფელშიც შუკებს,
ფურები სახლში მიდიან უკვე,
ძლივს მიჩანჩალებს ბოჩოლა მაკე,
ძლივს ჩაივაკა მინდორი, ვაკე,
და მენახირე, უბირი კაცი,
გაჩენის დღიდან კუშტი და მაცრი,
ფურს საალერსოს ეძახის სახელს,
არც ააჩქარებს, არც დაკრავს სახრეს,
მოუთათუნებს ხეშეშ ხელს მალვით
და ხელისგულზე დაუყრის მარილს...

როცა გაიზრდები

ნუ ტირი! პატარა ეკა,
ახლავე
გამოგიღებ ეკალს,
ნუ დამანახვებ კურცხალს,
ნურც დღეს,
ნურც ხვალ.
თონეში გადაგუძახებ, ეკა,
ღვთისგან შეჩვენებულ ეკალს.
აგვრა, აქვეა ღელე,
მოგბან და შეგიხვევ მერე.
ნამტკივნზე გაკოცებ მრავალს,
თოჯინას ვაყიდინებ მამას...
როცა გაიზრდები, ეკა,
წუთებს წელიწადად შეკრავ,
საწუთრო შეგაფეთებს უცბად
ათას ლენცოფას და კურცხალს,
ვაიმე, იმ ჯავრს და ეკალს
მე ვერ მოგიშუშებ, ეკა...

რევაზ ინანიშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაგვიანებული რეკვიემი



ნასადილევს ეზოში გავედით. მზით გახურებული თეთრი მიწა ქვევრების ნარეცხი წყლით მოერწყაო და ღვინის სუნი იდგა. ნინოს ბიძა, მსხვილი, მელოტი, სპილენძისფერი კაცი, ტრიფის წნელს გრეხდა და გოდრებს ყურს უკეთებდა. ჩვენ რომ დაგვინახა, წელში გაიმართა, წალდი წნელის ფოთლიან ტოტებს გაჰკრა (ტოტები რბილად ჩამოცვივდა ძირს), მაჯა შუბლზე გაისვა და, მზითა და ღიმილით გაბრწყინებულმა, ძალიან ხმამაღლა მკითხა:

— როგორ მოგწონს, სიძეო, ჩვენი ყოფაცხოვრება.

მე ჯერ ნამდვილი სიძე არ ვიყავი და გავწითლდი, უარესად გაწითლდა ნინოც. ბიძამისმა კი ჩემს პასუხს აღარ დაუცადა, წალდი მარნისკენ გაიშვირა:

— აბანდ, თანჩის ძირში, ხუთსაპალნიანი ქვევრია დიდი ხნის აუხდელი, თუ კარგი ფეხი გაქვს, მემრის ეგ უნდა გავასოთ.

— თქვენ არ მოუაროთ და ფეხს დაამარალეთ, — თქვა ამრეზილმა ნინომ.

— რათა, შვილო, ჩვენ ვენახებს მოვლა არ აკლია. დავბარეთ, ორჯერ გავთოხნეთ, ხუთჯერ შაბიამანი დავასხით. სამჯერ მოვრწყეთ, გოგირდი, გაფურჩქვნა, ახვევა და მეტი რაღა... მაგრამ ცამ და ღრუბელმაც თუ ხელი არ შეგიწყო, რამდენიც გინდა უარე და ელოლიავე.

მე ვუთხარი, რომ კარგი ფეხი მაქვს და მერმის ხუთსაპალნიანს უეჭველად გაავსებთ-მეთქი. ამაზე ხელები გაშალა. ვენაცვალოს გიორგის თავი, გოდორი წამოაქცია, ზედ მარცხენა ფეხი შემოდგა და ახლა ასე განაგრძო:

— ჰო, ვენაცვალე, გავავსოთ საფერავით, მერე გადავიღოთ ერთი კოხტად და ვსვათ და ვსვათ. ვენახი ხომ ნახე. ჩრდილები ბლომად! წამოვუწვეთ და ვსვათ და ვსვათ.

მე ვუთხარი, რომ ვენახი ჯერ არ მენახა და ახლა სწორედ იმის სანახავად მივდიოდით.

— წადით, შვილო, წადით. ნახე, დაათვალიერე. არაფერი კი არ იეშმაკოთ იქა, ირგვლივ ხალხია!

ნინო წაფერდებულ მესერს იქით გასულიყო და იქ მიცდიდა. მე რომ გავედი, დარცხვენით შემომხედა და გაეცინა:

— უნდა მიეჩვიო აქაურ სიტყვა-პასუხს, — მზემოკიდებული შიშველი გრძელი მკლავი ასწია და წნელის ღობის იქით გადაიშვირა. — უყურე, აგერ ის კაკლის ძირია. აქ სხვა არაფერი იდგა ამ დიდი კაკლის მეტი, არც ეს ვაშლები, არც ეს ატმები, არც პამიდორი და ყვავილები. მარტო ბალბა იყო, დაბალი, ძალიან ხასხასა, გრილი ბალბა. გავშლიდით ხალიჩას. წამოვგორდებოდით ზედ და ვიყავით ასე. მე შავი, შავი. — წვრილი თითები ლოყებზე ჩამოისვა, მერე ტუჩებს ზემოთ გამოფარჩხა ეშვებივით, — აი, ასეთ კბილებიანი. კაკალზე მოლაღურები ბუდობდნენ. როგორ კარგად მახსოვს, რომ იცოდე; ბებია წიგნს გვიკითხავს, მე კი ვწევარ და მაღლა ვიყურები, მზით აბრეშუყვალეულ ფოთლებს შევცქერი. თრთოლის ის ფოთლები და თრთიან მზის სხივებიც. იმ ფოთლებსა და სხივებს შორის კი ქინსასავით ჰკიდია მოლაღურის ბუდე, შიგ დედა მოლაღური ზის, ისიც მზისფერი და ისიც აქანავებული. ქანაობს და ხანდახან მოწყენილობისგან თუ ამოიძახებს: — ნათლიჯალაბო! — რა გნებავთ?! — გამოსძახებს მეორე მხრიდან სხვა მოლაღური, — ერთი პური გვასესხე!..

ფეხის წვერებზე აწეულს მომუჭული ხელი ტუჩებზე ჰქონდა მიდებული და რუკრუკით, წამღერებით იძახდა მოლაღურების „სიტყვებს“. მე თავი გვერდზე გადავწიე და ისე ვუყურებდი, თითქოს კარგი სუროათი ყოფილიყოს გამოფენაზე. შემამჩნია, გაჩუმდა, ხელები უკან შემოიწყო და განაწყენებული კილოთი მკითხა:

— რატომ მიყურებ ეგრე?

ჩემთვის აქ ყველაფერი უცხო იყო და გასაკვირი არ არის მძაფრად შემეგრძნო საგნები, მათი ფერები და ხმები. იმ ჟროს, როცა ნინო მეკითხებოდა, რატომ მიყურებ ეგრეო, ის ღობეზე გადმოკიდებულ გოგრის ფოთლებთან იდგა. ფოთლები დიდი იყო, ხასხასა, უფაფარი. მსიამოვნებდა, რომ ამ ფოთლების ნაზ, ეკალდაყრილ ღეროებში ჭარბად იდგა ოდნავ ბომბწარო, სუფთა, გრილი წვეთი. მსიამოვნებდა, რომ ნინოს შიშველ კიდურებს გარსშემოვლებოდა ძაგძაგა ელექტრული შუქი, მისი ტუჩები სავსე იყო იდუმალი შარბათით, მისი მოლურჯო-მოშავო თმა — მსუსხავი სიმხურვალით, და ერთი სული მქონდა, მენახა იგი ამ ფოთლებში (გოგრების, ძირხვენების, ბალბებისა და მრავალძარღვების გრილ ფოთლებში) გულდამა მწოლიარე, ლურჯი, მკვრივი ცისაკენ მკერდზნეექილი. მან უთუოდ იგრძნო ეს და სახე აერია.

— აბა, თქვენთან როგორ ამბობენ, როგორ იძახიან მოლაღურები?

მე გამეღიმა და ვუთხარი, რომ მოლაღურები ჩვენთანაც სწორედ ასე იძახდნენ, ოღონდ, სამწუხაროდ, არა ასეთი საამო ხმით, როგორიც მას ჰქონდა. მაშინ მან კვლავ გამოდარა, გოგრის ფოთოლს წასწვდა, მოწყვიტა, დამუჭა, დაგუნდავა, ოდნავ უკან დაიწია და ჰაერში ძალიან მესროლა. მე ის ფოთოლი ჰაერში დავიჭირე და უკანვე დავუბრუნე. მაგრამ მას ხელი აღარ აუწევია, ფოთოლი ბაღში გადავარდა.

ბაღში, ახალგაზრდა ატმებსა და ვაშლებს შორის, მწვანედ ზაზათებული პამიდორი იდგა. ზოგი მწიფდა, ზოგიც ახლად იყო შეფერილი. ღობის ძირებში, გოგრის ფოთლების მაღლა, ზაფრანები და გეორგინები ყვაოდა, მათ მაღლა კი, ყვითელი მზის შუქში, ქინქლებისა და კოღოების გუნდი ირეოდა, რომელიც ძალიან მაგონებდა მატარებლის ფანჯრასთან აბოკირებულ ნისლს.

მერე ვენახებში მივდიოდით. აქ ვენახებიც თავისებური იყო — შესარული, ხშირი, ატმებგბარეული. ალაგ-ალაგ, ვენახის კუთხეებში, კომშები და კაკლებიც ამობოლქვილიყო. გამოსულიყვნენ ბილიკის პირას დაბალ-დაბალი, კუნდლებივით ცქვიტად დასკუპებული სიფერავი ვაზები, და ვითომც არაფერი!

სინამდვილეში კი გულმოდგინედ ცდილობდნენ შავი მტევნების შაბიამნით აფორაჯებული ფოთლებით დაფარვას. ვენახები ისლებოდა შორს, ჩრდილოეთისაკენ, მზით გადახრაკული დაბალი სერის გაყოლებით. ბოლოს მოჩანდა რამდენიმე სწორი ალვის ხე, იმ ალვის ხეების უკან კი — ლურჯი ტყიანი მთები. ნინომ თქვა, იმ ლურჯი მთების უკან ნამვიანი დგასო. ამას ისე ამბობდა, თითქოს იქაური ყოველი ნამვი საახალწლო სარეკლებით ყოფილიყოს მორთული. თუმცა იქვე უცხოვრია გასაოცარ ხალხს — ხევსურებს. ხევსური გოგონებს წითელი თმა და ცისფერი თვალები ჰქონიათ, ბიჭები თურმე დღესაც აშკარად ატარებენ თეძოსთავთან დაკიდებულ სწორ ხმლებს, ცერზე კი უყეთიათ კიდევ უფრო საშინელი იარაღი — ღარჯი.

— როგორი ყურძენი გიყვარს, თეთრი თუ შავი? — მკითხა უცებ თვალებში შემოტერებულმა.

მე მხრები ავიჩეჩე.

— მაშინ მე მოგიწყვეტ, — ვენახში გადახტა და სამი შავი მტევანი გამოტანა. ორი მე მომცა. — თავკვერია, ნახე, რა გემო აქვს!

ეს იყო უტკბილესი და უგემრიელესი ყურძენი.

— ასე უნდა ჭამო, ასე ლოცვას ჰგავს. — ყურძენი მაღლა ჰქონდა აწეული და რბილად გაღებული პირით ეწვდებოდა დაბლიდან. მარცვლებმოცილებული კლერტი ტუჩებს უსვეტებდა, ტუჩები უბრწყინავდა. უბრწყინავდა და ჩემს სიცოცხლეში პირველად მივხვდი, რომ ლოცვა ლამაზი იყო, რომ შეიძლება, დამიანებს სწორედ ეს სილამაზე იზიდავდა საღმრთო ცერემონიალის შესასრულებლად, რომ შეიძლება, ისინი თავიანთ მიერვე შექმნილი მშვენიერების წინაშე იყრიდნენ მუხლთ...

ბილიკი ფერდობს გადაადგა და შევჩერდით. ფერდობი აუყევებული ხილით იყო სავსე. ერთმანეთს ჩახვეოდნენ: ქლიავები, ალუბლები, თხილები, კუნლები, შვინდები. მათ ქვეშ, ნესტიან სიბნელეში, უთუოდ განცხრომით ცხოვრობდნენ ნაზი, მეოცნება ლოკოკინებიც. ყაჩაღებივით დაშლიგინობდნენ გუნებაფიცხი მინდვრის თაგვები, ხანდახან გრაციოზულად გაიკლაკნებოდა ანკარაც. მათ მაღლა, ამ აუყევებული ხილის მაღლა, ცაში ასულიყვნენ ფშავური ბულულებივით აწოწოლული ბლები. ნიავი არ იძვროდა, მაგრამ მათი მსუბუქი ფოთლები მაინც ლიცლიცებდნენ დამამშვიდებლად.

— ჩავიდეთ ქვევით, იქაც ჩვენი ვენახია. — თქვა ნინომ და, ჩემი პასუხისთვის აღარ დაუცდია, ფერდობზე დაეშვა. ხელები მკერდთან ჰქონდა აწეული და, როგორც კი რომელიმე ხეს მიუახლოვდებოდა, თავის შესაკავებლად, წამით წასწვდებოდა, ინერცია ჩემკენ შემოაბრუნებდა, გამიცინებდა და ისევ დაექანებოდა. გადაახტით პატარა რუს, რომელშიც ძალიან წმინდა წყალი მიედინებოდა მდორედ, თითქმის შეუმჩნევლად, — წყალში ჩალები და ნიახურისმაგვარი მცენარეები იდგა, ნაპირები სავსე იყო ბაყაყებით — ისინი ტყაპატყუპით ჩაცვივდნენ რუში, — ჩავირბინეთ ერთი პატარა მწვანიანი ფერდობიც და „ჭალის ვენახებში“ ჩავედით.

აქ ვაზს ხილი, სიმინდი და ბოსტნეული სჭარბობდა. ხეხილქვეშ ეთიბნათ კიდეც. — პატარ-პატარა კვირტებად იდგა წვიმისგან ჩამუქებული თივა. ხახვი ამოეღოთ, სიმინდი ხმობაში იყო.

გავიარეთ ის „ჭალის ვენახებიც“, ფერიცცალებით გადათეთრებული, ოდესღაც გადახნული ველიც; ტოტებდათენთილი წნორების, ციმციმა ვერხვების და ვერცხლისფრად შეფიფქული კატაშფატების ჭალაც, — მწიფდა მაყვალი, შეფერილიყო ასკილი — გავედით ვრცელ, სწორ, თეთრ რიყეზე და, მზისგან თვალებმოჭრილნი თუ ალმურდამდგარი უდაბური სივრცით შემკრთალნი, შევჩერდით. ორი რამეღა იყო ჩვენს წინ — მზე და ქვები, ქვები, ქვები. ხმაც

რევაზ ინანიშვილი
ახალი მოთხრობები

აღარ აღწევდა არავითარი სულდგმულისა. ნინომ ჩემკენ მოიწია, ხელზე ხელი მომკიდა. მე მომეჩვენა, რომ ახალგანთავისუფლებული პატიმრებივით ვიყურებოდით აქეთ-იქით, ნინომ კი მუხლები ჩაღუნა, ჩადაბლდა, ქვემოდან შორჩილად შემომდიმა და ეს თქვა:

— ადამ და ევა, სამოთხიდან გამოდევნილნი, — მერე გამწია, წინ გამიძღვა, — ნუ გეშინია, ადამ, ჩვენი წყალიც ვნახოთ და გავბრუნდეთ.

მე ამ სიტყვებამდე მხოლოდ გაბრუებული ვიყავი მოჭარბებული შთაბეჭდილებებით, ამ სიტყვებმა კი უცნაურად შემაფორიაქეს: რატომ ახსენებდა ასე ხშირად ჩვენს წრეებში როგორდაც ტაბუდადებულ ამბებს ეს ოცდაორი წლის ქალიშვილი? სუფრასთან რომ ვისხდით, მაშინაც პურის ნატეხი დაუვარდა, აიღო, აკოცა, ფრთხილი შებერვით მოაცილა მტვერი და ისე დაიდო წინ. ცოტა ხანს ვითმინე და მერე კკითხე, ოღონდ ოდნავ შერბილებულად:

— საიდან იცი ასეთი რაღაცეები.

— როგორი?

— ლოცვა, პურის კოცნა, ადამი, ევა.

— მე ხომ ბებიას გაზრდილი ვარ! — მომიგო თავისებური სიამაყით.

მე შემწყნარებლის ღიმილით გავღიმე, მაგრამ გულიგულში მაინც ხინჯი ჩამყვა, მეჩვენებოდა, რომ რაღაცით არ იყო კარგი, ის რომ ბებიას ჰყავდა გაზრდილი; მეჩვენებოდა, რომ სადღაც მის ახლოს, თითქოს კვნესას იკავებენო, კანკალებდა ერთმანეთში თითებაჩაწნული და მაღლა აწეული ორი დედაბრული ხელი...

სანამ მდინარესთან მივიდოდით, ქვებზე ფუალივით გაშლილ ხმელ საპონელებს შორის, რამდენჯერმე შეეცადე, თავიდან მომეშორებინა ეს ახრი, მაგრამ ამაო გამოდგა ჩემი ყოველგვარი ცდა, მაშინაც და შემდეგაც.

გარეგნულად კი, რა თქმა უნდა, არაფერს ვიმჩნევდი.

ოქროსფრად დაწმენდილი მდინარე აბრეშუმის ყაჭივით რბილად გადმოდოდა ქვებზე. ჩვენს ზემოთ ორი ტატნი ერთმანეთს ეთვოოდა, ჩვენთან კი ერთი იყო — დიდი, ლაპლაპა. მორეგის შუაგულში ნელ-ნელა იბურცებოდნენ ტალღები, ამოიბურცებოდნენ და გაქრებოდნენ, ამოიბურცებოდნენ და გაქრებოდნენ, წვრილად მოკენჭილ ნაპირთან კი რიტმული ყანყალით ქვემოთ-ქვემოთ მიდიოდნენ წვრილი ყვითელი ფოთლები, დამხრჩვალი ფუტკრები და, თეთრი, თეთრი ქაფი.

მე ტანთ გავიძრე და ტრუსის ამარა გადავვარდი წყალში. წყალმა ამოიგმინა, დაფეთებული ტალღები თავგანწირვით მიაწყდნენ ნაპირს, გადაუარეს კენჭებსა და ქვებს, გამოქანდნენ უკან, ისევ გაქანდნენ. დავინახე, როგორ გადაბზინქა კბოდეზე ჩამომჯდარი ნინო, მერე ისიც დავინახე, როგორ ადგა. მე ვბრუნავდი, ვცდილობდი დინებას არ წავეღე, ვიცინოდი, გაშლილი ხელებით ბკერდში ვიხუტებდი იმ ალერსიან წყალს, ჩავყვინთავდი, წავიღოდი ძირ-ძირ, თითის წვერებს რბილად მოვუცაცუნებდი ფსკერს, ხმაურით ამოვვარდებოდი მაღლა. და როცა ერთხელაც ასე ამოვვარდი, დავინახე, რომ კბოდეზე მდგარ ნინოს ლურჯი, თეთრადდაწინწკლული კაბა აღარ ეცვა. ის იდგა ჩემკენ ზურგმოქცეული, — წვრილი, წვრილი, ნამდვილი ხორბლისფერი, ბეჭის ძვლებამომჯდარი, და თავდახრილი ისწორებდა შავი სატინის ლიფს. მერე ნელ-ნელა შემობრუნდა, ხელები ბკერდზე გადაიჯვარედინა, გაიღიმა თავისი დიდი, შავი, მბრწყინავი თვალებით, ჩამოვიდა კბოდეზე და ღიმილითვე ჩამოყო გრძელი, მბზინავი ფეხი წყალში. მოდიოდა ბკერდზე ხელებგადაჯვარედინებული. წყალმა რომ ტრუსი დაუხვევა, ხელები ჩემკენ გამოიწოდა, მე მივწვდი იმ ხელებში, მივიტაცე, და მისი სველი, მოფომფლოვებული ლიფის ქვეშ დაბალი, მაგრამ მკვრივი ძუძუები შევგრძენი...

მაშინ ჩვენ ტუჩებზე ვემთხვივეთ ერთმანეთს, თვალები დავხუჭეთ და წყალს მივეცენით. წყალმა წაგვიღო და რბილად გაგვიტანა მორეგის ბოლოში. მა-

შინ ჩვენ ისევ ავედით ზეკვით, ისევ ვემთხვიეთ ტუჩებით ერთმანეთს, ისევ დავხუჭეთ თვალები და მივეცენით წყალს. წყალმა წაგვიღო და ისევ რბილად გაგვიტანა მორევის ბოლოში. მაშინ ჩვენ სიცილით ისევ და ისევ... მაგრამ წყალმაც ისევ და ისევ რბილად გაგვიტანა მორევის ბოლოში.

და მაშინ ნინომ ლოცვასავით თქვა:

— ჩვენი წყალიც თანახმაა, რომ შენი ვიყო. მე შენი ვიქნები სიკვდილამდე.

და მაშინ ერთხელ კიდევ მომეჩვენა, რომ მის ახლოს, თითქოს კვნესას იკავებენო, კანკალებდა ერთმანეთში თითებჩაწნული და მაღლა აწეული ორი დედაბრული ხელი.

●

საშვიდნოემბროდ ვიქორწინეთ. ეს იყო ათას ცხრაას ორმოცი წლის ნოემბერი. ორმოცდაერთში ომი დაიწყო. პირველსავე დღეებში წავედი. ორმოცდაორში დამჭრეს და ტყვედ ჩავვარდი. ორმოცდათოთხმეტში ძლივს დავბრუნდი შინ, თბილისში. უკვე ვიცოდი, რომ ის ცოცხალი აღარ იყო. მე და დედაჩემი ავედით სასაფლაოზე. მოდიოდა დედაჩემი და მოტიროდა: ძალით მოიკლა, შვილო, თავი, ჭამა მაგან არ იცოდა და ძილი, რაც შენ წახვედი გაცინებული არ უნახავს არავისო.

საწყალ მამაჩემს ყველაფერი გაეყიდა და მის საფლავზე ქეგლი დაედგა. ეს იყო ღარიბული, ბეტონით ნაძერწი ქვაზე დამხობილი ქალი, რომელიც თავიდან ფეხებამდე მოსასხამში იყო გახვეული და მხოლოდ ერთმანეთში თითებჩაწნული და კანკალით მაღლა აწეული დედაბრული ხელები ჰქონდა შიშველი...

ღარიბთა უბანში



როდესაც დაიღლება, ესე იგი, საათის ისრებზე გამობმული მისი ნერვები დაიჭიმება დაწყდომამდე, როდესაც კედლების სწორი, მშვიდი ხაზები დამუხტულებივით მრისხანედ იწყებენ თრთოლვას, როდესაც შუბლქვეშ კრისტალური ხმაურით აირევიან თითქოსდა მიღმა სამყაროს ქარების მიერ შემოყრილი აზრები და ხმები, მოხდება უხილავი რეაქცია, დადგება გოგირდის სუნი და აბობოქრებული კვამლი ამოსანგრევად მოაწვება თხემის ძელებს, ის შხამით სავსე ამპულასავით ფრთხილად დებს კალამს, იკუნტება, მხრებში ჩაძვრენილ თავზე უხეშად წამოიწევს პიჯაკს, ემზობა მაგიდაზე და, პიჯაკის სითბოში და სიშავეში ჩაკარგული, ყურს უგდებს თავისი სხეულიდან ძირს წასულ წვიმას. ამ წვიმის წვეთებს ვერ იჭერს იატაკი, ვერც დედამიწის ქერქი. ისინი მი-

რევაზ ინანიშვილი
ახალი მოთხრობები

ეროვნული ბიბლიოთეკა

დიან ძირს, ძირს, კოსმოსურ სიღრმეებში. თვითონ კი ნელ-ნელა იცლება ღრუბელივით. გადაივლიან ელვანიც, გადაიწმინდება კვამლიც, ამოჩნდებიან ტვინის მორჩები, გაიფანტება გოგირდის სუნიც, და მაშინ ფრთხილად, ფრთხილად გამოვა მზე. იგი აშუქებს ძველი სასაფლაოს ბორცვზე ზაამავალ ჯვრებს, ბალახების წვრილ ზოლს, შავ კვიპაროსებს, აქეთ კი, თითქოს იმათ ჩრდილში, გაყუჩებულა ამფითეატრივით თანდათან ამოლეწილი ქალაქის ღარიბთა უბანი. პატარა სახლები თითქოს შემკრთალნი, შეშინებულნი მიჰკვრიან ერთმანეთს, იყურებიან მორცხვად, ცნობისმოყვარე თვალებით, ნაშმილევი ხეები სუსტი ტოტებით ებღაუჭებიან შაბიამნისფერ ჰაერს. სხედან ადამიანები, თავდახრილნი, წყნარი, უჩინარ სიოდ გადამავალი საუბრით გადაბმულნი, მუხლებზე უწყვიათ (როგორც ვაჭრებს) მთელი თავიანთი ავლადიდება — დიდი, დაშაშრული ხელები, და მათ მაღლა პეპლებივით დაფარფატებენ საკუთარი უმწეობით შეწუხებული კეთილი ანგელოსები.

კვამლივით აკლაკნილ, წვრილად მოკირწყლულ სველ აღმართზე, ლეღვის ხის ახალგაღვიძებული ტოტების ქვეშ, ბიჭი და გოგონა ჩერდება. გოგონა ზეაზნევილ თითებიან ხელს წინ გამოსწვეს და ბიჭს მიჯნას უსვამს:

— მეტს ნუღა წამოხვალ.

გოგონას თავისი უბნის სახლებივით მორცხვი, გაკვირვებული თვალები აქვს, თმაზე ცეცხლით ატკრეცილი ნედლი ხის ქერქის სუნი ასდის. ბიჭი სველ მესერს მიეყრდნობა და ალერსით შეჰყურებს დაბლიდან, გეზად.

ბ ი ჭ ი: ბრაზიანია დედაშენი?

გ ო გ ო ნ ა: ძალიან.

ბ ი ჭ ი: მამაშენი?

გ ო გ ო ნ ა: ძალიან.

ბ ი ჭ ი: შენი ძმა?

გ ო გ ო ნ ა: ოო!

ბიჭი მაინც ალერსით შეჰყურებს. გოგონა მოუსვენრობს, მალ-მალე იხედება აქეთ-იქით.

ბ ი ჭ ი: მე ისეთი ვარ, ყველას ვეყვარები.

გ ო გ ო ნ ა: კი!

ბ ი ჭ ი: არა გჯერა?

გოგონა არაფერს არ ამბობს. ისევ ბიჭი იწყებს: იგონებს ბავშვობის ამბავს, გოგონას ეცინება, იგონებს მეექვსე კლასში ყოფნის ამბავს, გოგონას ისევ ეცინება. ბოლოს ლაპარაკობენ ღარიბთა უბანზე. ყოველი სამოსახლო კლდეებში ყოფილა გამონგრეული. გოგონას მამა თურმე ახლაც განაგრძობს მონგრევას.

ბ ი ჭ ი: იმ კლდეს მე მოვანგრევ.

გ ო გ ო ნ ა: წერაქვი გჭერია?

ბ ი ჭ ი: არა.

გ ო გ ო ნ ა: ხელები სულ დაგიბერდება.

ბ ი ჭ ი: მანქანას გავაკეთებ.

გ ო გ ო ნ ა: რასა?

ბ ი ჭ ი: მანქანას. რა, არა გჯერა?

გოგონა თავს იკავებს, მაგრამ მაინც იცინის, იცინის. თან აქეთ-იქით იხედება. გამოდის მესერის უკანიდან წელში მოხრილი დედაბერი, პირდაპირ სველ ქუჩაზე დგამს ორ პატარა სკამს, ახალგაშალაშინებული ფიცრებით გაკეთებულ ორ პატარა ტაბურეტს, ზემოდან ფრთხილად გადაჰკრავს შავი წინსაფრის კალთას და ძალიან უბრალოდ ამბობს:

— დასხედით, შვილო, დაიღლებით ეგრე.

და მიდის.

ღარიბთა ნაწვიმარ ქუჩაში რჩება ის ორი თეთრი ტაბურეტი, გოგონა (რომელსაც ცეცხლით ატკრეცილი ნედლი ხის ქერქის სუნი ასდის თმაზე), და ბი-

ჭი — თვალბანთებული, თითქოს რაღაც დიდი რამით დაჯილდოებული. მაღლა სხსარულით თახთახებენ, თრთიან უმწეო კეთილი ანგელოსები.

სასაფლაოზე ჯვრები ისევ მზეში არიან გახვეული, მზეში ბრწყინავენ ბორცვის თავზე წვრილად გადაყოლებული ბალახებიც.

... ცოტა ხანში დგება, პიჯაკს გაიძრობს, ზურგისკენ რამდენჯერმე ღონივრად გაიქნევს ხელებს, თავით წრეს მოხაზავს — ჯერ მარცხნიდან მარჯვნივ, მერე მარჯვნიდან მარცხნივ, ღრმად ჩაისუნთქავს და რაღაც საამო ზრახვით უბრუნდება შეწყვეტილ საქმეს.

მარტის ოცში საამოცი წლის გახდება.

ლ ო ც ვ ა

ტალახი აქ გამლხვალ საპონს ჰგავდა, შიშველი ფეხები შემაზრზენი სიმსუბუქით ჩადიოდა შიგ, ჰაერი სქელი იყო — კვერცხის ცილასავით, ოღონდ უფრო ლურჯი და ისე ირხეოდა, როგორც მედუზა პორტის ნავთობიან წყალში. ჰორიზონტზე ფრთებგაშლილი, უფრო — გაზნექილი, შავი ფრინველები იდგნენ. ძირს დიდი ტაფობი იყო — ისიც მოლურჯო, ისიც როგორღაც საპონივით მომლხვალი, რბილად გადაგლუვებული შავი, დიდ-პატარა ქვებით მოფენილი. არა, ქვები უფრო მორუხო ხიზილალის ელვარებას დაიკრავდნენ, ნელ-ნელა, თითქმის შეუმჩნევლად ტოკავდნენ ტბორში გაშლილი ბაყაყის ქვირითივით, და როცა გიორგი ახლოს მივიდა, თვკომბალებივით დაფრთხნენ და სადღაც მიიმალნენ. ფრთების ქნევა ატეხეს ჰორიზონტზე უძრავად გაზნექილმა შავმა ფრინველებმა, თითქოს ყიოდნენ კიდეც, პირს აღებდნენ, მაგრამ აქამდე არავითარი ხმა არ მოდიოდა. გიორგი გაჩერდა და იქვე, შავ, უძრავ ღელესთან დარჩენილ ორ ქვას დააკვირდა. ერთი დიდი იყო, მეორე პატარა. ორივე თრთოდა, თითქოს სიცივეს აეტანა. მერე გაარჩია, ეს ქვები კი არა, ნიჟარები იყო, ერთი დიდი, მეორე მთლად პატარა მარგალიტის ნიჟარა. ნელა, რიტმულად ადიჩამოდიოდა მათი სახურავები, და სუნთქავდნენ, და იყურებოდნენ გიორგისკენ. და გიორგიმ იცნო: დიდი ბებია ნინო იყო, პატარა — თავისი პაწაწინა ნინეკო. იმავ წამს ისიც გაახსენდა, რომ ისინი სოფლად ჰყავდა დატოვებული, და შერცხვა: რამდენი ხანი იყო, არაფერი გაეგზავნა. საშუალება კი ჰქონდა, ფულს რაში აღარ ხარჯავდა. პური რა არის, პური მაინც მიეწოდებინა! ან კი რით მიდიოდნენ აქამდე იოლად. თუმცა იოლად წასვლა ჰქვია ამას? გამხდარან, ტანი მთლად გაპქრობიათ და თვალებად არიან ქცეული, ცრემლებში მოტივტივე, დიდ, ნაღვლიან თვალებად. თანაც წვიმით დამბალი კაჭაჭა ბალახებით წამოხურულ ქოხში ცხოვრობენ, ნიჟარებში კი არ ყოფილან, ფერდობზე ბავშვების მიერ ამოთხრილ და სველი ბალახებით

რევაზ ინანიშვილი
ახალი მოთხრობები

წამოხურულ ორმოში ცხოვრობენ. მარტო თვალები აქვთ, მარტო ღრმად სუნთქავენ და თვეზებივით გაჩერებულან ს

ცივისა და იალნოს წვერებს თოვლიც კი შერჩენოდა.

— მამა, ჩვენთან ნიანგები არის? — უცებ იკითხა გულამ.

— სად ჩვენთან?

— ჩვენს ქვეყანაში.

— არა, ჩვენთან ნიანგები არ არიან.

— რატომ?

— ნიანგებს ძალიან თბილი ადგილები უყვართ, საცა თოვლი არ მოდის.

— ამერიკაში?

— სამხრეთ ამერიკაში, კი, იქ არიან.

— შენ მოკლავ?

— თოფით როგორ ვერ მოვკლავ, მე ხომ ძველი სნაიპერი ვარ, კაცო.

— ხანჯლით?

— თუ გაჯირდა, შეიძლება ხანჯლითაც მოვკლა.

გულა ცოტა ხანს ჩაფიქრდა და მერე ისევ უცებ იკითხა:

— მამა, მირიანა აი, ამ გორის ოდენა ნამცხვარს შეჭამს?

— ვინ მირიანა?

— აგე, — სოფლისაკენ გააქნია თავი გულამ, — ნატფუანთი.

— მაგოდენას კი არა, აგერ იმ ქვა-სოდენასაც ვერ შეჭამს.

— თვითონ ამბობს, შევჭამო.

— ტყუის, ვერ შეჭამს.

— უყურე, მამა, რა დიდი წყალი!

ილოს გაეღიმა.

— ეგ დიდი არ არის.

— იი! — გაოცებით ამოხედა გულამ.

წყალი მართლაც დიდი არ იყო, მაგრამ გორის ქიმს შემოვლილებს დიდი ჩმაურით კი შეხვდა. ოდესღაც ამ ტოტზე, ქვემოთ, თათრების სოფელთან, წისქვილი იყო გამართული, ახლა უქმად მიედინებოდა, — აქ ფართოდ გაშლილი, მღვრიე, დიდ-დიდ ქვებზე აჩქაფუნებული, მერე ქაცვებსა და ილღუნებში შეკარგული. ილოს უყვარდა ადიდებული წყალი, მისი ხმა, მისი სუნი. ნაპირთან რომ მივიდა, ლოდზე ჩამოჯდა და ნელ-ნელა დაიწყო ფეხსაცმლის გახდა. იჯდა და ჩაშტერებით უყურებდა. თითქოს პირველად ხედავდა, რომ წყალი მოძრაობდა, იწევდა მაღლა, ეშვებოდა ძირს, ქაფდებოდა, წვრილ-წვრილ ჯოხებს და დამპალი ხის ნაშალს მოტივტივებდა. ფეხსაცმელი ჩანთაში ჩაიწყო. შარვლის ტოტები მუხლს ზემოთ აიკაპიწა, ჩანთას თასმა დაუგრძელა, მხარიდანვე გადაიკიდა, გულა კისერზე დაისვა და წყალში ფრთხილად შევიდა. წყალი ძალიან ცივი იყო, მაგრამ ამას არ შეუწუხებია, პირიქით, სასიამოვნო ჟრუანტელმა დაუარა. ფეხიც უსხლტებოდა, წვეტიანი კენჭებიც ჩხვლეტდნენ. მაინც ეღიმებოდა. უხაროდა გულასაც. რომელიც გვერდზე გადმოწეულიყო და მამის ფეხებთან გაჩენილ ღორღულებს უყურებდა.

ტოტიდან მდინარემდე თითქმის ნახევარი კილომეტრი იქნებოდა, მაგრამ ილოს ფეხთ აღარ ჩაუცვამს. გულა დასვა, ბალნიანი კანჭები ხელებით ჩაიწურა და მერე ხალისით გაუყვა მოხორცილ გზას. რამდენი ხანი იყო, ფეხშიშველს აღარ ევლო. მაინც სჯეროდა, ეს არ ავნებდა, პირიქით, გარეთ გამოიტანდა, თუ რამე ზადი ჰქონდა. გულა ხან გზის ერთ მხარეს გადაუხვევდა, ხან— მეორეს. კუნლის ბუჩქებში ჩიტები დაძვრებოდნენ, ერთ ქაცვის წვერზე კაჭკაჭიც ქანაობდა, ტოროლები ხომ აქაც ცას იღებდნენ კრიახით. მაგრამ ილოს ყველაზე მეტად სხვა ხმა აღელვებდა, — ეს იყო დაგუბებული დგაფუნი და მურმური დიდი წყლისა. ამ ხმისკენ მიიჩქაროდა.

ბოლოს გაშლილ რიყეზეც გავიდა. ისეთი გამომეტყველებით შეჩერდა, თითქოს კარგ მოჩვენებას ხედავდა და ეშინოდა, უცებ არ გამქრალიყო ყველაფერი. წყალს ძველი კალაპოტი მიენგრმოენგრია. ჩანდა, წინა დღეებში კიდევ უფარო დიდი და მღვრიე უნდა ყოფილიყო, მსხვილ ქვებზე ნარიყი მიენაშა, დაბალ ადგილებში ბლანტი ტბორები იდგა. მოდიოდა და მოზიმზიმებდა.

— აქაც უნდა გავიდეთ? — შეშინებული ხმით იკითხა გულამ.

— უნდა გავიდეთ, მაშ! რა, ხომ არ გეშინია?

— არა. — ფეხებზე დაიხედა გულამ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— აი, შე დედალო. აქ არა ვარ მე? ხომ იცი, რა ვეფხვიცა ვარ. ფაშისტებმა ფეხები ვერ მომჭამეს, ამ წყალმა რა უნდა მიყოს?

გულას აღარაფერი უთქვამს. წყალთან ახლოსაც კი არ მისულა, არც ქვა უსროლია, როგორც წეღან, ტოტთან.

— ცოტა ქვემოთ დავუყვეთ, — უთხრა ილომ და ფონს დაუწყო ძებნა. იარა, იარა, კიდევ უფრო ღრმა ადგილებს შეხვდა. მაშინ ზემოთ წამოვიდა. ერთ ადგილას შედგა, წყალს თითქოს დასუნა, გახედა, გამოხედა, გულას გამოჰკიდა. ილოს წყალი არ შეეშლებოდა. აქ, დიდი-დიდი, მკერდამდე მოსწვდენოდა, ისიც შესვლისთანავე, სანამ სხეულში სითბო და ღონე ედგა, მერე თანდათან თხელდებოდა. მაინც შეფეკრიანდა, გულა ჰყავდა. არა, კი არ შეშინებია, ივრისა არასოდეს შეეშინებოდა, თუნდაც მთა-ბარი წამოეღო, მაგრამ გულა... გულას რომ შეშინებოდა?! სიცილით დაიწყო გახდა. სულ გაიხადა, შარვალიც, ხალათიც, მისურიც. მარტო ლურჯი ტრუსის ამარა დარჩა. ტანსაცმელი ქამრით შეკრა, ჩანთაზე მიაბა, მერე ჩანთის ყური თავზე გადაიტარა, მთელი ბარგი-ბარხანა ბეჭებზე მოირგო, გულა კისერზე დაისვა და ღიმილით ჩაყო ფეხი წყალში.

— ჰა, აბა, არ მაწყენინო! — ალერსიანი ხმით უთხრა წყალს.

წყალმა რაღაც ამოიღლუფუნა და ფეხებზე ხვევნით მიიზიდა თავისკენ. ილოც მიჰყვა, ფრთხილად, ფსკერზე ფეხის ცურებით. საფეთქლები მთლად ამოევსო სიცივით, ლამნარევი წყლის სუნით და ხმაურით, ფეხი თანდათან აიჩქარა და აი, აქ მოხდა ის, რასაც ილო თავიდანვე მოელოდა; ფსკერი უცებ ჩაქანდა, თანაც მოიმძვლა, (ასე იცის ახალმა კალაპოტმა); წყალმა ფეხები გამოაცალა და შეტორტმანდა, მარცხენა ხელი ზედაპირს დაჰკრა:

— ვაიმე, მამა! — შეჰკივლა გულამ.

ილო ერთ წამს უმწეოდ ასავსავებდა იმ მარცხენა ხელს, მერე ფსკერზე ფეხი მოიკიდა, ხელი სახეზე ჩამოიკრა, შეშხეფებული წყალი ჩამოიცილა და აკანკალებულ გულას შესჭყივლა:

— ნუ გეშინია, ნუ!—თან ყიჟინა დასცა, — ეჰეუ! აჰაუ!

ბიჭი თმაში ჩაჰფრენოდა და ხმას აღარ იღებდა. ილო კბილების კრაჭუნით, მთელი ძალ-ღონით აწვებოდა მძიმე, საოცრად მკვრივ წყალს. წყალი ძაგძაგებდა, ქვებს გლეჯდა, ფეხებში აჯახებდა, ხრეშს აბუნტებდა, მაგრამ ილომ ყველაფერს გაუძლო, მკერდი ნელ-ნელა ამოიტანა მაღლა, მალე წითელი, ნაირევი ფერდიც ამოაჩინა, მერე ტრუსიც და ღიმილით შეაბრუნა თავი გულასკენ:

— გავედით! ნუღა გეშინია!

დაძაბული, აკანკალებული გულა უცებ მოეშვა, მაგრამ თმიდან ხელი მაინც არ გაუშვია. მაშინ ილომ ერთხელაც დასცა ყიჟინა, — ეჰეუ! აჰაუო! — და ფეხი ააჩქარა, თითქმის გაიქცა ახლა უკვე მუხლამდე დარჩენილ წყალში. გავიდა ნაპირზე, გულა მოწყვეტით დასვა ძირს და წინ ჩაუჩოქა.

— იი, შე უშნო, — მიეგურგურა მუცელთან. — შეგეშინდა?!

და როცა გაბუსხულ, თვალებახამხამებულ გულას სახეზეც ღიმილი დაინახა, ჩანთა და ტანსაცმელიც მოიხსნა, ხელები გაშალა და, სიცივით გაბუჟებული სხეულის გასახურებლად, პატარა შლამიან ადგილზე „ჩეჩნური“ ჩამოუარა.

რევაზ ინანიშვილი
ახალი ბოთხოროგები

გაჩქარებით უსვამდა ბეწვებისგან შავადჩამოხაზულ, დაბრეცილ ფეხებს, სველი ქვიშის წინწკლებს აქეთ-იქით ისროდა და თან დასძახოდა:

— ასა! ასა! ასა!

ბოლოს გულას დაუკრა თავი, გულა არ გაჰყვა. იდგა და ხან თავის დასველებულ ბათინკებს დაჰყურებდა, ხან მამას შეჰღიმოდა გაუბედავად. მაშინ ილო გასწორდა, წყლისკენ მიბრუნდა და გადასძახა:

— ეე, ჩვენო კარგო იორო, მადლობელი ვართ, რომ მშვიდობით გამოგვატარე!

ფართოდ გაშლილი იორი ბრწყინავდა, ციმციმებდა, ზიმზიმებდა და თანაბრად, გაბმით მიხმაურობდა ქვევით-ქვევით. მდინარესაც, რიყესაც, ჯალასაც და სიმწვანემორეულ უტყეო სერსაც გაზაფხულის თითქოსდა სველი მზის სხივები დაჰფენოდა.

— კინღამ რომ წაგაქცია?! — გაკვირვებით იკითხა გულამ.

— ვინა, იორმა? რას ამბობ, ის... დიდი თევზი დამეჯახა და...

— მართლა?

— მართლა, მაშ. აესე, ძლივს გამეტია ფეხებშუა, — ილომ ფეხები გაჩაჩხა და აჩვენა, როგორ წაბორძიკდა.

— აბა, დაიფიცე!

— ყველაფერს გეფიცები.

მაშინ გულამაც მშვიდი, მოსიყვარულე თვალებით გახედა მდინარეს. მან უკვე იცოდა, რომ ეს დიდი, ღონიერი, დგაფუნით მომავალი წყალი თოვლიან მთებში იბადებოდა, იქ ის წვრილი იყო, წვრილი, ანკარასავით მოიკლაკნებოდა ჩაღრმავებულ ადგილებში, აქეთ-იქიდან წვეთ-წვეთად, გორვით ემატებოდნენ სხვა წყლები, იზრდებოდა, იბერებოდა, იმსხვრეოდა, ისევ ერთდებოდა, მოდიოდა, თან მოჰქონდა სხვადასხვა ფერის ქვები, სხვადასხვანაირად დაქუცმაცებული სილა, სხვადასხვა სიღიდისა და სიმკვირცხლით მოტივტივე ნარიყი, და ყველაფერი ეს ერთად მიჰქონდა სადღაც შორს, ზღაპარივით შორეული ლურჯი ზღვისაკენ. ამ სურათს ახლა დამატა სოცრად ნთლად გამოხატული ერთი დეტალიც. ეს იყო ეშმაკურად თვალებმიწკურული ვეებერთელა ცხვირკომბალა თევზები, რომლებიც მორებივით მორჩილად მოჰყვებიან წყალს და შიგ გამავალ ადამიანებს აღმა-დაღმა ტრიალით უძვრებოდნენ ფეხებს შუა.

ილო ქაცვის ბუჩქს მოეფარა, ტრუსი გაიძრო და გასაწურად გადაგრიხა. იქ, მარტო მყოფს, ნელ-ნელა ამოუტივტივდა უსიამო ფიქრი: „კი, მაგრამ განა კარგს ვშვრები, რომ ბიჭს მდინარის სიყვარულს ვუნერგავ? ამან ხომ შეიძლება, წაათამამოს და... ხო, დაახრჩოს...“ უცებ წარმოიდგინა გულას გაბერილი, გალურჯებული, უსიცოცხლო სახე. შეზარა, შეაკრეჭოლა. „არა, არა, უკეთესია ეშინოდეს, სძულდეს“. ტრუსი სწრაფად ჩაიცვა, მერე — ტანსაცმელიც. გულას ხელი მოხვია, მიიხუტა და ისე წაიყვანა სოფლისაკენ. მაგრამ მდინარეზე მხოლოდ ეს თქვა:

— ადამიანებისათვის დიდი, ძლიერი მდინარეებია კარგი. მდინარეებსაც ღონიერი ადამიანები უყვართ. შენ ბევრი უნდა ჭამო, ღონიერი უნდა გახდე, რომ მდინარესაც უყვარდე...

სახე შეწუხებული ჰქონდა, გულასკენ დახრილიყო და კოჭლივით მიდიოდა.

გაშლილ რიყეზე უწესრიგოდ მიმოყრილ ქვებსა და ბუჩქებს შორის ორივენი, მამაც და შვილიც, ძალიან პატარები. ძალიან უმწეონი ჩანდნენ...

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოდიდან გამოსული პოეტი

ოთახში ერთი წიგნების კარადა და ოთხი საწერი მაგიდა იდგა. სამ მაგიდასთან ახალგაზრდა ქალები ისხდნენ (ასე, ოცდაათიდან ორმოც წლამდე) ერთთან — შუა ხანს გადაცილებული, აბსოლუტურად მელოტი მამაკაცი. მამაკაცს რუხი პიჯაკის სახელოებზე შავი სატინის სამკლავურები წამოეცვა, მაგიდაზე მეტისმეტად დახრილიყო და უხაზო ქაღალდზე წვრილი, ლამაზი ხელით რაღაცას წერდა. ქალებიდან — ერთი (დავარქვათ მას სათვალიანი) იმ დღეებში ქალაქს მოდებულ სამწუხარო ამბავს ყვებოდა, ორნი უსმენდნენ და თან მზესუმზირას აკნაწუნებდნენ. მზესუმზირას სათვალიანიც გეახლებოდათ, ოღონდ ის მარცვლებს ფრჩხილებით ტეხდა. ის ორნი კი—ცერა და საჩვენებელი თითით მოხდენილად მიიტანდნენ იასამნისფრად შეღებილ ტუჩებთან, დაადგამდნენ თეთრ წინა კბილებს, რამდენჯერმე ნაზად შეატოკებდნენ ტუჩებს და ყბებს, ჩენჩოს სადღაც მაგიდის უჯრაში ჩაფენილ ქაღალდზე დაყრიდნენ და ახალ მარცვალს მოიმარჯვებდნენ. მათ წინ ფანქრით აქა-იქ ნასწორები ხელნაწერები იყო გაშლილი, მაგიდის ბოლოებზე კი ლექსიკონები და გატენილი საქაღალდეები ეწყო. სათვალიანის მაგიდის ერთ ბოლოზე მინის ოთხკუთხი ქილაც იდგა, რომელშიც ჭრელი კენჭები ეყარა და პაპაწინა გუპია თევზები დაცურავდნენ გრძელი ბოლოების ზანტი ქნევით. ღია ფანჯრიდან ნაშუადღევს ჩაყუჩებული დიდი ქალაქის ბუტბუტი შემოდიოდა. სათვალიანი ქალი ყოველი სიტყვის დაგემოვნებით ლაპარაკობდა:

— ხომ წარმოგიდგენიათ გოგოს ამბავი! მაინც მისულა მილიციაში და განუცხადებია. იმ ხეპრეებმა თურმე დაცინვა დაუწყეს, არც შენ იქნები მამა აბრამის პატკანიო. მაშინ ამდგარა და დაწვრილებით მიუწერია ყველაფერი მინისტრისთვის, მილიციელებზეც; დაურეკია მინისტრს, რა ამბავში ხართ მანდ თქვენო, ამტყდარა ფაციფუცი, დაუჭერიათ ის ბიჭი, მაგრამ, როგორც ხდება დატრიალებულან ნათესავები, აქეთ ფულები, იქით ნაცნობობა და მოუწერინებიათ ხელი...

ოთახის კარი გაიღო, ქალებმა სწრაფად მიმალეს მზესუმზირის ნარჩენები და ხელნაწერებს ჩაუკირკიტდნენ. კართან გაჩერებულმა სუსტმა ქერა ქალიშვილმა მორიდებით გაიღიმა და მისალმების ნიშნად თავი რამდენჯერმე დააქნია. თავი ასწიეს და დაიქნიეს ქალებმაც, მამაკაცმაც. მერე ორი ქალი და მამაკაცი თავიანთ საქმეს ჩაუღრმავდნენ, სათვალიანი კი, წელში გამართული, გაბრწყინებული სახით შეხვდა ქალიშვილს. ქალიშვილმა უხერხული ნაბიჯით გამოიარა ის მანძილი, რაც კარს სათვალიანი ქალის მაგიდას აშორებდა, შავი ტაცის პატარა ჩანთა ორივე ხელით დაიჭირა წინ, გაჩერდა, თავი ოდნავ გვერდზე გადახარა და ისევ გაეღიმა. ძალიან უბრალოდ ეცვა: რუხი შალის ქვედატანი, შავი იაფფასიანი სვიტრი და თითქოს გაუბედავი ხელით ცხვირმომრგვალე-

რევაზ ინანიშვილი
ახალი ბოთხროტეები

ბული, ნახევრად დაბალქუსლიანი შავი ლაქის ფეხსაცმელები. სწორი თმა დაუდგენად ჰქონდა დახვეული კეფაზე, გულზე ვერცხლის პატარა, დახურული მედალიონი ეკიდა. სათვალიანმა ქალმა გვერდზე მდგარი თავისუფალი სკამი მიუწია და სხხოვა, დამჯდარიყო. ქალიშვილმა სკამი გაასწორა, შეეცადა მამაკაცისთვის ზურგი არ შეექცია, მიიბოდიშა კიდეც (მაგრამ მამაკაცს არაფერი გაუგია) დაჯდა, ჩანთა მუხლებზე დაიდო და ხელები ზედ დაიწყო. ხელები გამხდარი ჰქონდა, წვრილი, მოყვითალო ფერისა, მარცხენა ხელის შუა თითზე საკმაოდ მსხვილი, ძველებური კოლებიანი ვერცხლის ბეჭედი ეკეთა. პროფილით უფრო მეტად გამოჩნდა მისი სისუსტე — პატარა, მთრთოლავნსლტოვანი ცხვირი, შიგნით შეზნექილი ლოყები. ძალიან სწორად იჯდა, მკერდი მაინც თითქმის არ ეტყობოდა. რაც ეტყობოდა, ისიც უთუოდ სქელი ბიუსტჰალტერის წყალობა იყო. ხო, ღიმილის დროს ტუჩები ოდნავ მარცხნივ ექცეოდა და იმ ბოლოზე მკვეთრად მოღუნული ორი ნაოჭი უჩნდებოდა.

სათვალიანმა ქალმა უჯრიდან თეთრი საქაღალდე ამოიღო, წინ დაიდო, გახსნა და დაშაქრული ხმით დაიწყო:

— წაიკითხეთ თქვენი ლექსები. თქვენ თითქმის შესანიშნავად ფლობთ ლექსის წერის ტექნიკას. გეტყობათ, რომ იცნობთ თანამედროვე ევროპულ პოეზიას. გაქვთ სმენა, გაქვთ საკმაოდ მდიდარი ლექსიკა, გაქვთ სახეები... აი, მაგალითად, — სათვალიანმა ქალმა რამდენიმე ფურცელი გადაშალა და ერთ ადგილას გვერდზე ფანქარჩამოსმული სტროფი ამოიკითხა: „შე, მდედრი, ძუძუს მოვაწოვებ თვითეულ ვარსკვლავს“, — ეს მომწონს. მომწონს აგრეთვე: „კიბილს ასტეხენ საცაა ქვები“. ესეც კარგი აი, რომ წერთ: „დავნაწილდები... და, ხო ნაკადულებად მოვედები გადამწვარ ველებს“. ესაც: „გამშრალი ბაგის ტრაგედიას არ უჩანს ბოლო“... თქვენ ქმნით ბურუსიან, სასიამოვნო პოეტურ მოზაიკებს. მაგრამ

ეროვნული ბიბლიოთეკა
tel:+995(32)2-42-48-00

თქვენ... — აქ სათვალიანი ქალი სათქმელების მაქსიმუმის გამომქღავნებას შეეცადა, — თქვენი ლექსები თითქმის მთლიანად პირადულია, მხოლოდ საკუთარ, სუბიექტური განცდებიდან ამოდიხართ. ნაკლებად უწევთ ანგარიშს, ინტერესებს თუ არა საზოგადოებას ის, რაც თქვენ მიგაჩნიათ საინტერესოდ. უბრალოდ, სხვებსაც ახასიათებს თუ არა ის, რაც თქვენთვის ორგანულია. თქვენი ლექსები არ პასუხობს ერის, ქვეყნის საჭირბოროტო საკითხებს, თქვენი საალბომო განწყობილებანი...

ქალიშვილი წამოდგა, ჩანთა სკამზე დადო, ორივე ხელით გადასწვდა საქაღალდეს და აკანკალებული თითებით შეკრა ზონარები. მერე საქაღალდე იღლიაში ამოიდო, ჩანთა აიღო და მთლად გაფითრებულმა მკაცრად თქვა:

— მე ვწერ იმაზე, რასაც ყველაზე კარგად ვიცნობ. ყველაზე კარგად კი ჩემს თავს ვიცნობ.

მიბრუნდა და წავიდა.

სათვალიანი ქალი გაწითლებული იყო და კალამს აწკაუნებდა. თავი ასწიეს და ერთმანეთს გადახედეს სხვა რედაქტორებმაც.

მერე სათვალიანმა ქალმა თქვა:

— თავხედი.

მეორე ქალმა დაუმატა:

— უყურებ შენ მაგას!

მესამე ქალმა დაასრულა:

— რას ჰგავს, რამეს მაინც ჰგავდეს.

მამაკაცი კი ადგა, სამკლავეები მოიძრო, ჯიბიდან პაპიროსი ამოიღო და ხველებ-ხველებით გარეთ გავიდა. გარეთ, დერეფანში ქალიშვილი გაჩერებულიყო და მუხლზე დადებულ საქაღალდეს ასწორებდა. გაასწორა და წავიდა. მამაკაცი წამოწყნა და გვერდიდან შეჰხედა. ღიმოდა და პაპიროსს ნელ-ნელა უსრესდა თავს. ქალიშვილი შემკრთალი შეჩერდა.

— თქვენ შესანიშნავი პოეტი ხართ,— უთხრა მამაკაცმა. — გადაჭარბებული არ იქნება, თუ ვიტყვი, დიდი პოეტიც. მეც კარგი პოეტი ვარ, ამჯერად მოდი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დან გამოსული, და რას გირჩევთ, იცით? შინ რომ მიხვალთ, თმა შეიღებეთ. ილებეთ ხან შავად, ხან წითლად... ყველაზე უკეთესია, თუ მწვანედ შეიღებავთ, ან „ბილს ამოიღებთ. ეს ძალიან კარგად მოქმედებს პოეტური ბუნების ადამიანებზე. მე როგორც ხედავთ, თმა ვეღარ მშველის. შეხედეთ, მამაკაცმა ფოლადის კბილების მთელი წყება გამოაჩინა, — მე კბილებს ვიგლეჯ ხოლმე, მოვიგლეჯ და ჩავისვამ, მოვიგლეჯ და ჩავისვამ...

ქალიშვილს ნელ-ნელა გაეღიმა და მერე ასევე ნელა გადმოუგორდა ლამაზი თვალებიდან ცრემლის ორი კურცხალი.

— თქვენ კარგი ხართ, — თქვა მან თითქოს თავისთვის.

მამაკაცი მიბრუნდა, ასანთს გაჰკრა და, გეგონებოდათ ქარი უბერავსო, დახრილმა, მხრებში თავჩარგულმა მოუკიდა პაპიროსს.

დერეფანში ღრმა ამოსუნთქვის შემდეგ გამეფებული სიცარიელის განწყობილება სუფევდა.

ჩვენი ფურდედო მაისა

გამოვიდა ნისლიდან იაკოფა მენახირე, მოდგა მესერთან, დაიბჯინა თავისი გრძელი ჯოხი და დაიძახა შეშფოთებული ხმით:

— დათიკო! არ გესმის, კაცო, დათიკო!

გავიდა პაპა. წვიმს, წვიმს, შემოდგომურად, წვრილ-წვრილად, გაბმით, ალმაცერად. იაკოფას კაპუშონიანი საწვიმარი აცვია, მწვანე, ახლა სისველისაგან გაშავებული, გაფხოკილი, დაპყრდნობია თავის გრძელ ჯოხს და ისე ღრმად სუნთქავს, საწვიმარი აიწევს და დაიწევს, აიწევს და დაიწევს.

— ჰოუ, რა გინდა! — გადასძახა აივნიდან პაპამ.

— ჭირი და შავი მიწა, ჩემი თავისთვის! ძროხა გადავარდა ხევში!

— ვისი ძროხა, ბიჭო?!

— ვისი და შენი, მუცელგასახეთქი! წამოდით, მამეშველინით.

„ძროხა გადავარდა ხევშიო?!“ გავხროვდით დედაბუდიანად აივანზე. ატეხეს ქალებმა ვაი-ვიში. „აი, შენ უნდა ჩაგისკდეს ეგ მუცელი, — მურმურებდა ბებია, — შე მკვდარო, შე ქვაბის ძირის ყარაულო“. „კარგით, ჰო! შინელი მომეცით“ — ბრძანა პაპამ. შინელს მკლავი გაუყარა, ქუდი დაიხურა, დიდი დანა და ნაჯახი აიღო. მე ჩექმები ჩავიცვი, პაპას დაბამბულ ქურთუკს ხელი დავავლე. „შენ სადღა მიებზაკუნები, შენა!“ — დამიტატანა დედამ, მაგრამ პაპამ ისევ მოკლედ ბრძანა: „ეგ წამოვიდეს, ეგ დიდია“. ქუდიც ჩამოვიფხატე და წავედით.

იაკოფა ისევ იქ იდგა, მესერთან, ჭერმის სველი ტოტების გვერდით. შიშით, მწუხარებით მოგვჩერებოდა ბებრული ჭროღა თვალებით, მოფლახული ჩექმე-

ბი აყალო მიწით ჰქონდა გალესილი.

— როგორ გადავარდა, იქ არ იყავი? — ჰკითხა პაპამ.

— ეე, ვითომ არ იცი შენი მუცელმოღორებული ძროხის ამბავი! დადის, დადის, სად დაიბღოტება, სად დაძვრება! სხვები ძროხები არ არიან, კაცო?! გონთხევში. რა უნდოდა იქა, კლდეზე, კაცო, რა ეგულებოდა! ვახ, გასაკურველია პირდაპირ!

— მლაშე ბალახი იცის იქა და იმაზე ჩავიდოდა.

— გამლაშდეს და გამწარდეს ეგ, აკი გამწარდა კიდეც. შინ რა, არ აქვმეკ მარილს, ან სხვები ძროხები არ არიან, კაცო!..

— რომელი ფეხი აქ მოტეხილი?

— ვიცი რო?! გდია იმ ნაშალში და არი. ვწე, ძერა ვერ ვუყავი.

— დღეს რა დღეა? — ჩაფიქრდა პაპა და მე მომიბრუნდა. — ხუთშაფათი? შაფათ-კვირა მაინც იყოს, იქნება ცოტა გამეყოდა.

— გაყიდეს დარდი გაქ შენა! გაუყიდავი რა დარჩება. თუ გინდა, მე გაგიყიდი... მე გავყიდი და სანაცვლოს გიყიდი, როგორსაც მეტყვი. რა ვქნა!

— მაიცა, მამა გიცხონდება და!...

იაკოფამ გამხმარი ხელის ზურგი ცხვირთან გაისვა. მე შემებრალა. დაბალი იყო, ფეხებგაჩაჩხული. შავ ყბებზე თეთრ ეკლებად ეყარა რამდენიმე დღის გაუპარსავი წვერი. მოდიოდა და მოხვნეშოდა:

— ახია, ჩემზედა! ოოხ! რატო უარესი არ მემართება... წაგსულიყავი ქალაქში მეცა!

— იქ ხო ნაზუქის სუნში დაიხრჩობოდი, შენმა თავის მზემა!

— რატო, ბიჭო, რატო! ბიჭი იქ არ არის?!

პაპამ ამაზე აღარაფერი უთხრა.

გავედით ვენახების ბოლოზე, ავყევით რიყეს, მივუახლოვდით იმ გონთხევსაც. დავინახეთ ნახირიც, მაღლა, ნისლიან სერზე იყო შეფენილი.

— მეტი ადგილი ვეღარ ამოარჩია ამ ნისლში? — ჰკითხა პაპამ იაკოფას.

— სადღა, სადღა ჯანაბაში გავრეკ-ავ? ... ...

ეროვნული ბიბლიოთეკა

თვალები დახუჭა... თვალები დახუჭა და დავიხახე, რომ ნაკრისფერ ყბებზე ნელნელა ჩამოსდიოდა ცრემლი. მეც ცრემლი მომდგა და უკან დავიწიე.

— აბა, რა გაქ, რა იტკინე! — ეუბნებოდა პაპა. — მაჩვენე, აბა! — დაიდუნა, წინა ფეხებთან ჩაუყო ხელი, ეტყობოდა, ვერაფერი ნახა ისეთი, ახლა გვერდიდან მოუარა, იქიდანაც შეუყო ხელი. მაისა კი იწვა და მალმალე ამწკლატუნებდა ენას. ხანდახან თითქოს აიწევდა, აინჯღაველა ზურგს, მაგრამ ისევ მალე მოეშვებოდა. იაკოფამ ჯობი ქვაზე შიაკუდა და იმან ტალახში მოსცრილი კუდი აიღო ხელში.

— ვეწიე, აესე, და ძვრა ვერ ვუქენი. პაპამ ფარაჯა გაიხადა და მე მომაწოდა. დაიმკლავა თეთრი, ლუბჯად დაძარღვული ბებრული ხელი; წყაო ტალახში, მაისას უკანა ფეხებთან, ურია, ღრმად ჩავიდა. იაკოფა იდგა და უყურებდა.

— მოტეხილი აქ? — იკითხა რამდენჯერმე.

— აბა, ეგრე რა შევატყო, — თქვა ბოლოს პაპამ, — ნაშალი მიწაა, ღრმად ჩაფლულა, ბარი უნდა წამოგვეღო. მაშ ვერ მიხვი ამოდენა კაცი?! — საყვედურით მიუბრუნდა იაკოფას.

— მქონდაღა ჭკუა? — თქვა საცოდავად იაკოფამ. ან განა ეხლა ვსაზრობ რამესს?!

— აბა, ერთი ყველამ ავწიოთ! მოდი, ბიჭო, შენც. ეგ შინელი, აგე, ძეძვზე დადე. მე წინიდან ვეცდები, თქვენ კუდიდან ასწიეთ.

ჩავეჭიდეთ მე და იაკოფა სელ. ტალახიან კუდში. პაპა — რქებში. ვწიეთ, ვწიეთ, აიწევდა მაისაც, აიწევდა ფშვინვით, ცახცახით და მოეშვებოდა ისევ. ააყმუყუნებდა ტალახს. მაშინ პაპამ ნაჯახი გამოიღო, დაიწვა ყუაში და იმით დაიწყო მიწის ჭრა მაისას ფეხებთან.

— წვავ!, ბარს მოვიტან! — ვთქვი მე.

— მოიცა, შევატყობთ, იქნება არც იყოს საჭირო.

ჭრა და ყარა პაპამ იმ ნაჯახით და ხელებით სველი, შლამნარევი თიხა. ის რომ დაიღალა, იაკოფამ შეცვალა, მერე მეც ვთხარე, ხელებით ხომ ყველანაირად ვთხრიდით. უარა, უარა პაპამ მაისას და ახლა ძლივს წამოსცდა სანუგეშო სიტყვა:

— მგონი ჩაფლულია მარტო.

ისევ ჩაეჭიდა რქებში, იაკოფამ კუდი გადაიხვია, მეც წავეშველე. ვწიეთ, ვწიეთ. მაისამაც იწია, იწია, იზმუვლა, იქშუტუნა, მაგრამ ვერაფერს გავხდით. მაშინ ერთხელ კიდევ ეცა პაპა ნაჯახით მიწას, ჭრა და ჭრა, ჩავიდა ღრმად, მოაკალოცა, ჯერ წინ, მერე უკან. ტალახს სულ აღარ ერიდებოდა, ჩამუხლა, მთლად ამოიგანძლა, გაუთავისუფლა წინა ფეხები მაისას, მერე უკანებიც. წამოდგა და ახლა კი მთლად დაიმედებულმა თქვა:

— ჩაფლულია. დავისვენოთ ცოტა და მერე დასვენებულზე ვცადოთ.

დავისვენეთ და ერთხელაც ვცადეთ:

— აბა, ჩემო, მაისო, აბა, ჩემო მაისო, — მოეფერა პაპა და ავწიეთ.

— ჰა! — გამწარებულმა დაიძახა პაპამ.

მაშინ მაისამ გამეტებით აიქნია თავი, მთელი ძალ-ღონით გაიბრძოლა, წამოდგა და წინ წავარდა.

— ჰა! ჰა! — ისევ იძახდა პაპა.

მაისა გაიმართა, წავიდა, ფეხებჩამოსრესილი, ნახევრად გაშავებული. ჩვენ ხელი გავუშვით, პაპას კი ისევ რქებით ეჭირა: — ეგრე, ეგრე, ჰო, ეგრე... — ეუბნებოდა შესაგულიანებლად. აქ მაისამ ერთხელ კიდევ გაიქნია თავი, მოიშორა პაპას ხელები და გაიქცა წყალ-წყალ, ჭყაპაჭყუპით, ცოტა ხანს ბარბაცით, მერე გამართულად. ახლა, თითქოს რცხვენიაო, ჩვენკენ აღარ იყურებოდა. პაპას და იაკოფას ტალახიანი ხელები განზე ეჭირათ და ისე იღიმებოდნენ, ბებრულად, როგორღაც გვერდზეგადაქანებულები.

— აი, მუცელგასახეთქო, რა გადარ-

რევაზ ინანიშვილი
ახალი მოთხრობები

ჩი! რა გადარჩი! — მისძახოდა იაკოფა მაისას.

პაპა კი მე მიწყრებოდა:

— დაეხსენ, ბიჭო ნუღა მისდევ, გაუშვი, სული მოითქვას.

მერე ჩაკუნტდა და ხელები მღვრიე წყალში ჩაყო. ნელ-ნელა იბანდა თეთრ ლურჯად დაძარღვულ მკლავებს და რაღაცას ლაპარაკობდა თავისთვის. ლაპარაკობდა იაკოფაც:

— ეგ თხა, ეგ მუცელმოქორებული ეგა, უყურებ მაგასა!...

მაისა რიყეზე გავიდა და ქვებშორის ამოსულ მწვანე ბალახს დაუწყო წიწკნა. სხვა ძროხები ისევ მაღლა, ნისლიან ფერდობს მიუყვებოდნენ ძოვნით.

პაპამ იაკოფას უთხრა:

— საქონელს რომ დააბინავებ, ჩვენთან გადმოდი, ერთი ხელადა ღვინო დავლიოთ.

იაკოფა ჯერ ისევ ხელებს იბანდა და დაბლიდან აკლიმა უკბილო პირით.

— გეკუთვნის, რაკი ეგრე გადარჩა, გეკუთვნის.

მე მაინც მივედი მაისასთან. შორიდან ისე ჩანდა, თითქოს არხეინად სძოვსო, მაგრამ სინამდვილეში, საბრალოს მთელი ტანი უთრთოდა, უკანკალებდა ტალახით ამოსორსლილი მუხლებიც. ეგ კი იყო, თვალები დამშვიდებოდა, ცრემლი აღარ სდიოდა.

იმ ღამეს პაპამ და იაკოფამ ორი ხელადა ღვინო დალიეს, მგონი, ცოტა უფრო მეტიც.

რეზო ჭეიშვილი

თავი მეოცე

კინოსტუდია „ქართულ ფილმში“ გიას სცენარის მიხედვით იღებდნენ კინოს. გადაღება დღე-დღეზე უნდა დაწყებულიყო, მაგრამ მთავარი როლის შემსრულებელი ქალი ვერა და ვერ მოძებნეს. არც მსახიობები მოსწონდათ, ვერც ქუჩაში აღმოაჩინეს ვინმე; მთავარია, ქალი იყოს ლამაზი და ქალურიო, ამბობდნენ. ეს ორი ჭეშმარიტება კინოსტუდიაში აღმოჩენა ეგონათ.

თხუთმეტიოდე ქალი ფირზე გასინჯეს, მაგრამ ამ ორ პირობას არც ერთი არ აკმაყოფილებდა. დამდგმელი რეჟისორი, ნაწილობრივ სტუდიის დირექტორი და ჯგუფის წევრები საგონებელს მისცემოდნენ, თუმცა იმედოვნებდნენ, რომ ადრე შეთვალთვალებული ერთი ქალი, უკიდურეს შემთხვევაში, უეჭველად გამოდგებოდა.

სტუდიის დირექტორს, ჯგუფის ყველა წევრს „თავისი კაცი“ ჰყავდა გასაყვანი; ვის როგორ შეეძლო, ისე არიგებდა საქმეს და დამდგმელ რეჟისორს თავგზას უბნევდნენ. რეჟისორი უკვე

გაგრძელება. დასაწყისი იხ. „ცისკარი“, № 1, 2.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თანახმა იყო, აეყვანა ერთ-ერთი, მაგრამ რომელი? იგი არა თუ ვერ ატყობდა, ვინ იყო ყველაზე ლამაზი და ქალური, არამედ წარმოდგენა არ ჰქონდა, რა განსხვავება იყო ამ თხუთმეტ დედაკაცს შორის. რომ იტყოდნენ, ეს იმაზე ლამაზიაო, გაოცებისაგან თავზე რქა ამოსდიოდა.

ერთხელ ელგუჯამ გივის უთხრა: ლიას როლში დალი შელია გასინჯეთო.

— მე ვისი გამსინჯავი ვარ და ან ვინ მეკითხება რამეს... — უყურადღებოდ უპასუხა გივომ.

ელგუჯა გაჩუმდა, დალი კინოსათვის სულ არ ემეტებოდა და გაუკვირდა, ეს აზრი თავში საიდან მომივიდაო. გივომ კი მეორე დღესვე ჯგუფში განაცხადა: უნივერსიტეტში არის ესა და ეს ქალი, ძალიან ლამაზი, თანაც თქვენ რომ გინდათ ქალური და ნახეთ, იქნებ ისაა, ვისაც ვეძებთო. ლამაზი და ქალური დამარცვლით თქვა და ჯგუფში უხერხული სიჩუმე ჩამოვარდა.

— ლამაზი და ქალური თუა, რა გვინდა მეტი! — წამოიძახა დამდგმელმა რეჟისორმა, გივის ირონიას ვერ მიხვდა და ყველამ თავისუფლად ამოისუნთქა.

— სტუდენტია? — იკითხა მხატვარმა.

— ასპირანტურაში სწავლობს, მაგრამ ახალგაზრდაა... თუმცა ასპირანტურაც დამთავრებული აქვს... ოცდაშვიდი, ოცდარვა წლის, მეტის მაინც არ იქნება.

— ამ ხნის ქალი გვინდა სწორედ ჩვენც. — უგულოდ თქვა მეორე რეჟისორმა, რომელმაც ეს ამბავი მორიგ სისულელედ მიიჩნია.

დამდგმელი რეჟისორიც, როცა შეატყო, რომ არავინ გაგიეცა, უხასიათოდ შეხვდა ამ წინადადებას; ავტორს ხათრი მაინც ვერ გაუტეხა და ასისტენტებს ახალი კანდიდატის გვარი, სახელი და მისამართი ჩაწერინა.

მეორე დღეს მთელი დელეგაცია მივიდა უნივერსიტეტში. ორი ბიჭი და ერთი გოგო მოურიდებლად ეკითხებოდნენ ყოველ მესამე კაცს დალი შელიას ასავალ-დასავალს. თითქმის ყველა იპოვნეს, დალის გარდა. ბოლოს ძალიან ბიჭმა, რომელიც ძალიან ხანდ[illegible]ლა ლაპარაკობდა რუსულ-ქართულად, დეკანატში დაიბარა: ხვალ, თუ შეიძლება აუცილებლად, ყელი არ გამოგვჭრას, დღის თორმეტ საათზე მოვიდეს კინოსტუდიაში ამა და ამ ადგილზეო. მაღალი კაცი დიდი ხანი მუშაობდა კინოსტუდიაში, სულ არ იყო თავის გამოჩენითა და ვინმეს გაოცების სურვილით შეპყრობილი, მაგრამ უმნიშვნელო ამბავზე ისეთი თავის გამოდება და ხვეწნა იცოდა, გაგიკვირდებოდა; ხანდახან კი შაურის საღირალს ვერ ვაკეთებინებდი ვერაფრით.

დალის ერთმა ათმა ადამიანმა გადასცა დანაბარები. ყველა საგულდაგულოდ იმეორებდა მაღალი ასისტენტის სტატვებს. რა ამბავიაო, ეცინებოდა დალის. შეიძლება უცხოურ ფილმს სინჯავდნენ ვიწრო წრეში და თარჯიმნად ეძახოდნენ, ანდა როლზე უპირებდნენ აყვანას. ერთიც შეიძლებოდა და მეორეც. კინოსტუდიაში პირველად არ მიდიოდა. ყველა უთხრა, ნამდვილად უცხო ფილმი აქვთ ჩამოტანილიო, მაგრამ თავის ნათქვამი თვითონ არ ჯეროდა და არც შემცდარა; მელტი რეჟისორი დაინახა თუ არა, ყველაფერს მიხვდა.

გივი დამდგმელი-რეჟისორის ოთახში შევიდა. დალი უკვე იქ იჯდა. რეჟისორმა ავტორი და მსახიობი წარუდგინა ერთმანეთს. დალიმ უყურადღებოდ ჩამოართვა გივის ხელი; მოსული არაფრად ჩაუგდია, მაგრამ ახალი პირის გამოჩენამ მაინც დააბნია.

გივი კუთხეში დაჯდა და ფოტოსურათების დათვალიერება დაიწყო.

რეჟისორი სტუმარს პირად, ოჯახურ საქმეებზე ელაპარაკებოდა და უხერხულ მდგომარეობაში აყენებდა. ყველაფერს აზუსტებდა და ქალს კინოში თამაში უნდოდა თუ არა, ამას არ კითხულობდა. ისე, უნდა ითქვას, რომ თითქმის არც ერთ ქალს, რომელთანაც ამ რეჟისორს საქმე ჰქონია, ეს შეკითხვა არ დასჭირვებია. მართალია, იყო შემ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თხვევები, როცა მოპატიჟებული ათასგვარი მიზეზის გამო თამაშზე უარს ამბობდა, მაგრამ ეკრანზე გამოჩენის სურვილი რომ არ ჰქონებოდა, ასეთს არავის არ იცნობდა.

— კინოში თუ გითამაშიათ? — ყოველშემხვევისათვის იკითხა რეჟისორმა, როცა ოჯახური საკითხები მოილია.

— არა.

— სცენაზე?

— არც სცენაზე?

— რატომ?

— არ ვიცი; ისე აქ რამდენჯერმე გამსინჯეს, როლზეც ამიყვანეს, მაგრამ არ ვთამაშე.

— რატომ? — სულ გადაირია რეჟისორი.

— ასე მოხდა. — მშვიდად უპასუხა ქალმა.

რეჟისორმა უადგილოდ გაიცინა და გივის გადახედა. გივი ისე იქცეოდა, ვითომ ეს საუბარი არც ესმოდა და მის სახეზე რეჟისორმა ვერაფერი ამოიკითხა. გივი ბოლოს ადგა და გარეთაც გავიდა.

— მიდიხართ თქვენ? — ჰკითხა მსუქანმა რეჟისორმა.

— არა, აქა ვარ.

— ხო, კარგი მაშინ.

დამდგმელმა-რეჟისორმა ვერ გაიგო, რა შთაბეჭდილება მოახდინა ავტორზე ახალმა მსახიობმა და როგორ მოქცეულიყო, არ იცოდა.

ნახევარი საათის შემდეგ დალი შელია სტუდიის ეზოში ჩამოვიდა. ხელში სარეჟისორო სცენარი ეჭირა. ეზოში ელგუჯა დაინახა და ყველაზე მეტად იმ დღეს მაინც ეს გაუკვირდა.

— საიდან?

— აგერ გივის მოვყეევი...

დალიმ გივის გადახედა, გაახსენდა, ოთახში რომ ნახა და რეჟისორი რომ ეგონა.

— ეს სცენარის ავტორია, გაიცანი. — უთხრა ელგუჯამ.

— ვიცნობ... — გაიღიმა ქალმა.

— სხვათაშორის, მე უფრო ადრე მაქვს სოვხართ...

— მე მეონნი, მანანას დაბადების დღეზე შევხვდით ერთმანეთს. — გაიხსენა დალიმ.

— კი ბატონო, და მას მერე აღარ მესალმებოდით. ვფიქრობდი, ასეთი რა ვაწყენინე-მეთქი.

დალიმ გაიღიმა და გივის ისე მიაჩერდა, თითქოს პირველად ახლა შეამჩნია.

— გივი! — დაზაფრული ხმით იყვირა მეორე სართულიდან ვიღაც ქალმა. ქალს ფანჯრიდან გადმოეყო გაჩეჩილი თავი და თვალებს აქეთ-იქით აცეცებდა.

— ბატონო? — წყნარად უპასუხა გივიმ და უკან დაიხია, რათა კარგად გამოჩენილიყო.

— გივი, გივი, ამოდი, ხელი მოაწერე!

— უკაცრავად... — ბოდიში მოიხადა დალისთან გივიმ და წავიდა.

— შენ რა გინდა აქ, არტისტობა ხომ არ დაგიწყია ჩემსავით? — იკითხა დალიმ.

— არა ჯერ, — გაეცინა ელგუჯას. — ეს რა არის?

— სცენარი გამომატანეს, წაიკითხეო! —

ელგუჯამ დალის სცენარი გამოართვა და განად აკინძული ფურცლები უყურადღებოდ გადაშალა.

პავილიონიდან ახალგაზრდა ქალი გამოვიდა. იცი, ეტყობოდა, ზემოდან ჩამოდიოდა, რადგან ქუსლების კაკუნი კარგახანი ისმოდა გარკვევით. ხელში ქაღალდები ეჭირა და სადღაც იჩქაროდა.

— თქვენ, წამობრძანდებით, ვენაცვალე, და ლაბორატორიაში სურათებს გადაიღებთ! — უთხრა ქალმა დალის. მეტი ახსნა-განმარტება საჭიროდ არ ჩათვალა, ეს სიტყვებიც წყალობად მიუთვალა, შეტრიალდა და გზას გაუდგა. დალის გაეღიმა და ელგუჯას შეხედა.

რეჯო ჯეიუშილი
ᲓᲐᲚᲘ

— დაგელოდები. — უთხრა ელგუჯამ და სკენარი მისცა.

დალის აღარაფერი უთქვამს. უკანმოუხედავად გაჰყვა მაღალ ქუსლებზე შემდგარ ქალს, რომელიც გაჩქარებული მიდიოდა ლაბორატორიისაკენ. ელგუჯა დალის უყურებდა და ხვდებოდა, როგორ უხერხულ და შეიძლება, სულელურ მდგომარეობაში იყო დალი შელია ჩავარდნილი.

ელგუჯა ჭიშკართან გაჩერდა. შემოსასვლელში დიდი არეულობა და აყალმაყალი იყო. ხრიალით იღებოდა და იკეტებოდა სპატიმროს ალაყაფივით უზარმაზარი რკინის ჭიშკარი. იქვე ჩოხოსნები და აბჯროსნები ტრიალებდნენ. ერთი კაცი, ალბათ რეჟისორი ან მხატვარი, ამტკიცებდა: გადაღება ახლა უნდა, სანამ ფოთლებს სიმწვანე შერჩენია, სანამ მწვანე მწვანე არისო.

იქვე კედლის ძირას განის კარი გაიღო და ჯგუფ-ჯგუფად გამოვიდნენ თვალებწაჭუტული ადამიანები. სიბნელეში ნამყოფთ სინათლე თვალს სჭრიდათ. ისინი რიგრიგობით მიდიოდნენ, ხელს ართმევდნენ, ჰკოცნიდნენ ერთ კაცს, რომელიც მოყვითალო კოლოფიდან პაპიროსს ღერს არჩევდა და ვითომ სხვათაშორის იდგა გამოსაჩენ ადგილზე. ერთმა უთხრა, მოსკოვში მოეწონებათო. მილოცვებისაგან გაბრუებული რეჟისორი ქმაყოფილი იხდიდა მადლობას და თავი ღირსეულად ეჭირა. აქ ასე იყო მიღებული: პირში აქებდნენ და ადიდებდნენ ერთმანეთს. რეჟისორებს, მათი ხელმძღვანელების ჩათვლით, ყველაფერი სჯეროდათ და ხალხის აზრი, ვისთვისაც თითქოს ისინი იღწვოდნენ, სულ არ აინტერესებდათ. დიდი შემოქმედებითი „წვა“, სხვებს რომ სიცილის გუნებაზე აყენებდა, აქ ამ ალაგას ჭეშმარიტად ზეიმობდა.

დალი მალე დაბრუნდა. დარბაზიდან გამოსული რამდენიმე კაცი გაკვირვებული მიესალმა, ერთმა გამოლაპარაკებაც დაუპირა, მაგრამ დალი პირდაპირ წავიდა და ელგუჯას გვერდით დადგა.

— გივი გამოვა და მანქანით წაგიყვანთ.

— კარგი. — თავი დაუქნია დალიმ.

— გეჩქარება?

— კი.

— უნივერსიტეტში?

— არა, შინ.

— ასე ადრე?

— ბავშვები მყავს დაბარებული სამეცადინოდ.

— ბევრი?

— ძალიან... — გაეცინა დალის. — სულ სამი მოწაფე მყავს. მეტის თავი არცა მაქვს, იმათთვისაც არ მცალია, მაგრამ უკვე მეხუთე წელია ვამეცადინებ და ახლა ვერაფრით ვერ მოვიშორებ. ხუთი წლისანი იყვნენ რომ მოვიდნენ. მამლაყინწებივით ბიჭებია. ნეტავი განახა, რა სასაცილოები არიან. საშინელი ცელქებია, მაგრამ ადვილად სწავლობენ; ყველაფერს იოლად ითვისებენ, მეც ხელს არ ვაკლებ... ნეტავი თუ დამიფასებენ, თუ წყალში არ ჩამიყრიან ყველაფერს!

— მე რომ ამიყვანო, რა იქნება? — გაიღიმა ელგუჯამ.

— რატომ არა... ცოტას შენც ისწავლი, თუ მოინდომებ; დამჯერე ბიჭი ხარ, შენთვის კი მოვიცლი.

— დავფიქრდები მაშინ.

დალიმ გაიღიმა. მერე თავისთვის ჩაილაპარაკა:

— სადაა ამდენხანს ეს შენი გივი, ნეტავი არ დამაგვიანებდეთ და არ მინდა არაფერი!

— მოვა მალე!

— დამიშვირე ჩანთა.

ელგუჯამ ჩანთა გამოართვა. დალიმ ხელი ასწია და ბიჭს ყოალი სვიტერიდან ამოჩრილი პერანგი და ყელსახვევი გაუსწორა, ცოტა უკან დაიწია, თავის ნახელავს მოწონებით შეხედა და ელგუჯას ჩანთა გამოართვა. ამასობაში გივიც დაბრუნდა.

ბიჭებმა დალი სახლამდე მიიყვანეს. დალი სწრაფად გადმოვიდა მანქანიდან და სადარბაზოში შეავიდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დიდი ოთახი თავდაყირა დაეყენებინათ დალის მოწაფეებს და შვილს. სამთავენი ერთად ჭიდაობდნენ და სათვალიანი ბიჭიც ერთ ამბავში იყო. დალის დანახვაზე მოწაფეები წამოხტნენ და მრგვალი მაგიდის იქითა მხარეს აიტუზნენ — აჭარხლებულები და გაოფლილები.

— დედა, რა ამბავია! — თქვა დალიმ და ფანჯარა გააღო. — დღეის შემდეგ თქვენ ჩემთან აღარ მოხვალთ!

დალიმ მაღალქუსლიანი ფეხსაცმელები გაიხადა, მეორე ოთახში გავიდა და კაბაც გამოიცვალა.

მოწაფეები დალის მუქარას შეჩვეულნი იყვნენ და ახლა სულ უმიზეზოდ იცინოდნენ.

— ამოიღეთ რვეულები და წიგნები, ვაი, თქვენი ცოდვა, თუ გაკვეთილი არ იცით!

ბიჭები კურდღლებივით შემოუსხდნენ მაგიდას.

— შენ, დედა, გადი იქით! —უთხრა დალიმ შვილს.

— მე აქ მინდა ვიყო! — თქვა ბავშვმა.

დალიმ ბიჭს სახეზე ხელი მოუსვა.

— როგორ არის ,,ბახურებული, შენც ჭიდაობდი, დედა?

— გიამ შენი „დუხის“ კოლოფი გადმოაგდო სარკიდან.

— მე როდის გადმოვაგდე! — წამოიყვარა მოკლექმრრანმა ბიჭმა და სათვალიან მასპინძელს ბრაზიანად მიაჩერდა.

— არა კი, შენ გადმოაგდე და მე ვთქვი, რომ არ ვიტყვი-თქვა.

— გატეხეთ? — იკითხა დალიმ.

— არ გამტყდარა. — თქვა ბუთხუზა ბიჭმა.

— მე როდის გადმოვაგდე! — ვერ მოისვენა გიამ.

— გაჩერდით ახლა, გეყოთ, შენ, დედა, ან მოისვენე, ან ეუეუნა დეიდასთან გადი!

ბავშვები დაწყნარდნენ. დალიმ რიგრიგობით გადაშალა რვეული, წიგნები და ნახატი ფურცლები. არ იცოდა, რითი დაეწყო. ისევ კინოზე და იმდღევანდელ შეხვედრებზე ფიქრობდა.

...გივიმ მოსახვევში, აფთიაქთან გააჩერა მანქანა. ბარემ აქა ვარ და შიგაც შევირბენო, თქვა; გადავიდა და მალევე დაბრუნდა. რაც უნდოდა, ვერ ეშოვნა, მაგრამ რაღაც მაინც ეყიდა. ისევ უკან წამოვიდნენ. როცა დალი შელიას სახლს ჩაუარეს, ელგუჯამ ფანჯრისაკენ გააპარა თვალი, მაგრამ ვერავინ დაინახა.

— კარგი ქალია, ძმაო, ძალიან! — თქვა მოულოდნელად გივიმ. დალი ამ სახლის დანახვაზე არ გახსენებია; არც იცოდა, რა ადგილას ჩამოსვა სასურველი მგზავრი. მთელი დღე ხელშეკრულებას ავსებდა, სასცენარო განყოფილებიდან ბუღალტერიამდე დარბოდა, ვერაფერს გახდა და გაბრუებული დაიარებოდა.

—ცოტა ფული მაქვს და წამოდი, ვისადილოთ! — უთხრა ელგუჯამ.

— ფული, ცოტა კი არა, ბევრი უნდა მქონებოდა, მაგრამ უკანაკოდ დავრჩი... — ჩაილაპარაკა გივიმ და მწარედ შეიგინა ვიღაცის მისამართით.

— წავიდეთ?

— გეთქვა მაშინ იმ ქალისათვის, თუ ასე გინდოდა...

— არ წამოვიდოდა.

— რა საერთო გაქვს, ბიჭო, მაგ ქალთან? — იკითხა უცაბად გივიმ.

— არაფერი, ვიცნობ ისე...

გივი შუქნიშანზე შეჩერდა, უკან მოიხედა და ელგუჯას მრავალმნიშვნელოვანი ღიმილით შეხედა.

— ბარემ აქა ვართ და დიმიტრისაც წამოვიყვან. — თქვა ელგუჯამ.

გივი აღარ დაფიქრებულა, უცაბად აუხვია ზევით, რადგან კინაღამ მოძრაობა შეაჩერა; მთელი სისწრაფით აიარა აღმართი და ტროტუართან გაჩერდა.

რეჯო ჭეიშვილი
** დალი**

— გამოუშვებენ მერე ახლა, სამუშაო საათებში?

— ვერა, ვერ შეელეგიან... — ჩაილაპარაკა ელგუჯამ და მანქანის კარი გააღო.

გივის დიმიტრი ასეთ დროს არასოდეს გაახსენდებოდა, თუმცა, დიმიტრი მისი ამხანაგი უფრო იყო, ვიდრე ელგუჯასი.

დიმიტრი, როგორც ოსტატი შეგირდებს, ისე ჰკარგავდა ძველ ამხანაგებს. ხანი გადიოდა, მეგობრები თავთავიანთი გზით მიდიოდნენ, დიმიტრი ისევ დიმიტრად რჩებოდა. კატეგორიულად უარყოფდა თანამდებობას, საყოველთაოდ გავრცელებულ აზრებს და შეხედულებებს, კარიერით მოპოვებულ სახელს და ფულს. არაფრის დათმობას არ აპირებდა ღა ამით თავი მოჰქონდა. სინამდვილეში სიკეთით და გულწრფელობით უფრო იგებდა სხვების გულს, ვიდრე საკუთარი ფილოსოფიით, რომელიც, კაცმა რომ თქვას, არც ჰქონია.

ელგუჯა და დიმიტრი მალე გამოვიდნენ კვლევითი ინსტიტუტის შენობიდან. დიმიტრის რაღაც კავშირი, ტყავის ქურთუკი ეცვა. მოკლექოჩრიანი კაცი ქურთუკში კიდევ უფრო დალეული და გამხდარი ჩანდა.

— შენც წადი ხელიდან? — ჰკითხა ელგუჯამ, როცა მანქანაში სხდებოდნენ.

— აღარაა დრო? გივი, გამარჯობა!

— გაგიმარჯოს.

— ნახე, რა აცვია, — უთხრა ელგუჯამ გივის.

— მოწონს კაცს და რა გინდა! — გივიმ მოიხედა და ელგუჯა ღიმილით შეათვალიერა. დიმიტრის მოეჩვენა, რომ გივი რაღაც დიდკაცურად იღიმებოდა. ასეთი რამ პირველად არ მოლანდებია. არაფერს იმჩნევდა თუ არა, ეს მზერა ყოველთვის ცუდ ხასიათზე აყენებდა. გივი თვითონვე ხვდებოდა, რომ იცვლებოდა და ვერაფერს ცუდს და არაპუნებრივს ამაში ვერ ხედავდა; პირიქით, გულს ეყრებოდა, როცა უყურებდა, ზოგიერთი სახელიანი ადამიანი, ვითომ ისევ ის კაცი ვარო, რომ ამბობდა, — უბრალოებას რომ ამზეურებდა?

— მე კი არა, თქვენ მოგწონთ და იმიტომ მაცვია! — თქვა დიმიტრიმ და სერთუკზე დაიხედა. — ტანსაცმელს იმიტომ ხომ არ ვირჩევთ, რომ ჩვენ გვინდა, მთავარია, სხვას მოეწონოს!

— სწორი ხარ, ჩემო დიმიტრი, მაგრამ ვინ გიფასებს მაგ სიმართლეს?

— არავინ. — თქვა დიმიტრიმ და ფანჯარაში გაიხედა.

— სად მივდივართ, რატომ არ კითხულობ? — გაუკვირდა ელგუჯას.

— გლახა ადგილზე არ წახვალთ, ვიცი. ისე მართალი თუ გინდათ, ათ საათზე აქ უნდა ვიყო.

— ათზე რატომ, ცოტა მეტი გეთქვა ან ნაკლები.

— ბენო ვახტანგშვილის ლექციების გახსოვდა.

— ათზე?! — ხმამაღლა იკითხა გივიმ.

— ადრეა, მაგრამ ათისთვის ალბათ დამთავრდება და პურმარილს მივუსწრებ.

— პურმარილზე რაღა პირით მიხვალ, შე კაი კაცო?!

— ვერ მივა ბიჭო, საწყალი... — ჩაილაპარაკა გივიმ და სიჩქარე გამოცვალა, რადგან გვარიანი ალმართი დაწყებულიყო და მანქანას ჯაფა დადგომოდა.

— ჯერ ერთი, თუ ადრე ჩამოვედი, ეს თქვენზეა დამოკიდებული, განხილვაზეც მივალ, თუ არადა არც მიუსვლელობით დაშავდება რამე. სადაც წავიწევი, იქ ვაქებ.

— განხილვაზე ყოფნა თუ საჭირო არ არის, პურმარილზე ჩვენ მივდივართ. შეირგე ეს სასმელ-საჭმელი და ბენო ხვალ აქე ან ზეგ... — ურჩია ელგუჯამ და დიმიტრიც გააკვირვა: ამას უყურე, რაების ლაპარაკი დაიწყო თანდათანო.

— მასეც შეიძლება სხვათაშორის... — უპასუხა სიტყვიერად და მოწყურული, მომდიმარე თვალებით მიაჩერდა.

— მოგწონს ხომ ბენოს ლექსები? — ჰკითხა გივიმ.

— ძალიან.

— კი კაცობაზე რომ იდებ თავს და უარესს აკეთებ, სხვაზე მაინც რაღას ლაპარაკობ!

— დიდი ამბავი, ბენო თუ შეგაქებ. ესეც შეგშურდეთ ამ კაცის! — ჩაიცინა დიმიტრიმ და როცა ნახა, რომ ამ ამბავმა არავინ დააკმაყოფილა, სერიოზულად განაგრძო:

— ...ბენო ერთი საწყალი ადამიანია. ერთი კარგი სიტყვა, რომელსაც ასეა დანატრებული, მისთვის წლის სიცოცხლეა. კაცი რომ ვაცოცხლო, დანაშაულია? თქვენ რომ გამორჩენისათვის თანამდებობის პოვრტებს აქებთ და ადიდებთ, მაგას რომ დამკლან, არ ვიზამ.

— არ ქნა არაფრით! — გაამხნევა გივიმ.

— ჩვენთან დიდი ხანია მწერლობა თანამდებობად გადაიქცა... — ლაპარაკის ხასიათზე მოვიდა დიმიტრი. — მე რომ ვინმე რამეს მეკითხებოდეს, ფორმას დაგირიგებდით. რკინიგზელებს რომ აქვთ ისეთი ფორმას. მაშინ ვნახავ, როგორ დატრიალდებით სამხრეთისთვის. პირდაპირ დაინატავთ ზედ წოდებას, ჩინს და თანამდებობას. ნიჭი, ან ვინ რას წერს და აკეთებს, რა შუაშია, მთავარია წოდება... ახლა მე, ერთ უჩინ-მედლო კაცს, პურმარილის მეტს რომ არაფერს ვეთხოვ, ერთი გაჭრავებული კაცის ქების უფლება ადარა მაქვს?

— კი გაქვს, კი... — თავისთვის თქვა გივიმ. იგი გაფაციცებით იხედებოდა წინ და ერთი თვითმცელელი, გვერდ რომ ვერაფრით ვერ აუქცია, სადაც იყო მოთმინებიდან გამოიყვანდა.

— ბენო მწერალთა კავშირის წევრია? — იკითხა ელგუჯამ, თუმცა სულ არ აინტერესებდა.

— არ ვიცი! — თქვა გივიმ. გაზს მოუმატა და სწრაფად გავარდა მარჯვენა მხარეს.

— იქნება, ალბათ! — თქვა დიმიტრიმ. — საქართველოში ოთხასამდე რეგისტრირებული მწერალია. ორი ამდენი, თუ მეტი არა, მწერლობის მაძიებელია და არ დაგავიწყდეს, ყველა, დღეს, თუ ხვალ, მწერალთა კავშირის წევრი გახდება. ამდენ მწერალს ადამიანის გაჩენიდან დღემდე თითზე ვერ ჩამოთვლი. ნამდვილ მწერლებზე ვლაპარაკობ...

— მერე მაგაზე თუ ნერვები იშალე, რა გამოვიდა... ძალიან ჯანმრთელი ხარ? — ჰკითხა ელგუჯამ.

— შენ ხმას ნუ იღებ, ჭიდაობაზე რომ დაიწყება ლაპარაკი, მერე თქვი რაც გინდა! — გაიცინა დიმიტრიმ და კუთხეში მიიკუნტა. ელგუჯამ მაინც წაუწია ხელი.

— შე ჩონჩხო, აბსელა გული რომ გაქვს, თავი არ გეცოდება?!

— ხელი გამიშვი და ისე შელაპარაკე... უყურე ამას, როგორ გათამამდა, შენ გგონია, რომ გამოდი უკვე ხალხში, ხომ? შე უკვდავო, ღონეზე კი არაა საქმე?!

— რაზეა აბა? — იკითხა ელგუჯამ.

— ხელი გამიშვი და სხვა დროს ვეტყვი!

ელგუჯა დიმიტრის ჩამოეხსნა და წინ გაიხედა. მოასფალტებულ აღმართზე მიდიოდნენ. დიმიტრი სავარძელში გასწორდა, ვერ მიხვდა, ელგუჯას რომ გული ატკინა

ტაბახმელაზე ელგუჯა ისევ გამხიარულდა. გადაავიწყდა დიმიტრის ნათქვამი. იცოდა, ამ კაცისაგან რომ არაფერი არ უნდა წყენოდა, მაგრამ სიტყვა სიტყვაა და ზოგჯერ სულ უადგილოდ გაგამწარებს.

ცოტა ხნის შემდეგ დახლიდარიმა ეშესი ბოთლი შამპანური მოიტანა; სამი ბოთლი ერთ ხელში ეჭირა, სამი — მეორეში.

— ეს შამპანური ალფეზ მაჩაბელმა მოგართვათ!

— რად უნდოდა! — თქვა გივიმ, რომელმაც ეს პატივისცემა თავისთავზე მიიღო.

რეზო ჭეიშვილი
ალი

— სადაა ის უკვდავი! — გაეზარდა დიმიტრის.

მაჩაბელსაც აღარ დაუგვიანებია. მთვრალი იყო, მაგრამ თავი ღირსეულად ეჭირა. სამთავენი გადაჭოცცა, ღვინით სავსე ჭიქა აიღო და საკმაოდ ბუნდოვნად დიდწყო ლაპარაკი. მხოლოდ ელგუჯა ხვდებოდა, რა აწუხებდა მოსულს. მე და ეს გავუგებთ მხოლოდ ერთმანეთსო, ამბობდა მაჩაბელი და ელგუჯას უყურებდა. კარგახანი გაურკვევლად ამტკიცებდა რადაცას. ელგუჯა უხერხულ მდგომარეობაში ჩავარდა, თუმცა მისი პატივმოყვარეობაც დაცხრა. ალფეზა მალე წავიდა.

— რას მიედ-მოედებოდა? — იკითხა გივიმ.

ბენო ვახვახიშვილის ლექსების განხილვაზე კარგაძალმა ხალხმა მოიყარა თავი. მწერალთა სახლის საკქტო დარბაზი თითქმის გაიესო. თავი-თავი მწერლები წინა რიგებში და გვერდითი ოთახის სავარძლებში დასხდნენ. ოთახშივე მოკალათდნენ ისინიც, რომლებმაც სულ ახლახან მოიპოვეს პირველი რანგის მწერლის სახელი. ოთახიდან დარბაზი არ ჩანდა, ხმაც ცუდად ისმოდა, მაგრამ მაინც იქ ერჩიათ; ოთახში ყოფნა დიდი ღირსება იგონათ.

საღამოს დაწყებამდე თავმჯდომარემ განაცხადა, ჩემის აზრით, უმჯობესია ბენიამინ ვახვახიშვილმა ჯერ ლექსები წაგვიკითხოს და მერე ჩვენ ჩვენი აზრი გამოვთქვათო.

— ჯერ აზრი გამოვთქვათ ჯობია და მერე ლექსები წავიკითხოთ! — დაიძახა ვიღაცამ დარბაზიდან.

— სამასსროდ არ მოვსულვართ აქ, ჩემო გურამ! — ეწყინა თავმჯდომარეს, სათვალე მოიხსნა და უკვე რჩევა-დარიგებისა და თათბირის გარეშე სიტყვა პოეტს მისცა.

ბენიამინმა გაუბედავად დაიწყო კითხვა. მერე გათამამდა და ხმასაც აუწია. აუდიტორია, პოეტის ნაცნობ-ნათესავებისა და შემთხვევით შემოსული ხალხისაგან რომ შედგებოდა, აღტაცებას ვერ მალავდა, მაგრამ ბენოს იმდენი ლექსი მოეტანა, რომ ხალხს მალე [illegible] ნება დაელია. მაგიდაზე ქაღალდების გროვა იყო, რომელსაც ჯერჯერობით არაფერი მოჰკლებოდა. დარბაზი თანდათან ცხმაურდა. ბეკრმა ხველება და მთქნარება დაიწყო, ზოგი პაპიროსის მოსაწევად გავიდა.

თავმჯდომარემ დრო იხელთა და წამოდგა. ყველას ეგონა, მსმენელთა დაწყნარება უნდოდაო, მაგრამ ახალგაზრდა კაცმა სათვალე ეკიეთა და ფრთხილად იკითხა: დეკალბაცია ხომ არ შეგვეწყვეტა და პირდაპირ კამათზე ხომ არ გადავსულიყავითო. ასე აჯობებსო, უთხრეს. მაშინო, თქვა პოეტმა, ორ ლექსსაც წაავიკითხავ და მოვრჩებიო. ამ წინადადებას მხარი დაუჭირეს. ბეჩომ ორი ლექსი, რომლითაც თურმე მსმენელთა გაოცებას აპირებდა, დაადრო და ყვირილით წაიკითხა. ეს ორი ლექსი, "ჩიეძლება იმიტომაც, რომ კითხვა დასრულდა, უფრო მოეწონათ და ტაშიც დაუკრეს.

სწორედ ამ დროს შემოვიდნენ დარბაზში გივი, დიმიტრი და ელგუჯა, ხრიგინით და ხმაურით დასხდნენ სულ უკან და ყველას ყურადღებაც მიიპყრეს. მთვრალები არ იყვნენ, მაგრამ არც ფღვინობა ეტყობოდათ. როცა ხალხმა უკან მოიხედა, სამივე დადიხჯდა და სცენას მიაჩერდა. კამათი დაწყებულიყო ოდა ახლაღა არკვევდნენ, რა ზდებაო. ცოტა ხნის მერე ისევ ცხმაურდნეს.

ორატორები, თითქოს პირი ჰქონდათ შეკრული, ერთხმად აღნიშნავდნენ: ვახვახიშვილი უდაოდ ნიჭიერი, პოოსპექტიული პოეტიაო. მერე თაბახის ფურცლებში იქექებოდნენ და წინასწარ მონიშნულ რამდენიმე სტროფს იშვიდებდნენ. ბოლოს ისეთ უმნიშვნელო ნაკლზე ჩერდებოდნენ, რომ კრიტიკა ავტორს უფრო უხაროდა, ვიდრე სწყინდა.

ბენიამინ ვახვახიშვილი გაბადრული იჯდა მუდგადაფარებულ მაგიდასთან და უზარმაზარ საფერფლეში, რომელიც მანდარინის ყუთს უფრო ჰგავდა,

ვიდრე საფერფლეს, სიგარეტს ფერფლავდა.

დმიტრიმ ძალიან აიშვა. ენამწარობდა და ახლო-მახლო ხალხს აცინებდა. ელგუჯაც აიყოლია. ელგუჯა ერთობოდა, მაგრამ თვითონვე ხვდებოდა, რომ აქ ხუმრობისა და ღლაბუცის უფლება სწორედ მას არ ჰქონდა.

თავმჯდომარემ რამდენჯერმე შემოჰკრა გრაფინს ხელი და უკანა რიგებს გადახედა. როცა ვერაფერს გახდა, წამოდგა და თქვა: გივი ბურდაძეს ეთხოვთ. წესრიგი დაიცვას და პატივი სცეს დამსწრე საზოგადოებას და თავის თავსაცო.

— ჩემთან რა უნდა, ხმა არ ამომიღია? — გაუკვირდა გივის.

— რა ბრძანეთ? — დაინტერესდა თავმჯდომარე.

— არაფერი არ მიბრძანებია, შენ საქმეს მიხედე! — დაუძახა გივიმ. თავმჯდომარემ ისეთი სახე მიიღო, თითქოს ეს სიტყვები არც გაუგონია, დაჯდა და ბევრდით ვიღაცას საქმიანად გადაულაპარაკა, თუმცა გივის სიტყვებზე ფიქრობდა და არკვევდა, ღირს თუ არა სამაგიეროს გადახდაო.

თუ ამ ინციდენტს სერიოზულად არ მივიღებდით, მაშინ შეიძლებოდა გვეფიქრა, სხდომა მშვიდობიანად მთავრდებაო, მაგრამ ერთმა ნაკლებად ცნობილმა პოეტმა, რომელსაც მართლა ეგონა, ბენიამინის ლექსებმა ხალხი გადარიაო, ყველაფერი აურ-დაურია; ბოდიშებისა და მიკიბულ-მოკიბული ლაპარაკის გარეშე ვახვახიშვილის ლექსებს მიდგა და ტყავი გააცალა. იგი ხელში თაბახის ფურცლებს ატრიალებდა, რაღაცას ეძებდა, დიდი პაუზის მერე ციტატებს კითხულობდა და აუდიტორიას გაკვირვებული ეკითხებოდა: მოგწონთ ესო?

— კარგია, ბიჭო, კარგია! — ხმამაღლა უძახოდა ვიღაც მესამე რიგიდან.

— თუ კარგია, გქონდეს შენ! — უპასუხა პოეტმა, ლექსები მაგიდაზე დაალაგა და წავიდა.

ამ გამოსვლის დროს ბენიამინი დიდსულოვნად ღუმდა. ხანდახან ირონიულად ჩაიღიმებდა, ვითომ ხალხს აგებინებდა, ამ კაცის ლაპარაკს მეც თქვენსავით არაფრად ვაგდებო, სინამდვილეში კი ნერვიულობდა და ხასიათი ეშხამებოდა.

ბოლო სიტყვა ხანშიშესულ მწერალს მისცეს.

ეს მწერალი, როგორც წესი, ყველაზე ბოლოს გამოდიოდა ხოლმე, მთელი სხდომის შინაარსს აჯამებდა ერთგვარად და სულმოუთქმელად ლაპარაკობდა თითქმის ერთსა და იმავეს, თუმცა შესანიშნავად ანსხვავებდა კარგსა და ცუდს და ზოგჯერ სიმართლესაც ლაპარაკობდა, თუ ვინმეს საწყალს და გაჭირვებულს დაინახავდა.

ხანშიშესული მწერალი მერამდენედ იმეორებდა: ბენიამინ ვახვახიშვილი უდაოდ გულისხმიერი, ნიჭიერი პოეტია, მაგრამ ეს ჯერ კიდევ არაფერს არ ნიშნავსო. რატომ არ ნიშნავდა ეს არაფერს, ვერავინ ვერ გიგო.

...პოეტმა, ამხანაგებო, ბევრი უნდა იკითხოს და ცოტა უნდა წეროს, — დაბეჯითებით ამტკიცებდა რატომღაც იგი და ბენიამინ ვახვახიშვილს ურჩევდა, უფრო დიდს და მნიშვნელოვან თემებს შეეჭიდეო.

ხალხმა მაინც ვერ გაიგო ჟოეწონა თუ არა ხანშიშესულ მწერალს ვახვახიშვილის ლექსები. ვერ გიგო თვით ბენომაც, მაგრამ იგი მაინც მადლობელი დარჩა და ხნიერი მწერლის გამოსვლა დიდ პატივისცემად მიიჩნია. დამსწრე საზოგადოებაც კმაყოფილი დაიშალა.

დმიტრი ბანკეტზე წავიდა, თუმცა ბოლოს ირწმუნებოდა, პურმარილზე აღარ დავრჩებიო. ბენომ გივიც დაპატიჟა, მაგრამ გივიმ ელგუჯა აღარ მიატოვა, დაუპატიჟებელი კაციც ვეღარ წაიყვანა და ორთავენი შინ წავიდნენ.

რეზო ჭეიშვილი

დ ა ლ ი

შეღამებულს უცბად წამოწვიმა. წყალმა გადარეცხა მტვრიანი ქუჩები და ტროტუარები. წვიმა მალე შეწყდა, თუმცა შებინდებულ ცაზე მაინც რიალობდა საავდრო ღრუბლები. მანქანების საბურავებით დახაზული სველი ასფალტი ელექტრონის შუქზე ბრწყინავდა.

ელგუჯა მარტო მიდიოდა თავდაღმართში. მალე რუსთაველის პროსპექტზე აპირებდა გადახვევას. ქუჩაში ვიღაცას ნახავდა და მერე ან კინოში შევიდოდა, ან სხვაგან. სასაერთო ამინდი იყო სწორედ. ვიღაცამ დაუძახა. ეგონა, მომეყურაო, მაგრამ მაინც მოიხედა. ტროტუართან ტაქსი იდგა, რომელიც იმ წუთას გაჩერდა იმ ადგილას. ელგუჯამ ტაქსს შეხედა, მერე ისევ გზა განაგრძო. ერთმა ბიჭმა, რომელიც ბეჭით ჯადარს მიჰყუდებოდა და უდარდელად იხედებოდა აქეთ-იქით, ელგუჯას უთხრა, გეძახიანო.

ტაქსში, ელგუჯამ რომ ადრეევე შეათვალიერა, დალი იჯდა. დალის მანქანის კარი გაეღო და იღიმებოდა. ელგუჯას გაუკვირდა, თავიდან როგორ ვერ დაენახეო. ასეთ სურათს ისედაც არ ელოდა და დაიბნა, თუმცა დროც აღარ დაუკარგავს; სწრაფად მოტრიალდა და მანქანას მიადგა.

დალის მუხლებზე დიდი, მრგვალი კოლოფი ედო, რომელშიც, როგორც მერე გამოირკვა, ტორტი ყოფილიყო. დალიმ თხოვა, ერთი წუთით გამომართვი, სანამ ძირს გადმოვიდოდეო. ელგუჯამ კოლოფი აიღო და დალის უთხრა, მძღოლს ფულს მივცემო.

— გადახდილია. — თქვა ნაყვავილარი სახის კაცმა. ელგუჯამ ცალი ხელი მაინც ჯიბისკენ გაიქანა. თუმცა მანქანაც იმწამსვე წავიდა.

დალი ზევით იხედებოდა, განათებულ ფანჯრებს აკვირდებოდა და ისე მიდიოდა ტროტუარისაკენ. ცალი ქუსლი წყალმა დაუსველა და ელგუჯამ მკლავში ხელი მოჰკიდა გაუბედავად.

— წყალია...

— არა უშავს, შენ ტორტი არ გაგივარდეს.

— რატომ უნდა გამივარდეს, — გაეღიმა ელგუჯას და დალის ხელი გაუშვა.

—მაინც, სიფრთხილეს თავი არ სტკივა, — უთხრა დალიმ. ეს სიტყვები დამთავრებული არ ჰქონდა, როცა ელგუჯა აბორძიკდა, კოლოფი ცხელი ჭადივით აათამაშა ხელში და ტორტი ქვაფენილზე გაბრტყელდა.

— ოჰ! — იყვირა ელგუჯამ და ბევრდზე გავარდა.

— ჩემი ბრალია! — თქვა დალიმ, სიმწრით გაიღიმა და ტორტს უიმედოდ დააშტერდა.

საქციელწამხდარი ბიჭი ენაჩავარდნილი გაშშდა ერთ ადგილას, აღარც დალი იღებდა ხმას.

— წავიდეთ, ახალი ვიყიდოთ! — თქვა უცბად ელგუჯამ და გაეხარდა, ასეთი ოიოლი გამოსავალი რომ იპოვნა. მართალია, ჯიბეში არსენასავით ერთი საწყალი მანეთიანბ ეგდო, მაგრამ ამაზე იმწუთას აღარ უფიქრია.

— სად უნდა იყიდო, ეს ტორტი საგანგებოდ გავაკეთებინე! — თქვა დალიმ.

— კიდევ გავაკეთებინოთ ვიღაცაა...

— ის ვიღაცა ჩემი დაა, მთელი დამე ამას აცხობდა და წვალობდა საწყალი!

ელგუჯას მოეჩვენა, რომ დალის ცრემლები მოერია. მარტო ამის გაფიქრებაზე მოეშხამა გუნება. დალი ტირილს არ აპირებდა, მაგრამ სასაცილოდ რომ არ ჰქონდა საქმე, ადრევე ატყობდა.

— მიგქონდა სადმე? — უაზროდ ჰკითხა ელგუჯამ.

— რასაკვირველია, მიმქონდა! — გაოცდა დალი.

— სად?

— დღეობაზე. — უპასუხა ქალმა და ისევ ზევით აიხედა.

— სხვა რამე რომ ვიყიდოთ?

ეროვნული ბიბლიოთეკა

— სხვა რა უნდა ვიყიდოთ, ერთი თვეა ამ ტორტს ელოდებოდნენ, ჩემს იმედად იყვნენ.

ელგუჯა მიხვდა, რომ დაღუპული იყო და ყველაფერს გაჩუმება არჩია.

შორიახლო ვიღაცეები გაჩერდნენ. ერთმა გაბუნჩულებულმა კაცმა, თანაგრძნობით რომ იხედებოდა მათკენ, ისე მწარედ იხუმრა, რომ საერთო აღტაცება დამისახურა.

„ყველაფრის ღირსი ვარ!“ — ფიქრობდა დალი და გუნებაში ეცინებოდა.

ელგუჯა სიბრაზისაგან აღარ ვარგოდა. დაუპატიჟებელი მოქალაქის გაპუტკუნებულ ლოყაზე სილის გატკაცუნება მთლად ერჩია ყველაფერს, მაგრამ ადგილიდან ვერ იძროდა. მსუქანიც დუმდა; ანგელოზის თვალებით დაჰყურებდა ტორტს, თუმცა ყველა გრძნობდა, რომ ასე დიდხანს არ გაჩერდებოდა.

— წამოდი დავრეკოთ! — უთხრა დალიმ ელგუჯას.

— დავრეკოთ! — დაეთანხმა ბიჭი და დალის გაჰყვა. გაეხარდა, იქაურობას რომ გაშორდა, თორემ წარმოდგენა არ ჰქონდა, სად უნდა დაერეკაო.

დალის შავი კაბა ეცვა. გულისპირი, ელექტრონის შუქზე რომ ბრწყინავდა, ეტყობოდა, ვერცხლის ძაფებით იყო მოსადაგებული. მარჯნის ყელსაბამი ეკიდა და მაჯაზე მსხვილი, ლალისფერი სამაჯური ჰქონდა. დალი რომ უფროსი იყო, არასოდეს ელგუჯას ასე ნათლად არ უგრძვნია.

— მე იქ მიმსვლელი აღარა ვარ, მაგრამ დავრეკავ, ტყუილუბრალოდ რომ არ მელოდონ. — თქვა დალიმ.

— რატომ არ უნდა მიხვიდე... ბოლოსდაბოლოს მე წარმოვალ და ვიტყვი, რაც მოხდა. ყველაფერს დავიბრალებ, თუმცა რაღა დაბრალება მჭირდება!

დალის უცბად გაეცინა და ელგუჯას ვულზე მოეშვა.

— ჯობია დავრეკოთ! — დაეჯიბეთ გიმეორა დალიმ.

ტელეფონი ვერც ისე იოლად გამოძებნეს, როგორც ეგონათ, თუმცა ბეერიც აღარ უძებნიათ. დალიმ თქვა, სულ არ არის დარეკვა აუცილებელიო.

— რომ არ მივალ, ვეღარ გაიგებენ?!

— არასოდეს ასეთი რამე არ დამმართნია! — თქვა გაკვირვებულმა ელგუჯამ.

— ასეთი რამე სად უნდა დაგმართოდა, ხშირად გაწოდებენ ტორტებს?

— თუმცა ესეცაა...

დალიმ მდუმარედ, მაგრამ საქმიანად განაგრძო გზა. სად მიდიოდა, ელგუჯამ არ იცოდა და ქალიც არაფერს ამბობდა. ალბათ ისევ ტორტს მისტიროდა და ლაპარაკიც აღარ ღირდა.

— ასე აღრე რომ დაბრუნდები, სახლში რას იტყვი? — ფრთხილად იკითხა ელგუჯამ.

— ჩემს დას რა გადაურჩება... — გაეღიმა დალის. — შინ არც მივდივარ. კაფეში ხომ არ შევიდეთ... ისე მინდა ჩაის დალევა, ვერ წარმოიდგენ.

— შევიდეთ. — ანგარიშმიუცემლად უპასუხა თავზარდაცემულმა ელგუჯამ.

— უხერხული არ იქნება?

— რატომ იქნება უხერხული... — წაილუღლუღა ელგუჯამ და ფრთხილად ჯიბე მოიქექა, ის მანეთიანიც ხომ არ დამიკარგავსო. დაჩონჩილი ფული საიმედოდ იდო ჯიბეში, მაგრამ ამ ალმოჩენას ნუგეში არ უცია.

— ფული მე მაქვს, ნუ გეშინია! უთხრა დალიმ.

— ფულზე არაა საქმე...

კაფეში დიდხანს არ გაჩერებულან. მხოლოდ ყავა შესვეს. დალიმ ნამცხვარი გაიცქნა, სასტიკად არ მოეწონა და შოკოლადი მოიითხოვა. ელგუჯას ოფლი გადასცდა, დალიმ უხასიათობა შეამჩნია და უთხრა: კონიაკი დალიე თუ გინდა, მე რას მიყურებ. სასმელს ვერიდები. წონას ვიცავო, თქვა ელგუჯამ და მეასედ გადაინგარიშა დანახარჯი. ფულს ჰყოფდა, ამატებდა და ხვდებოდა, რომ მანეთი და ის ხურდა, რომელიც შემოხ-

---

რეჯო ჰეიშვილი
დ ა ლ ი

ვეკვით პიჯაკის გულის ჯიბეში საბუთებთან ერთად აღმოაჩინა, საქმეს არ უშველიდა. რაც იყო, იყო. რაღა უნდა ექნა. მომტანს დაუძახა. ახალგაზრდა ქალი უდარდელი ღიმილით მოადგა სუფრას და ელგუჯამ იმწამსვე იგრძნო, როგორ ჩაუდო ჩუმად ხელში დალიმ ფული.

როცა კაფედან გამოვიდნენ ელგუჯამ დალის ტყავის საფულე გამოართვა, მორჩენილი ხურდა, ოიმელიც სხვების დასანახავად შეინახა ჯიბეში, ამოიღო და საფულეში ჩაალაგა. ამ მანიპულაციისათვის დალის ყურადღება არ მიუქცევია, მინიატურული საფულე ცხვირსახოცთან ერთად დაიკავა და ელგუჯას სთხოვა, თუ არ გეზარება, ბარემ ერთ ადგილზეც მიმყეევო.

ხელი მიდიოდხეს ზეყით. ვიწრო ქუჩაში აკაციის ხის ყვავილების სუნი იდგა. დალი ლაპარაკობდა და მალე იღლებოდა. აეღმართებინათ, მაგრამ იფიქრებდი, ლაპარაკი ღლის და — არა გზაო.

— აქ აკაციის ყვავილების სუნი დგას! — თქვა დალიმ და შეისვენა.

— არ გითხარი თუ არა, დიდიხასია ეს სუნი მცემს. ფუტკარს უყვარს ძალიან აკაციის ყვავილი...

ამასობაში იმ უბნისათვის საკმაოდ შეუფერებელ, მაღალ სახლთან შეჩერდნენ. ბნელ ქუჩაში ამოსულიყვნენ. ფანრები მხოლოდ აქა-იქ ბეუტყვდა და სახლის სადარბაზოც ჩაშავებული იყო. მხოლოდ საცხოვრებელი სახლების ბინებიდან გამოსული შუქი ანათებდა იქაურობას.

— როგორ ბნელა, აქ რა შევა! — თვალები წაჭუტა დალიმ.

— აქ არა ვარ! — უთხრა ელგუჯამ.

— შეიძლება დამაგვიანდეს, აძიტოს ვერ გეუბნები, დამიცადეთ-თქვა... ნათესავები არიან და ვიცი, მალე არ გამომიშვებენ. დიდიხანია არ ვყოფილვარ. ისე ვიცდები, მალე გამოვიდე. მაგრამ თუ შემაგვიანდეს, ნუღარ დამელოდები!

— როდესაც იქნება ხომ გამოგიშვებენ მანდ რჩები?

— არა. — გაეცინა ქალს.

— მაშინ არსად არ მივდივარ!

— აბა არ გემშვიდობები... ცოტა თვალი გამომაყოლე, არაგინ მომიტაცოს...

დალი სიბნელეში გაუჩინარდა და ქუსლების ხმაც სადღაც ახლოს მიწყდა. კარიც გაიღო და ზევით სინათლის ვიწრო ზოლმა გარდიგარდმო გადაკვეთა კიბე და მოაჯირი.

როცა ელგუჯამ დალი სამშვიდობოს დაიგულა, გარეთ გამოვიდა და ზევით-ქვევით დაიწყო სიარული. ისევ წამოშხეფა და გამშრალი ასფალტი თავიდან დაჭორფლა, მაგრამ წვიმა ისევ მოულოდნელად შეწყდა, როგორც წამოვიდა.

დრო მიდიოდა. დალი არსად ჩანდა; ეტყობოდა, ქალი არც თუ ტყუილუბრალოდ იხდიდა ბოდიშს წინასწარ. უკანასკნელმა დაგვიანებულმა მგზავრმაც გაიარა. მოპირდაპირე სახლების ფანჯრებში რიგრიგობით ქრებოდა სინათლე. ელგუჯა დაიღალა, ფეხზე ჩამოწყდა. ბოლოს ქვაზე დაჯდა, მაგრამ დიდხანს ვერც ასე გაჩერდა. საკვირველი იყო, რას აკეთებდა დალი აქამდე? ვისთან იყო, ვინ იცის? იქნებ ამხანაგებთან ერთად თავს იქცევდა და ყველანი ელგუჯას დროდადრო ფანჯრიდან დასცქეროდნენ და დასცინოდნენ. ელგუჯამ ბევრი ათვალიერა სახლის ფასადი, მაგრამ საეჭვო ვერაფერი შენიშნა. დალი მაინც არ ჩანდა. ცოდნოდა მაინც, რა დრო იყო. რა ხანი იცდიდა? იქნებ წუთი საათად გადაიქცა და არც ისეთი გვიანი იყო. შეიძლება თენდებოდა კიდეც. ამ ფიქრებში ელექტრონის ბოძს მიეწვა ზურგით, რაღაცამ შეაკრთოლა და გვერდზე გახტა. „დენმა დამკრა, თუ რა იყო?!“ — გაიფიქრა მან. ხის სვეტს ხელი ფრთხილად მიადო და რაღაცამ ისევ გაცრა. სველ ხეს სუსტი, ცალფა დენი მოჰყვებოდა საიდანღაც.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საშინლ არაფერი იყო, მაგრამ მაინც მოშორებით გაჩერება ჯობდა.

სადარბაზოდან ნაბიჯების ხმა მოისმა. ბეტონის კიბეზე ქალის ფეხსაცმელი კაკუნებდა. დალის მეტი ვინ იქნებოდა. ელგუჯა გვერდზე გავიდა და სახლის კედელს მიეფარა.

გარეთ გამოსულმა დალიმ სწრაფად, შიშით მოათვალიერა იქაურობა, როცა ვერავინ დაინახა, უკანმოუხედავად დაეშვა ქვევით.

როცა ელგუჯამ საფარი მიატოვა, ქალი უკვე კარგაძალზე დაწინაურებულიყო. ბიშენა მხოლოდ დალის ზურგი დაინახა და გაუკვირდა, ასე უცბად საღ გავარდაო. იგი მეორე ტროტუარზე გადავიდა და მარტოდმარტო მიმავალ მგზავრს მალე წამოეწია.

ნაბიჯების ხმაზე დალიმ ფეხს აუჩქარა. შემდეგ თითქმის გაიქცა, მაგრამ, უცნობს, რომელიც ფეხდაფეხ, თითქმის ზურგზე მიკრული მიჰყვებოდა, ვერსად დაუხსნლა. დალიმ ამდენიც ვეღარ მოითმინა, შეჩერდა და თავგანწირულად მოიხედა უკან.

— შენ ხარ?... არ გრცხვენია?... იცი, როგორ შემაშინე?! რატომ არ დამიძახე? იცი, რა ცუდად მაქვს გული? მეგონა, ვიღაცა ამედევნა-მეთქი... უკანაც ვერ ვიხედებოდი, არაფერი ვაფიქრებინო-თქვა...

— აქამდე სად იყავი?

— აღარ გამომაშვეს, ხომ გითხარი, აღარ დამელოდო-თქვა...

— შენ კი მითხარი. მაგრამ მეც ხომ ვთქვი, დაგიცდიო... რატომ იფიქრე, რომ წავედი?

— სხვათაშორის, ძალიან გამიკვირდა...

დალი უკვე ჩქარობდა და ელგუჯამ გზადაკარგული ტაქსი გააჩერა. დალი სახლამდე მიიყვანა. უკან გამობრუნდა თუ არა, მისი ფინანსებიც დაილია. ცოტა მძღოლსაც ხომ უნდა დარჩენოდა, რასაც დაწერდა, ზუსტად იმის მიცემას ვინ იკადრებდა. მანქანა გააჩერა და ძირს ჩამოვიდა. ტაქსი ცარიელი წავიდა ზუსტად მისი სახლისაკენ, ელგუჯა კი ფეხით იარა, კინაღამ დილამდე.

თავი ოცდაშვიდი

დალი შელია რაპდენჯერმე, თითქმის ძალით მიიყვანეს სასინჯ გადაღებაზე. არაფერზე არ ეტყობოდა, რომ იქ მისვლა უხაროდა. სამაგიეროდ, უარსაც არ ამბობდა, თითქოს სხვა გზა არ ჰქონდა. რეჟისორი ბრაზობდა, თავი დაანებეთ, რას ეხვეწებითო, მაგრამ დალის თვითონვე ურეკავდა, მორიდებით ელაპარაკებოდა და საკუთარ მანქანას და ახალ დელეგაციას უგზავნიდა. არწუნებდნენ, სულერთია გადაღების დროს გაგვწამებსო. რეჟისორი კვერს უკრავდა, მართალი ხართო და სხვა უარეს შემთხვევებს იხსენებდა საკუთარი პრაქტიკიდან; შემდეგ თითქოს სხვების ნერვების მოსაშლელად, დალის დიდი ამბით ეგებებოდა და მხიარულ ხასიათზე დგებოდა.

დალი იშვიათად თუ ამოიღებდა ხმას. უარის თუ დასტურის ნიშნად იღიმებოდა მხოლოდ. უზარმაზარი პავილიონი, პროჟექტორების შუქი და ათეულ ადამიანთა ყვირილი და ფუსფუსი მასზე არავითარ შთაბეჭდილებას არ ახდენდა. სინამდვილეში სადღაც ყველაფერი მოსწონდა; უხაროდა, მის გარშემო რომ ასეთი აურზაური იდგა. სამაგიეროდ, დანაშაულის ასეთი მძაფრი გრძნობაც არასოდეს არ ჰქონია. მისი ფიქრით, ეს იყო ერთ-ერთი აკრძალული გზა — ადრე თუ მალე დანაშაულამდე რომ მიიყვანდა. რამპების შუქზე ისე თავისუფლად და სასხვათაშორისოდ იდგა, თითქოს წინასწარ იცოდა, მოსახდენი მოხდებოდა და წინააღმდეგობას აზრი არ ჰქონდა. მის ტოლ ქალებს და ასაკგადაცილებულ მამაკაცებს არ უყვარდათ ეს „ქედმაღალი“ ადამიანი. დალი ამას გრძნობდა და გულებში ეცინებოდა.

ერთ დღეს დაფიქრებული გამოვიდა

რეჯო ჯეიშვილი
დ ა ლ ი

ეროვნული ბიბლიოთეკა

პავილიონიდან და იმწუთას რკინის ჭიშკართან ელგუჯა დაინახა. თითქოს საგანგებოდ ელოდებოდა. არც გაპკვირვებია, რადგან რამდენჯერმე გიგის მანქანით დაბრუნდა იგი შინ.

ელგუჯას დანახვა დალის ახლა უფრო გაეხარდა, ვიდრე ოდესმე. იგრძნო, რომ ეს კაცი ერთადერთი ახლობელი ადამიანი იყო ამ უსულგულო დაწესებულებაში. უკვე ეცინებოდა, როცა ბიჭს ხელი არომევდა.

— კიდევ გადაგიღეს? — ღიმილით ჰკითხა ელგუჯამ.

— ან მე შევიშლები. ან იმათ გადავრევ, მანქანით ხარ?

— კი.

— უნივერსიტეტამდე მიმიყვან?

ელგუჯამ არაფერი უპასუხა. ქალმა თვითონვე იგრძნო, ამ კითხვის უსაფუძვლობა.

ელგუჯამ ფრთხილად მოატრიალა მანქანა ვიწრო მოსაქცევლში, ქუჩაში გავიდა და მარჯვნივ გაუხვია. დალი უკან იჯდა და ფანჯარაში იხედებოდა. გზაჯვარედინზე ტროლეიბუსი გაეხიდა. ელგუჯამ მანქანა დაამუხრუჭა, დალი წინ შექანდა, ბიჭს შეხედა და ახლალა მიხვდა, რომ ორნი იყვნენ; საკუსთან ელგუჯა იჯდა და არა გივი. მართალია, ელგუჯას გარდა მანქანაში ადრეც არავის დაუნახავს, ადამასავლელთან ფრთხილად წადიო, უნდოდა კიდევაც ეთქვა, მაგრამ ეტყობოდა, გონება ამის ფიქსირებას არ ახდენდა. ელგუჯას შორამდა გაუკვირდა, მოეწონა კიდეც; რატომღაც წყნარად ამოიოხრა, სავარძელზე გასწორდა, უფრო მოხერხებულად მოკალთადა და საზურგეს მიაწვა, რათა მაინცდამაინც თვალში არავის შეჩხეროდა.

„ვოლგა“ მალე გაშორდა უნივერსიტეტს.

ელგუჯა ელოდა. ქალი აგერ-აგერ მეტყვის გაიჩერეო, მაგრამ უკნიდან ჩამჩუმი არ ისმოდა. გაცდნენ სტუდენტებს, ეაკის სასაფლაოს, ბაგებს ..

— კი მაგრამ საღ მიდიხარ? — მშვიდად იკითხა დალომ, როცა ქალაქი მიტოვებული ...

ელგუჯამ გაზს დაუკლო და მანქანა გზის პირას მიაყენა. ქვევით ხრამში პატარა მდინარე ჩაკარგულიყო გადმაგამოდა ხრიოკი ფერდობები და საბუთალოს სასაფლაოს კონტურები მოჩანდა.

— წავიდეთ სადმე. — ყრუდ თქვა ელგუჯამ.

— მაინც სად?

— სადაც იტყვი, გინდა სულ დავტოვოთ აქაურობა!

სიჩუმე დადგა. ქალის პასუხზე ფიქრიც ზედმეტი იყო, რადგან დალი საერთოოდ აღარ იღებდა ხმას. ბიჭს უკან მიხედვისაც ეშინოდა. სარკეში მხოლოდ ქალის სწორი თმა ჩანდა და ბეტი არაფერი. შეიძლება დალი ქვევითაც იხედებოდა და ელგუჯას ხმა სულაც არ ესმოდა.

— სანამდე უნდა ვიყოთ აქ? — თქვა ბოლოს დალომ.

ელგუჯამ მოტორი ჩართო.

— სად მიგიყვანო? — იკითხა მან საკმაოდ ხმამაღლა და ნეტავი რა მაყვირებსო, — გაიფიქრა გაოცებულმა.

— სადაც გინდა, მხოლოდ ათ საათზე შინ უნდა ვიყო! — თქვა დალომ.

ელგუჯამ ხეირიანად ვერ გაიგო, რას ნიშნავდა ეს სიტყვები, მაგრამ ბევრიც აღარ უფიქრია. მანქანა ადგილიდან მოწყვიტა და მთელი სიჩქარით შეუყენა ალმართს.

ელგუჯას ჯიბეში წყნეთის ერთი აგარაკის გასაღები იდო. გასაღები იმ დილით ამხანაგ მსოფლიო ჩემპიონის გამოართვა. ჩემპიონი პირველად არ ანათხოვრებდა კლიტეს და ელგუჯასათვის არც უკითხავს, რად გინდაო, მხოლოდ რამდენიმე წვრილმანი რჩეკა-დარიგება მისცა, რომელიც მხოლოდ და მხოლოდ სახლის ათვისების ტექნიკურ მხარეს შეეხებოდა.

წყნეთში ჯერ გრილოდა. დამსვენებლების ჭაჭანება არ იყო, მაგრამ ქალმა

ეროვნული ბიბლიოთეკა

შეჩერებაც არ ისურვა. კოჯრის გზა მოიარეს და ისევ წყნეთში დაბრუნდნენ.

ადრე ჩამობნელდა, ეტყობოდა, საავდრო ღრუბლები ჩამოწვა.

ელგუჯამ მანქანა აგარაკის ჭიშკართან გაჩერა.

— შეავიდეთ შინ. — გაუბედავათ თქვა მან

— სად მეპატიჟები?

— სახლში.

— ვისას?

— რა მნიშვნელობა აქვს!

დალი გაჩუმდა. ბიჭიც გაილურსა. ეგონა, ახლა თავზე მეხი დამატყდებაო.

— შეავიდეთ, თუ ასე ძალიან გინდა.— თქვა დალიმ.

ელგუჯა წახდა. სახლის კარს რომ აღებდა, ხელები უკანკალებდა; უკვე აღარ იცოდა, რატომ, რისთვის მოვიდა აქ. წარმოდგენა არ ჰქონდა, რა უნდა ჩაიდინა, რა უნდა მოემოქმედა. სამგალეოდ, აღტაცებული იყო და უკან დახევას არამც და არამც არ აპირებდა. ამ საღამოს ან გაიმარჯვებდა, ან სამუდამოდ დაკარგავდა ყველაფერს.

ნაზამთრალ ოთახებში ჩახუთული სუნი იდგა. ელგუჯამ დარაბები და ფანჯრები დააღო. ელექტრონის შუქი შეგნებულად არ ჩაურთავს.

დალი ღია ფანჯარასთან გაჩერდა. ეზოში ალუბლის ბაღი იყო. მესერს იქით გზა, ფერდობი და ტყე მოჩანდა. უმთავარი ღამე დგებოდა. ღრუბლები ქვევით და ქვევით მოდიოდა. ჰაერი ისე დაიშნიხა, ადამიანს სული შეუგუბდებოდა. ფრინველები და ცხოველები მიყუჩდნენ. მოულოდნელად ელვამ დაიკვეხა და ბნელი ოთახი გაანათა. დალიმ უკან დაიხია, ერთი წამით სახეზე ხელები აიფარა.

— ახლა თავსხმა წვიმა წამოვა! — თქვა ელგუჯამ.

— რატომ მომიყვანე? — ჰკითხა ქალმა.

ელგუჯამ ხმა არ გასცა. სიბნელეში დამტვერილი სკამი მოძებნა და ქალს დაუდგა. დალი არ დაჯდა, იგი ისევ გარეთ იცქირებოდა.

— შენი ქმარი მალე ჩამოვა? — იკითხა ელგუჯამ.

საეჭვო იყო, რომ სხვას კიდევ ვინმეს ამ მომენტში ქალის ქმარი ეხსენებინა.

— არა. — უთხრა დალიმ. იგი კარგად მიხვდა, რატომ გაახსენდა ელგუჯას ქმარი, მაგრამ იმ დღეს ყველაფერი ისე უცნაურად და უჩვეულოდ წაეწყო ერთმეორეზე, რომ ამ უადგილო შეკითხვისათვის ყურადღება აღარ მიუქცევია.

— გენატრება? — ნამეტანი მოინდომა ელგუჯამ.

— არა. — უპასუხა დალიმ.

— რატომ?

— არ ვიცი.

— ცუდად გეპყრობა?

— ვინ გითხრა, რომ ცუდად მეპყრობა? — იკითხა დაეჭვებულმა ქალმა.

— არავის არ უთქვამს, მე თვითონ გკითხე.

— ხალხს ზედმეტი ლაპარაკი უყვარს და ამიტომ... ისე, მართლა ცუდად მეპყრობა, მე არ მეშინია ამის თქმის.

— მაინც?

— ხომ არ გგონია, ან მცემს, ან მაგინებს... არასოდეს თითი არ დაუკარებია, ერთი ხმამაღალი სიტყვა არ უთქვამს. მაინც ცუდად მექცევა. ვერ გეტყვი, როგორ და რანაირად... ასე მგონია, იმ კაცის ხელში ერთი სიხარული არ მინახავს...

— ვინ არის, რა კაცია?

— რად გაინტერესებს?

— თუ არ გინდა, ნუ იტყვი.

— საშხატერო აკადემია დაამთავრა. მხოლოდ, მგონი, დიპლომი არ დაუცავს... სულ ბავშვი ვიყავი, რომ შემირთო, მეშინოდა და შეიძლება მიყვარდა კიდეც...

— ახლა?

— შეიძლება ახლაც მიყვარს...

რეჯო ჭეიშვილი
დ ა ლ ი

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ციხეში რატომ ზის?

— კარგი კაცობისათვის...

— შენ არაფერი არ იცი?

— რატომ არა. პირველად ყალბი დიპლომების გაკეთებისათვის დაიჭირეს. მერე მანქანების დატაცებისათვის. რაც მთავარია, როცა ერთად ვართ, ერთმანეთის არ გვესმის... ახლა კი ისე გადავეჩვიე, რომ ჩამოვა, აღარ ვიცი, როგორ უნდა მოვიქცე...

ოთახი ელვამ გაანათა და მერე მეხაც დაიგრიალა საშინლად. ქალმა შეჰკივლა და მოტრიალდა. ელგუჯამ მკლავზე ხელი მოჰკიდა, ქალი ვაჟს ჩაეკრო, მაგრამ სწრაფად გამოფხიზლდა, და გვერდზე გავიდა. ელგუჯამ ხელები დაუჭირა. გარეთ ელავდა და გადაბმულად გრუხუნებდა; რკინის ცაზე ქვემეხები დაგორავდნენ.

— ნუ გეშინია! — ამბობდა ელგუჯა.

— ხელი გამიშვი! — ეხვეწებოდა დალი.

გარეთ გაბმულად ელავდა. ვერცხლისფერი ხაზი ღია ფანჯრის მინაზე იკლაკნებოდა და ოთახს ანათებდა.

მარჯვენა ხელი ელგუჯამ დალის ახლა წელზე მოხვია. ქალი არ დანებდა, გაქცევა დააპირა. ელგუჯა საკოცნელად მიიწევდა, ქალი სახეს არიდებდა და ერთთავად ცახცახებდა.

— ისე გძულვარ, რომ ახლოსაც არ მიკარებ? — თქვა ხმაწართმეულმა ელგუჯამ და იმწამსვე ინანა, ასეთ საცოდავ ხერხს რომ მიმართა.

— ძალიან კარგად იცი, რომ არ მძულხარ... ამდენს ვერავინ ვერ გამიბედავდა... ახლა თავი დამანებე! — წამოიძახა ქალმა და ვაჟს დაუსხლტა, კარი გააღო. ახლა ღია კარიდან შემოვარდა ელექტრონის შუქი და იმწამსვე ისე ზათქით იგრიალა, თითქოს ცა ჩამოინგრა. დალიმ ისევ შეჰკივლა, მაგრამ აღარ შეჩერებულა, სირბილით ჩაათავა ხის კიბე და ჭიშკარს ეცა. წვიმამაც დაუშვა.

გაბრუებული ელგუჯა ერთხანს უაზროდ იდგა ოთახში. რა მოხდა? რა გააკეთა? იხსენებდა და ვერც იხსენებდა. ბოლოს ფანჯარა და კარი ჩაკეტა. პიჯაკის საყელო აიწია და კიბე ჩაირბინა. დარწმუნებული იყო, ქალი სადღაც გადაიკარგაო, მაგრამ დალის გაქცევა სულ არ უფიქრია. ღობესთან აბუზულიყო და სველდებოდა.

ელგუჯამ ჭიშკარი გადაკეტა და მანქანის კარი გააღო. დალი სწრაფად შევიდა მანქანაში, დაჯდა და სველ თმაზე ხელი ჩამოისვა. ელგუჯა საჭესთან მოკალათდა. კარიც მოიხურა და რაღაც საშინელი თქვნა წამოვიდა. ფერდობებიდან ნიაღვრები მოსცდა და ასფალტის შარა გადარეცხა, გზაზე ღორღი და ფიქხი ჩამოტანა. ელგუჯამ ფარები აანთო. სინათლემ ძლივს გაატანა უკუნეთში. წვიმის მიწყდომამდე ადგილიდან დაძვრა არ ღირსო, გაიფიქრა მან. წასვლა კი შეეძლო, მაგრამ იქ ყოფნა ეეჩრა და ყველაფერი უამინდობას დააბრალა, თუმცაღა წასვლაც არავის დაუძალებია. უკნიდან ძუს სუნი სცემდა. კუთხეში სველი დალი შრებოდა და თმას ივარცხნიდა. ელგუჯამ შუქი გამორთო და სავარძლის საზურგეს მიაწვა. პაპიროსი მოუნდა. ასეთ სურვილს სხვა დროს მაინცდამაინც არასოდეს შეუწუხებია. მაგრამ ახლა თავგამოდებით ჩხრეკდა მანქანის შალითის ჯიბეებს, იქნებ გივის სიგარეტის ღერი დარჩა სადმეო. სიგარეტით ნახეკრად სავსე კოლოფი მართლა მოიძია, ღერი ამოიღო, მოუკიდა და გააბოლა. ფანჯარა ოდნავ ჩამოსწია. რათა ბოლისათვის გზა მიეცა. ზემოდან წყლის მდინარე მოდიოდა.

„როდის ეწეოდი შენ პაპიროსს“ — უნდოდა ეკითხა დალის, მაგრამ ხმა არ ამოუღია.

— მე თუ რამე დავაშავე ბოდიშს ვიხდი! — უკანმოუხედავად თქვა ელგუჯამ.

ბოდიშს კი იხდიდა, მაგრამ დალიս მაინც მოეჩვენა, რომ ბიჭი ძალიან უდარდელად, გამარჯვებული მამაკაცივით აბოლებდა და უკანაც არ იხედებოდა. სწორედ დღეს იგრძნო, რომ ელ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

გუჯა რაღაცით მასზე მაღლა იდგა და თვითონ საცოდავად, შეიძლება სასაცილოდაც კი გამოიყურებოდა.

დალი არც კითხულობდა, რატომ იდგნენ ერთ ადგილზე. ოდნავ მოკუნტულიყო, გრილ მინაზე სახე მიედო და ბარეთი იყურებოდა.

— საოცარი ამბავია, — დაიწყო მოულოდნელად ელგუჯამ. — სოფელში ხანდახან კვირაში ერთხელ ქორი გადმოიფრენს და ქათმები ისეთ საშინელ კრიახს ატეხავენ, გეგონება, მეორედ მოსულაააო. საწყალი ქორი წელიწადში ერთხელ ერთ ჭირიან წიწილს თუ მოიტაცებს და იმახზეც ქვეყანა იქცევა, მაშინ, როცა ადამიანი ყოველდღე ვინ იცის რამდენ ქათამს იჭერს და კლავს... ქათამს მაინც ქორი სცემს თავზარს. ადამიანს კი, რომელიც ქათმის ჯიშს ანადგურებს, არ გაურბის...

— რატომ გაგახსენდა? — დაინტერესდა ქალი.

— რატომ და... ახლა შენ ელვამ და მეხმა კინაღამ გული გაგიხეთქა... საერთოდ, დაკვირვებული ვარ, მაგარი ქეჟა-ქუხილის ყველას ეშინია, დამეხილი კაცი კი ჯერ არსად მინახავს. ეს მაშინ, როცა ჩვენს ირგვლივ ყოველი ფეხის ნაბიჯზე საფრთხეა. ამასწინანდელ გაზეთში წავიკითხე, რომ ახლა ელექტროდენსაგან კვდება უფრო მეტი ადამიანი, ვიდრე სხვა უბედური შემთხვევებისგანო. ამერიკის შეერთებულ შტატებში გასულ წელს ელექტროდენისაგან მომკვდარა ოცდაშვიდიათას ექვსასი კაცი. აქედან უმრავლესობა სამზარეულოში დაღუპულა. ელექტროდენია ყველგან ჩვენს გარშემო, რომელსაც ყურადღებას არ ვაქცევთ და ქათმის არ იყოს, მეხის გვეშინია. როგორი ძლიერია ჩვენში წინაპართა ინსტიქტები... რა შუაშია მეხი! ტყუილს ვამბობ?...

— თუ ძალიან გაინტერესებს, ჩემი ბიძა მეხმა მოჰკლა. წვიმიან დღეს ხეზე გასულიყო და ცულით ტოტებს სხეპავდა. თვითონ მე, შენი უფრო მეშინია, ვიდრე ელექტროდენის და ძეხის. როცა პირველად დაგინახე, მივხედი, რომ უბედურებას მომიტანდი. ახლა რა უნდა ვქნა?.. რაც მოსავალია, ისედაც მოვა! — თქვა დალიმ.

თავი ოცდაშვიდასმე

მეორე დღეს ელგუჯა დროზე ადრე მივიდა უნივერსიტეტში. იწრიალა, მერე ძირს ჩავიდა და სამეცნიერო-სამკითხველოს წინ ფანჯარასთან გაჩერდა. არ იცოდა, როგორ, რა პირით უნდა შეხვედროდა დალი შელიას. წინა დამით დალი დაეშვიდობებლად ჩავიდა მანქანიდან და უკანაც არ მოუხედია. ელგუჯას ეშვიც არ ეპარებოდა, საქმე რომ ცუდად იყო.

— ყველაფერი წუხელის დამთავრდა. თუ კიდევ რაიმეს იმედი უნდა ვიქონიო? — ფიქრობდა იგი. ისიც არ იცოდა, დალი სამკითხველოში იჯდა თუ არა. ისე ალაპლეფზე იცდიდა. დარბაზში შეხედვისაც ეშინოდა. ჯობია ხვალ ვნახო, ან ზეგ! — გადაწყვიტა მან და ისიც იყო წასვლაც დაპირა, რომ სამკითხველოს კარი გაიღო და დალი გამოჩნდა. ქალი პირდაპირ ელგუჯასაკენ წამოვიდა დაბარებულივით.

ელგუჯა აფორიაქდა. ხელები შარვლის ჯიბეში ჩაიწყო და კედელს მიეყრდნო.

დალი ღიმილით მოდიოდა. რამდენჯერმე კინაღამ გაეცინა და ტუჩზე ხელი აიფარა. ისე იქცეოდა, თითქოს წინა დღით მომზდარ ძალიან სამხიარულო ამბავს იხსენებდა.

„ამ ქალის ვერ გავიგე ვერაფერი!“ — გაიფიქრა ელგუჯამ და თვითონაც გაეცინა.

— სალამი.

— გამარჯობა.

— ხომ კარგად?

— გმადლობთ.

დალი ფანჯარასთან გაჩერდა და რაფაზე დაყრილი ელგუჯას ჟურნალები

რეზო ჭეიშვილი
დ ა ლ ი

გადაათვალიერა. სათითაოდ დახედა ყველა ყდას.

— გინდა გაჩვენო ჩემი სურათი? — ჰკითხა ელგუჯამ.

— გუშინ გავცივდი მგონია; სადაა შენი სურათი?

— სად გაცივდი?

— ოპერაში.

— როგორ გაცივდი? — გაეღიმა ელგუჯას.

— მოვახერხე შენი წყალობით; ესა ხარ?

— მე მგონი, კი.

დალი ჟურნალში დაბეჭდილ ფოტოს დააკვირდა. ელგუჯა ვიღაც თავმოტეხილებულ კაცს ფეხით მიათრევდა ხალიჩაზე. თმაგაცვენილი ლეიბის კუთხეს ეპორწყიალებოდა. გვერდით დაბალი ტანის მსაჯი და მაგიდის თუ სკამის ფეხები ჩანდა. დალიმ ცოტა ხანი უყურა სურათს და მერე ჟურნალი უყურადღებოდ გადაფურცლა.

— ამ საღამოს სად იქნები? — ფრთხილად შეეკითხა ვაჟი.

— შინ.

— ხვალ?

— ხვალაც.

— აბა როდის გნახავ?

— რატომ უნდა მნახო?

— საქმე მაქვს.

— თქვი მერე, აქ არა ვარ.

— გაშორდი ქმარს და ცოლად წამომყევი!

— რას ბრძანებ!

ელგუჯას უცბად გაეცინა. ვერ გაიგებდი, თავის ნათქვამი მოეწონა თუ ქალის პასუხმა გაამხიარულა. დალი ფანჯრისაკენ შეტრიალდა. ახალი ჟურნალი აიღო და დაკვირვებით დაიწყო თვალიერება.

— სერიოზულად გელაპარაკები! — უცბად დადინჯდა ელგუჯა.

ამ სიტყვას უკვე გრძელი პაუზა მოჰყვა. დალი აუჩქარებლად, თითქოს დიდი ინტერესით ფურცლავდა ჟურნალებს, მაგრამ წინ მხოლოდ ფერადი ქაღალდების გროვას უყურებდა, მეტს ვერაფერს.

ელგუჯას პაპიროსის მოწევა მოუნდა. დიდხანს აფათურა ჯიბეში ხელი. ასანთის მეტი ვერაფერი აპოვნა და სიგარეტი ვიღაც გამვლელს სთხოვა. იქვე მოუკიდა და მერე ისევ ფანჯარასთან გაჩერდა.

— შენ, ბიჭო, პაპიროსის წევა არ დაიწყო! — გააფრთხილა დალიმ.

— რაც გითხარი, იმაზე რა პასუხს მაძლევ? — გარკვევით თქვა ელგუჯამ და გაუკვირდა, როგორ თავისუფლად ვლაპარაკობო.

— სხვაგან არ ხატიხარ სადმე? — ჰკითხა ქალმა.

— სხვაგან არა.

— სამწუხაროა.

— ძალიან.

დალიმ გაიღიმა, ელგუჯას ახედა და უცბად მოიწყინა.

— შენ ხომ არ გგონია, რომ ვიცინი, ძალიან კარგ ხასიათზე ვარ... დღეს ისე გამაბრაზა ერთმა სტუდენტმა, რომ სულ ეცახცახებ... ა, ნახე!

დალიმ ხელი წინ გასწია და თითებს დააკვირდა.

— ბიჭმა? — იკითხა ელგუჯამ.

დალი ვიღაცას მიესალმა.

— ბიჭი იყო?

— დიახ, ბატონო! — სწრაფად უთხრა დალიმ.

— მაჩვენე ერთი რომელია!

— რად გინდა?

— ვნახო ისე...

— სცემ?

— ცემა რა შუაშია!... — მრავალმნიშვნელოვნად ჩაილაპარაკა ელგუჯამ.

— ასე იოლად რომ ვამბობდე მე ყველაფერს, ამდენხანს შენს გამლახავსაც ვიშოვნიდი, ჩემო კარგო! — უთხრა დალიმ.

ელგუჯა უცბად წამოიენთო. გაახსენდა, როგორ სცემა ერთხელ ალფეზა მაჩაბელმა. „ფაქტიურად მე გავლახე, დავუმტვრიე თუ არა გვერდები... იმან გაზეთი გამარტყა!“ — გაიფიქრა მან,

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაგრამ ამ მსჯელობას ნუგეში არ უცია.

— გეწყინა რამე? — ჰკითხა დალიმ.

— რა უნდა მწყენოდა.

— აბა, რა ვიცი!

ორთავენი გაჩუმდნენ. დალი დაღლილი, მოწყენილი თვალებით იყურებოდა ფანჯარაში.

— გახსოვს რა გითხარი?

— კი.

— მერე?

დალის ხმა არ გაუღია.

— მე ამ ორ დღეში ისევ შეჯიბრზე დამიძახებენ და მანამდე კიდევ მინდა მოგელაპარაკო. — თქვა ელგუჯამ.

— მხოლოდ აქ არა, თუ გიყვარვარ, ამ შენობაში მეტჯერ აღარ გამაჩერო... უკვე ყურადღებას გვაქცევენ... ადგილი დათქვი და თუ მოვახერხე, იქ მოვალ, დამირეკე, ახლა კარგად იყავი!

დალიმ რაფაზე მიყრილი ჟურნალები ერთმანეთზე დააწყო, კუთხეში მისწია და წავიდა.

დალი ფეხით მიდიოდა შინ. ნელა, თავდახრილი მიაბიჯებდა. ვიწრო ქუჩები გაცრეცილ ფილქანზე კაკუნებდა. გაზაფხულის თბილი საღამო იყო. ნიავი არ უბერავდა. ხის ფოთოლი რაა, ისიც არ იძროდა. წყნარად, გაუნძრევლად იდგნენ დიდი ჭადრები.

დალი თითქოს ძილუტარანში იყო. როგორც გაზაფხულის პირას მზეზე გამოსული შეციებული კაცი, ისე გრძნობდა სითბოს. ეს სითბო აბრუებდა, ათბობდა. არავის ყურადღებას არ აქცევდა. მანქანები, ტროლეიბუსები და ადამიანები მოძრაობდნენ მისგან დამოუკიდებლად. ამ საერთო, მექანიკურ მოძრაობას არაფერი საერთო ქალთან არ ჰქონია.

დალიმ თავის უბანში მყუდრო, ლამაზ ქუჩაზე აუხვია. როცა აიაღმართა, ქუჩის ბოლოს, ხეთა ტოტების დერეფანის იქით შეწითლებული ცა დაინახა.

მზე ჩადიოდა. რბილი, ძმიმე ხავერდის ფარდები ეშვებოდა ციდან მიწამდე. ყველაფერი იძირებოდა მარადიულ უსასრულობაში. ყველაფერი უძრაობაში ინთქმებოდა.

დაწყებულიყო მწუხრი, რომელიც ორს — სინათლეს და სიბნელეს — ერთს ხდიდა. არაფერი ცალ-ცალკე არ არსებობდა, არაფერი არ წყდებოდა და ახალი არ იწყებოდა. გრძელდებოდა სიცოცხლე ყველგან და ყველაფერში.

„ნეტავი მოვკვდებოდე!“ — ფიქრობდა დალი.

თავი ოცდამეოთხე

დამდგმელმა-რეჟისორმა სცენარის ავტორის გივი ბურდაძისა და მხატვრის წყალობით დალი შელია კინოდამ ულაპარაკოდ აიყვანა მთავარ როლზე, მაგრამ სულ ბოლო მომენტში სტუდიის დირექტორი გაჯიუტდა. დირექტორი კარგად იცნობდა დალის ქმარს ბადრი კილაძეს და ფიქრობდა, ქალი გზას არ ავაცდინო, უბედურებას არ გადავეყაროო. ისიც კარგად იცოდა, კინოში მუშაობით რომ არაფერი დაშავდებოდა; კინოსტუდიაში ისე არ წვიმდა, როგორც ქუხდა, მაგრამ ალბათ ბადრის პატივისცემით, უფრო კი შიშით, უცხოსავით აზროვნებდა. ამტკიცებდა, ეს როლი აუცილებლად მსახიობმა უნდა შეასრულოსო. რადგანაც სხვა როლებზედაც ჰქონდა პრეტენზია, საკითხი სასცენარო-სარედაქციო კოლეგიამ გადაწყვეტოსო, თქვა ბოლოს.

რეჟისორი სულ დაიბნა. იმ დღეს უკანასკნელად შემოირბინა ქალაქის უმაღლესი სასწავლებლები და მისი ფიქრით, რამდენიმე ულამაზესი ასული კინოსტუდიაში დაიბარა. საღამოს კოლეგიას უკვე ქალის როლი უნდა დაემტკიცებინა, მაგრამ რეჟისორი ფიქრობდა, ქალის საკითხს სულ გადავდებ ან სინჯებს ცოცხალ კანდიდატურებს დავუმატებო. ასეთი რამ არასდროს არ მომხდარიყო, მაგრამ რეჟისორის ფანტაზიას საზღვარი არ ჰქონდა.

ზუსტად ორ საათზე რეჟისორის ოთახში სათვალთანმა ახალგაზრდამ შემოჰყო თავი.

— მე, პატივცემულო, კახამბლიშვილი ვარ! — პირდაპირ განაცხადა მოსულმა.

რეჟისორმა უნებურად ქალთა სიას გადავლო თვალი.

— რა გვარი ხართ, ბატონო?

— კახამბლიშვილი.

— კახამბლიშვილი რამდენადაც მახსოვს, ქალი უნდა იყოს...

— დიახ, პატივცემულო, და მე ქმარი გახლავართ მისი!

— ძალიან სასიამოვნოა, მაგრამ ქმარი მე სულ არ მჭირდებოდა.

— როგორ უნდა გადაროთ, ჭაღარა კაცი ბრძანდებით... (რეჟისორს სულ არ ჰქონდა თავზე თმა) და სხვის ცოლებს იბარებთ! — წყნარად, ღიმილით თქვა ახალგაზრდამ და რაღაც საეჭვოდ მოიწია ახლო!

— ბატონო, როგორ გეკადრებათ... როლისათვის გვჭირდებოდა, შევხედე, მომეწონა...

— მოგეწონათ?

— დიახ.

— კარგია! — გვერდულად გაიღიმა კახამბლიშვილმა.

— თქვენ, ბატონო, რა გნებავთ? — განერვიულდა რეჟისორი.

— ჩემს ცოლს დაანებეთ თავი თუ შეიძლება! — მშვიდად უპასუხა მოსულმა.

— რა ოხრად მინდა თქვენი ცოლი, ოცი მყავს თქვენი ცოლისნაირი, მოდით და გაჩვენებთ თუ გინდათ ამ სალამოს...

— არ მინდა, პატივცემულო, ქალების სანახავად არ მოვსულვარ!

— აბა, მაშინ, ა!.. — რეჟისორმა კალმისტარი ამოიღო და კახამბლიშვილის გვარს მსხვილი ხაზი გადაუსვა.

— თავისუფალი ბრძანდებით!

— მადლობელი ვარ, პატივცემულო!

— კარგად ბრძანდებოდეთ! — უთხრა გულმოსულმა რეჟისორმა და ფანჯარაში გადაიხედა, თუმცა, კარგად იცოდნო, რომ კახამბლიშვილი იქვე იდგა და ერთ-ერთ ... ...

ეროვნული ბიბლიოთეკა

რეკისორი მიხვდა, ქალი რომ გულმოსული იყო და სტუმარს სკამი შესთავაზა. ქალმა ამოიოხრა და დაჯდა.

— თქვენს ქალიშვილს, ქალბატონო, — მოთმინებით დაიწყო რეკისორმა, — სურათს გადავუღებ, აპარატის წინ დავაყენებთ და თუ ივარგებს, მთავარ როლში ვთამაშებთ.

— მერე ნიჭი აქვს თუ არა, არ კითხულობთ?

— კი ვკითხულობთ, ქალბატონო, და მაგასაც გავარკვევთ!

რეკისორი ქალიშვილს მიუბრუნდა, რამდენიმე თავსატეხი შეკითხვა მისცა. გოგონა სულ არ დაბნეულა, ფეხზე წამოდგა და სხაპა-სხაპით უპასუხა.

— დაბრძანდით, გენაცვალე! — შეეხვეწა რეკისორი.

— გმადლობთ. — თქვა ქალიშვილმა და მსუქანი მუხლისთავები მიატყუპა ერთმანეთზე.

— კოცნა თუ არის, პატივცემულო, თქვენთან? — იკითხა მოულოდნელად დედამ.

რეკისორი ამ დროს გოგოს მიჩერებოდა და შეკრთა.

— კი არის! — სწრაფად უპასუხა მან.

— მერე გოგოს სახლიდან ფეხს არ ვადგმევინებთ, ჯერ ქალი ბიჭს არ დალაპარაკებია და ახლა საქეიფოდ გინდათ გამოგაჭენოთ?!

— კინოში მართლა კი არ კოცნიან ერთმანეთს! — უთხრა ქალიშვილმა.

— ტუუილი კოცნა ჯერ მე არ მინახავს! — ჩაილაპარაკა დედამ.

— ჩვენთან, ბატონო, კოცნა არის, თანაც ორჯერ და ნამდვილად. თუ თქვენი ქალიშვილისათვის მართლა არავის უკოცნია და არც გინდათ აკოცოს ვინმემ, მაშინ სახლში წაიყვანეთ... ისე ჩვენზე ნუ იჯავრებთ, მოვძებნით ვიღაცას! — თქვა რეკისორმა და ფანჯარაში გადაიხედა.

— როგორ გეკადრებათ, პატივცემულო, რას ჰქვია, უკოცნია... ასე კი არა გვყავს გაზრდილი! — კინადამ ტირილ-დაიწყო დედამ.

— მჯერავს, ქალბატონო, თქვენ რატომ ნერვიულობთ, — დაუყვავა რეკისორმა და მოეჩვენა, რომ მოკლეკაბიანი ქალიშვილი ორსულად იყო.

დედა და შვილი მალე წავიდნენ.

მომდევნო ქალიშვილს ბებია მოჰყვა. რეკისორს ჩასაფრებული წახდომოდა და სამონტაჟო სამაჭროში აპირებდა წასვლას. დამატებით კანდიდატურაზე ფიქრიც აღარ უნდოდა; ქალიშვილიც შეიძლება ბებიას რომ ახლდა იმიტომ, სულ ბავშვი მოეჩვენა და ჭაღარა ქალი შემოსვლისთანავე გააფრთხილა: სცენარში კოცნაა. არც ბებიაზე და არც შვილიშვილზე ამ განცხადებას შთაბეჭდილება არ მოუხდენია.

— რამდენი კოცნაა, პატივცემულო? — პატარა სიჩუმის შემდეგ მორიდებით იკითხა ბებიამ.

— ორი! — უხეშად უპასუხა რეკისორმა.

— ეს ბავშვი, პატივცემულო, ჭიშვარდი აბზიანემაც დაიბარა...

— მერე რა ქნა, რომ დაიბარა?

— არაფერი, მაგრამ აბზიანესთან ერთი კოცნა ყოფილა.

— ნამდვილად?

— კი ბატონო.

რეკისორი უცბად გამხიარულდა.

— მართალი ხართ, თქვენ ქალბატონო, ჭიშვარდი აბზიანეს ერთი კოცნა აქვს, მაგრამ ბევრ დუბლს იღებს, მაგას პასუხს არ თხოვს არავინ და მე ფირის გადახარჯვას ვერიდები. ამიტომ შედარებით იოლად გამოვდიავარ.

ქალმა ვერ გაიგო, რა დუბლებზე და ფირზე იყო ლაპარაკი. ქალიშვილი ამ დროს, როცა მისი კოცნა არ კოცნის ბედი წყდებოდა, მშვიდად დადიოდა ოთახში და კედლებზე გაკრულ ფოტოსურათებს ათვალიერებდა.

—...დუბლები ნიშნავს, ქალბატონო,

რეზო ჭეიშვილი
ᲥᲐᲚᲘ

შემდეგს. — განაგრძო რეჟისორმა. — ქიშვარდი აბზიანე, ქაქუცა ნოზაძე და აპრაკუნე გირიშვილი ერთ კოცნას ოცჯერ იღებენ, მე ორჯერ ან სამჯერ... ესე იგი, ჩემი ორი კოცნა დაჯდება დაახლოებით... სამჯერ ორი რამდენია?

— ექვსი. — უთხრა გოგომ.

— დიახ, ბატონო, ექვსი. გამოდის, რომ ორ კოცნას ჩვენ გადავიღებთ დიდი-ციდი ექვსჯერ... ქიშვარდი აბზიანეს ერთი კოცნა კი ადამიანს წაახდენს!

— მთავარია, ბატონო, ეკრანზე რამდენი გამოჩნდება. თუ არა, ჩუმად ვინ რას აკეთებს, ვინ ითვლის, ან ვინ უყურებს! — ღიმილით უპასუხა ჭაღარა ქალმა.

რეჟისორს ქალის პასუხიც მოეწონა და ნერვიული დაძაბულობისაგან განტვირთულს ისტერიული სიცილი აუტყდა. სანამ უფროსი ასისტენტი და ერთი გზაავანეული მუშა, რომელიც მოლარეს ეძებდა, არ შემოხეტიალდნენ, მანამ ვერაფრით ვერ დაწყნარდა. ბოლოს ასისტენტს სთხოვა, ამ ქალიშვილს რაც შეიძლება მეტი ფოტო გადაუღეთო.

—...უთხარით ის კაცს, სურათებს ნუ მამადლის, ნუ გაჭირვა საქმე!.. ხვალ დილით შეიძლება სასინჯი გადაღება დავნიშნო... ტელეფონი გაქვთ, ბატონო, თქვენ?

— კი, პატივცემულო! — უპასუხა ქალიშვილმა.

რეჟისორმა ტელეფონის ნომერი დაიწერა და ბებიას და შვილიშვილს დაემშვიდობა.

სასცენარო კოლეგიამ მდუმარედ, ყოველგვარი კომენტარებისა და ემოციების გარეშე ნახა სინჯები.

ზოგიერთი მსახიობი რეჟისორს ადრევე გაეწირა და უკანასკნელ სამსჯავროზე მხოლოდ შვიდი ასულიღა იყო წარმოდგენილი.

დარბაზში სინათლე აინთო თუ არა, ყველა იატაკს ჩაჰაჭერდა: არავის პირველს არ უნდოდა სიტყვის თქმა. დირექტორმა ღიმილით შეაფვალიერა თანაშრომლები და ერთ ახალგაზრდა რედაქტორს სთხოვა, დაიწყეო. სანამ რედაქტორი პირს გააღებდა, დირექტორმა იკითხა, რამდენი ქალი ვნახეთ დღეს ჩვენო.

— შვიდი! — დაიძახა მეორე რეჟისორმა.

— ამ შვიდიდან ახლა ერთი უნდა ავირჩიოთ... — განაცხადა რეჟისორმა.

— ეს თავისთავად ცხადია! — თქვა დირექტორმა.

რეჟისორმა უადგილოდ გაიცინა.

— გთხოვთ! — უთხრა დირექტორმა რედაქტორს.

ყველამ იცოდა, სტუდიის დირექტორი რომ დალი შელიას იწუნებდა. დირექტორს სასცენარო კოლეგიაც ათვალისწუნებული ჰყავდა. რეჟისორებს ვერაფერს აკლებდა და მის ტანჯვას რომ არავინ იზიარებდა, ჯავრის ამოყრას კოლეგიის წევრებზე აპირებდა. დიდი წარმატება არც ამ ფრონტზე ელოდა, მაგრამ მზაკვრულ გეგმებს ვერ მალავდა და სასცენარო განყოფილების გულგრილობა აოცებდა. რედაქტორებს, რომლებთაც იგი ტექნიკურ მუშაკებად თვლიდა და რომელთა დახმარება, სინამდვილეში, ყველაზე მეტად სჭირდებოდა, აუხირდა და კრიჭაში ჩაუდგა. იმ დღესაც გულუბრყვილოდ ეგონა, სხდომას ჩემს ნებაზე წავიყვან და რეჟისორს სწორ გზაზე დავაყენებო.

დირექტორის გარდა თითქმის ყველას დალი შელია მოეწონა. რადგანაც გივიც, რომელსაც ისინი პატივს სცემდნენ, იმ ქალს მომხრე იყო, დალი შელიას ქება-დიდებას მოჰყვნენ. ენაც არავის დაბმია. დალი მართლაც აშკარად სჯობდა ყველას.

ერთ გამხდარ კოლეგიის წევრს, რომელსაც ახალგაზრდა აღარ ერქვა, მაგრამ არც დიდი სერიოზულობის კვალი აჩნდა, მოეჩვენა, რომ ძალიან დიდ სისულელეს ჩაიდენდა, თუ დალი შელიას სასარგებლოდ ილაპარაკებდა. იგი სცენარის ავტორის მეგობარი იყო და სხდომის დაწყების წინ გივის საგანგებოდ

ეროვნული ბიბლიოთეკა

გააფრთხილა, თუ დალი შელია არ მოგეწონება და ვერაფერში დამეხმარები, მაშინ საერთოდ არაფერი არ თქვაო.

-- მართალია, დალი შელია ძალიან ლამაზია, მაგრამ ამ როლისათვის შეუფერებელია! — თქვა მოულოდნელად გამხდარმა.

„აი, ვისი იმედი უნდა გქონდეს ცხოვრებაში!“ — გაიფიქრა გივომ.

გამხდარი დინჯად და დაკვირვებულად ასაბუთებდა თავის მოსაზრებას. იგი ამბობდა: დალი შელია ძალიან ნებიერად გაზრდილი ადამიანია და უსიხარულოდ და უსიყვარულოდ გულმოკვდარი ქალის როლს ვერ ითამაშებსო.

ამ გამოსვლამ სხდომა ცოტა გამოაცოცხლა და გამხდარიც კმაყოფილი დაჯდა. ამის შემდეგ ისევ ჩვეულებრივი კამათი დაიწყო.

დირექტორი მიხვდა, რომ სხვის წისქვილზე ასხამდნენ წყალს და სიტყვა ერთ დარბაისელ, მელოტ კაცს მისცა.

მელოტს ეგონა, დირექტორიც დალი შელიას მომხრეაო და რადგანაც, საბედნიეროდ, მისი აზრიც ასეთი იყო, ყველას გასაოცებლად, ძალიან მოკლედ ილაპარაკა:

—...მე რომ მკითხონ, ყვავილი გირჩევნია თუ ბალახიო, ცხადია, ყვავილს ავირჩევ. საკამათო მე მგონი აქ არაფერია. დალი შელია ყვავილია, დანარჩენი — ბალახი! — თქვა მელოტმა.

— ძროხას რომელი ურჩევნია, ყვავილი თუ ბალახი? — ეშმაკურად ჰკითხა ვიღაცამ.

— ძროხას ბალახი! — გაეცინა მელოტს.

— დაამთავრეთ თქვენ? — ჰკითხა დირექტორმა.

— კი, ბატონო.

დირექტორმა მეტი ვეღარ მოითმინა და ოფიციალურად განაცხადა:

— მიიღეთ მხედველობაში, რომ ეს როლი საპასუხისმგებლოა... მე სასტიკი წინააღმდეგი ვარ თქვენი წამოყენებული კანდიდატურის და საერთოდ, არამსახიობის. თუ რეჟისორი არ იკისრებს სრულ პასუხისმგებლობას, მე ამ საქმეს ხელს არ მოვაწერ!

დირექტორს რეჟისორის მერყეევი ბუნების იმედი ჰქონდა და ეს ბოლო წინადადება გარკვევით თქვა.

მელოტი კაცი დირექტორის გამოსვლის შემდეგდა მიხვდა თავის შეცდომას. ეს რომ ადრევე სცოდნოდა, შეიძლება სიტყვა არ გადაეთქვა, მაგრამ მიკიბულ-მოკიბული ლაპარაკით, მახვილ-გონივრული, ნახევრადგაცვეთილი ანდაზებით დირექტორსაც ასიამოვნებდა და დანარჩენებსაც ისე დაიბნევდა, კაცი ვერ გაიგებდა, ვინ ვისი მომხრე იყო.

ბოლო სიტყვა მოხუცმა რედაქტორმა თქვა. მოხუცს სამართლიან და პრინციპულ ადამიანად მოჰქონდა თავი. თითქოს მართლაც ასე იყო, მაგრამ ხშირად ისე აიხვევდა თვალს და ისეთ დათმობაზე მიდიოდა, როგორც არავინ. იმდღევანდელ სიტუაციაში სულ არ იყო გარკვეული და გულწრფელად და სვენებ-სვენებით ლაპარაკობდა, რასაც ფიქრობდა:

— ის თქვენი მოწონებული... დალი...

— შელია. — შეეშველა ვიღაც.

— შელია, — გაიმეორა მოხუცმა. — მართლაც ყველაზე კარგია, სახეც კარგი აქვს უდაოდ. ღია ფერის თმა, რაღაცნაირი თვალები, კარგი ტანი, ჩემო ბატონო... ეს ყველაფერი კარგია, უდაოდ, მაგრამ თუ დაკვირდით, როგორ არაბუნებრივად ლაპარაკობს, როგორ უჭირს სიარული, მიხრა-მოხრა.

მოხუცი ბუნებრიობისა და თავისუფალი ქცევისათვის იკლავდა მუდამ თავს და მაშინ, როცა ყველა ფიქრობდა, დალის თავი უბრალოდ, ძალდატანებლად უჭირავსო, მოხუცს თურმე სულ სხვა რაღაც ეჩვენებოდა.

დირექტორს არასოდეს მოხუცის ლაპარაკი არ მოსწონდა. ეგონა, ამ კაცს ბნელ-ბნელი აზრები აწუხებდა. ახლა კი პირიქით, დაასკვნა: ეს არის ერთადერ-

თი ადამიანი, ვისაც სწორი მსჯელობა და ანგარიში შეუძლიაო.

—...ეს როლი, ამხანაგებო... — ლაპარაკობდა მოხუცი. — არც ისეთი ხელწამოსაკრავია, როგორც ზოგიერთებს ჰგონიათ. ფაქტიურად ამ ქალმა უნდა ასწიოს მთელი კინო, „დიახ... უდაოა, ჩემო ბატონო, რომ დალი ისა...

— შელია.

— დიახ, შელია... კარგი ქალია ნამდვილად, გათხოვდება კიდეც.

— უდაოდ! — უთხრა ერთმა რედაქტორმა.

— გათხოვილია! — შეახსენა ვიღაცამ.

— მითუმეტეს, იმას მოგახსენებდით, კაცს ჰადის სახელი დაავიწყდაო, რაგვარია ისა?..

— ვინა?

— ჩვენი ის, კაცო...

— დალი?

— დიახ.

— შელია.

— უკაცრავად, დალი შელია. ეს ჩვენი დალი შელია, გათხოვილიაო, თქვენ ბრძანეთ, არა?

— დიახ.

— თუ ასეა, ძალიან კარგი... თუ არა ყავს, ეყოლება შვილები, შვილიშვილები, შეიძლება შვილთა შვილიშვილები და მოკვდება წყნარად, როცა დრო მოვა მაშინ, მაგრამ მსახიობობა მაგის საქმე არაა.

ამ ბოლო სიტყვებზე გვი გაცეცხლდა და ხმამაღლა წამოიძახა, ვინ როდის მოკვდება და ვინ რამდენ ხანს იცოცხლებს, არ არის ჩვენი საქმეო.

— მე ვთქვი, რომ დიდხანს იცოცხლებს და ღრმად მოხუცებული მოკვდება-მეთქი; რა არის, ბატონო, ამაში ცუდი?!

— არაფერი, ისე ვთქვი... — შეწუხდა გვი და პაპიროსს მოუკიდა.

— დიდი, დიდი კიდევ ერთი ორმოცდაათი წელი იცოცხლოს... — საქმე იშოვნა ერთმა რედაქტორმა.

— მეტი თქვი, შე კაი კაცო, რა გენანება! — გაეცინა გამხდარ კოლეგიის წევრს, რომელიც ადრე ამტკიცებდა, დალი ამ როლისათვის შეუფერებელიაო.

— გვადროვეთ თუ შეიძლება... — საყვედური თქვა მოხუცმა და რაღაცის თქმა დაუპირა.

— თქვენ კანდიდატურა? — დაასწრო დირექტორმა.

მოხუცმა დაასახელა ერთი მსახიობი ქალი, რომელიც აქამდე არავის გახსენებია და მერე თქვა: მე არც დალი შელიას წინააღმდეგი ვარო.

— მაგრამ მხარს უჭერთ მაინც პირველს, მე რამდენადაც მესმის... — დაინტერესდა დაბნეული დირექტორი.

— უდაოდ! — უთხრა მოხუცმა.

დირექტორმა ვეღარ გაამხილა, ვის მხარეზე იყო. მის ამორჩეულ ქალს ზედაც არავინ შეხედა და განაწყენებულმა ჯგუფის მეუბნობა დაიწუნა.

რეჟისორი დაიბნა, ყოველგვარი იმედი გადაიწურა. დავრჩენილვარ უქალოდ და ესაო, ფიქრობდა გუნებაში.

ბოლოს გვი გამოვიდა. გვიმ ისე საფუძვლიანად დაასაბუთა დალის სიკარგე და აუცილებლობა, რომ ყველას აუოროდღება მიიპყრო. რეჟისორმა იფიქრა, დირექტორი ნამდვილად სურათის გადაღებას მოკრძალავს, განგებ მაბრკოლებსო. იგი წამოდგა და აღელვებულმა თქვა:

—...ამ ქალის გარდა, ბატონო, მე ვერავის ვერ ვხედავ! ეს ქალია ის, ვისაც ვეძებდით და ძალიან გთხოვთ, დასაწყისშივე ხელოვნურ ბარიერებს ნუ დამიდგამთ წინ. მე აქ, ბატონო, რამდენიმე ათეული წელია ვმუშაობ... ძალიან კარგად ვიცი, ვინ რას წარმოადგენს... კატეგორიულად მოვითხოვთ, ბატონო, ამ ქალს!

„ასე გიქნია, თავი ქვაზე გიტეხია!“ — გაიფიქრა დირექტორმა და სხდომაც ამით დაამთავრა.

დამდგმელი-რეჟისორი დილით უკვე ნანობდა თავის არჩევანს. თუ ეს ქალი მართლაც ასეთი კარგია და ყველას სჯო-

ბია, ასე იოლად რატომ დამიმტკიცესო, ფიქრობდა.

მეორე დილით, დიდი თხოვნა-პატიჟის მიუხედავად, დალი შელია სტუდიაში არ გამოჩენილა. ნაშუადღევს კი ქალის კატეგორიული უარი მოვდა. დალის არ უნდოდა, კინოში თამაში. ამ ცნობამ ყველა გააცა და გადამღებ ჯგუფში ისევ აირ-დაირია ყველაფერი. ჩაწყობილი ამბავიაო, დაიჯინა განაწყენებულმა რეჟისორმა და ყველაფერი დირექტორს გადაბარალა.

თავი ოცდამეხუთე

დალი შელიას ჭეშმარიტად არ ეკინოვებოდა. ყოველმემთხვევისათვის, სათამაშოდ არ ჰქონია საქმე. ბადრი კილაძე დღე-დღეზე უნდა გამოსულიყო ციხიდან. ქალმა არ იცოდა, როგორ, რანაირად შეიცვლებოდა მისი ცხოვრება. უქმრობას შეჩვეულს ყველაფერი აშინებდა. გრძნობდა, რომ ოჯახში გაბატონდებოდა რაღაც ტრადიციული, დაუწერელი კანონები. იგი დაემორჩილებოდა ვიღაცის ნება-სურვილს და ის აღარ იქნებოდა, რაც იყო. მისდა გასაოცრად, თანდათან გადაავიწყდა ქმრის სახე. დაბეჯითებით იცოდა, როგორი იყო ბადრი გარეგნულად, ათას კაცში ერთი შეხედვით გამოარჩევდა, მაგრამ ქმრის მთლიანი პორტრეტი შეხსიერებაში ვერაფრით ვერ აღიდგინა. გვიან წვებოდა ხოლმე და მეცადინეობისაგან გძაღლილს დიდხანს არ ეძინებოდა. ახსენდებოდა ელგუჯა. ფიცარზე ლალისფრად დახატულ ძველ ლაზ თუ თრაკიელ მეზღვაურს ადარებდა. სულ უნდოდა გაეგო, რა საერთო ჰქონდა ელგუჯას ან მის გვარს ზღვასთან. დამით ამ შეკითხვას იმახსოვრებდა, მაგრამ დღისით, როგორც წესი, ყველაფერი ავიწყდებოდა.

დალი და ელგუჯა კვლავინდებურად შინაურულად ელაპარაკებოდნენ ერთმანეთს და მეტი არაფერი. დალის თავი ისე ეჭირა, თითქოს არასოდეს წყნეთში ოთახში ერთად არ ყოფილიყვნენ. თითქოს ელგუჯას ცოლობა არ ეთხოვოს ვოს. ყველაფერმა წყალივით ჩაიარა. ელგუჯა იქამდე მივიდა, რომ იფიქრა, ეს ამბები სიზმრად ხომ არ მინახავსო.

დალიმ იცოდა, რომ ცუდად იქცეოდა; თავს იტყუებდა და შორს და შორს მიტოპავდა. ბოკვერი იზრდებოდა და უფრო და უფრო საშიში ხდებოდა მასთან თამაში. გაზრდილის მიტოვებაც ძნელი იყო.

ბოკვერმა კი ერთ დღეს გადაჭრით მოითხოვა შეხვედრა. დიდად სერიოზული სალაპარაკო მაქვსო, თქვა და ყველაზე მოუხერხებელი ადგილი შეარჩია პაემნისთვის.

პატარა, მრგვალი ბაღი, ყოველი მხრიდან რომ ქუჩები ადგებოდა, მოედნად უფრო ივარგებდა. ახლო-მახლო მცენარეებლებთ ბაღი გაშინაურებული ჰქონდათ, მაგრამ გამვლელი და გამომვლელიც ხშირად ჩერდებოდა და ისვენებდა. თითქმის ყველანი ერთმანეთს იცნობდნენ და შემთხვევით შემოხეტებულ ხალხს ყურადღებას არ აქცევდნენ. ელგუჯას მაინც არ ეგონა, თუ დალი მოსვლას გაბედავდა. დალიმ მართლაც დაიგვიანა. ელგუჯამ ყველაფრის იმედი დაჰკარგა და დაინახა, რომ ქალი სულ სხვა მხრიდან მოდგომოდა ტროტუარს.

„მოვიდა!“ — გაიფიქრა გაოცებულმა ელგუჯამ.

— დამაგვიანდა? — სწრაფად იკითხა დალიმ.

— არა. — ჩაილაპარაკა ელგუჯამ. სხვა რამის თქმას აპირებდა, მაგრამ ისე იყო აღელვებული, ეგონა, ხმას ვერ ამოვიღებო.

— დავსხდეთ სადმე.

ელგუჯამ რამდენიმე ჩაბნელებული ადგილი შეათვალთვალა, მაგრამ დალი იქვე, სირთულეში, ზედ გზის პირას დაჯდა ცარიელ სკამზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— კრება გვქონდა, იმიტომ დამაგვიანდა. არ დამთავრდა და არ დამთავრდა. წინ ვიჯექი და ვერაფრით ვერ აკდექი. ზოგიერთმა კი მოახერხა წასვლა. მაინც რამდენი ლაპარაკი იცის პართენმა. ლაპარაკობს, ლაპარაკობს ერთსა და იგივეს. ღმერთო, რა ნერვების მომშლელი ადამიანია. შემდეგ გურამ ფხალაძე ვეღარ მოვიშორე. გინდა თუ არა, უნდა გაგაცილო. ლეტტორია, იცნობ შენ. არაფრით არ დამეხსნა. როდის გახდა ასეთი რაინდი და თავზეხელაღებული, არ ვიცი. თითქმის აქამდე მომაცილა. ჩამაკიდდა, მითხარი, სად მიდიხარო. მე ვუთხარი, ამხანაგთან მივდივარ-თქვა, რომელ ამხანაგთანო, კაცია, ქალიაო? ლამარა ბექაძესთან მივდივარ-მეთქი. აბა რა მექნა. ლამარა მართლა აქ ცხოვრობს. აი იმ კუთხის სახლში. ხომ იცნობ ლამარა ბექაძეს?

— კი.

— მესამე სართულზე განათებული ფანჯრები მისია... თუმცა ერთში ბნელა, აქეთა ორი განათებულია.

„ვინ არის ლამარა ბექაძე?“ — ფიქრობდა ელგუჯა.

— ჩემი ქმარი ჩამოდის.

— როდის?

— ბალე.

„ესეც კიდევ ერთი ახალი ამბავი!“

— გეწყინა?

— მე რატომ უნდა ძწყენოდა?

— არც უნდა გაგხარებოდა, ყოველშემთხვევაში. — თქვა დალიმ.

ელგუჯას ეგონა, დალი იცინოდა. გვერდზე გაიხედა. დალის ხელები კალთაში ჩაეწყო, ფეხები ერთმანეთზე მიეტყუპებინა და პირდაპირ იხედებოდა. რას ფიქრობდა, რას გაიგებდი. ელგუჯა რაღაცნაირად მოთენთილიყო. ყველაფრის ხალისი დაეკარგა.

— რა დროა ნეტავი? — იკითხა დალიმ კარგახანს სიჩუმის შემდეგ.

— საათი არა მაქვს.

— შენ არა გაქვს, სხვას ექნება.

— ძალიან მეეჭვება. ახლა საათებს აღარ ატარებენ.

— ბადრი რომ ჩამოვა, ერთმანეთს ვეღარ შეეხვდებით, ხომ?

„რას მეკითხება, ნამდვილად დამცინის!“

— მე მგონია, რომ ქალი ყოველთვის ვიღაცას ემორჩილება, ან საკუთარი სურვილების ტყვეა. რომელი მონობა ჯობია? საკუთარი სურვილების, სიამოვნების დათრგუნვა შეიძლება ქალს მეტ თავისუფლებას ანიჭებს. ასე არ არის?

— ნამდვილად. — ყველაფერზე თანახმა იყო ელგუჯა. თუ სულ არაფერს არ შეეკითხებოდნენ და ჩუმად დატოვებდნენ, უკეთესი იყო. იჯდა სიცხიანივით მოთენთილი და მისავითებული. ასეთი რამ ზოგჯერ შეჯიბრის უკანასკნელ წუთებზე, ემართებოდა ხოლმე. ახლაც თითქოს დრო გაჰყავდა. მთავარი იყო შეხვედრა დამთავრებულიყო და შედეგს მისთვის იმ წუთას არავითარი მნიშვნელობა არ ჰქონია. დალი აშკარად ნანობდა ქმრის ჩამოსვლას. თვითონ იკითხა, შეეხვდებით თუ არა კიდევ ერთმანეთსო. ასეთი რამ ქალს არასოდეს ჩაუდენია, მაგრამ ელგუჯას ლაპარაკის თავი აღარ ჰქონდა, ეს ახალი ამბავიც ავის მომასწავებელ ნიშნად ჩათვალა. ცხადი იყო, ყველაფერი მთავრდებოდა. ამდენი ლოდინი წყალში იყრებოდა; არაფერს ბოლო არ უჩანდა. — არაფერს აზრი არ ჰქონდა, თორემ ელგუჯას მართლა ენა კი არ ჰქონდა ჩავარდნილი. თუნდაც ახლავე ეტყოდა დალის ყველაფერს. ხელმეორედ, უფრო დაბეჯითებით თხოვდა ცოლობას, მაგრამ მერე რა? ქალი პასუხს, ყოველშემთხვევისათვის, პირდაპირს, არ აღირსებდა და რაც მთავარია, ელგუჯას პასუხის, გინდაც უარის, უფრო კი დასტურის საშინლად ეშინოდა.

— ბადრის ორი პულავერი, სვიტერი ჩრჩილმა შეგვიჭამა... წესიერად ვერ შევინახეთ და იმიტომ. რომ ნახავს, რას ეტყვის?..

„მაინც ქმარზე ფიქრობს!“ — დაასკვნა ელგუჯამ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოულოდნელად დალი წამოდგა.

— წავიდეთ? — იკითხა მან.

— როგორც გინდა.

გაკვირვებული დალი შეტრიალდა, გადასასვლელთან ფეხი ცუდად დადგა და მაღალ ქუსლებზე შეჭანდა, მერე ძირს დაიხედა, თითქოს რამე დაუვარდაო. მოთვთრო, მოყდალო. საკმაოდ მოკლე, ქვედაწელი კაბა იცვა.

სახლამდე თითქმის აღარაფერი უთქვამთ. დალიმ ჩვეულებრივზე უფრო ადრე დააპირა დამშვიდობება. გარდა იმისა, რომ რამდენჯერმე საათით დაინტერესდა, საინტერესო გზაშიც არაფერი მომხდარა.

— აბა კარგად იყავი.

— კარგად.

დალიმ გაიცინა, შეტრიალდა და სწრაფად წავიდა.

ელგუჯა მოშვებული მიდიოდა თავდაღმართში. აერკოლებდა და აცინებდა. „ბევრს ვვარჯიშობ და ალბათ გადავიდალე... ანდა მოწამლული ვარ. გელმა ხომ არ მიკბინა?“ — ფიქრობდა იგი და შინისაკენ მიიჩქაროდა.

ყველაფერი, — ნათქვამი და გაგონილი მხოლოდ სახლში გაისიგრძეგანა ელგუჯამ. ასეთ გაურკვეველ მდგომარეობაში იგი თავის დღეში არ ყოფილა. მეორე დღეს მაინც ჩიტივით წამოხტა და მიხვდა, რომ ავად არ იყო. იმ დღეებში საერთოდაც ამსუბუქებული იყო და ბევრს ვარჯიშობდა. გათენებამდე გადიოდა სახლიდან და ვაკის პარკში დარბოდა აწყვეტილი ცხენივით. „შეჯიბრზე ისე წავიდა, დალი არ უნახავს. მალე დავბრუნდებიო, ანგარიშობდა იგი. მეტი დრო მექნება და თავისუფლად და დალაგებულად მოველაპარაკებინო. ამასობაში კი დალი შელიას ქმარი ბადრი კილაძე თბილისში დაბრუნდა.

ბადრის ახალი კოსტუმი ეცვა. თავზე ზამშის ვიწრო და გრძელი ქუჩი ეხურა. ფერი დაჭკარგოდა, მაგრამ უფრო მოხდენოდა. ახალი წამოზრდილი თმაც შვენოდა.

დალის ყველაზე მეტად მაინც ქმართან პირველი შეხვედრა აფრთხობდა. ვერაფრით ვერ წარმოიდგინა, რა დღეში ჩავარდებოდა. დარწმუნებული იყო ბადრის თვალებში ვერ შეეხედავო. ეს შიში უსაფუძვლო გამოდგა. ქმარმა სწრაფად გადაჰკოცნა, გაიღიმა, თმაზე ხელი ჩამოისვა და ცოლს თვალი მოარიდა. მერე ცოლისდას მიესალმა. ხომ არ გათხოვილხარო, ჰკითხა. ბავშვსაც მიეფერა, ხელში აიყვანა. დეიდას დამოძღვრილ ბიჭს მამა ვიღაც გადამთიელი ეგონა, რომელსაც ამ ოჯახთან არაფერი საერთო არ უნდა ჰქონებოდა. იკი აქამდე შეშინებული იდგა კუთხეში, იცინოდა და ისე იყურებოდა, თითქოს ძალიან ბედნიერი იყო. სათვალიანი ბიჭი მისდაუნებურად იტყუებდა თავს!

ბადრი შვილს უყურებდა, ათვალიერებდა, როგორც უცნაურ ბიოლოგიურ არსებას; ვერაფრით ვერ მიმხვდარიყო, ვის ჰგავდა მისი ძე, ასეთი სუსტი და ფერმკრთალი.

ბადრიმ ბავშვს თავი მიანება და ოთახი შეათვალიერა. მოეჩვენა, რომ ბევრი ზრამ შეეცალილი და გადასხვაფერებული იყო. ტუჩები მოკუმა და ისევ თმაზე ჩამოისვა ხელი.

„ეს ახალი რაღაც ციხეში უსწავლია!“ — გაიფიქრა დალიმ. მალულად დააკვირდა ბადრის ფართო, ღონიერ ზურგს. იგრძნო, რომ ეს კაცი მისი ქმარი იყო. ეს შეგრძნება ისეთი ცხოველი და მწველი გამოდგა, რომ ფეხზე ვერ გაჩერდა, მკერდით ფანჯრის რაფას გადაეწვა და ქუჩაში გადაიხედა.

ბადრი კილაძე უნდობლად იყურებოდა, ცდილობდა ჯერჯერობით ცოლთან არავითარი კონტაქტი არ დამყარებინა. ეს ქალი მისთვის ისეთად ამოუხსნელი გამოცანა იყო. ბადრი ვერაფერს ვერ ხვდებოდა, რა იმალებოდა დალის სიმშვიდესა და მორჩილებაში. იყო წუთები, როცა ნახევარ სიცოცხლეს დასთმობდა, ოღონდ გაეგო, რას

ფიქრობდა მისი კანონიერი მეუღლე. ეს „ქალი მონა“, თუმცა ახლა იგი სულ ალარ ჰგავდა იმ სტუდენტ ბავშვს, ქმარმა რომ დატოვა, ალბათ ერთადერთი ადამიანი იყო, ვიზედაც ბადრი ვერ იბატონებდა. ბადრის დაწვრილებით სურდა შეეტყო, რას აკეთებდა დალი ამ ხნის მანძილზე. ეს უნდა გაეგო თვითონ. ყოველგვარი დახმარების გარეშე. არ შეეძლო გაეკითხა-გამოეკითხა და თავი დაემცირებინა.

საღამოს დალი შელიას სახლში ბადრის ამხანაგებმა მოიყარეს თავი. აქამდე არც ერთი არ ჩანდა. დალი მხოლოდ შემთხვევით თუ მოჰკრავდა რომელიმეს თვალს. ზოგიერთი ქუჩაშიც არ დაელანდა, ეგონა, ალარც არსებობენ. მაგრამ ქმრის ჩამოსვლისთანავე ყველა გამოჩნდა, თითქოს მიწიდან ამოძვრნენო.

ბადრის ამხანაგები დალის ძალიან თავაზიანად, მოკრძალებით ეპყრობოდნენ; პატივსაც სცემდნენ თუ ამის საშუალება იყო, მაგრამ დალის ისინი ყველანი უკლებლივ სძულდა.

დალი მთელი დღე სამზარეულოში ტრიალებდა. ჟუჟუნაც ეხმარებოდა და ერთი ამხანაგი გოგოც, მაგრამ სუფრა შებინდებამდე მაინც ვერ გააწყვეს. სტუმრები დასხდნენ თუ არა, ქალები წავიდნენ და დალი მარტო დარჩა. იგი მხოლოდ დროდადრო გადიოდა დარბაზში და სუფრას ემსახურებოდა. მისი სადღეგრძელო რატომღაც ორჯერ დალიეს. დიასახლისი მადლობას იხდიდა და მარჯვნივ და მარცხნივ თავაზიან ღიმილს აფრქვევდა. რამდენჯერმე შესთავაზეს, დაბრძანდითო, მაგრამ დალიმ ყოველთვის უარი თქვა. იმიზეზებდა, ჯერ არ მცალია, საქმე მაქვსო. როცა სტუმრები ეპატიჟებოდნენ, ბადრი სიგარეტს აბოლებდა და ოდნავ იღიმებოდა. დალის არ უნდოდა დარბაზში ყოფნა და ეშინოდა, ქმარი არ ამიხრდეს, მაგიდასთან არ დამსვასო, მაგრამ მალე მიხვდა, რომ მაინცდამაინც მისი იქ ყოფნა არავის ეპიტნავებოდა, ისედაც კარგად გრძნობდნენ თავს; რაღაც ამბებს იხსენებდნენ და სიცილით იხრჩობოდნენ.

სუფრაზე რამდენიმე დროული კაციც იჯდა. ერთი კინაღამ ბებერი იყო. ბებერს წვრილი, ეშმაკივით თვალები ჰქონდა. უმარტივეს ჭეშმარიტებას რომ გიმტკიცებდა, მაშინაც ფიქრობდი, მატყუებსო. დალის ვერაფერი ვერ გაეგო, რა საერთო ჰქონდა ამ ხნიერ კაცთან მის ქმარს.

დაღლილი დალი სკამზე დაჯდა. იცოდა, ბავშვი დასაძინებელი იყო, მაგრამ განძრევის თავი ალარ ჰქონდა. უეკრად ჩათვლიმა კიდეც და ტაშის ცემამ და ყვირილმა გამოაფხიზლა.

ბებერ კაცს ქუდი თავზე უკეთია დაეხურა და ცეკვავდა. დანარჩენები ტაშს უკრავდნენ.

— მეთერთმეტე, მეთერთმეტე! — ყვიროდა ბადრი.

— ჰუხიანი, მუხიახი! — იძახოდა ბებერი და რაღაც უცნაურ ილეთებს აკეთებდა. ბებერმა უკანასკნელი ილეთი ჩაახვია და ცეკვაც დაამთავრა. ვიღაცამ ქუდი მოხადა და მოტეტლებილ თავზე ცივი ღიმი დაადო.

დალი მეორე ოთახში გავიდა. ბავშვი ხატავდა. სულ არ აწუხებდა ყვირილი და ღრიანცელი. დაწოლაზე უარი თქვა, დედას სთხოვა, ცოტა მადროვეო. დალი ისევ სამზარეულოში დაბრუნდა. მოქეიფენი ახლა მეოროდნენ. ვიღაცა ისეთ პირველს ამბობდა, ხმას ნემსის ყუნწში აძვრენდა.

„რა კარგი სიმღერა იციან ამ ოხრებმა!“ — გაიფიქრა დალიმ. უცბად საუკეთესო ხასიათზე დადგა, სუფრაზე დაჯდომაც მოუნდა, მაგრამ დარბაზში გასვლა ალარ დაჭირვებია, ბადრი თვითონვე შემოვიდა სამზარეულოში. მთვრალი იყო, მაგრამ თავს აკავებდა.

— მოდი აქ! — უთხრა ცოლს.

— რა გინდა? — ჰკითხა ქალმა და ოდნავ გაფითრდა.

— ახლო მოდი!

— ჰაა!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქალმა წინ წაიწია და ქმარს თვალებში მიაჩერდა. თითქოს გაბედულად და უტეხად იყურებოდა, მაგრამ ბადრიმ ამ მზერაში მხოლოდ შიში ამოიკითხა, ცოლი შეეცოდა და თვალიც მოარიდა.

— ჩვენ ალბათ გვიანობამდე არ დავიშლებით, შენ ნუღარ გაწვალდები... წაიყვანე ბავშვი და ამალამ შენ დასთან დარჩი. თუ ამ ხნის მანძილზე, ესე იგი, ჩემი აქ არყოფნის დროს, ჩემთვის... — ბადრი შეყოყმანდა, მაგრამ მაინც თქვა, — გიღალატნი, უკან არ მიხვიდე. თუ არა და ხვალ კვირაა, ზეგ მოდი. საფიქრალი დრო გაქვს... იცოდე, არც თავი დაღუპო, არც სხვა დააქციო!

ბადრი ერთი წუთით კიდევ შეყოვნდა, მერე შეტრიალდა და გავიდა.

შეურაცხყოფილი ქალი გახევებული იდგა შუა ოთახში. გადაწყვეტილი ჰქონდა, ახლავე სამუდამოდ წასულიყო ამ სახლიდან, მაგრამ ადგილიდან არ იძრა. არ იცოდა, პირველად რა ექნა, როგორ მოქცეულიყო. თავს ძალა დაატანა, კამოფიჩზლდა. ხელები საგულდაგულოდ დაიბანა და სველი თითები თმაზე ჩამოისვა. ჩალისფერი თმა აბზინდა. სარკეში ჩაიხედა. სახე წამოსწითლებოდა. „ეს ცეცხლის ბრალია და სხვა არაფერი!“ — გაიფიქრა მან და მერე კიდევ კარგახანი უაზროდ უყურებდა საკუთარ თავს. ბოლოს თმა უკან მიჰყარა და საწოლ ოთახში გავიდა.

ბავშვი პატარა მაგიდასთან იჯდა და ისევ ხატავდა.

— არ გეძინება? — ღიმილით ჰკითხა დედამ.

— არა.

— რატომ არ გეძინება? — გაუკვირდა დედას.

— ისე, არ მეძინება.

დალი შვილს მიაშტერდა. იგი ისევ ბადრის წინადადებაზე ფიქრობდა და დავიწყდა, აქ რატომ შემოვიდა.

— ჩვენ ახლა ქუჟუნა დეიდასთან წავალთ! — უთხრა დალმა ცოტა ფიქრის მერე შვილს.

— მერე ის?

— ვინ ის?

— აი, ის .

— მამა?

— ჰო.

ბავშვი მამის სახელს არ ამბობდა. დალი გაოცდა.

— მამა აქ იქნება და ჩვენ ხვალ მოვალთ...

— მე ცხენი დავხატე. — თქვა ბიჭმა.

— ეს არის ცხენი?

— ეს არის, კი...

— მორჩი, ახლა უნდა წავიდეთ...

ბავშვი წამოდგა, მერე ისევ ნახატს მიუბრუნდა და ფერადი ფანქრით რაღაც გაასწორა. დედამ ხელმეორედ დახედა სურათს. სვეთილ ფონზე მართლა ეხატა მწვანე ცხენი, რომელიც დირიჟაბლს უფრო ჰგავდა, ვიდრე ბედაურს.

ქუჟუნას ძალიან გაუკვირდა დის და დისშვილის დანახვა. თუ წამოსვლას აპირებდი, რატომ ჩემთან ერთად არ წამოდიო, თქვა მან და დალის მიაჩერდა.

— სტუმრები არ წავიდნენ და ბავშვმა ვეღარ დაიძინა! — გულმოსულად ჩაილაპარაკა ტის ეჭვიანი მზერით გაღიზიანებულმა დალმ.

ქუჟუნამ გულზე ხელები დაიკრიფა და ხმა აღარ ამოიღო. დალი ამაზე უფრო განერვიულდა და დაწოლა მოუნდა.

ქუჟუნას, შინაბერა ქალს, ქმარი უსარგებლო ნივთი ეგონა. დის ქორწინებას კი უბედურ შემთხვევად თვლიდა. სიძეს ვერა და ვერ შეეწყო. ვერაფრით ვერ გაიგო ,ვინ იყო, რა კაცი იყო, რა უნდოდა ბადრი კილაძეს მის დასთან. ბადრის პანიკურად ეშინოდა, მაგრამ მაინც არ ეპუებოდა, თითქოს თავი ჰქონდა გადადებული. როდესაც მარტო რჩებოდა, სიძის პიჯაკის ჯიბეებს და უჯრებს ათვალიერებდა. რამდენჯერმე იარაღი ნახა და გული კინაღამ წაუვიდა. ბადრის დაჭერის მერე ორი რევოლვერი, რომელიც მან ჩაკეტილ უჯრაში აღმოაჩინა, სახლიდან გაიტანა

რეზო ჭეიშვილი
ღ ა ლ ი

და მტკვარში გადაყარა. ეგონა, ბადრი ციხიდან ვერ გამოვიდოდა. ხუთ წელს რა გალვიდა? ხუთ წელში იქნება ქვეყანაც დაქცეულიყო. ეს ხანი როდის გავიდა, ვერ გიგიო. ბადრიმ კი მოსცელისთანავე იარაღი მოიკითხა. დები მოლაპარაკებულნი იყვნენ, უნდა ეთქვათ, მილიციამ გაგვაიარაღო, მაგრამ დალიმ ქმარს იმწამსვე უთხრა: რევოლვერები ჟუჟუნამ წაიღო და მტკვარში გადაყარაო. ბადრიმ გაკვირვებისაგან ხელი შეათამაშა. გაიცინა, არაფერი უთქვამს.

დალი შელიას სასაცილოდ არ ჰყოფნიდა დის სიფრთხილე. ბადრის ბევრჯერ უჩხუბია, ბევრ ხათაბალას გადაჰყრია, მაგრამ იარაღი არასოდეს უხმარია. ქვეყანა რომ დაქცეულიყო, ქალთამს ვერ მოჭრიდა თავს. როცა მეზობლის ეზოში გოუს კლავდნენ, ბადრი ოთახში იკეტებოდა და ყურებში ბამბებს იცობდა.

დალის იშვიათად თუ ეძინა წყნარად და უშფოთველად. უცნაური სიზმრები აწუხებდა მუდამ, მაგრამ დილით თითქმის ვერაფერს იხსენებდა. იმ ღამეს, მისდაგასაოცრად, მშვიდად ეძინა, დილით მსუბუქად და მჩატედ ადგა. მხოლოდ ერთი სიზმარი ნახა, რომელიც კარგახანს მართალი ეგონა.

...იყო დიდი, ტრიალი, ხასხასა მინდორი. ბალახი იყო მწვანე და წვრილფერა. როგორც კამა თუ ცერეცო. ირგვლივ ძეხორციელი არ ჭაუნებდა. დალი სულ შიშველი მიდიოდა კამის მინდორში. ჩალისფერი თმა მკერდზე და მხრებზე ჰქონდა ჩამოშლილი. დალის უკვირდა, რატომ დადიოდა ასე, მაგრამ ისიც იცოდა, რომ სხვანაირად არ შეეძლო. შიშველი სიარული რცხვენოდა, უფრო კი ეშინოდა, მხოლოდ — ვისი, ან რატომ – არ იცოდა. კიდევ კარგი, ვერავინ ხედავდა; არავინ არ იცოდა, თუ შიშველი დადიოდა. გრილოდა, ცვრიანი ბალახი ფეხებზე სასიამოვნოდ ედებოდა. საიდან უნდა ცოდნოდა თუ ცვრიან ბალახში, კამაში, ცერეცოში შიშველი სიარული ასე კარგი იყო. მინდორში მხოლოდ ერთი ალვის ხე იდგა. ხე არც ისეთი მაღალი აღმოჩნდა, როგორც შორიდან ჩანდა, თანაც თითქმის შუამდე ტოტები ასხეპილი ჰქონდა. ცაზე ღრუბელი გროვდებოდა და ხანდახან ელავდა. დალის ელვის ეშინოდა, მაგრამ მიხვდა, რომ მეხი ჯერ ტოტებასხეპილ ალვის ხეს დაეცემოდა, თანაც ელექტროდენისაგან ახლა უფრო მეტი ადამიანი კვდებოდა, ვიდრე სხვა უბედური შემთხვევებისაგან.

დალი სიზმარს იხსენებდა და ფანჯარაში იხედებოდა. მშვენიერი, ღრუბლიანი, უმზეო, გრილი დილა გათენებულიყო.

დალიმ დილაადრიანად გაიყვანა ბავშვი სასეირნოდ. დედა-შვილი ხელიხელ ჩაკიდებული დადიოდა ზოოპარკში. დალი ათვალიერებდა ცხოველებს, ესალმებოდა ნაცნობებს, რომლებიც პარკში უფრო მეტი აღმოჩნდნენ, ვიდრე ეგონა; ზოგიერთებთან ჩერდებოდა და მხიარულად საუბრობდა. მიუხედავად ამისა, არასოდეს არ ავიწყდებოდა ის უცნაური სიტუაცია, რომელშიც თვითონ იყო. ეჩვენებოდა, რომ იოლად და უხათაბალოდ დაალწია თავი იმ გასაჭირს, რაც დიდი ხანი აფიქრებდა, და აწამებდა. ასე იოლად მოპოვებულ თავისუფლებას ბევრი ინატრებდა. დღეიდან რასაც უნდოდა, იმას გააკეთებდა. აღარასოდეს აღარ დავუბრუნდები ქმარსო, ფიქრობდა, მაგრამ თვითონვე გრძნობდა, რამდენად უდღეური იყო ეს გადაწყვეტილება. კარგ ხასიათზე იმითომ კი არ იყო, რომ გამარჯვების ზეიმობდა, არამედ იმიტომ, რომ იცოდა, თავისუფლად დაბრუნდებოდა შინ და ეს ახალისებდა. არა და, თუ მართლაც განზე გავიდოდა, ამით ხომ უპატიოსნებასაც დაამტკიცებდა. იყო კი პატიოსანი? ღალატობდა თუ არა მეუღლეს? ძნელი სათქმელი და გასარკვევი თითქოს რა უნდა ყოფილიყო, მაგრამ ღმერთმა იცოდა. ვინ რას ეძახოდა პატიოსნებას. მის ადგილზე სხვა ამდენსაც ვერ შეძლებდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბადრისთვის კი ყველაფერი არამი იყო. არაფრით არ ეგონა, თუ ბადრი ამას იკადრებდა. „ეს რა მახვილგონივრული გამოცდა ჩაატარა? ურჩია ნეტავი ვინმემ, თუ თვითონ მოიფიქრა? საფიქრალი დრო კი ჰქონდა“. პატივისცემა რა არის, დალომ ახლა ქმრის შიშიც კი დაჰკარგა.

ვიდაც გამხდარი კაცი, რომელსაც ორი თეთრკანიანი გოგონა ახლდა, უეცრად მოცელილივით წაიქცა. თურმე არ-ყით ყოფილიყო მთვრალი და სასმელი გვიან მოჰკიდებოდა. წაქცეული გამვლელ-გამომვლელს აგინებდა და ახლოს არავის იკარებდა. გოგონები უაზროდ, უხმოდ უყურებდნენ ხან ხალხს, ხან მამას. ერთს ხელში დიდი ქუდი ეჭირა. ფოტოგრაფი ამტკიცებდა, რომ შემოვიდა ახსოლუტურად არაფერი ეტყობოდაო, ისე იყო გაოცებული, რომ ეს სიტყვები რამდენჯერმე გაიმეორა. მილიციელებმა ბავშვებისაგან კაცის მისამართი გაარკვიეს, რაღაც მოითათბირეს და მერე ერთი მოტოციკლის მოსაყვანად წავიდა, მეორე მთვრალს იღლიებში დაწვდა და სკამისაკენ წაათრია. ამის დანახვაზე შიმპანზემ საშინელი კივილი ატეხა. იგი გულზე მუქს იბაგუნებდა და რკინის სერსიროთს ეჯაჯგურებოდა. გალიაში სულ ბდღვირი დააყენა. ამას მიხედეთ, მოკვდებაო, დაიძახა ვიღაცამ. მილიციონერმა მთვრალი სკამზე დასვა. მაიმუნი დაწყნარდა, მაგრამ ახლა კაცი გადაირია და ხნიერ მილიციონერს ცალი პაგონი მოაგლიჯა. ვიღაც აკავებდა, იგი მაინც მილიციელისკენ მიიწევდა და ცოლ-შვილს აგინებდა.

— აი, ამის ღირსი ვარ! — სიმწრით იცინოდა ჭაღარა ზემდეგი.

პატარა ბიჭს მაიმუნისთვის კამფეტის მიცემა უნდოდა, მაგრამ დალომ აღარ დაიცადა.

დედა და შვილი ფიჭვის ხეებქვეშ სკამზე დასხდნენ. რკინის მესრით შემორაგგულ ეზოში ჭუჭყიანი სპილო დადიოდა. ბავშვები კამფეტებს ესროდნენ. სპილო პატარა, ელამი თვალებით ათვალიერებდა ეზოს და ტკბილეულს სათითაოდ იყრიდა პირში. საკვირველი იყო, როგორ პოულობდა მუხუდოს მარცვლს ტოლ თეთრ-თეთრ კამფეტებს.

— სპილო, დედა, ჭკვიანია? — იკითხა ბავშვმა.

— კი... — უპასუხა დალომ.

— რად უნდა მერე ჭკუა?

— აბა რა ვიცი! — ამოოიხრა დალომ.

უკან, უზარმაზარ გალიაში სვავები და ორბები ბათქუნებდნენ. ბიჭს სპილოს ცქერა მოსწყინდა და გალიას მიადგა. იგი ფრინველებს მისჩერებოდა და დედას ეკითხებოდა, არწივი რომელიაო. დალის ისედაც ყველა არწივი ეგონა, მაგრამ მტაცებელი ფრინველები სძულდა და უკან გახედვაც არ უნდოდა.

— ეს სვავი ყოფილა, გამოდი, რა სუნი დგას! — ცხვირი აიბზუა დალომ.

— დედა, სვავი სპილოს შეჭამს?

„ღმერთო, რას ლაპარაკობ!“ — გაიფიქრა დალომ.

ბიჭმა ბანგებ გაისულელა თავი და თვალები დაახამხამა.

— რა უცნაური კითხვა იცი, ბიჭო, ხანდახან... მოდი, შარვალი გაგიწმინდო!

— წავიდეთ რა სახლში! — თქვა ბავშვმა.

— გეჩქარება ძალიან?

— არ მივდივართ?

— წავალთ, კი...

— რომელ სახლში?

— შენ რომელში გირჩევნია?

— არ ვიცი, — თქვა ბავშვმა და თითები ათამაშა, თითქოს რამეს ანგარიშობდა.

— ჟუჟუნა დეიდასთან ჯობია, არა?

— არა, იმასთან ჯობია...

— ვინ იმასთან, ბიჭო?

— იმასთან...

— მამასთან?

— მამასთან.

რეზო ჭეიშვილი

ᲓᲐᲚᲘ

— ოჰ! — განერვიულდა დალი. მოეჩვენა, რომ ბავშვი საზიზღრად ტყუოდა და გაბრაზდა.

ორშაბათ დილით დალი შინ მივიდა.

ბადრი სარკესთან იჯდა და სამართებლით წვერს იპარსავდა. პრიალა ფოლადს საიდანღაც მზე ეცემოდა და კედელზე დანის ათინათი ქანაობდა. კაცს ცალი წვერი ჰქონდა გაპარსული. ცოლისა და შვილის შემოსვლაზე უკანაც არ მოუხედავს.

დალიმ ახალი ნაყიდი სახატავი რვეულები, ფერადი ფანქრები და ნოტები მაგიდაზე დაალაგა და საბაზრო ჩანთა სამზარეულოში გაიტანა. მალევე შემობრუნდა და ბავშვს ტანსაცმელი გამოუცვალა.

ბადრიმ წვერი გაიპარსა. პუდრით გალამაზდა და უცბად გამოიცოცხლდა. ბავშვსაც მოეფერა. უმიზეზოდ, ხანდახან ნერვიულადაც იცინოდა, ხუმრობდა და გადაჭარბებულად მხიარულობდა.

დალი იღიმებოდა და ვითომ არაფერი, ქმარს ისე უყურებდა. ფიქრობდა, რომ როცა იქნებოდა, ყველა თავისას მიიღებდა, არაფერი უპასუხოდ და უშედეგოდ არ დარჩებოდა.

თავი ოცდამეექვსე

საკავშირო შეჯიბრება თავისუფალ ჭიდაობაში იმ წელიწადს ქალაქ ორჯონიკიძეში გაიმართა. ელგუჯამ მეორედ აიღო ოქროს მედალი და ჩემპიონის სახელი დაიჩრჩნა. არასოდეს პირველი ადგილის აღება ასე არ გაჯერებია, როგორც იმჯერად. თითქმის ფინალამდე ჩემპიონობის იმედი არ ჰქონდა, მაგრამ როგორც ჩანდა, ბედი წყალობდა, ფორტუნა კიდევ მის მხარეზე იყო. იმ წონაში მაინც უამრავი მონაწილე მოგროვდა. მოჭიდავეები რომ იტყვიან, პირდაპირ ჩეხვა იყო. ელგუჯა მაინც გავიდა თავში და რამდენიმე გაზეთის სპეციალური პრიზიც დაიმსახურა. თბილისში დილითვე იცოდნენ ყველაფერი. ზოგიერთმა გაზეთმა ფოტოებიც დაბეჭდა.

დალი დაკვირვებით დასცქეროდა ელგუჯას ფოტოს. „რა სამაგალი ბიჭია!“ — გაიფიქრა მან, გაზეთი დაკეცა და გვერდზე გადადო.

ელგუჯა თბილისში ჩამოფრინდა თუ არა პირდაპირ უნივერსიტეტს მიაკითხა. უცბად ხალხში გამოჩენა ადრინდელივით აღარ მოხათრებია. ხვევნა-კოცნა და მილოცვებსაც აღარ აქცევდა ყურადღებას. ხან ეზოში იდგა, ხან დერეფნებში დაეხეტებოდა.... ნაცნობ-მეგობრები გვერდიდან არ ცილდებოდნენ. ერთი წავიდოდა, მეორე მოდიოდა და იყო რია-რია.

ელგუჯა ერთობოდა, უხასიათობას ვერ დაიბრალებდა, მაგრამ სულ ახსოვდა, რომ დალის ქმარი იყო ჩამოსული. აინტერესებდა, რა მოხდა, რა შეიცვალა.

შუადღით დალი შელიამ ეზო გადაიარა და უნივერსიტეტის კარებში შეავიდა. ელგუჯა შორიდან შეამჩნია, მაგრამ გვერდზე არ გაუხედავს. ბზიალა შინდისფერი ფეხსაცმელები და ძალზე გამჭვირვალე წინდები ეცვა.

„ვითომ ვერ დამინახა!“ — გაიფიქრა ელგუჯამ და უცბად იგრძნო, რომ ეს ქალი უკვე სხვისი ცოლი იყო, სხვას ეკუთვნოდა სულითაც და ხორცითაც. ამაზე იგი გაბრაზდა, რაღაც საშინელმა მოუთმენლობამ შეიპყრო, მოეჩვენა, რომ თუ სასწრაფოდ არ გამეცადინდებოდა, ყველაფერს დაკარგავდა.

ნაშუადღევს, როცა ელგუჯა ბიჭებთან ერთად ვესტბულში, ყავისფერ სვეტთან იდგა, დალი შელია გამოჩნდა. ქალმა ერთი კი გამოიხედა გვერდზე, მერე დემონსტრატიულად ჩაიარა სულ ახლო და გარეთ გავიდა. ელგუჯამ ვერაფრით ვერ გაიგო, რას ნიშნავდა ეს. გაკვირვებისაგან გაეცინა კიდეც. სიცილი ერთმა მოსაუბრემ თავის მახვილგონიერებას მიაწერა და ყველაფერი მშვიდობიანად დამთავრდა. მალე ელგუჯამ რაღაც მოიმბეზეზა, ნაცნობებს დაშორდა, მაგრამ ქალი ვეღარსად ნახა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დალის შინ არავინ დახვედრია. დიდ ოთახში გრილოდა და დაღლილმა და სულშეგუებებულმა შვება იგრძნო. კაბა და წინდები გაიხადა, ფეხები აიკეცა და გრილ ტახტზე პერანგისამარა მოკალთდა.

„როგორ სულელურად მოვიქეცი?!“ — გაიფიქრა მან და ნახევრადშიველ თეძოებს დახედა. თეძოს ცისფერი ძარღვი აჩნდა. ლილისფერი ძარღვი ბოლომდე ჩაღიოდა. დალი ფეხს დააკვირდა და ზედ ხელი მოისვა. გაახსენდა ამხანაგებთან მდგარი ელგუჯა. გრძელსახელოებიანი, ძალიან თეთრი, გატკიცინებული პერანგი ეცვა, ფერმკრთალ სახეზე მზე მოჰკიდებოდა. ღია ფერის წარბებს ქვემოდან გაჯავრებული და გაკვირვებული თვალები მოჩანდა.

„მე მეგონა, დამიძახებდა, ნეტავი სად გაშავდა ასე?“

ტელეფონმა დარეკა. დალი მიხვდა, ვინც რეკავდა. ყურმილი აიღო.

— ბატონო.

— როგორა ხარ? — ეკითხა ვიღაცამ ფრთხილად.

ვინ ბრძანდებითო, უნდოდა ეკითხა დალის, მაგრამ გადაიფიქრა, მიხვდა, არ ღირდა.

— კარგადა ვარ, შენ რას შვები?

— ჩვენც არა გვიშავს.

— საიდან რეკავ?

— ქუჩიდან... ისე თბილისში ვარ, თუ არ გაგიკვირდება...

— ვიცი სადაცა ხარ, ძალიან კარგად დაგინახე.

— შეუძლებელია...

— შენ არ გიხდება ასეთი ლაპარაკი. ისე, კარგია თუ გულმოსული ხარ... როდის ჩამოდი?

— გუშინ.

— მერე აქამდე სად იყავი... თუმცა აქ დარეკავ ალარც არის მაინცადამაინც რეკომენდირებული.

— გასაგებია...

— რა თქვი?

— გასაგებია-თქვა. სად გნახავ?

— ვერსად.

— ხმამაღლა თქვი!

— ვერსად ვერ მნახავ, — უფრო ხმამაღლა უწია დალიმ ხმას და გაიცინა.

— მე არ გეხუმრები!

— სხვათაშორის, არც მე.

ამ სიტყვაზე ელგუჯამ პასუხი ვერ მოახერხა და უხერხულად ჩაახველა.

—...ამ კვირაში უნივერსიტეტშიც არაფერი საქმე არა მაქვს და გარეთ გამოსვლასაც არ ვაპირებ... — თქვა ისეთ დალიმ.

დალი მარტო იყო, მაგრამ მაინც ფრთხილად ლაპარაკობდა. ელგუჯა დაკონებით მოითხოვდა შეხვედრას. დალი უარსაც არ ამბობდა, თუმცა არც აპაოფერზე თანხმდებოდა. თითქოს სახლიდან გასვლის აუცილებლობასაც ვერ ხედავდა. ამ ლაპარაკში მაინც რამდენჯერმე ახსენა ცირკი, სადაც კვირას ბავშვი უნდა წაეყვანა. ელგუჯა მაინც გვიანობამდე ვერ მიხვდა ვერაფერს.

კვირა დილით ცირკის მისადგომები, მაღალი კიბე და გალავან-ზღუდეები ბავშვებით და ქალებით გაივსო.

ელგუჯას ეშინოდა, ფიქრობდა, დალის ქმარიც არ წამოყვესო, თუმცა დარწმუნებული იყო, რომ დალის ჯიბეში ქმარი არაფერ ფულად ცირკში არ წამოვიდოდა. არც შემცდარა.

დედა და შვილი მართლა მარტო ამოდიოდნენ ქვის კიბეზე. ელგუჯა დაწინაურდა და საბილეთო სალაროსთან რიგში ჩადგა...

დალის წინასწარვე აეღო ბილეთი და პირდაპირ დარბაზში შევიდა. ელგუჯა არ შეუმჩნევია, თუმცა გრძნობდა, რომ ვაჟი სადღაც აქვე ტრიალებდა. სულ მალე მოლარემ ელგუჯას ცხვირწეხ დაკეტა სარკმელი და შიგნიდან დაიძახა, ბილეთები აღარ არისო. ელგუჯა დაღონდა, მაგრამ ბედად ცირკის ადმინისტრატორმა იცნო და უბილეთოდ გაატარა. უთხრა, ლოჟაში დაჯავშნულ ადგილზე დაჯექიო, მაგრამ ელგუჯას

რეზო ჭეიშვილი
ᲓᲐᲚᲘ

ლოჟისაკენ არც გაუხედავს; ძლივს გაიკვლია გზა ბავშვებსა და ქალებში და პარტერის მეორე რიგში, დალი შელიას უკან უბოდიშოდ დაჯდა.

— დილა მშვიდობისა! — მოიხედა დალიმ და გაიცინა.

— გაგიმარჯოს.

— როგორა ხარ?

— მადლობთ, თქვენ როგორ გიკითხოთ...

ელგუჯამ ბავშვს თავზე გადაუსვა ხელი. ბიჭმა თავი დასწია და გვერდზე შეტრიალდა.

— აქედან კარგი საყურებელია! — თქვა ელგუჯამ.

— მართალს ამბობ? — იკითხა დალიმ ღიმილით.

— ნამდვილად. — სერიოზულად უპასუხა ელგუჯამ.

— მერე მაგ ადგილის ბილეთი გაქვს?

— ბილეთი საერთოდ არა მაქვს.

— აბა აგაყენებენ!

— რა ვუყო ახლა, თუ ამაყენებენ!...

— როდის დაიწყება? — ჰკითხა ბავშვმა დედას.

— მალე, — უპასუხა დალიმ და სკამზე გასწორდა.

ელგუჯამ პროგრამა და ნაყინი იყიდა და ბავშვს მიაწოდა. ბავშვმა დედას შეხედა.

— გამოართვი! — ურჩია დედამ.

ბავშმა ნაყინიც აიღო და ფერადი პროგრამაც.

— შენც გინდა? — ჰკითხა ელგუჯამ დალის.

— მე, არა, აგერ შენ ადგილზე მოდიან!

ვიღაც სქელი დედაკაცი მართლა ხენეშით მოიკლეკედა გზას. ელგუჯა აწრიალდა. ამ დროს შუქი ჩაქრა და ორკესტრი გამაყრუებლად აყრიალდა. სქელი ქალი სხვაგან დაჯდა.

სულ ქვევით, კონფერანსიე კაცს, რომელსაც მოსირმული კოსტუმი ეცვა, პროჟექტორის შუქმა მიანათა. კაცმა გამყინავი, საზეიმო ხმით გამოაცხადა პროგრამა. უეცრად ყველაფერი განათდა. თეთრად აქათქათდა ნახერხმოყრილი მანეჟი. ხალხიც უფრო გარკვეულად გამოჩნდა.

დარბაზში სულ ქალები და ბავშვები ჩანდნენ. მხოლოდ აქა-იქ თუ გამოანათებდა მამაკაცის სათვალის მინა. ელგუჯას ეუხერხულა იქ ყოფნა, მაგრამ შეამჩნია, რომ მის გვერდით, წინ და უკან რატომღაც სულ მარტოხელა კაცები ისხდნენ და დამშვიდდა.

მანეჟზე საღამოს მონაწილენი შემოვიდნენ. წინ ლამაზი, ნახევრადშიშვული ქალები მოდიოდნენ. ვიღაცამ თქვა, დები არიანო. წითლად და ცისფრად აჭრელებული მსახიობები მაყურებლს მიესალმნენ და მუსიკის ხმაზე გავიდნენ მეორე მხარეს.

წარმოდგენა დაიწყო. პროგრამის წამყვანი მაყურებლს სთხოვდა, ჩამობრძანდით და საღამოში მონაწილეობა მიიღეთო. ამ დაძახილზე ელგუჯას სექტორი თითქმის განახევრდა. მარტოხელა მამაკაცები, რომლებიც ცირკის მახსარები აღმოჩნდნენ, სულ წივილ-კივილით გადაცვივდნენ მანეჟზე. ელგუჯა ახლა უკვე საეჭვოდ უყურებდა რამდენიმე კაცს, რომლებიც ჯერჯერობით ადგილიდან არ იძრიდნენ.

ბიჭი მთელი გულისყურით მისჩერებოდა სცენას და გულიანად იცინოდა. ვინ იყო ეს დაბღვერილი კაცი, დედამისს რომ ელაპარაკებოდა, სრულებით არ აინტერესებდა. თუმცა წარმოდგენის დაწყების მერე ელგუჯა გაჩუმდა და დედა-შვილისათვის მაინცადამაინც თავი აღარ შეუწუხენია. ის კი არა, დალიმ გაკვირვებული მოიხედა, ხომ არ წავიდაო. ელგუჯა ძირს იხედებოდა.

— შენ აქ ჩემს საყურებლად მოდი?

— ასე გამოდის... — ჩაილაპარაკა ელგუჯამ და ქალს გულისგამგმირავად მიაჩერდა.

— იქით გაიხედე, გირჩევნია, ნუ მაშინებ!

ელგუჯას გაეცინა და სახეზე ხელები აიფარა.

— რომ დამთავრდება, სად წახვალ? —

ეროვნული ბიბლიოთეკა

იკითხა ელგუჯამ. მიხვდა, რომ აქ თამაშის ადგილი არ იყო და დროს დაკარგვაც არ ღირდა.

— დამთავრებისას გარეთ ბადრი დაგეხვდება.

— ბადრი ვინაა?

— ჩემი ქმარი... — ხმას დაუწია დალიმ და რატომღაც გაეცინა.

— ოჰ!... — გაახსენდა ელგუჯას და ისევ მოიღუშა.

— თუ გინდა დაგანახვებ, ხომ უნდა იცოდე, ვინ არის...

— სად?

— სადაც იქნება, მოვახერხებ.— თქვა დალიმ. მომდიმარე თვალები ელგუჯას მოაშორა და ისევ მანეჟისკენ შებრუნდა. ქალი და კაცი ჭერზე ტრიალებდნენ. კაცს პირში თოკის ნასკვი ეჭირა. თოკზე კიდევ ფეხებგაშლილი ქალი იყო ჩამოკიდწოალებული. ხალხს ნერვები მოეშალა და ტაში დაუკრეს.

— ჰო, მართლა, მომილოცავს! — მოიხედა დალიმ.

— გმადლობთ.

— მაინც ცხელა, არა?

— ძალიან.

— საღამოობით მე სულ ვერის ბაღში ვსეირნობ...

— მარტო?

— მარტოო, ვერ იტყვი...

დალი შებრუნდა და მანეჟის გალავანზე, ზედ ცხვირწინ ჯამბაზი დაინახა. ჯამბაზი დალის მისჩერებოდა და უცნაურად იმანჭებოდა. დალის გაუკვირდა, რა უწესრიგოდ და. უხეშად ეტყობა გრიმი და პარიკიო. „ღვთის გლახაკს ჰგავს!“

ხალხი იცინოდა. დალის შერცხვა და ეაწითლდა, თუმცა სხვების დასანახავად თვითონაც გაიღიმა.

ელგუჯას დალი შეეცოდა, არ იცოდა, რით ეშველა და თავი ჩაღუნა. „აქ რაღაც უბედურებას დადაეკვედები, — ფიქრობდა იგი. — შეიძლება ბადრია თუ ვიღაც, შიგაც შემოვიდეს...“ ჯამბაზმა ბეღელ ჯიბიდან ვარდი ამოიღო და დალის გაუწოდა. დალიმ ხელი არ მოჰკიდა. ბავშვმა უჩურჩულა, გამოართვიო. ბიჭს ჯამბაზის ეშინოდა და იქნებ ჩქარა წავიდესო, ფიქრობდა. დალიმ იცოდა, ხელს გასწვდება, თუ არა ყვავილი გაქრებოდა და ცარიელზე დარჩებოდა. არადა, ჯამბაზიც არ მიდიოდა.

„არა უშავს, გაიცინონ, თუ ასე უნდათ!“ — გაიფიქრა დალიმ და ხელი ყვავილისკენ წასწია. ყვავილი მართლაც გაქრა. მაყურებლები ახარხარდნენ. ჯამბაზმა დალის პაეროვანი კოცნა სტეფორცნა და გაიქცა; გზაზე ფეხი ფეხზე დიდგა და დავარდა. ამაზეც ბევრი იცინეს. იმწუთას სხვა ჯამბაზებიც შემოცვივდნენ და დალი ყველას გადაავიწყდა.

— მე წავალ და სხვა დროს გნახავ...— ხმადაბლა უთხრა ელგუჯამ.

— ჰო, კარგი... — დაბნეულად ჩაილაპარაკა ჯამბაზის მანჭვა-გრეხით გალიზიანებულმა დალიმ. — დარეკე, მხოლოდ სამსახურში...

ელგუჯამ თავი დაუქნია და წამოდგა. მაყურებელთა მუხლებსშუა გაიკვლია გზა და მალე თვალს მიეფარა. დალიმ მოურიდებლად გააყოლა თვალი, მაგრამ ელგუჯას ერთხელაც არ მოუხედავს.

თავი ოცდაერთეული

თვრამეტი საუკუნის წინ, ქვის მაღალ კოშკში მიყუჟულმა სწავლულმა გიპარხმა ღრიანკალის თანავარსკვლავედში შეამჩნია მოკაშკაშე ვარსკვლავი, რომელიც ადრე არასოდეს ეხილა. ვარსკვლავი ისევე მოულოდნელად გაქრა, როგორც გამოჩნდა. თავზარდაცემულმა გიპარხმა გადაწყვიტა, აღერიცხა ყველა ხილული მნათობი, რათა შთამომავლობას ენახა, ხომ არ გაქრა, ან ხომ არ გამოჩნდა ახალი ვარსკვლავი.

შემოდგომის თბილი დღეები მიყვებოდა ერთმანეთს. დღე კლებულობდა.

რეზო ჭეიშვილი
დალი

ხეებს ფოთლები უყვითლდებოდა, ბაღში ოქროსფერი ნეშო ეყარა. შადრის დიდრონნი ფოთლები ფარფატით მოდიოდა ძირს.

ვერის ბაღი სავსე იყო ბავშვებით, დედებით და პენსიონერი კაცებით. დაფხვნილი აგურით დატკეპნილი მიწა საბავშვო ველოსიპედების თვლებით იყო დახაზული.

ქვის შადრევანის ახლო-მახლო ჯერ არავინ ჩანდა. მხოლოდ კუთხის სკამზე იჯდა რამდენიმე ახალგაზრდა. ფეხბურთის მოყვარულები ჯერ არ გამოსულიყვნენ.

საღამო ხანს ელგუჯა ამხანაგთან ერთად შევიდა ვერის ბაღში. ვარჯიშიდან პრუნდებოდა, მაგრამ პირდაპირ იქ შეუხვია. დღეს უნდა გარკვეულიყო, რა უნდოდა ყოველ საღამოს დილის ბაღში და ვისთან ერთად დასეირნობდა ამ ლაგას. ამხანაგი, რომელიც თვლიდა, რომ კამათი ფეხბურთზე, ხელოვნებაზე, მით უმეტეს, პოლიტიკაზე სისულელე იყო, ეხვეწა კინოში შევიდეთო, მაგრამ ელგუჯა ვერ დაიყოლია. არც კითხულობდა, რა ასეთი აუცილებელი საქმე გაჩენოდა ელგუჯას ამ ცარიელ ბაღში და არც თვითონ მიდიოდა. ელგუჯას ყოველთვის ეშვი ეპარებოდა ამ ბიჭის კაი კაცობაში. ეს უკისრო მოჭიდავე დიდი შელამაზე კაცის სახელით სარგებლობდა. მავნე ეშმაკი არ ყოფილა, მაგრამ მაინც ძნელი სანდობი იყო. ელგუჯა ვიღაცას ამგვანებდა და ვერც ამგვანებდა. ფიქრობდა, ერთხელ ახალ ჩამოსულ, საწყალ კაცს ხელში რომ აგური მომაჩეჩეს, ის ხომ არ არისო. ის აგური აქამდე არ დაგიწყეზოდა. დაბალ მოჭიდავეს ხშირად, ვითომ ხუმრობით, სინამდვილეში, ნახევრად ხუმრობით, თავში ხელს ურტყამდა, აწდა ვარჯიშის დროს ჩოქბჯენში გამოიჭერდა და კისერს უგრეხავდა. დაბალი ყვიროდა, წადი, შენ ტოლებთან ითუშავეო.

ელგუჯას და უკისრო მოჭიდავეს მალე ერთი ბიჭი შემოუერთდა. ბიჭს შერმადინი ერქვა. შერმადინი დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა ამ ადგილებში. ბუნებით ნიჭიერი, მეტ-ნაკლებად ყველაფერში გარკვეული კაცი თავის აზრებს იოლად ახვევდა სუსტი ნებისყოფის ადამიანებს. შერმადინი თბილისს ყველა, ასე თუ ისე ცნობილ ახალგაზრდასთან პოულობდა საერთოს; ყველას გაუშინაურდებოდა ხოლმე და ბევრს რრეკა-დარიგებებს სთავაზობდა.

შერმადინი დარდობდა, ბაღში რომ მრეკელი კლებულობდა. ადრინდელი ხალხმრავლობა და სიხალისე აღარ იყო. ბიჭების დიდმა ნაწილმა ოპერის ბაღში გადაინაცვლა. ზოგიერთის აზრით ორსამ წელიწადში იქაურობა სულ გატიალდებოდა და ერთი ჭეშმარიტი ფეხბურთის მოყვარული აღარ დარჩებოდა.

— რაც ნაკლები ვიქნებით, უკეთესია... ნეტავი ყველა გადაიკარგებოდეს. ოპერის ბაღში მე ცოცხალი თავით არ გადავალ, აქ დავბადებულვარ და აქ მოვკვდები! — ხმამაღლა გაიცინა სქელმა და ელგუჯას ბეჭებზე ხელი მოხვია.

— ოპერის ბაღში ახლა კაი მენაბდე პირველობს თურმე! — თქვა ელგუჯამ.

— ვინაა, ბიჭო, კაი მენაბდე?.. მე და გოგია დადიანი ამ ბაღში რომ „რაზბორეს" ვაწყობდით, კაი მენაბდე დაბადებული არ იყო... ისე, ფეხბურთის კუბი დავდგი... სადღაა ბიჭო, ფეხბურთი! — ჩაიცინა შერმადინმა და იმის დასადასტურებლად, რომ წასულა საქმეო, ხელი ჩაიქნია და ნაღვლიანად დაიხედა ძირს.

ცოტა ხნის შემდეგ რამდენიმე ბიჭიც მოეშატათ. ელგუჯა ახალმოსულებს არ იცნობდა, მაგრამ ბიჭებმა სწორედ ელგუჯას ჩამოართვეს პირველად ხელი. ორი მოპირდაპირე სკამზე დაჯდა, ერთი ფეხზე გაჩერდა იქვე. უკისრო გვერდზე ჩაჩოჩდა, მაგრამ ბიჭმა უთხრა, არა უშავს ფეხზე მირჩევნიაო.

— რატომ წაგვეს, შერმადინ, ჩვენებმა? — იკითხა ფეხზე მდგომარემ.

— რა ვიცი მე, რატომ წაგვეს! — გულგრილად ჩაილაპარაკა შერმადინმა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ტერიტორიული უპირატესობა ჩვენი ყოფილა!

— ომი იყო? — გაუკვირდა შერმადინს. — რა ტერიტორიული უპირატესობა, ასი მეტრია სულ სტადიონი იქით და აქეთ...

ელგუჯას გაეცინა.

— ლაპარაკობს რა ესეც... — გაიცინა შერმადინმაც და ელგუჯას გადახედა.

ფეხბურთზე ბევრი ილაპარაკეს, მაგრამ შერმადინი არ იყო ხასიათზე და უმისოდ კამთს რა აზრი ჰქონდა. თანაც ძირითადი მეკოდნენი არ გამოსულიყვნენ. ასე იყო თუ ისე, ბოლოს სტყვა მაინც ჭიდაობაზე ჩამოაგდეს. ელგუჯას ჭიდაობის გახსენება არ უნდოდა, მაგრამ ბოლოს მაინც ბიჭებს ამყვა. ისინი ერთ ირანელ მოჭიდავეს აქებდნენ და სპორტული მიმომხილველების აზრებს იშველიებდნენ. ბოლოს ის ირანელი ელგუჯასაც შეადარეს.

— იმ კაცს არასოდეს შევხვედრივარ, მაგრამ ჩემზე მეტი არც ღონე უნდა ჰქონდეს და არც ტექნიკა! — თქვა ელგუჯამ.

ამ თავმდაბლურ განცხადებას მდუმარედ შეხვედნენ.

— ვერ იტყვი თავისუფლადო, — მაგრამ ელგუჯა იმ კაცს ყოველთვის მოუგებს, მით უმეტეს ახლა, ისე რად გინდა ლაპარაკი, მაგარია! — ხმადაბლა, მაგრამ აეტორიტეტულად თქვა უკსარო მოჭიდავემ.

აღარავინ შედავებია. ირანელის უძველესობის მითი თუ არ დაიმსხვრა, გაუფასურდა მაინც.

ბაღში დიმიტრი გამოცხადდა. ყველას მიესალმა და შორიახლო დაჯდა.

— შენი ანდაზები წავიკითხე ჟურნალში! — დაუძახა შერმადინმა.

— არ დატოვო, ბიჭო, არაფერი! — ჩაეცინა დიმიტრიმ.

— კი მაგრამ, რა გეანდაზება!

— ჯერ ერთი, ანდაზები არ იყო ის.

— რა იყო ამა, სიბრძნე-სიცრუისა?

— მახვილგონიერი გამოთქმები იყო!

— თვითონ გაეცინა დიმიტრის.

შერმადინმა ხელის მტევანი აათამაშა, დიმიტრის ანიშნა, შენი საშველიც არ იქნებაო.

— სადაა შენი ნამუსგარეცხილი სახლიკაცი? — იკითხა დიმიტრომ.

— შენი ძმაკაცი ისაა და მე მეკითხები?

— მართლა სადაა?

— არ ვიცი... სოსო ჩვენთან ხომ ადარ ცხოვრობს...

— ა, ხო, სწორია...

ამ ლაპარაკში ქვის შადრევანთან დალი შელია, დალის ქმარი და შვილი გამოჩნდნენ. ცოლ-ქმარი და ბავშვი ნელა მოდიოდნენ და ბიჭების სკამებს უთანდათანდებოდნენ.

ელგუჯას ელდა ეცა. წამსვე მიხვდა, რომ კაცი დალის მეუღლე იქნებოდა. „თურმე რატომ მეპატიჟებოდა ამ ბაღში!“

— ეს ბიჭია ბადრი კილაძე... — ჩურჩულით თქვა შერმადინმა და ძირს დაიხედა, — არ მიაჩერდეთ ახლა თხებივით!

ზოგიერთებს ბადრი კილაძის სახელი ადრევე სმენოდათ და მიუხედავად შერმადინის გაფრთხილებისა, მაინც გვერდზე გაიხედეს. ზოგმა ეს გვარი და სახელი პირველად გაიგონა და ვერ მიხვდა, რა ასეთი მოსარიდებელი კაცი მოდიოდა.

ელგუჯა პირდაპირ იხედებოდა, ფეხი ფეხზე გადაედო, თითქოს უდარდელად იჯდა, მაგრამ ღელავდა; რაღაცას რცხვენოდა თუ ეშინოდა, არ იცოდა.

დალის ბავშვისათვის ჩაეკიდა ხელი. ბადრი უფრო განცალკევებით მოდიოდა. ზოლებიანი და ჯიბეებიანი თეთრი პერანგი ეცვა. ახალმოდაზე შეკერილი ტილოს კეპი ხელში ეჭირა. საშუალოზე მაღალ კაცს განიერი ზურგი და წვრილი, სწორი ფეხები ჰქონდა; ყოველ-

შემთხვევისათვის, კოხტად მომჯდარ შარვალში ასე ჩანდა; ეტყობოდა, ღონიერი მამაკაცი იყო. ღონიერი — არა მარტო ფიზიკურად; მის სიარულს და მოძრაობაში რაღაც სიამაყე და სიკოხტავე იგრძნობოდა.

ელგუჯას არ სჯეროდა, მაგრამ ამკარად ეჩვენებოდა, რომ დალი პირდაპირ მისკენ იყურებოდა. თვალი იქით გააპარა და სინამდვილეშიც დარწმუნდა. დალი დაუფარავად, მოურიდებლად უცინოდა. ელგუჯა ვერაფრით ვერ წარმოიდგენდა, თუ ქალი ამდენს გაბედავდა. დალიმ თვალი გაუსწორა და სალამიც უთხრა. ელგუჯამ უნებურად წამოიწია და თავი დაუკრა. ამ მოძრაობაზე ბაღრიმ მოიხედა და შერმადინი შერჩა ხელში. შერმადინი წამოდგა, ბაღრის დიდი მოწიწებით ჩამოართვა ხელი.

— როგორა ხარ? — ჰკითხა ბაღრიმ და მკლავზე ხელი მოჰკიდა.

შერმადინი ბავშვს მიეფერა, დალისაც მიესალმა და გზაც განაგრძო. ეტყობოდა, გზაში რაღაც იხუმრა, რადგან ბაღრიმ ხმამაღლა გაიცინა. დალიმაც გაიღიმა, თუმცა არაფერი გაუგონია.

შერმადინი, მთელი ბაღის გასაოცებლად, რაღაც წარმოუდგენელი რიდითა და თავაზიანობით ელპარაკობდა ბადრი კილაძეს. მარიოკოს სულთანთანაც არ მოიხათრებდა ამნაირად.

ტალავერთან დალი ცარიელ სკამზე დაჯდა, ფეხები ერთმანეთს მიატყუპა და მუხლისთავები თეძოებს გაუსწორდა. პატარა, ტყავის ჩანთა თუ საფულე კალთაში ჩაიდო და კაბა წინ გადმოიქაჩა, თუმცა მუხლების დაფარვა სულ არ უცდია. ბავშვი დედას მოშორდა და მოთამაშე ბავშვებს მიაჩერდა.

ბაღრი და შერმადინიც იქვე გაჩერდნენ. ბაღრიმ პაპიროსის კოლოფი ამოიღო და მოსაუბრეს მიაწოდა. ორივემ გაიბოლა. ლაპარაკის დროს ბაღრის ქუდი ხან ხელში ეჭირა, ხან თავზე იხურავდა. ხანდახან თავზე ხელისგულს ჩამოისვამდა ხოლმე. ეტყობოდა, მალე უნდოდა თმა გაზრდოდა, თუმცა ... ქოჩორს ადრეც არ ატარებდა.

ელგუჯა დროდადრო ბაღრის აკვირდებოდა. ბაღრის მრგვალი სახე და ცხვირის თხელი ნესტოები ჰქონდა. რაც იცინოდა, გალავანივით შემორკალული, თეთრი, ჯანმრთელი კბილები მოუჩანდა. უწყინარი, ლამაზი სახე ჰქონდა, მაგრამ რაღაც მოურიდებელი, დაუნდობელი თვალები და მზერა ცუდად მოქმედებდა ახლადგაცნობილ ადამიანზე.

ელგუჯას არც არასოდეს უფიქრია, თუ ბაღრი კილაძე ადამიანს ჰგავდა. მაზუთში ამოსვრილი პიჯაკით და ჭუჭყისაგან გადაგლესილი, თვალებზეჩამოფხატული ქუდით დადისო, არ ჰგონებია, მაგრამ ასეთი თუ იყო, ისიც ვერ წარმოედგინა.

დალი ისევ აშკარად, დაუფარავად იხედებოდა ელგუჯასაკენ. ვიწრო და გრძელი თვალის ჭრილებიდან ლურჯი თვალები ჩანდა.

„რა უნდა ამით თქვას?“ — ფიქრობდა ელგუჯა.

ორში ერთი იყო: ქალი ელგუჯას ანიშნებდა, შენი ვარო, ანდა ახელებდა, ასეთი მოხდენილი და მოსიყვარულე ქმარი რომ ჰყავდა. ბაღრი ცოლს ყურადღებას არ აქცევდა, ველური ვენახის ტალავერის სვეტისათვის ჩაეკიდა ხელი და შერმადინს, რომელიც თავგამოდებით ამტკიცებდა რაღაცას, დიდი გულისყურით უსმენდა.

ელგუჯა დიმიტრისთან გადაჯდა და დალის მზერა აიცილა.

— შენ კიდევ სწავლობ? — ჰკითხა დიმიტრიმ.

— უნივერსიტეტში დავდიავარ და სწავლის რა მოგახსენო!

— ასეა ყველა, დაამთავრე თუ არა-თქვა, ამას გეკითხები?

— ვამთავრებ...

— მე მეგონა, შენ დიდი ხნის დასრულებული გქონდა.

— რატომ? — გაუკვირდა ელგუჯას.

— სიგარეტი გინდა?

— მომეცი.

თავისი სიგარეტი დიმიტრიმ ელგუჯას მისცა, თვითონ დაჭმუჭნული კოლოფიდან ახალი ღერი ამოიღო და მოუკიდა.

„რატომ უნდა უღალატოს ასეთ კაცს?... შეიძლება ამ ქალის გამართლება?... — ფიქრობდა ელგუჯა. — როგორ ბედავს, ასე როგორ მიყურებს?... იქნებ ვერც მხედავს... ქალისას რას გაიგებ, ქალი რას ფიქრობს, ვინ მიხვდება?...“

— სადაა კიმოთე? — ჰკითხა დიმიტრიმ.

— არ ვიცი.

— რატომ?

ამ კითხვაზე პასუხის გაცემა ელგუჯამ უკვე ზედმეტად ჩათვალა.

—...რა ტიპია ეს შენი კიმოთე... — განაგრძო დიმიტრიმ. — რა გაზარდა ეს, რა ქვია?

— მანდიკორი.

— მანდიკორმა ხე, ხე... წერს რამეს?

— ვინ?

— კიმოთე.

— არა...

— ა, გაჩერდი... მაგი არ მითხრა. კიმოთე ისე ვერ მოისვენებს, თუ რამე არ დაწერა. სამაგიეროდ, ვერასოდეს თავის დაწერილს ვერ გამოაჩენს... ისეთი თავმოყვარეა, სხვის აზრს ვერ მოისმენს.

ელგუჯას მოსაუბრის ბრძნული ანალიზისათვის ყური აღარ დაუგდია. დიმიტრიც მალე მიხვდა, ელგუჯას რომ არაფერი ეყურებოდა და გაჩუმდა.

კარგად რომ დაღამდა, ბაღრი თავისი ცოლ-შვილით ბაღიდან გაილალა.

ხალხმა იმატა. ქვის შადრევანთან ფეხბურთის მოყვარულები გროვდებოდნენ. ყველა ცარიელი სკამი შეიავსო. ბევრი მაინც ფეხზე დარჩა. პატარა ბავშვები კიდევ დააქროლებდნენ ველოსიპედებს და მოწითალო მიწას ხაზავდნენ.

ერთი გრძელი სკამი, რომელზედაც ჩვეულებისამებრ, ფეხბურთის გულშემატკივრები სხდებოდნენ ხოლმე, პენსიონერებს დაეკავებინათ. პენსიონერები ყოველთვის ბაღის შუაგულში იყრიდნენ თავს და ადგილის მონაცვლებამ ახალგაზრდების სამართლიანი გულისწყრომა გამოიწვია. ზოგიერთი უკვე ხმამაღლა საყვედურობდა. ამბობდა: ეს უსამართლოაა, ყაჩაღობაა, სხვისი ადგილის ასე უმიზეზოდ მითვისება როგორ იქნებაო. პენსიონერებს არაფერი ესმოდათ და დარბაისლურად მასლაათობდნენ. გარდა ამისა, გულშემატკივრები სთვლიდნენ, რომ ველოსიპედიანი ბავშვების, მათი ბებიების და ბაბუების წასვლის დროც იყო მოსული. ერთი გამხდარი, დალეული ბიჭი ხმას ავრცელებდა: ღამის ათ საათზე საწვრთნელი, ატომური განგაში გამოცხადდება და ქალაქი ისე ჩაბნელდება, რომ დედა შვილს ვერ იცნობსო.

ბაღში გიგუშა შემოლაყუნდა.

— ეს გვაჭლდა და ესეც მოვიდა! — თქვა ვიღაცამ ძალიან ხმადაბლა.

გიგუშა მთვრალი იყო. ბევრს არ ესიამოვნა მისი დანახვა.

იქნებ ვერ შემნიშნოსო, გაიფიქრა ელგუჯამ, მაგრამ გიგუშა პირდაპირ მისკენ წამოვიდა. სხვაგან იხედებოდა, თუმცა, გზა არ ეშლებოდა. ელგუჯას მიადგა, ხელის ჩამორთმევას არ დაჯერდა, გადაჰკოცნა კიდეც.

— შენ მაცადე! — უთხრა დიმიტრის და სადღაც წავიდა.

გიგუშა დიდი ტანის, ძვალმსხვილი კაცი საკმაოდ ნიჭიერი ლიტერატორი იყო, მაგრამ პირველ ხანს ასე ეგონა, მთავარი ღვინის სმა და დროსტარება არისო, უფრო დაფასდები და გამოჩნდებიო, მერე მართლაც ასეთი გახდა, თუმცა უკვე სულაც აღარ ამაყობდა.

გიგუშამ ყველა ნაცნობს ჩამოუარა, უცნობებიც არ დაუტოვებია და ბოლოს ისევ დიმიტრის მოაკითხა.

— ახალი ვარსკვლავი აღმოუჩენიათ! — უთხრა დიმიტრიმ, როცა გიგუშას ხელი მოიშორა.

გიგუშამ საეჭვოდ გადმოხედა. იგი მხოლოდ კონიაკს სვამდა და როცა მისი თანდასწრებით, ისიც სიმთვრალეში, ვარსკვლავს ახსენებდი, შეურაცხყოფად ღებულობდა.

— რა აღმოუჩენიათ, ბიჭო?!

— ახალი ვარსკვლავი! — გაიცინა დიმიტრიმ, წამოდგა და ყოველშემთხვევისათვის, სკამის უკან გაჩერდა.

— რა აღმოუჩენიათ, გარკვევით მითხარი!

— ვარსკვლავი.

— რამდენი?

— რამდენი და ასი, ერთი... — გაეცინა დიმიტრის.

— ბიჭო, რასაც შენ ჭამ და სვამ, რატომ არ ვერგება! — იყვირა გიგუშამ — მითხარი, რა გჭირს ამისთანა, ცარიელი ძვალი და ტყავი რომ ხარ?!. — გიგუშა უცბად აბანცალდა. დიმიტრის ეგონა, იქცევაო და ხელის შეშველება დაუპირა, მაგრამ გიგუშამ ფეხზე სტაცა უზარმაზარი ხელი.

— რა აღმოუჩენიათ, მითხარი თუ არა, გაგათავე... ხუთვარსკვლავიანი, თუ ვარციხე?!

— გამიშვი ხელი და გეტყვი!

— ჰა, თქვი!

დიმიტრიმ პერანგი და შარვალი გაისწორა, ელგუჯას შეხედა და გაიცინა:

— წადი, ძმაო, თავი დამანებე! — უთხრა გიგუშას.

გიგუშა მართლა შეტრიალდა და პენსიონერებს მიადგა.

— უკაცრავად, ბატონო, იმანო, გაიგონეთ, აქ რაზე იყო ლაპარაკი?

— არა, ბატონო!

— ახალი ვარსკვლავი აღმოუჩენიათო, მართალია?

— არ ვიცი, ბიძია, რა ხანია ზეკვეთ არ ამიხედია! — უთხრა ერთმა.

— საღამოს თბილისს არ კითხულობ, მერე?!

— რა გაყვირებთ, ბატონო, თქვენ! — შეუტია ერთმა უფრო გაბედულმა.

— აბა რაშია საქმე?.. რა ვარსკვლავი, რისი ვარსკვლავი, ქვეყანა ჩალით ხომ არ არის დახურული! — თქვა გიგუშამ და ერთ პენსიონერს კალთაში ჩაუჯდა, ზეკვეთ აიხედა; მერე მოხუცების მუხლებზე გაწვა და ფეხები აიშვირა, ვითომ ცაზე ვარსკვლავს ვეძებო.

ელგუჯას გიგუშა არ უყვარდა, მაგრამ ახლა თავი ვეღარ შეიკავა და სიცილი აუტყდა, თანაც თვითონ შერცხვა, წამოდგა და სხვა სკამზე გადაჯდა. დიმიტრიც დაიმალა. სხვებიც შეწუხდნენ, თუმცა გამიშვი და გაგიშობ არ დაწყებულა.

გიგუშა წამომდგარიყო და პენსიონერებს ეხვეწებოდა, ბერიკაცი ვარ, ნუ მომკლავ, წამიმიწყეთო. შეშინებული ბებრები იფიცებოდნენ, სიმღერა არ ვიცითო.

პენსიონერები ამის მერე მალე წავიდნენ, თუმცა გიგუშაც აღარ დარჩენილა დიდხანს. ერთმა ახალგაზრდამ გიგუშა დაუსწრებლად საღამოს გმირად **გამოაცხადა.**

იმ ახლო-მახლო, სადაც ელგუჯა გადაჯდა, ფეხბურთზე არ ლაპარაკობდნენ. ერთი ფიზიკოსი თუ ფილოსოფოსი, რომელსაც დიდი თავი და გაჩეჩილი თმა ჰქონდა, მფრინავ თეფშებზე სასწაულებს ყვებოდა. სულგანაბულნი უსმენდნენ, თუმცა ნახევარზე მეტს არაფერი სჯეროდა.

— მაგი რა არის... — თქვა ერთმა, როცა დიდთავამ ეინშტეინის თეორია მოიშველია და ყველა გააჩუმა. — მაგ კი არა, არავითარ შემთხვევაში, თურმე ვირი მარცხნა გვერდზე არ დაწვება.

— რატომ? — გაუკვირდა ვიღაცას.

— რა ვიცი, მე, რატომ?

— ვირი რა შუაშია? — გაუკვირდა ფიზიკოსს.

სიჩუმე ჩამოვარდა.

— მე მეუბნები? — იკითხა ცოტა ხნის მერე იმ კაცმა, რომელმაც ვირი ახსენა.

— დიახ.

— მე ხმა არ ამომიღია...

ვიღაცას ისტერიული სიცილი აუტყდა. მთელმა ბაღმა იმ სკამისაკენ მიიხედა.

ელგუჯა იხსენებდა დალის, დალის ქმარს და საძაგელი ეჭვი აწამებდა. „ნეტავი ამეღამ ერთად დაწვებიან?... როგორი თვალებით მიყურებდა და მაინც? ასეთ ქალთან რა საერთო უნდა მქონდეს... ქალი ასეთი სულმდაბალია?...“ — ფიქრობდა იგი, თანაც გუნებაში ეღიმებოდა, როცა ამნაირად მსჯელობდა; მოულოდნელად ელდანაკრავივით წამოხტა.

— სად მიდიხარ? — ჰკითხა დიმიტრიმ.

— ერთ ადგილას მაგვიანდებოდა თურმე და აღარ მახსოვდა! — უპასუხა ელგუჯამ. იმ ახლო-მახლო ყველას დაემშვიდობა და ჩქარი ნაბიჯით გავიდა ბაღიდან.

„სად გაიქცა ნეტავი!“ — გაიფიქრა მოწყენილმა დიმიტრიმ.

გაგრძელება იქნება

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

თ ო ვ ს...

თოვს,
მარტმა ამინდი არია...
შენ გავხარ ღვთისმშობელს —
მარიამს!
არ გინდა
არც რა სამკაული,
გუნდა-ლახუსტაკი
და უმარილი,
შენა ხარ პატარა სასწაული
ციდან ჩამოსული სტუმარივით.
შენს თმებს
ველური ვარდისა და
მთის თაფლის ნაზი სურნელი აქვს.
ცოტა შეიფერთხე დარდისაგან,
— მაგაშიც ეშხი ურევია!..
თოვს,...
ხანდახან წვიმას გამოურევს,
მარტი გიჟია და სულელია,
— ადამიანს დარდს რა გამოულევს,
ჭკუათმყოფს დარდი ულევი აქვს!..
თოვს...

ეს იყო წინათ,
დედაჩემო,
დიდი ხნის წინათ...
იმ სიზმრებს ძინავთ,
ახლა ჩუმი ტკივილით ძინავთ.

დედოფალივით მარტვილობდი
მშვიდი იერით,
და მიდიოდი მარტოდმარტო
პირმშვენიერი.

სიტყვის გარეშე
ატარებდი სევდას უხილავს,
მაგრამ გარეშეს
შენი ცრემლი არვის უხილავს!..

ეს იყო წინათ,
დედაჩემო,
დიდი ხნის წინათ...

მოვიდა დრო და
მე წავედი ჩვენი სახლიდან,
ჭარი კი ქროდა
და სახეში წვიმას მახლიდა.

და ვარიგებდი მე შენს სითბოს
ქარში იებად...
(ო, ის დღეები ახლაც ითხოვს
მონანიებას!)

და მდევდა ბედი
მოთვალთვალე,
როგორც მკითხავი,
არ იყო ღმერთი,
არცა შემწე და განმკითხავი!

გზებით გრეხილით
ბეწვის ხიდზე დიდხანს ვიარე,
ვკრიფე ხეხილი,
ხილი მწიფე
და მსხმოიარე.

და მზის მამალი სამყაროში
წითლად ყიოდა...
და ცოდვით სავსე ავგაროზი
მკერდზე მტკიოდა...

ეს იყო წინათ,
დედაჩემო,
დიდი ხნის წინათ...

ახლა შენს ხელებს
მე ვიფარებ დაღლილ სახეზე,
ამ დროის მერეც,
შენ ისევე გზისკენ მაქეზებ.
შენ ისევ შენი
უნაზესი სხივი მასხურე,
რომ ვიყო ერის
მოზარე და მოსამსახურე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მხოლოდ სიკეთე,
მარტოოდენ,
ნსოლოდ სიკეთე,
სხვა ყველაფერი
ყველაფერი,
შენ აღმიკვეთე!

— ხელი მომკიდე!..
იმ სიზმრებმა ჩუმად იძინონ...

შენ არ მომიკვდე,
მე შენ მტერი არ გაგიცინო!
...ჟინჟლაავდა ლეშხი,
გულზე დარდის ცეცხლი გეკიდა,
ბზის ტოტით ხელში
ბრუნდებოდი ქაშუეთიდან...

ეს იყო წინათ,
დედაჩემო,
დიდი ხნის წინათ...

●

მთელი ზამთარი ისე გავიდა
არ დამცდენია არც ერთი ბზკარი,
მხოლოდ დათოვლილ სახურავიდან
მესმოდა, როგორ კიოდა ქარი.

მიშმტერებული გაყინულ მინას
თავს ვიტყუებდი ფერადი ზღაპრით,
და როგორც წინათ,
დიდი ხნის წინათ,
დიდი იმედით ველოდი აპრილს...

მობორიალდნენ ლანდები შორი
აწკრიალებულ ბროლით და ღვინით,
— ქალაქში დადის ლამაზი ჭორი
თმაშეღებილი ცეცხლისფერ ინით!

დადის ჩურჩულით და ლაპარაკით,
ულულავს თვალებს ქუჩებს, ეზოებს...
— და აკვირდება მთელი ქალაქი
ნენებით არეულ მაღალ თეძოებს...

მოგონებებით აჩონჩხილ გალას
შეახებს თითებს ეჭვი ცბიერი...
— „თქვენ დაავიწყდით დროებით ქალაქს,
პატივმოყვარე და ნებიერი!“

რა ვუყოთ,
ახლა სხვისი ჯერია,
რომ ჯამბაზივით თოკზე გავიდეს,

— მე კი აქამდე რაც მიწერია
ერთად გავატან ზამთრის ამინდებს...

კედლებმა უხმოდ გაინაწილეს
მოსალოდნელი დღეების შიში...
— ისე ილევა ეს სიყმაწვილე,
როგორც სანთელი შედგმული ნიშში...

მაგრამ სანამდე გადამაფარებს
სიკვდილის ზეწარს სიგრილე დილის,
ერთს ერთხელ მაინც შევაზანზარებ
გაბრდღვიალებულს აპრილით თბილისს!..

იყო თუ არა, რაც ასე მწამდა
მოვარდნილ წყალში შესვლა მხარულით?..
— მჭონდა თუ არა სიმღერის გარდა
სხვა, აღტაცება და სიხარული?..

არა, არ მჭონდა!
მაგრამ პატარა
მეც მედგა კუში ცოდვიან კაცთა.
და მოგონებამ უხმოდ ატარა
მიტოვებული სიზმრების განცდა.

სული კი თეთრი თოვლით დაღლილი
ეძებს ყოველი წვრილმანის მიზეზს
და ილიმება გვერდზე დახრილი
ჩამოვარდნილი ნიღაბი პირზე...

მამელუკების სასაფლაო

— ნუ დაიფიცებ სხვის დედას და
ნურც სხვის ომში ნუ იომებ!
ნუ გინდა სხვისი შარავანდი,
ოქრო,
დიდება...

რადგანაც თავი
იმთავითვე წაგებული გაქვს...

ო, ნუ მიიჩნევ სხვის ნადიმებს
შენდა ქეიფად,

ნურც სხვისი ჩალმა ალმასებით
ნუ დაგამშვენებს,
რადგან დაღვრილი სხვათა ომში
ოფლი და სისხლი,
შენს შემდეგ ქვეყნად
აღარავის ემახსოვრება.

დავდივარ ჩუმად
მამლუკების სასაფლაოზე
თაკარა მზეში,
გადაბუგულ მკვდართა ქალაქში,
— აქ ერთი ასოც არსად გდია
თქვენდა ხსენებად,
ერთი პატარა ტვიფარი ან
მოკლე წარწერა...

— ნუ დასახლდები სხვის მიწაზე,
რადგანაც მიწა
არ მიიკარებს შორით მოსულს
არც მკვდარს,
არც ცოცხალს!..

გამოლენჩებულ ევროპელებს
დაყვება გიდი
და კაიროდან ამდგარ ნიავს
დროდადრო მოაქვს
ისლამისაგან გაბრუებულ კვარტალებიდან
ჭუჭყის,
თრიაქის,
და ნარგილეს
მხრჩოლავი სუნი...

— საით გამქრალა
თქვენი ძალა,
თქვენი დიდება,
ნიჭი და ენება
სხვის მიწაზე უხვად ნახარჯი!?
.. და მახსენდება საქართველო
ასე უღმერთოდ,
ასე წვეთ-წვეთად
დაყიდული მამელუკებად...
— ნუ დაიფიცებ სხვის დედას და
ნურც სხვის ომში ნუ იომებ,
რადგანაც თავი
იმთავითვე წაგებული გაქვს!..

მონტაზა, მონტაზა...

— მონტაზა, მონტაზა!..
ფინიკების და ფორთოხლების
მდიდრული ბაღი,
თეთრი სასტუმრო „პალესტინა“
და მწუხარება
ჩემი ლამაზი,
საყვარელი სამშობლოს გამო...

დაგოგმანებენ ოფოფები მწვანე ბალახში
და ნისკარტებით მიწას ქექავენ,
და არც კი მახსოვს,
რომ სულ ახლოს
გმინავს უდაბნო,
გადაბუგული
გაავებული მზის მხურვალებით!..

... მონტაზა, მონტაზა!
დადის ნიავი
მეფისეულ სასახლის ბაღში
და სისხლისფერი ზამბახები
ზღვის ჰაერს სვამენ,

ზღვისკენ არაბი ქალწულები
მიდიან რწყვით
და მახსენდება,
რომ სულ ახლოს მძვინვარებს ომი!..

ცაში ქანაობს
უმრავი ფერადი ფრანი
და იშლებიან თეთრი ქოლგები,
და მიხარია,
რომ მე ახლა არა ვარ მარტო,
რომ შემიძლია
დაგიძახო და ხელი გახლო...

— მონტაზა, მონტაზა!..
ფინიკების და ფორთოხლების
მდიდრული ბაღი,
თეთრი სასტუმრო პალესტინა
და მწუხარება
ჩემი ლამაზი,
საყვარელი სამშობლოს გამო...

ალექსანდრია

ეროვნული ბიბლიოთეკა

თვლემს ცხელ ქვიშაში უდაბნოს ჭარი,
როგორც მარადი წყევლა ბუნების
და მეჩვენება წკარუნი ზარის
და ქარავანი ბედუინების.

ავტობუსების საყვირის ხმაზე
მიწიდან დგება ჩრდილი ყორნების...
— აჰა, გამოჩნდა ქალაქი ზღვაზე
კაზინოებით და რესტორნებით!

— ისკანდერია,
ისკანდერია!..
სულს სულ სხვა სხივი გამოერია!..

მაგრამ ფეხდაფეხ მომდევს კაირო
ცად აზიდული მინარეთებად...
დავტოვე მაგრამ, კიდევ კი რომ
დასავიწყებლად არ მემეტება.

თვალმარგალიტი დახლზე დაყრილი,
ხან-ალ-ხალილის ბაზრის ყაყანი
მოგონებაში ჩამრჩა გათხრილი,
როგორც თურქული იატაგანი...

— ალექსანდრია,
ალექსანდრია!
ყელი ომებით გამოგღადვრია.

აგიზგიზდები
ძველი მითებით,
კატაკომბებით და მიზგითებით...

ამოდის ლანდი თეთრ ლარნაკიდან
და წვრილ ვარსკვლავებს ურიგებს
თარებს...

აგვისტოს ღამემ გადააკიდა
ცისფერ მეჩეთებს სპილენძის მთვარე...

ჰარამხანით და თრიაქით მთვრალი
მოზიდავს ლაგამს მოჰამედ-ალი,
დაიწკრიალებს ქვიშაში ნალი
და სხივს ირეკლავს მშიერი ხმალი...

უცემ გაქრება ჩვენება სადღაც
და ნიავს მოაქვს ტალღების შხეფი...
... და გავს მონტაჟზა მთვარეულ ნახატს
უბრწყინვალესი სასახლე მეფის...

— ისკანდერია,
ისკანდერია!..
სულს სულ სხვა სხივი გამოერია!..

ფერხთით გიგდია უდაბნოს ხვატი
და გვალვა ქარში მირაჟებს ხვეტავს...
შავებში დადის
ათასწლის დარდი
და გაყიდული მონების სევდა.

ჩრდილოეთისაკენ წასულ გალერებს
შორეულ ნისლში შენ ახლაც ხედავ...
— და შავ ღამეში კბილებს აელვებს
აფრიკა — შენი ტანჯული დედა!..

— ისკანდერია,
ისკანდერია!..
ხმას ჩუმი სევდა გამოერია...

ისე თამამად ვედარ ვირჯები,
დარდმა ლოდივით დამიტანია,
და მენატრება ჩემი ბიჭები,
ჩემი სამადლო და ბეთანია...

... შამფურს აბრუნებს ზანგი მაღალი
და წითლად ბოლავს ცის ქვეშ მაყალი,
და ჩარიგებულს ირგვლივ მაგიდებს
ლეილა ცეკვით ვნებას წაჰკიდებს...

ღამის კაბარე ანთებს ნათურებს
და სულში შიშველ ხელს მიფათურებს...
გადავაკივლებ მაღალ სართულებს
ჩემს აღგზნებულ სულს,
სულს უქართულესს!..

— ისკანდერია,
ისკანდერია!..
დდეს შენი მტერი
ჩემი მტერია,
თუ მტერი ბევრჯერ ვერ მოგერია
იმ სისხლში ჩემი სისხლიც ერია!..

... გათენებამდე
კიდევ ადრეა,
ღამე დახრილი შავი ჩადრია...
სივრცეს გაჰყურებს
მთვარის საყურე
და თვლემს ბებერი ალექსანდრია...

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩანახატი მოჰამედ-ალის მიზგითში

მოჰამედ-ალის
ულამაზეს მეჩეთში ვდგავარ,
მზით დამწვარი და
ფეხშიშველი
მეც მლოცველს ვგავარ.
განფენილია ზაფრანისფრად
ვეება ნოხი,
კაიროს სიცხე
ციტადელში შემოდის ხოხვით,
და თეთრი ლანდი
მონუსხული
ისლამის სახლით
ახედავს ჭერს და
აღტკინებით შუბლს ნოხზე ახლის...
ვჭვრეტ დაკვირვებით
აღმოსავლურ
ფერსა და სურათს,
და მახსენდება
ყურმოკრული
ყურანის სურა,
— რომ მორჩილებით
ინტარებს მარტოდენ სული!..
დაბორიალებს
ოფლისა და
ჰაშიშის სუნი,
და მინარეთი
ციხფერ სვეტად წასულა ცისკენ,
ვდგავარ და ხუტბას შუადღისას
მდუმარედ ვისმენ.
სამხრეთის ცაზე
მზეა კისერგამოღადრული,
გავყურებ სივრცეს
საქართველოს ცას მონატრული.
ხელისგულივით ჩანს აქედან
მთელი კაირო,
ძველი უბნები,
სასაფლაო,
საისმაილო,
კაიროს კოშკი,
როგორც კუდზე მდგარი პითონი,
„ომარ-ხაიამ“,
„ელ-ტახირი“,
„ჰოტელ-ჰილტონი“,
მიიზლაზნება უდაბნოში.
მწვანე ნილოსი,
— აგერ, ხეფრენი,
ხეოფსი და
მიკერინოსი!..
მინარეთებად ავარდნილა
მიზგითი ცისკენ,
ვდგავარ და ხუტბას შუადღისას
მდუმარედ ვისმენ...
და მზის საათი
დასავლეთით უხმოდ იხრება,
და მახსენდება,
რომ სულ ახლოს სისხლი იღვრება.
დროგამოშვებით
გადაიფრენს ცაზე პატრული
და მზე შიშინებს
ხანჯლით კისერგამოღადრული...

მოჰამედ-ალის
ულამაზეს მიზგითში ვდგავარ...

ეროვნული ბიბლიოთეკა



იგი სიყვარულისთვის იყო გაჩენილი ანუ გარიჟ და მთვარი

სერგო საერთოდ მორიდებული ყმაწვილი იყო, ახლა კი, ზღვისპირა ქალაქში რომ ჩავიდა, ამ გარუჯულ, მზით გამძღარ ხალხში თავისი სითეთრისა რცხვენოდა და სანამ შემოღობილ, ეკრეთწოდებულ „სამედიცინო“ პლაჟზე ჯასელას გაბედავდა, საცურაო მოწყობილობა ჩანთაში ჩაალაგა და ქალაქგარეთ წავიდა. თავისი ჭკუით მიყრუებული ადგილი შეარჩია და ერთბაშად ძალიან ცივი ეჩვენა ზღვა; აკანკალებული მიარღვევდა წყალს, სხეული დაებურძგლა, სუნთქვაშეკრული, ფეხისწვერებზე დგებოდა. მკერდამდე რომ შევიდა, რაც არის არისო და თავით გადაეშვა. ხელ-ფეხი გაიქნია თუ არა, მაშინვე გათბა და ზურგზე გადატრიალდა. სახე სასიამოვნოდ აეწვა, სველ წამწამებში მზემ იფეთქა, კარგი იყო ზღვა. გახალისდა სერგო, ატეხა ხელების ქნევა, თამაში, წყალი ააშხეფა. მერე ღრმად შეისუნთქა ჰაერი და პირქვე განერთხო ზღვაზე. ბეჭებზე წყალი გადასდიოდა, თან მზე აცხუნებდა, გადიდდა სერგო, გაფართოვდა, სამ წელიწადს არ ყოფილა ზღვაზე და ახლა, ნეტარებით აღვსილი, უზომოდ მაღლიერი, თბილ წყალზე პირქვე იწვა და სიამოვნებისაგან თავისთვის გმინავდა. მერე ჩაყვინთა კიდეც და თავით რომ ამოხტა, მაშინვე შემოესმა გაუგებარი: „იო მოდო, დელფინა!“

სერგო მოულოდნელობისაგან ისე დაიძაბა, კინალამ ფეხი გაუშეშდა, მაგრამ წვივზე საჩქაროდ იჩქმიტა და კისერი ნაპირისაკენ წაიწვრილა. იქ კი ვიღაცა კაცი ხელს იქნევდა და იძახდა: „იო მოდო, დელფინა, იო მოდო ლა კაზა!“

სერგომ მიიხედა და ყვითელქუდა მოცურავე დაინახა.

— გამოდი, ეეყოფა ამდენი ცურვა, დელფინა, იცი, აქ რა არის! — გამომწვევად დაუძახა კაცმა.

— რა! — ზღვიდან ცივად შეჰკივლა ქალმა, ალბათ დაღლილი თუ იყო.

— გამოდი და... ო! სერპანტინო, ეს ვიღაა?

„ო, სერპანტინო, ეს ვიღაა“ აშკარად სერგოზე იყო ნთქვამი. ისევაც მორიდებული ყმაწვილი დაიბნა, აღარ იცოდა რა ექნა და დროებით თავი ჩარგო წყალში. მაინც შემოესმა:

— ბოდიში, თქვენ აქ რა გინდათ?

სერგომ ჩაახველა, ღონე მოიკრიფა და გასძახა:

— მე ვცურაობ!

— ძალიან კარგი! — დაუყვირა კაცმა.

სერგო ვერ მიხვდა, გულწრფელად თქვა ეს კაცმა თუ ფალსური, მაგრამ ამ ეჭვმა რაღაც გამბედაობა მაინც შემატა და მცირეები სიამაყით, ბრასის სტილით გამოსცურა ნაპირისაკენ. დინჯად ამოვიდა წყლიდან, უცნობს თვალი აარიდა და ზხეფები ჩამოიფერთხა.

— ბოდიში, თქვენ ქართველი ხართ, არა? — ჰკითხა კაცმა და ზურგზე გადაირტყა ხელი — ბუზი მოიგერია.

— დიახ.

— მეც ქართველი ვარ, გრიშა მქვია; თქვენ?

— მე სერგო.

— კი მაგრამ, როგორ გაჩნდით აქ?

— ეს მე? — დაიბნა სერგო.

— აბა მე? — გაუკვირდა კაცსაც.

სერგომ იქითკენ მიიხედა, საიდანაც მოვიდა და ერთხანს თითქოს განმარტებისათვის მოემზადა, მაგრამ გადაიფიქრა და ნაწყენმა თქვა:

— წავალ მაშინ.

— აჰ, როგორ გეკადრებათ, დაბრძანდი, დაბრძანდით, წამოწექით, ერთად გავშავდეთ, ზღვა — ყველასია.

— არა, მე წავალ.

— რას ბრძანებთ, სად უნდა წახვიდე, დელფინა! სტუმარი გვეწვია, მოდი ა?!

— მე სტუმარი არა ვარ და საერთოდ... — აქ კი მართლა განაწყენდა სერგო და პირსახოცს დასწვდა.

— იო მოდო! — წამოიძახა კაცმა და ხელი გაუწოდა, — ყველანი ამ ქვეყნის სტუმრები არა ვართ? — გრიშა.

— სერგო.

— ძალიან კარგი! ოო...

ზღვიდან ლამაზი, ტანადი ქალი ამოდიოდა, მუხლამდე წყალში დაღლილი მოაბიჯებდა, მაინც გამართული იყო, თვალები დაეხუჭა და თავი უკან გადაეწია.

— ოო, ამოხვედი? გაიცანი, დელფინა, ეს ჩვენი მეგობარია.

— ასია, — თქვა ქალმა, წამით გახელილი თვალები ისევ დახუჭა და მშიერად შემოტმასნილი რეზინის ქუდი წვალებით მოიძრო, თავი მკვეთრად გაიქნია და თმა მხრებზე ლამაზად ჩამოუშალა. მერე ისევ თვალდახუჭულმა იკითხა, მზისკენ შიეშვერა სახე:

— რას იძახდი, რა გაქვს ჩანთაში?

— ოო, მომენტო, ახლავე გაჩვენებ, — თქვა გრიშამ და სილის ბორცვი გადაქექა. იქიდან ჩანთა და ტანსაცმელი ამოიღო და გაკვირვებულ სერგოს გაუღიმა:

— ერთხელ, ორმოცდათხუთმეტში, ტანსაცმელი მომპარეს ამდაგვარ მიყრუებულ პლაჟზე და მას შემდეგ ასეთ ადგილებში შარვალ-ხალათს ვმალავ ხოლმე. ეგება არც მოუსვლიათ, — შეეკვეცდა გრიშა, — შეიძლება ვიღაცა თავისი ჭკუით მეხუმრა, მაგრამ ფაქტია, ტანსაცმელი აღარ დამხვდა. შარვალ-ხალათს კიდევ არა უშავს, ერთი წავა და სხვა მოვა, მაგრამ ქალაქში შიშვლად დაბრუნება მაინც უხერხულია. ცუდ დღეში ჩავვარდი, ნამდვილად, შებინდებამდე ვიცადე, მერე კი გზაზე გამოვედ, მაგრამ არც ერთმა შოფერმა არ გამიჩერა მანქანა — შეიძლება ბიჭი ვეგონე, უფრო სწორად კი, აშკარად მეტყობოდა, ფული რომ არა მჭონდა, შოფრებისათვის ეს ნაღდი იყო — ტრუსებისამარა ვიყავი. თანაც, ჩვეულებრივი მაინც ყოფილიყო. საცურაო ტრუსები იყო.

— და ფეხით დაბრუნდით?

— იო მოდო — ფეხშიშველი.

— ბოდიში, იო მოდო რას ნიშნავს? — გათამამდა სერგო.

— ოო, იო მოდო — იტალიური სიტყვებია. მე ძალიან მიყვარს იტალია —

ღვთაებრივი ლაყვარდის ქვეყანა. არ ვყოფილვარ კი. თქვენ?

— არც მე არა ვყოფილვარ.

— არა, თუ გიყვართ-მეთქი.

— რა ვიცი.

— არ იცით?

— არ იტყვი, ბოლოსდაბოლოს, რა გაქვს ჩანთაში? — ჰკითხა ასიამ. თავი ვეერდზე გადაეწია და ცალ ფეხზე ხტუნავდა. გრიშა მოხიბლული შეაცქერდა და ასია შეჩერდა, თვალი აარიდა და შორს გაიხედა. სწორედ ასხმული, ღონიერი ფეხები ჰქონდა, შეუშშრალი სხეული მზეზე უბზინავდა.

— ოო, ჩანთაში, — გამოერკვა გრიშა, — ვიტამინებია, ვიტამინატე, — გამოაცხადა და რიგრიგობით გადმოალაგა: — გულაბი მსხალი — არა შხამი... ყურძენი ტკბილი, არის შესანიშნავი კარგი ხილი... შავი ქლიავი — კოხტა მშვენიერი საცუნცავი, იო მოდო! და, და მეგობრებო — კონიაკი! — მეგობრები შეეიყარენით რაკი, იო მოდო, იო მოდო ლა კაზა!

ერთი პატარა ჭიქა აღმოაჩნდათ, რიგრიგობით სვამდნენ. მეორე ჭიქის შემდეგ გრიშას უფრო აუცილებელი თვალები და სერგოს მორიგი სადღეგრძელო შესთავაზა:

— ახლა, მეგობრებო, თავი რომ დავაღწიოთ შაბლონურ, მობეზრებულ სადღეგრძელოებს, მოდით ისეთი სიტყვები წარმოვთქვათ, რაც ენაზე მოგვადგება, ოღონდ, — თითი მაღლა ასწია, — იტალიური აღნაგობის სიტყვები უნდა წარმოვსთქვათ, მაშ ასე, მე მგონი ყველაფერი გასაგებია, მაშ ასე, ვიწყებ — და ჭიქა მაღლა შემართა და დაიწყო: — ბეზარე პატაპუტინა კილამონტე დელა-კაპანა... ია მოდო ლა კაზა, ლა კაზა კირამიმონტე... მამონტო სკარამოჯინა, ვიცა, ვიცა ი ვიცა!

და შესცვა.

— ახლა შენ, სერგო.

— მე?

— აბა მე? — შენ, შენ, მე ხომ უკვე ვთქვი. რაიმე ნაცნობი, თუნდაც გაცვეთილი, ოღონდ მოიტალიურო, თამამად, თამამად, სერგო!

— ფლორენცია... ვენეცია, ნეაპოლი, — თავჩაქინდრულმა წარმოსთქვა სერგომ და გაწითლდა, — რომიც...

— ბრავო! — ტაში შემოჰკრა გრიშამ, — შეგიძლია დალიო, ალალია შენზე. ახლა კი თუ იცი, ვისი რიგია, დელფინა?

ასიამ ზღვის მარილიანი ნიავით სახეზე მოფენილი, აცახცახებული თმა ამაყად გადაიყარა მხრებზე და გამოაჯავრა:

— მენო შენო იტალიანო არ ვიცი-ანო.

— ბრავო, ბრავო სინიორა! — აღფრთოვანდა გრიშა და ხელზე აკოცა. მერე მაჯაზე დააკვირდა, დაფიქრდა, მკლავზე თვალი ააყოლა, ყელზე შეუჩერა მზერა, თვალებში შეხედა. ქალი შეკრთა და დაიძაბა, განზე იყურებოდა, დაჭიმული, მოღერებული, ერთთავად მოლოდინი იყო.

— ქალი ხარ, რა ქალი, — მოესმა სერგოს და გაოცებული მიაჩერდა გრიშას: თითქოს ვიღაცა სხვა შესცქეროდა ქალს — დაფიქრებული, თან აღტაცებული, მაინც ნაღვლიანი, და სიტყვებთან ერთად მიილტვოდა განზე მომზირალ, მოლოდინად ქცეულ ასიასკენ.

— ქალი ხარ, რა ქალი, — გაიმეორა გრიშამ და სილაზე მძიმედ დაჯდა, — ზღვის პირას დგახარ, ზღვისკენ იცქირები. ჯერ ისევ სელი ხარ, ზღვასავით გრილი, ციცქნა წვეთებზე მზე დაგდგომია... ვინა ხარ, რა ხარ — ასეთი მშვიდი, ასე ამაყი და მაინც გლახასავით მომლოდინე, მაგრამ... გიხდება — ქალი ხარ, რა ხარ, რა მაგრად დგახარ ამ ცხელ სილაზე ორივე ფეხით, ღონიერი ფეხები გაქვს, გამძლე და სანდო, მხრები კი ნამდვილი სუსტი, ნაზი ქალისა — ვიწრო და თხელი... ახლა არ იცი, ამ უცხო კაცთან როგორ მოიქცე, თავი როგორ დაიჭირო, დევნილი ნადირის უნებური სიამაყით

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაგბერგია თხელი ნესტოები, ზღვისაკენ იცქირები... მე კი არაფრის არ მერიდება — იმასაც ვიტყვი ამ უცხო კაცთან, რომ, რომ განვშორდებით და ოდესმე ახლად გადახნულ, ძალუმად ოხშივარადენილ მიწაზე გავიკლი, შენი ტუჩების გემო გამახსენდება... და მთელი შენი მომლოდინე სხეული. ანდა, როგორ უნდა განვშორდეთ, სად უნდა წახვიდე, რომ დამემალო — მე დაგინახავ, როგორ ზიხარ ფანჯარასთან, სარკეში როგორ იცქირები... და, დაფიქრებული, წაწვეტებული თითებით ივარცხნი კუპრის ჩანჩქერივით მძიმედ ჩამოშლილ თმას... ანდა, როგორ მიაბიჯებ გაზაფხულის წვიმაში, რა კარგად გხედავ, ეგ თმა სველი გაქვს, სახეზე წვეთები ჩამოგდის. გალუმპული კაბაც შემოგტმასნია და მაღლიან ნაკვთებს გიჩენს, წვიმს, როგორ გაწვიმს... ანდა, მაშინ როგორ დადიხარ, ღონიერი ქარით წაქეზებული დიდი ხეები რომ აცახცახდებიან და ერთმანეთზე საჩხუბრად იწევენ — ვერაფერს ხედავ, თავი ამაყად მოგიღერებია, ყელ-ნაკაპით მიაპობ ჰაერს და, თვალმოჭუტული, მხოლოდ ქარს უსმენ, ის კი... ჩაგწვავს, ქალი ხარ, ქალი... ვერ დაგიგწყებ, ყველგან გიპოვნი, თვით ვენეციაშიც რომ წახვიდე, ჩვეულებისამებრ ფანჯარასთან დაჯდები, წელამდე გამოჩნდები და იქვე, წყალშიც, წელამდე უკუღმა აირეკლები და მე დაგინახავ, აგურის ქალივით ჩაფიქრებულსა და გახევებულს. ვერსად წამიხვალ — ყინვაში, სუსხში, შორეულ მხარეს ქურქში შეფუთვნილს, სახეალეწილს, თავშალმოხვეულს, მხოლოდ ეგ მომწვანო თვალები გამოგიშუქდება და მაინც გიცნობ... ახლა კი, ახლა, ზღვის პირას გატრუნულს, როცა ჩემი სიტყვები ძალიან ცსიამოვნებს და თავად მეც მსიამოვნებს ასეთი ლაპარაკი და მხოლოდ ეს უცხო კაცია ცოო-ტითი გაკვირვებული, იძულებული ვარ თავი გავანებო ამ უცნაური სიტყვების სამყაროს და ისევ ჩვეულებრივ საუბარზე გადავიდე, რადგან ყოველნაირი შელამაზებული გამოთქმა მთორობს, მაბრუებს და სინამდვილეს მაცილებს, ეს კი ცუდია... ასე რომ, გადავდივართ ყოველ-დღიურობაში, თავისუფლად, დელფინივ შეგიძლია შემსუბუქდე, — და მოულოდ-ნელად იკითხა: — სერგო, სტვენა იცი?

— მე?

— აბა მე? — შენ, შენ.

— არა, — დაიმორცხვა იმან და დაყოლა, — რატომ მკითხეთ?

— ისე. თქვენ აქაური ბრძანდებით თუ ჩამოსული?

— ჩამოსული.

— დამსვენებელი, არა?

— კი, დამსვენებელი.

— ღიღინიც არ იცით?

— არა. არც ისე...

— ძალიან კარგი. მაშინ მე დავიღიღინებ და მევე ვიცეკვებ ჩემი სიტყვების შედეგად ოდნავ გაოგნებულ ქალატონთან — გთხოვთ, გრაციაზა!

სერგო მოლად დაიბნა, ასეთი რამ ჯერ არ ენახა — გრიშამ ქალს წელზე ხელი შემოხვია, ლოყა ლოყაზე მიადო, დაბალის ხმით სიმღერა წამოიწყო და ზედ ზღვის ნაპირას, სველ სილაზე აცეკვდნენ. გრიშა თან უცნობ სიმღერას ღიღინებდა:

ოდესას მოადგა-ა,
ახალი გემი-ი,
არგენტინიდან მოიტანა
სიმღერაა ძველი,
სიმღერა ცნობილიაა,
მოტივი დაყარობილიაა,
სიმღერას — ჯონ გრეი ქვიაა.

სერგომ წვივებზე პირსახოცი წაიფარა და ჩაიბუტბუტა — თქვენის ნებართვით, რომ არ დავიწვა... მაგრამ ვის ეცალა მისთვის, ვიღას ახსოვდა სერგო — გრიშა სიმღერას განაგრძობდა და კოხტად ცეკვავდა: ფეხს ისე ადგამდა, თითქოს ქალიანად რაღაცას ეპარებოდა, მაგრამ — მღეროდა:

სარკეებიან დარბაზში-ი,
ცეკვავენ წყვი-ლე-ბი!
კენესიაან სიმე-ბი,
გიტარის შეი-ლე-ბი!
ჯონ გრეი — ყველაფრისათვის მზადაა,
ჯონ გრეის ჯიბეში — თანხაა,
ჯონ გრეი — ყველაფერს გადიხდი-ის...

ეროვნული ბიბლიოთეკა

და მერე დასძახა:

— კარგი იყო, კარგი!

და ასიას ისევ აკოცა ხელზე, ოღონდ ამჯერად შედარებით გულგრილად.

პატარა ხანს ჩუმად იყვნენ. ძალიან ჩამოცხა, ჩრდილი არსად იყო და მზე უმოწყალოდ იკბინებოდა.

— მე ახლა წამით დავსველდები და ხელად გამოვალ, — თქვა გრიშამ, გაიქცა, დგაფუნით შევარდა ზღვაში და თავით გადაეშვა.

ასია შესცქეროდა, როგორ ამოყვინთა გრიშამ, როგორ მიცურავდა, მერე დაუკვირდა სილაზე მკრთალად დამჩნეულ ნაფეხურებს, აღელდა და სერგოსათვის არ შეუხედავს, ისე იკითხა:

— სიგარეტი გაქვთ?

— დიახ.

— მომეცით, გეთაყვა, ჩქარა მომეცით.

სერგო უშნოდ დაფაცურდა და როცა ასიამ რამდენჯერმე ღრმად, ხარბად შეისუნთქა კვამლი და თითქოს ცოტათი დამშვიდდა, ქალს მიაჩერდა. ასია გრძელი თითებით აწვალებდა სიგარეტს, მერე ცერითა და უსახელო თითით ლამაზად მოიცილა ტუჩზე შერჩენილი თამბაქოს ნამეცი და სერგოსაკენ ამჯერადაც არ გაუხედავს, ისე თქვა:

— იცით რა, — და უცებ ქალური ბრაზი დაეტყო ხმაში, ძლიერი და უმიზეზო, — თქვენ შეიძლება იგი გიჟიც გეგონოთ, მაგრამ ეს ასე არაა — გასაგებად ვლაპარაკობ? თქვენ შეგიძლიათ ყველაფერი გაიფიქროთ, თქვენი ნებაა, მაგრამ, როგორც გითხარით, ეს ასე არაა.

— დიახ, — საჩქაროდ დაეთანხმა სერგო.

— და თუ რომელიმე ადამიანი სხვებს არა ჰგავს, ეს არც ისე ცუდია, როგორც შეიძლება ერთის შეხედვით ვინმეს მოეჩვენოს. ამასაც მიხვედით?

— დიახ.

— და თუმცა მე მისი მეუღლე არა ვარ, სრულებითაც არ მერიდება განვაცხადო, — ასიამ შორს მოისროლა სიგარეტი და მოულოდნელად სერგოს თამამად მიაჩერდა: — რომ მიყვარს იგი, ამაზე, თავი ჩაღუნა და პატარა ხნის შემდეგ ქალაქისაკენ მიიხედა: „ეს რა ხალხში მაქვს საქმე...“ და უცებ შესძახა: — ჰახ!

თურმე გრიშა წყლიდან ამოვდა, რეზინის ქუდი წყლით აავსო, მერე შეფიქრიანებულ სერგოს მიუახლოვდა და გახურებულ ბეჯებზე წყალი დაასხა.

— გესიამოვნათ? — ალალი ღიმილით ჰკითხა გრიშამ.

— მმუ...

— ახლა შენ ჩადი ზღვაში, დელფინა, იცი, რა კარგია?! — ხალისიანად ურჩია გრიშამ და სერგოს ფერხთით პირქვე გაწვა, უცებ წამოხტა, წამოიძახა: „ჰუჰუ, რა ცხელია?!“ — და ისევ დაწვა.

ასიამ კი ქუდი კოხტად მოირგო და ზღვისკენ უცნაურად გაემართა — გავრვარებულ სილაზე ტერფებს გვერდულად დგამდა, ხელისგულებით კი ჰაერში უხილავ თაროებს ეყრდნობოდა.

— სერგო, — თავი არ აუწევია, ისე იკითხა გრიშამ, — თქვენ გაქვთ რაიმე პრობლემა?

— მე პრობლემა... არა.

— სამსახურში კი არა, ცხოვრებაში.

— ა-არა.

— ეს ცუდია, — თქვა გრიშამ. იქვე იწვა და თავი სილაში ჩაერგო, — აი მე, მაგალითად, მაქვს...

— დიახ, — ზრდილობისათვის ჩაურთო სერგომ.

— ჩემი პრობლემა ძალიან რთულია, — აღნიშნა გრიშამ და სახიდან სილა ჩამოიფერთხა, მერე ისევ ჩარგო თავი, — და თუ გაინტერესებთ, მოგახსენებთ კიდეც — მე მინდა, რომ ჩემი ხელშეწყობით ადამიანები გახდნენ უკეთესები, ვიდრე არიან, — და საჩქაროდ დაყოლა, — რა თქმა უნდა, ყველას კი არ ვგულისხმობ, ეს მხოლოდ ჩემს ნაცნობებს შეეხება, ყველას სდ გავწვდები.

გუნამ დოჩანაშვილი
იგი სიყვარულისათვის იყო გაკვნილი, ანუ გრიშა და ამთავარი

ჩემად იყვნენ.

— მაგრამ ეს რთულია, — განაგრძო მერე გრიშამ, — ჰეე, როგორი რთული. ხანდახან იმის დადგენაც კი ჭირს, ვინ ცუდია და ვინ კარგი. რამდენჯერ მოგვსელია: შეხედავ კაცს, — მოგეწონება, გაიცნობ — მოგეწონება, დაგელაპარაკება, მოგეწონება, დაგელაპარაკება ისევ, ეს-მე, მტრისას... შემოიკრავ თავში ხელს— როგორ შევცდი, ვინ მეგონა და... პირიქითაცაა — შეხედავ, აგბურძგლავს, გაიცნობ — დაგბურძგლავს, დაილაპარაკებს — დაგთუთქავს, მერე კიდევ მოუსმენ, შეხედავ, ახედავ, დახედავ და... არც ისე ცუდი კაცია. და მერე სულ ასეთია— არაა ცუდი. მაგრამ მესამენიც არიან, სერგო ჩემო, ყველაზე ძნელი ხალხი: შეხედავ — კარგია, გიიხედავ — ცუდი, გაივლი, გამოივლი, შეხედავ — ისევ კარგია, წახვალ, წამოხვალ — მაინც ცუდი... წარმოგიდგენია? — ხან კარგი, ხან ცუდი, ხან კარგი, ხანაც... და სულ ასე. საერთოდ კი, რომ აღინიშნოს, ამ მესამე კატეგორიაში როდენობრივად ყველაზე მეტი ხალხი შედის, ასეთებისთვისაა, რაღაცას რომ ვცდილობ... ისე, ცხოვრებაში ძალიან ძნელია, კაცი რომ გამოიცნო, ხშირ ლიტერატურაში კი იცოცხლე, გაგიხარია — გმირი ან ცუდია, ან კარგი. მაგრამ მე მაინც მგონია, რომ უმცირესობაა ხმოლოდ კარგი ან ხმოლოდ ცუდი, უმრავლესობა კი ცუდ-კარგია... ასეთია შინაარსობრივად ჩემი აზრი. ამ ცუდ-კარგებს კი, სერგო ჩემო, მოფერება უნდა, გაგება უნდა, დაყვავება; გაწყრომაც კი უნდა ხანდახან, დარიგებაც — მთავარია, უშუალო იყო. გაპრანჭულ ხალხს ვერ ვიტან, ის რა კაცია, სანამ პასუხს გაგცემს, ჯერ გუნებაში რომ აწონ-მიწონ-მოწონის და მერე ვერცხლის ლანგრით ჭკვიანურ პასუხს მოგართმევს — იმისი სიტყვა სხვაა, ის არაა ნამდვილი სიტყვა. რაღაცა სულელური ანდაზაა — ღვინო და ლუდი ერთნაირად არ უნდა სვაო და პირზე რომ სიტყვა მოგადგება, კი არ უნდა თქვაო — უნდა თქვა, სერგო, უნდა თქვა, რაღაცას თუ გინდა მიაღწიო. მაგრამ ამასთანავე, რაოდენი სიფრთხილე და გაგებაა საჭირო — ამ სხვასხვაობით ლაპარაკში ფაქიზი უნდა იყო. ახლა, ამ წუთას ასე ბრძოლა გებაასები, სილაში თავჩარგული, თუ იცი, რატომ? რატომ და ჩემმა დაკვირვებულმა მზერამ რომ არ აგაბნიოს, რომ არ დაიძაბო, არ აიბნიო, ასე იმიტომ ვლაპარაკობ, უფრო ბუნებრივად რომ მისმენო, უფრო დალაგებულად, თავისუფლად; მშვიდად დაფიქრდები, აწონ-დაწონი, განსჯი, გაიაზრებ... ხომაა ასე? თანაც, ჩემს პრობლემას დიდის გულისყურით მოსმენა უნდა, რადგან რთულია, როგორც უკვე გითხარი. ნაცნობი შესცქვიერ უკეთესისაკენ — რა უნდა იყოს ამაზე რთული? ასე რომ, პრობლემა სერიოზულია, აკი ვთქვი — ხანდახან ცუდისა და კარგის დადგენაც ჭირს ხოლმე. მაგრამ მთავარია ძიება, დაკვირვება და პირდაპირობა. ახლა მე ერთი შეკითხვა მინდა დგებისვა და კაცმა რომ თქვას, ძალიან მაგარი შეკითხვაა, რადგან უაღრესად პირდაპირია, მაგრამ მაინც ჩემსას უნდა ვეცადო — აი შენ, როგორ გგონია, როგორი ხარ — კარგი თუ ცუდი? როგორი ხარ, ა, სერგო — თუ კარგი ხარ, რატომ და თუ ცუდი, მაინც რატომ? ნუ გერიდება, ხმა აშოიღე, პასუხი გამე, თამამად, თამამად, სერგო... — და გრიშამ თავი ასწია.

მაგრამ სერგო იქ აღარ იყო.

●

გრიშას ქალაქგარეთ ჰქონდა ოთახი დაქირავებული. მზის ჩასვლისას ბრუნდებოდა შინ, წამოწვებოდა ტახტზე, შეჰყურებდა სხვადასხვა ნივთებს, ხან ზერელედ, უფრო ხშირად — დაკვირვებით, ფიქრობდა ათასგვარ საკითხზე და მერე სასეირნოდ მიდიოდა. ასია ვაგზალზე რომ გააცილა და ბნელში ბარდღვიალებულ სამ წითელ თვალს დიდხანს უქნია ცხვირსახოცი, სევდა შემოაწვა, დაღონდა, მაგრამ ქალაქში ავტობუსით რომ ბრუნდებოდა, ამ საზოგადოებრივ ტრანსპორტში გამოელაპარაკა ერთ ქალს, რამდენიმე მარტივი შეკითხვა დაუსვა

ეროვნული ბიბლიოთეკა

მომდიმარ-აღტაცებული სახით, კომპლიმენტები დაიყარა, მერე აცინა ბევრი, ცუოვას გასწავლითო, შეპპირდა და მერე დღისათვის შემოღობილ პლაჟზე პაემანი დაუნიშნა. და როცა ქალი შორიდანვე დაინახა გრიშამ, აღტაცებული მიაჩერდა და გაუკვირდა კიდეც — ნუთუ ჩემთან მოდის, რა ლამაზი ყოფილა, ნუთუ ჩემთან მოდის, ეგება სხვაა... ქალი კი მასთან მივიდა, გაუღიმა, გრიშამაც შესცინა და აღფრთოვანებულმა უთხრა: „იო მოდო... იო მოდო ლა კაზა“, რითაც აშკარად ასიამოვნა ქალი. მერე გრიშამ ხის დაბალი საწოლი რომ მოაჩოჩიალა სილაზე და ახედა, ქალმა ჩითის ლამაზი, ფართო ფოთლებდაყრილი კაბა თავზე გადაიძრო, ხელი გადაისვა თმაზე და სმენად გადაიქცა. „რა ლაშაზი ხართ, — უთხრა გრიშამ, — რა ლამაზი...“ და გულიანად გაუღიმა. ქალმა დაიმორცხვა და უეცრად გაიქცა ზღვისკენ. გრიშა პატარა ხანს გაკვირვებული უყურებდა, რადგან შექმენთ აღელვებული ქალი რადაცაირად არაბუნებრივად გარბოდა, მერე კი გრიშაც ერთბაშად მოსწყდა ადგილს და ისიც გაიქცა, ოღონდ ძალიან ბუნებრივად. ქალი ზედ ნაპირთან შეჩერდა და გრიშამ ხელი ჩასჭიდა და დაჯერებული ნაბიჯით შეიყვანა ზღვაში. მკერდამდე რომ შევიდნენ, გრიშამ ჯერ აჩვენა, როგორ ესუნთქა თანაბრად, მერე კი წყალზე გულაღმა დაწოლა ურჩია. ქალი შეეცადა, მაგრამ ვერ შესძლო და ჩაყურყუმალავდებოდა, გრიშას ხელი რომ არ შეეშველა. მერე მამაკაცმა ისევ დაჭინებით ურჩია გულაღმა დაწოლა და თავიდანვე მიეხმარა — ახლა გრიშას მკლავებზე გადაწოლილი ჰყავდა ქალი, დასცქერიდა, როგორ გადასდიოდა სალუქ სხეულზე ზღვის თბილი წყალი, დაიცქერდა, უყურა და ენერგიულად ჰკითხა: „შეიძლება, შენობით რომ დაგელაპარაკოთ?“ „დიახ,“ უთხრა ქალმა. „მაშინ „დიახ“ კი არა, „კი“ უნდა მიუთხრათ, — გაეხუმრა გრიშა, „დიახ“ — ეს თქვენობითია“. და როცა იმავ საღამოს პაემანზე დიდი ლამაზი ჩანთით მოსული ქალი ბაღის მიფარებულ კუნჭულში შეიყვანა და აკოცა, მაშინვე გაიფიქრა: „ყველაფერი ეს კარგია, მაგრამ მთავარია პრობლემა“.

აი, ასეთ დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა გრიშა პრობლემას.

●

პრობლემა, ანუ როგორც გრიშა მეორენაირადაც ეძახდა, „მთავარი“, ასეთი იყო: „უნდა ეცადო, რომ შენი წყალობით ნაცნობები გახდნენ უყეთესები, ვიდრე არიან.“ ქალებთან ძნელი იყო მთავარზე საუბარი, კაცებთან კი, ასე თუ ისე, გამოდიოდა. დათა კი, დათა, პირდაპირ მისწრება იყო — ოჯდა და ყურადღებით უსმენდა გრიშას, არასოდეს გაწყვეტინებდა სიტყვას, დათასთან შეწყვეტილი იყო ლაპარაკი ისეთ რთულ საკითხზეც, როგორიცაა პოეზია, მუსიკა და იმათი სინთეზი:

— მოდი ახლა, დათა, — რბილად ამბობდა გრიშა, — კარგ და ჭეშმარიტ პოეზიას თავი გავანებოთ, და ხშირი, წყალწყალა პოეზია გავაანალიზოთ. განვიხილოთ თუნდაც სიმღერებად მოარული ზოგიერთი ცუდი ნიმუში. აი, ვთქვათ არსებობს ადამიანი და მოსწონს არც თუ ისე ჭკუიდანშესაშლელი სიმღერა, რომელსაც აქვს ცუდი ტექსტი — ესე იგი, წარმოადგენს მარტივი მელოდიისა და ცუდი პოეზიის სინთეზს. და მაინც მოსწონს. ახლა მე გეკითხები შენ — კარგია ეს თუ ცუდი?

— მე მგონია, რომ არც ისე კარგია.

— სწორი ხარ — რა თქმა უნდა. აი მე, დათა, ვაღიარებ რომ ხანდახან ცუდი პოეზიაც კი მოქმედებს ჩემზე და მათრობს. განა ეს კარგია? არ არის კარგი — მთავარი გავიწყდება და კოხტად მორგებული, რითმაშეწყობილი სტრიქონები გაბრუებს. აი, თუნდაც წარსულში ჩემი უსაყვარლესი ლექსი სახელოვან ჯონ გრეიზე — სისულელეა თავიდან ბოლომდე, მაგრამ... — მხრები აიჩეჩა გრიშამ, — მათრობდა.

გურამ დოჩანაშვილი
იგი სიყვარულისათვის იყო გაჩენილი, ანუ გრიშა და მთავარი

— როგორი შინაარსი აქვს?

— საზიზღარი,— შეიშმუხნა გრიშა, — საზიზღარი და გაცვეთილი, მაგრამ მაინც მხიბლავდა და ამაში იყო ჩემი ნაკლი. ახლა, როგორც იქნა, შევიძულე. შინაარსიო... რა შინაარსია, გიამბობ და თავად განსაჯე — იყო ერთი ვიღაცა ჯონ გრეი. მამაცი ყოფილა, გაბედული, თანხაც ჰქონდა, შენ ხარ ჩემი ბატონი და საღამოობით დაიარებოდა სარკეებიან დარბაზ-რესტორანში, სადაც ღია ფანჯრებიდან ისასმნის თავბრუდამხვევი სურნელი შემოდიოდა. იქ იგი ხვდებოდა ორ ქალს, ორ შესანშინვ ქალიშვილს, რიტასა და ციცქნა ნელის. რიტა და ნელი ამხანაგები იყვნენ, მაგრამ ორივეს უყვარდა ჯონ გრეი, უშიშარი და მოხდენილი ჭაბუკი, ჯონ გრეის კი მხოლოდ ციცქნა ნელი უყვარდა და ამაში მდგომარეობდა რიტას ტრაგედია. სარკეებიან დარბაზ-რესტორანში მამაცი ჯონ გრეი ვალს-ბოსტონს ცეკვავდა ნელისთან; ხანდახან, ათასში ერთხელ, ზრდილობისათვის, რიტასაც წაეცეკვებოდა. ყველანი აღტაცებით შეჰყურებნენ მოხდენილ ჭაბუკს: ვინც კი სარკეებიან დარბაზში აღოჰოლს სვამდა და, კვამლში გახვეული, დაუნდობელ ბანქოს თამაშობდა — ასეთები კი ბევრნი იყვნენ — ხელგაშლილობის შემთხვევაში ჯონ გრეის შეეძლო, ყველა დაეპატიჟა თუგინდ უგონოდ დათრობამდე და ყველას წაგებული ფული გადაეხადა, რადგან ჯიბეში თანხა ეგულებოდა. ამასთანავე, ფოლადივით მტკიცე მის სიტყვას არასოდეს ეკიდებოდა ეჭვი. და როცა ერთხელ ავი წინაგრძნობით შეპყრობილი, უგუნებო ჯონ გრეი მაგარ სასმელს წრუპავდა და ბოოლის ორიგინალურ ეტიკეტს დაფიქრებული შესცქეროდა, მასთან მივიდა ნელის მეგობარი რიტა და ჩასჩურჩულა: „იგი გდღალტობს. ციცქნა ნელი ოტელ „როსშია“, ლამაზ გარისთან ერთად“. და ჯონ გრეი ძმიდან წამოდგა და ოტელ „როსისაკენ“ გაეშურა. და ჰა, იქ მან იპოვნა მითითებული ნომერი, ძლავრი წიხლისკვრით კარი შეამტვრია და ზედ ფანჯრის რაფაზე დაიჭირა ლამაზი გარი და გულში ღონივრად აძგერა მაგრად გალესილი დანა. მეორე ციცქნა ნელის მიუბრუნდა და ქალიშვილი, რომელიც უყვარდა, ისიც გამოასალმა წუთისოფელს. და აი, არასახარბიელო მდგომარეობაში მყოფი ჯონ გრეი, უბედური და განადგურებული, იცი, სად დაბრუნდა? — იგი დაბრუნდა სარკეებიან დარბაზში, სადაც ღია ფანჯრებიდან ისასმნის თავბრუდამხვევი სურნელი შემოდიოდა და სადაც მთვარის შუქზე ტრიალებენ წყვილები, და სადაც კვნესიან სი-მე-ბი, ჰავანური გიტარის ში-ლე-ბი, და ჰა — ჯონ გრეი ისევ ყველაფრისათვის მზა-და-ა, ჯონ გრეის ჯიბეში — თან-ხა-ა, ჯონ გრეი — ყველაფერს გადაიხდის, აი, აი მე ისევ აღვფრთოვანდი, დათა, მე ისევ აღვფრთოვანდი!

— და მთავარი გადაგავიწყდა, არა?

— აბა?! — გაუკვირდა გრიშას.

— მაგრამ შაბლონური პოეზია—მუსიკით აღფრთოვანება, — განაგრძო მერე გრიშამ, — ღროებითი ამბავია, წამიერი — მე ასე ვიტყოდი. მაგრამ მთავარზე ესეც კი მოქმედებს. თავად მთავარიც მრავალი წვრილი პრობლემისაგან შედგება. აი, თუნდაც, მე რომ რამდენჯერმე ვახსენე სიტყვა „თანხა“ — ესეც ერთ-ერთი პრობლემათაგანია.

— მართლა?

— აბა რა — თანხა კაცის ცხოვრებაში გარკვეულ როლს თამაშობს. ერთ ეპიზოდს გიამბობ და შენ თავად განსაჯე... ეს მოხდა კიკეთში, ზუსტად ორი წლის წინათ. იქ ჩემს დას გავყევი, რომელმაც შვილები აგარაკზე წაიყვანა და ცოტა-ცოტას ბავშვების აღზრდაში ვეხმარებოდი. იდგა შუა ზაფხული, ივლისის თვე. ჩვენი ქუჩა, ღობე-ღობე აყოლებული, ხეხილიანი, ბავშვებით იყო სავსე. ისინი უდარდელად დახტოდნენ, დარბოდნენ, ჭრიალუღობდნენ. ქუჩა ოდნავ დაქანებული, ასფალტიანი იყო, შენ მერე დაინახავ, დათა, რომ ამას ექნება მნიშვნელობა. და უცვამ ქუჩის თავში გამოჩნდა სქელი კაცი, რომელსაც ხელში უზარმაზარი საზამთრო ეჭირა და ძალიან

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამაყოფილი სახე ჰქონდა, რადგან საზამთრო ახალთახალი შემოსული იყო — სწორედ ისე მოჰქონდა, ბირთვის მკვრელს რომ უკავიათ თავიანთი ინსტრუმენტი. და წარმოგიდგენია, დათა? — ქუჩაში სიხუმე ჩამოვარდა. ბავშვები შესცქეროდნენ მონატრებულ ხილს, კაცმა კი ამაყი, გამარჯვებული სახით ჩაუარა ყველას და თავის ოჯახში შევიდა. და ეი მაშინ, დათა, სწორედ მაშინ იყო საქირო თანხა. მე რომ მაშინ იმდენი თანხა მჭონოდა, თუნდაც ჯონ გრეის რომ ჭონდა, ტაქსით ჩავგრიალდებოდი თბილისში, დავიქირავებდი საბარგო მანქანას, ვიყიდდი უამრავ საზამთროს, ჩამოვიტანდი კიკეთში, მძღოლის დახმარებით გადმოვალაგებდი, ვორად დავაწყობდი, მერე ერთ ცალს დავწვდებოდი ორივე ხელით და დავიძახებდი: ეჰეე, შენ, პატარა გოგო, წითელკოპლებიანი ყაბა რომ გაცვია, ეს შენია, დაიჭირე... და საზამთროს დაღმართთან ქუჩაზე ფრთხილად დავაგორებდი. მერე მეორეს მოვიმარჯვებდი და ისევ გავძახებდი: ეჰეე, შენ, თავხტორა ბიჭო, ეს შენია, დაიჭირე... და დავაგორებდი. და სულ ასე, სანამ ყველა ბავშვს არ ჩამოვურიგებდი, მერე კი ჩემს მკვიდრ დისშვილებსაც მივუტანდი. ხომ სწორად მოვიქცეოდი?

— სწორად მოიქცეოდი.

— ახლა კი შენ წარმოიდგინე, დათა, რა ეღირება ახლადშემოსული საზამთროებთან გატენილი დიდი საბარგო მანქანა და მერე თქვი, თანხა საჭიროა თუ არა. მაგრამ ესეცაა, ამდენი თანხა ქუჩაში არ ყრია და არც არავინ გაჩუქებს, ხოლო თუ გარკვეული დროის განმავლობაში დააგროვებ, შეიძლება გადაიფიქრო აღნიშნული ხილის ყიდვა, რადგან თანხის დაგროვებისას ადამიანი იცვლება. ეს ნაღდია, მერწმუნე, დათა, და ამიტომ თუ იცი, რაა საჭირო? — ნუ იყიდი, ძმაო, საზამთროს, სანამ კარგად არ შემოვა, გაიჭირეე ერთი-ორი კვირა. მე თუ არ ვიყიდი, არა? შენც თუ არ იყიდი, არა? და სხვაც თუ არ იყიდის, არა?

— არც ერთ ბავშვს გული არ დასწყდება.

— კი მაგრამ, — ახლა კი ძეფიქრიანდა დათა, — თუ არავინ არ იყიდის, ხომ დაულუპებათ გლეხებს, როგორც იტყვიან, მონაგარი?

— შენ მაგის დარდი ნუ გაქვს, — ხელი ჩაიქნია გრიშამ, — ნუ გეშინია, გამოჩნდებიან ისეთებიც, რომ იყიდიან. მთავარია, რომ მე, და აგრეთვე შენ, ესე იგი ჩემმა ნაცნობმა, არ ვიყიდოთ. ესაა მთავარი. პირდაპირ მითხარი, დათა, დასამალი რა გაქვს, — ხომ არ იყიდე ახლადშემოსულ ხილს, თანაც, ამბობენ, ხელოვნურად ამწიფებენო.

— არ ვიყიდი, — თქვა დათამ, მასთან ძალიან სასიამოვნო იყო საუბარი.

— ახლა ზომიერების გრძნობის პრობლემას აღარ იკითხავ? დიდი ზომიერებაა საჭირო, დიდი, ჩემო დათა. ახლა საცა არ გიხედავ, ზომიერების გრძნობას ბევრგან არღვევენ. ავიღოთ თუნდაც არღანის განახლების საკითხი. ხომ იცი, მოქეიფე ხალხს დრო აქვს ბევრი და შეუდგნენ საქმეს — არღანი კარგი რამე იყო და მოდი, აღვადგინოთო. თქვეს და გააკეთეს. მაგრამ მე შენ გეკითხები, დათა, რანაირი აღდგენაა ეს, როცა არღანი თავის დროზე ნაკლები იყო, ვიდრე ახლა?

— კი, კი, მართლა ეგრეა, ხო იცი, — ამბობდა დათა.

— როგორ არ ვიცი, მე პირველმა არ ვთქვი? — და შეფიქრიანებულმა დაამატა, — სხვათა შორის, ასეთივე მკვეთრად გამოხატული სურათია ჭედური ხელოვნების დარგშიც... ზომიერების პრობლემა კი, ჩემო დათა, ისე არავის სჭირდება, როგორც მე. და თუ იცი, რატომ?

— არა.

— პიანინოების ამწყობი ვარ. დაკვრა არ ვიცი, სმენა კი, იცოცხლე, სამი კაცისა მაქვს. სხვათა შორის, ძალიან დაფასებული პროფესიაა, გულმოდგინედ უკ-

---

გურამ დოჩანაშვილი
იგი სიყვარულისათვის იყო გაჩენილი, ანუ გრიშა და მთავარი

ეროვნული ბიბლიოთეკა

რავენ ტაშს შემსრულებელს და იმას კი არავინ გაიფიქრებს, ნეტავ ვინ მადლიანმა აიწყო ეს ინსტრუმენტიო. ეჰ, მე კი არა, ხანდახან კომპოზიტორიც კი აო ახსოვთ, იმის ნაწარმოების შემსრულებელს კი მიხაკებს ესვრიან. ასეა, ვისაც თვალნათლივ ხედავენ, იმას აფასებენ, წინა პირობა კი, ესე იგი კომპოზიტორი და სუფ ლოტათი მე, არავის ახსოვს... ეჰ, არც ღირს სალაპარაკოდ. ახლა, თუ გინდა, პირდაპირობის პრობლემაც გადავსინჯოთ, — შესცვალა თემა გრიშამ, — ზოგიერთი არაა პირდაპირი, ესე იგი უშუალო და სახეს განგებ ჭმუხნის — ვითომ მაგარია. სხვათა შორის, ხშირად უმართლებთ კიდეც. ესაა გასაოცარი. აი, ვთქვათ არსებობს ორი ადამიანი — b და c.

— a და b რომ გეთქვა, ხომ არ აჯობებდა? — შეეკითხა დათა, ისიც კი ხანდახან უძალიანდებოდა გრიშას.

— ნუ მასწავლი, თუ შეიძლებოდეს, — აიმრიზა გრიშა, — a ამ შემთხვევაში დამკვირვებელია, ესე იგი მე.

— აა, — თქვა დათამ.

— ხოდა, იმას ვამბობდი, ძალიან ცუდი კანონი აღმოვაჩინე. თუ არსებობს ორი ადამიანი, ერთნაირი ცოდნითა და განათლებით, მაგრამ, დავუშვათ, რომ b უყმურია და c კი გულღია და ალალი, იცი, ვის აფასებენ უფრო მეტად?

— ვის?

— b-ს.

— რატომ?

— რატომ და, ხალხს ასე ჰგონია, თუ ადამიანი სიტყვას დაგამადლის და ამპარტავნად მოგექცევა, მაგარიაო. ექმია ერთი, მაგალითად; იმდენი არაფერი, მაგრამ ისე აქვს გართულებული ავადმყოფების მიღება და ისე ცივად ექცევა... რა ქვითო?.. პაციენტები! ისე ცივად ექცევა პაციენტებს, რომ მთელი ქალაქი მიაწყდა — მაგარიაო... ეს ხომ ცუდია, დათა?

— ნამდვილად ცუდია.

— პირდაპირობის პრობლემა, არ დაგავიწყდეს, ერთ-ერთი ძნელთაგანია. თუ გინდა, უფრო დაწვრილებით გადავსინჯოთ. მეშვიდე კლასში ვიყავი დალაგებული ეპიზოდი შემემთხვა, დღესაც მახსოვს. ახლა ხომ ზღვაზე ვარ, ვისვენებ, ვცურაობ, აქეთ-იქით დავდივარ, ერთი, მეორე, თან რამდენი წელი გავიდა — იო მოდო, იო მოდო ლა კაზა — მაგრამ მაინც მახსოვს. მოგიყვები დალაგებულად — მეშვიდე კლასში რომ ვიყავი, ანატომიის მასწავლებელი მემტერებოდა, ამომიჩემიხა და ბილეთზე ჰა, ჰა, გაჭირვებულ სამიანზე ვუპასუხე. სხვას კი დაუწერდა ნიშანს, მაგრამ ჩემზე გადაკიდებული იყო და მითხრა: მაშინ აბა, კეკეურაძე, ერთ დამატებით კითხვას მოგცემო. რა უნდა მექნა, მივაჩერდი სახეში... გადმოიღო თაროდან ერთი სქელი წიგნი, გადაშალა შუაზე და მითხრა — აბა, კარგად დააკვირდი და მითხარი, ქალია ეს თუ კაცი, მოსაფიქრებლად ორ წუთს გაძლევო და წარწერას ხელი დაიფარა. ვუყურებ სურათს, ვიღაცაა დახატული, წვერები აქვს გულამდე, თავი აქვს მოტიტვლებული, სათვალეშია; დავფიქრდი... ეფიქრობ ახლა, კაცი რომ იყოს, ამას რა გამოცნობა უნდა და თანაც, ჩაჯინებულია ჩემზე მასწავლებელი და ასეთ ადვილ კითხვას არ დამისვამდა და ქალია-მეთქი. რა გაეხარდაა — შე სულელო, მითხრა, სად გაგიგია ქალი და ამხელა წვერ-ულვაშიო და კალმისტარს წაატანა ხელი. აბაა, ასეა — პირდაპირობა რომ გამომეჩინა, ხომ ავცდებოდი მაშინ საშემოდგომოს? ახლა კი მეცინება ამ ამბავზე, მაგრამ საუფველი მაინც ჭკუის სასწავლებელია — პირდაპირი უნდა იყო. არაა ასე, დათა?

— როგორ არა, — დაეთანხმა დათა, იმასთან ძალიან სასიამოვნო იყო საუბარი.

მაგრამ ყველაზე ძნელად დასაყოლიებელი იყო დიასახლისის მამა, მოხუცი დურუ.

ამ ხნოვან კაცს მკვეთრად ჩამოყალიბებული შეხედულებები ჰქონდა და გრიშას ახსნა-განმარტებანი ოდნავადაც არ აღელვებდა. გრიშას იმასთან საუბრისათვის წვიმიანი დღეები ჰქონდა გამოყო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფილი, როცა გარეთ არ გაისვლებოდა. ისხდნენ ის და დურუ აივანზე, გვერდიგვერდ, უყურებდნენ, როგორ მძიმდებოდნენ წვიმით ახასხასებული ფოთლები, მრუმე ღრუბლები ცაზე როგორ გადადიოდნენ, ყურს უგდებდნენ გაბმულ, თანაბარ შიშინს და გრიშა სამიოდე დღის წინათ შეწყვეტილ კამათს ჯიქურ ანახლებდა:

— არა, ნამდვილად არ ხართ სწორი, დურუ ბიძია.

— კაი ახლა, ბაბაჩი, — ცივად დაუუვავებდა ხოლმე დურუ, — ამ ხნის კაცს აღარ მიჯერი? ფუღლია ყველაფერი.

— არა!

— რავა არა... — დინჯად ამბობდა მოხუცი.

— თანხა კია ხანდახან საჭირო, — ნაწილობრივ ეთანხმებოდა გრიშა, — მაგრამ ყველაფერი არაა.

— რაზეა აბა საჭირო?

— რაზე და... — პატარაზე შეფიქრიანდებოდა გრიშა, — რაზე და ყოველდღიური წვრილმანზე — რომ ჩაიცვა, დაიხუროო, სასმელ-საჭმელი გქონდეს, მეგობარი კაცი რესტორანში თითო ბოთლ ღვინოზე დაპატიჟო. მაგრამ ეს იმას კი არ ნიშნავს, ფული რომ ყველაფერია.

— კია ყველაფერი, — ჯიუტობდა დურუ, — ამხანაგობა რა გგონია შენ?

— რა — ფულია?

— აპა რაა... — უკვირდა დურუს, — ახალგაზრდობაში ერთი პირობა კარქათ წამივიდა საქმე და ფული მქონდა ბევრი. დემესიენ ამხანაგები, რას დემესიენ?! — თაფლი მეცხო ლოყებზე. სუფრის თავს მსვამდნენ, ბაბაჩი; ეს რა კაციაო, დედაა, ეს ვინააო, ეს რააო, ამას ვენაცვალეთო, შემოვევლეთო, მარა რო გავკოტრდი და ფული აღარ მიჭყაოდა ჯიბაში, ეჰ, გაფუჭდა ეგეცო, თქვეს...

— თანხაზე აგებული მეგობრობა თანხასავით ადვილად დაიწვება, — განმარტავდა გრიშა.

— ბიჭო! ფულზე იქნება მეგობრობა აგებული, აპა ლამაზი თვალებისთვის კი არ მეგობრობს ხალხი.

ელაპარაკე ახლა ასეთ კაცს.

— მე რომ სამოციოდე წლით ადრე დავბადებულიყავ და იმ თქვენნ ვაიმეგობრების ნაცნობი ვყოფილიყავ, თქვენ რომ ფულს იშოვნიდით, გაგეცლებოდით, ხოლო როცა გაკოტრდებოდით, დაგიახლოვდებოდით და მიგახვედრებდით, რომ ფული არაა ყველაფერი. აი, სწორედ ასე მოვიქცეოდი.

— მეტი რა გითხრა შენ.

— როგორ თუ რა მითხრა! — აღშფოთდა გრიშა, — აბა ახლა რომ ვზივარ აქ და გესაუბრებით, რა ძალა მადგია, თუ იცი, რა განცდა მამოძრავებს?

— რა ვიცი მე!.. — უკვირდა დურუს, — ვიფხანთ ტყვილი ენას.

არა, დურუ არ იყო კარგი მოსაუბრე.

●

მაგრამ ყოველივე ეს გადაგავიწყდება, თუ ბნელი ღამით სილიან ნაპირზე ზიხარ და მთელი დღით მზეზე ნაგდები, გახურებული სხეული ზღვიდან მონაბერი სიგრილით იყრინთება. როცა სიჩუმეში ნაპირს მომწყდარი ტალღა წკარუნით იმსხვრევა ქვებზე და მერე შიშინით, უხალისოდ დაიხევს უკან, სილაზე კი თეთრი ქაფი ტალღის ჩაბღაუჭებული თითებივით რჩება. და როცა გრიშასავით შეეჭვდები, სინამდვილეა თუ არა, რომ ახლა სილიან ნაპირზე ზიხარ, უკან გადახრილი და ხელისგულებზე დაბჯენილი, მკერდზე კი ლამაზი ქალის სუნთქვას გრძნობ, მართლა დაეჭვდები, სინამდვილეა თუ არა ყოველივე ეს, რადგან ძალიან ბნელა... მაგრამ თოქოსდა შენი ეჭვების გასაფანტად უეცრად აბრდღვიალებული პროჟექტორი წამით თუ ცას მიებჯინება, მერე კი ნაპირს მოავლებს თვალს და შემკრთალი ქალი უნებურად მუხლებზე თუ გადაიჭიმავს კაბას, გაგეხარდება და მერე, სიჩუმეში, გახარებულმა, გრიშასავით უმიზეზოდ

გურამ დოჩანაშვილი
იგი სიყვარულისათვის იყო გაჩენილი, ანუ გრიშა და მთავარი

შეგიძლია წარმოსთქვა წინადადება, რომელიც ასე თავდება: „...ხმა აღწევდა.“

— ისინი ნაფერები დალალებისათვის იბრძოდნენ, — თქვა გრიშამ, — სილაზე, მთვარის შუქზე ალესილი დანებით იბრძოდნენ და შორიდან კი გიტარის ნაღვლიანი ხმა აღწევდა.

— რა ველურობაა, — თქვა ოდნავ შემკრთალმა ქალმა, — მაგრამ რაღაცით მაინც კარგია.

— სიყვარული ურევია და იმიტომ, — აუხსნა გრიშამ, — იქ, სადაც სიყვარული ურევია, ყოველივე ლამაზდება.

— სიყვარული ორგვარია, — დაიწყო ქალმა, მაგრამ გრიშამ გააწყვეტინა:

— ვიცი, ვიცი — ორგვარი კი არა, შვიდასგვარია, მაგრამ ისინი ნამდვილი სიყვარულისათვის იბრძოდნენ.

— აა... და რომელი მოერია?

— რა მნიშვნელობა აქვს — ერთ-ერთი.

— საწყალი მეორე, — წაიჩურჩულა ქალმა, — მე ის მეორე შემიყვარდებოდა.

— რა იცი, ეგება ის მეორე იყო ერთ-ერთი...

— რა უცნაური ლაპარაკი იცი, გრიშა, — პატარაზე გაიბუტა ქალი.

— მიყვარხარ და იმიტომ.

— მართლა?

— აბა რა, განა ეს საკითხავია? — იო მოდო ლა კაზა.

— რატომ გიყვარვარ? — გაცელქდა ქალი.

— ლამაზი ხარ და იმიტომ.

— და სხვა... სხვა არაფერი?

ჰე, რა ძნელია ხანდახან პასუხის გაცემა.

მაგრამ გრიშასთვის — არასოდეს. მაშინვე ჩურჩულით ალაპარაკდა, შესაბამის ატმოსფეროს ჰქმნიდა:

— ამის პასუხია ერთადერთი სიტყვა, სხვადასხვა ბრუნვაში ორჯერ მოცემული: ადამიანისათვის ადამიანი. და ის თუ იცი, რა არის ადამიანისათვის ადამიანი?

— რა არის... ახლობელია?

— და სხვა არაფერი?

— რა ვიცი... არ ვიცი.

— ახლავე აგიხსნი, — თქვა გრიშამ და მიმოიხედა, — არის ერთი გამოთქმა, რომ ადამიანი ადამიანისათვის მგელია, მაგრამ მე, ამ შემთხვევაში შენი ახლობელი, სუფულ სხვა თვალსაზრისისა ვარ. და თუ გინდა, რომ აგიხსნა, აბა, თვალები დახუქე და დინჯად, ნებისყოფიანად დაითვალე ათამდე.

— და უცებ მაკოცებ, არა?

— არა.

— აბა?!

— თუ გაინტერესებს, დათვალე, თუ არა და...

— კარგი, კარგი. თვალები დავხუჭო და ისე?

— ჰო.

— ერთი, ორი, სამი... — დაიწყო ქალმა და ბოლოს განგებ გაავრძელა, — ცხრა-ა, და-ა, ა-ა-თი... ათი! მითხარი ახლა... გრიშა, სადა ხარ?

ზღვა შრიალებდა მხოლოდ.

— გრიშა! — წამოიძახა ქალმა და წამოდგა, — სადა ხარ, გრიშა?

ძალიან ბნელოდა.

— გრიშა! კარგი ახლა, გამოდი, გრიშაა! — და ქალი საკუთარმა კივილმა შეაკრთო, გულზე მიიხუტა თითები, თვალები გაუფართოვდა, სახე დაეძაბა, ბნელს მიაშტერდა და შიშმა ქოლრუნით დაუარა სხეულში — იქვე, შორიახლოს, უცნაურად გაფარჩხული კუნძი ეგდო.

— გრიშა! მოდი ჩემთან, გრიგოლ! ხმას აღარ გაგცემ, იცოდე, გრიგოლ! — და ქალმა სილაზე დაჰკრა ფეხი.

გაგიგონია?! — ვითომც არაფერი.

„ამ ქალაქგარეთ... ამ ქალაქგარეთ რა მინდოდა, გადაკარგულში, რა ვქნა...“ — გაიფიქრა ქალმა და კუნძს ფრთხილაღ აუარა, ცდილობდა, არ შეეხეფა და განზე იყურებოდა, მაგრამ პატარა ორმოში ჩაუვარდა ფეხი და მუხლებზე დაეცა. ამან მთლად არია ქალი, თანაც, სიბნელიდან თავად შიში მიჩერებოდა გაყინული წეგბოთი ამოვსებული თვალებით, წამოხტა და თვალდახუჭული გაიქცა სილიან ნაპირზე — საკუთარი ფეხისხმაც კი არ ესმოდა, ვიღაცეები კი დგრიალით მისდევდნენ, კაბასა და თმაზე ეტანებო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დნენ, სიმწრისაგან თვალდახუჭული, ერთიანად აცახცახებული ქალი კი გარბოდა და უცვა რაღაცას რომ დაეჯახა, შეჰკივლა, სახეზე აიფარა ხელები და ჩაიკეცებოდა, იმ რაღაცას წელზე ხელი რომ არ შემოეხვია და რომ არ ეთქვა:

— ეს მე ვარ, მე.

— გრიშა! — წამოიძახა გახარებულმა ქალმა და ჩაეხუტა, — სად იყავი, გრიშა!

— სად წავიდოდი... შენ რა, მიგატოვე გეგონა?

— ჰო, — ამოისლუკუნა ქალმა და უფრო ჩაეხუტა, — რატომ შემაშინე, რატომ შემაშინე გრიშა!

— ნუ გეშინია, ნუ ტირი, აბა, შემომხედე... ვეყოფა, კარგი, დაწყნარდი და კარგად დამიგდე ყური — აი, ესაა ადამიანისათვის ადამიანი.

— რა ესაა... რას ამბობ?

— აი, სწორედ ესაა ადამიანისათვის ადამიანი, — უთხრა გრიშამ და თავზე გადაუსვა ხელი, — შენ მარტო იყავი, სუსტი და უმწეო, შენ მარტო იყავი—ამ წკვარამსა და უკუნეთში, შენს წინ კი უზარმაზარი, გამუქებული ზღვა ავად შრიალებდა, პატარავ, და შეგეშინდა. მარტო იყავი, მარტოკინა, და ამიტომ შეგეშინდა. შენთვის ხომ ღამე იყო, ხომ ღამე იყო ამ ორიოდე წუთის უკან, ახლა კი, ჩემთან რომ ხარ, ჩახუტებული და დაჯერებული, ახლა ხომ დღეა, პატარავ, ხომ დღეა?

— დღეა, გრიშა, დღეა, — ტიროდა ქალი.

— ადამიანი ადამიანისათვის — დღეა, — თქვა გრიშამ.

და ქალაქში რომ დაბრუნდნენ, უყურეს, პორტიდან როგორ გავიდა გემი.

დიდი, უზარმაზარი, თოკებით მიბმული გემი უძრავად იდგა ნაპირთან, მისი ფერადი სინათლეები კი კაშკაშით იწეწებოდა ტალღებზე. მგზავრები ტრაპით ადიოდნენ გემზე და ვიღაცა დაგვიანებულს ქოლგასავით ამაყად ეჭირა ყვავილები, თუმცა არ წვიმდა. გრიშა და ქალი ხელიხელჩაკიდებულნი აჰყურებდნენ გემს და უნებურად ყურს უგდებდნენ რაღაც მხიარულ მარშს, საოცრად რომ არ უხდებოდა მოახლოებულ განშორებას, და მთავარი ის იყო, რომ ვიღაცეები მიდიოდნენ სადღაც, თანაც გემით და ისინი კი რჩებოდნენ აქ, ყავიისფერ პორტზე. და ეს მძიმედ გაჩიოლდნებული გემი ნეტავ დიდხანს მდგარიყო აქ, მაგრამ ტალღაზე დამპალი ფიცრის ნატეხი თანაბრად ირწეოდა და ჯიუტად ითვლიდა წამებს. და როცა კიბე აკეცეს და ზღვისპირა ქალაქის თავეწაწვეტებულმა საათმა შუაღამის საუწყებლად თორმეტი ჟღრიალა სევდის ჩამოთალა დაიწყო, გემის საყვირმაც დაიბღავლა განშორების ნიშნად და ზღვისპირა ქალაქში ყოველ დარჩენილს თავისი იდუმალი წასვლა ამცნო. და როცა საყვირის შემაზრზენი ხმისაგან გაოგნებული ქალი გრიშას აეკრა, გემმა ზღვისაკენ დაიხია, მძიმედ შეტრიალდა და, ფერადი სინათლეებით დახუნძლული, ტაატით გაეცალა ნაპირს.

და თუმცა ყოველივე ეს ლამაზიც იყო, გრიშას მაინც ხასიათი წაუხდა.

●

— ბიტკი რომელია, მრგვალი?

— კი, კაია.

— აბა ცუდიაო, ხომ არ იტყვი, მოიტანე სამი. ის ჩქარა იქნება?

— ხელათ.

საქართველოში ხანდახან ისეც ხდება, რამდენიმე ნაცნობი რესტორანში შედის. გრიშაც სხვებზე უკეთესი თუ არა, ნაკლები არ იყო, ამიტომ ადგა და ისიც შევიდა რესტორანში. თავდაპირველად სამნი იყვნენ — გრიშა, ქალი და დათა. მერე გრიშამ დათას ნაცნობ კაცს, გიგლას, ვიღაც ახალგაზრდასთან ერთად შორიახლოს რომ იჯდა, სამი ბოთლი ღვინო გაუგზავნა, თავისი შოკოლადის კამფეტებით. ის კაციც არ აღმოჩნდა

გურამ დოჩანაშვილი
იგი სიყვარულისათვის იყო გაჩენილი, ანუ გრიშა და მთავარი

აუგიანი — ერთი ყუთი შამპანური გამოაგზავნა გრიშას მაგიდაზე და ოფიციანტმა მუხლის დახმარებით ძლივს რომ შედგა მძიმე ყუთი მაგიდაზე, თვითონაც მოვიდა ერთი ჭიქის შესასმელად, მაგრამ გრიშამ ძალიან დაიჟინა და გიგლა-ბატონი გადაიპატიჟეს, ახალგაზრდასთან ერთად. გიგლას მაგარი სახე ჰქონდა, რკინის კაცი ჩანდა, ახალგაზრდა კი ორაზროვნად იღიმებოდა, რაც გრიშას არ ესიამოვნა, მაგრამ სუფრის ხათრით არ შეიმჩნია.

რამდენიმე რიგითი სადღეგრძელო შესვეს, გრიშა ახალგაზრდა კაცს მალულად ათვალიერებდა. ის კი ისევ უცნაურად იღიმებოდა — თან ორაზროვნად და თანაც მორცხვად, დროდადრო წითლდებოდა კიდეც.

გრიშას ლაპარაკის ხალისი დაეკარგა, ისე არ სიამოვნებდა ახალგაზრდის ღიმილი, ამრეზილი მიაჩერდა, მაგრამ მაინც ობიექტურად გაიფიქრა: „ლამაზია, ოხერი“... დარბაზს თვალი მოავლო და უეცრად სახე გაუბრწყინდა:

— ამას ვის ვხედავ, ჯიბო! ჯიბო, მოდი აქ!

ერთმანეთს გადაეხვივნენ, ჯიბო ზორბა ყმაწვილი ჩანდა, გრიშას ბეჭებზე ღონივრად უტყაპუნა ფართო ხელისგული. დათა, ქალი, გიგლა და ახალგაზრდა ღიმილით შეჰყურებდნენ გახარებულ გრიშასა და ჯიბოს.

— ეს ვინ ვნახე, ჩიტო, გვრიტო, საიდან — როგორ, — თვალებში შესცქიროდა გრიშა, — რომელმა ქარმა გადმოგაგდო, ა, შე ძველო...

— ჩამოვედი დასასვენებლად! — დაიყვირა ჯიბომ და ისე ხმამაღლა გაიცინა, ყველა შეკრთა, — რავა ხარ ისე, უ!!

— ვარ სტამბულის კაკივით, — გაახარა გრიშამ და სუფრის წევრებს მიუტრიალდა, — გაიცანით, ჩემი ბავშვობის მეგობარი — ჯიბო. როგორც იტყვიან, ვთხოვთ იცნობდეთ და სწყალობდეთ. ერთსაც ვიტყვი, ყველაფერი ნათელი რომ შეიქნას თქვენთვის — ამქვეყნად მრავალნაირი ამხანაგი არსებობს: არსებობს ამხანაგ-თანამშრომელი, ამხანაგ-მეზობელი, ამხანაგ-კურსელი, ამხანაგ-პურ-მარილელი, ამხანაგ-უფროსი, ამხანაგ-ხელქვეითი, ამხანაგ-უბნელი, მაგრამ ბავშვობის ამხანაგი მაინც სულ სხვაა, ჯიბო კი ჩემი ბავშვობის ამხანაგია, გახსოვს, მამაშენს შარვალი რომ დავუუჭერით?

— რავა არ მახსოვს, — აროხროხდა ჯიბო, — მაკრატლით.

— და რომ ეძინა და ჩაიდანით წყალი რომ გადაასხი?

— მახსოვს მაგიც... რავა არ მახსოვს, — გადაფიჩინდა ჯიბო და სული ძლივს მოითქვა, — სულ იმას იძახდა, შენ მომკლავ, თუ მომკლავო.

— მერე, მართლა თქვენ მოკალით? — გაეხუმრა ახალგაზრდა და გაწითლდა.

— არა, თავისით მოკვდა, — გასერიოზულდა ჯიბო და საჩვენებელი თითი მკერდზე სამჯერ მიიკაკუნა, — გული...

— გრიშა, ლიმონათი მოატანინე, რა... — თხოვა ქალმა.

ჯიბოს ლუდის დიდი კათხით დაალევინეს ჯარიმა. იმასაც ბევრი არ უფიქრია — ზომიერი, მძლავრი ყლუპებით გამოსცალა შამპანურით სავსე კათხა და მერე მაგიდას ღონივრად დაჰკრა, ძალიან მაღლა აისროლა და ზედ ქალის თავზე დაიჭირა გამოცლილი სასმისი.

— აი, ხომ ასეთია, არა?! — მიუბრუნდა სუფრის წევრებს გრიშა, — მაინც მიყვარს. ეს იმიტომ, რომ ბავშვობის ამხანაგია. ბარაქალა, ჯიბო.

— კაცს ტყუილად არ გავაფუჭებ, — ძალიან მოულოდნელად გამოაცხადა გიგლამ, — ამდენი ხანია, ჩემს ადგილას ვმუშაობ, მაგრამ კაცი არ გამიფუჭებია.

— აგაშენა ღმერთმა! — აღფრთოვანდა გრიშა და ჭიქას წაატანა ხელი, — ეს თქვენ გაგიმარჯოთ, გიგლა-ბატონო. მაშინვე მივხვდი, კეთილი გულის კაცი რომ ბრძანდებოდით. არა, მაინც როგორი გულის ადამიანი ხართ, — და აღტაცებულმა შეუთვალიერა სახე, — ხშირი წარბები გაქვთ, მოკუმული ტუჩები, ბრაზიანი კაცივით; თვალებიც ბრაზიანი კაცივით გიელავთ, ამაყი და სიტყვაძვირი ბრძანდებით, მაგრამ სწორედ ისაა

ეროვნული ბიბლიოთეკა

დიდებული, რომ ამ შესაშინებელი გარეგნობის მიღმა თქვენში კეთილი გული ძგერს. დიდხანს ეძგეროს!

— მადლობა, დიდი მადლობა.

— სწორედ ისეთი კაცი ბრძანდებით, — შესძახა გრიშამ, — იტალიელები რომ იტყვიან ხოლმე: „იო მოდო... იო მოდო ლა კაზა!“

— მადლობა, გენაცვალე, დიდი მადლობა.

— არაა ასე, დათო?

— ასეა, — თქვა დათამ.

— და თავს მოვიჭრი, — მოხიბლული შესცქეროდა გრიშა, — პრობლემა თუ არ გქონდეთ!

— არის... არის ასეთებიც, — დაეთანხმა გიგლა.

— ხომ ვთქვი, აკი ვთქვი, დათა!

— კი.

და როცა ყველამ ადღეგრძელა, გიგლამ სამადლობელი თქვა:

— დიდი მადლობა. ჩვენი კაცობა და გამტანობა ჩვენს შვილებზე გადაგვეტანოს, რადგან ჩვენ წავალთ და ისინი დარჩებიან — ასეთია ბუნების გრაფიკი.

— იცოცხლეთ, — უსურვა გრიშამ და იქვე შეეჭვდა, — მშვენივრად კი იყო ნათქვამი, მაგრამ შვილი რა შუაშია, ჰა?.. ადამიანი რომ გიყვარდეს, აუცილებლად შვილი და მაზლი უნდა იყოს? არა, ისე კი არ გამიგოთ, მე დიდი მომზრე ვარ მამა-შვილური სიყვარულისა, მაგრამ ამასთანავე უბრალო ნაცნობიც უნდა გიყვარდეს და გახსოვდეს. და რახან უკვე დავახლოვდით, ამასაც ვეტყვით: შენი წყალობით ადამიანები უნდა გახდნენ უკეთესები, ვიდრე არიან — აი, პრობლემა.

— ერთი პატარა ხნით გავალ და მოვალ ამ წუთში, — წამოდგა ჯიბო.

და უცებ ახალგაზრდა ალაპარაკდა:

— თქვენი პრობლემა, როგორც ასეთი, საკმაოდ თბილი და სასიამოვნოა, — დაიწყო მან. ლაპარაკობდა ძალიან მშვიდად, მკაფიოდ და ამაყად, — მაგრამ თქვენი პრობლემა მიამიტურია, ჩვენს საუკუნეში ეს არაა საკმარისი.

— რაო? — გაუკვირდა გრიშას, — უფრო ზუსტად ხომ ვერ გამოხატავდით თქვენს აზრს?

— სიამოვნებით, — ხელი ოდნავ, დახვეწილად აიქნია ახალგაზრდამ, — მთავარი ადამიანისათვის ისაა, რომ ცოდნის ზღვარს მიაღწიოს. ეს თავისთავად ძალიან რთულია, მაგრამ მეორის მხრივ არც ისე რთულია, თუ ადამიანი ამას სერიოზულად მოინდომებს და თუ, რა თქმა უნდა, ბუნებრივი მონაცემებიც აქვს. მაგრამ თავის მხრივ მხოლოდ მონაცემზეც არაა დამოკიდებული, რადგან ადამიანს უნდა შეეძლოს მონაცემზე ზრუნვა და შემდგომ თანდათანობით განაფართოვოს იგი.

— რა ქნას?

— განაფართოვოს, განავრცოს, და თუ მარტივად ვიტყვით — გაადიდოს.

— იო მოდო, — გაიკვირვა გრიშამ, — და ყველაფერი გაიგოს?

— ყველაფერი, რა თქმა უნდა.

გრიშამ შეხედა დათას, ქალს, შეშმუხვნილ გიგლას და დაბნეულმა გაიღიმა, — თქვენ ალბათ მაინც არ გულისხმობთ ყველაფერს.

— ყველაფერი, — მტკიცედ თქვა ახალგაზრდამ და სუფრაზე თითით უხილავი წრე შემოხაზა, — არის ყველაფერი

— კი მაგრამ, როგორ შეიძლება ერთმა ადამიანმა ყველაფერი იცოდეს?

— ძალიან თავისუფლად.

— მაინც ვინაა ასეთი?

— ასეთები ცოტაა, მაგრამ მაინც არიან.

— მაინც?

— აი, თუნდაც... — ოდნავ წამოწითლდა ახალგაზრდა და სუფულ ცოტათი დაიმორცხვა, — მე.

— თქვენ? — შეხედა გრიშამ და ნერწყვი გადაყლაპა.

— მე, — გაიმეორა იმან.

— და თქვენ ყველაფერი იცით?

— დიახ, — და უხერხული დუმილის

გურამ დოჩანაშვილი
იგი სიყვარულისათვის იყო გაჩენილი, ანუ გრიშა და მთავარი

შემდეგ დაამატა, — თუ გნებავთ, მკითხეთ.

— რა...

— რაც გაინტერესებთ.

— სუყველაფერი?

— რაც გნებავთ — ესე იგი რაც გაინტერესებთ და რაც გაეხარდებათ.

„ჰმ, ლამაზია, ოხერი,“ გაიფიქრა გრიშამ და იქვე შეკითხვაც დაუსვა:

— აი, ვთქვათ, ვინ გახდება წელს ჩემპიონი ფეხბურთში.

— ჰე!.. — ათვალწუნებით შეხედა ახალგაზრდამ, — თქვენ ახლა ძალიან ცუდი შეკითხვა დასვით: ჯერ ერთი, ეგ წვრილმანია და მეორეც, მე ვიცი ის, რაც უკვე მოხდა და არა ის, რაც მოხდება.

— ესე იგი, — გაბრაზდა გრიშა და გამომწვევად მიაჩერდა, — თქვენ იცით ყველაფერი ის, რაც აქამდე მოხდა და, ამასთანავე, მსხვილმანი?

— დიახ, — თავი მძიმედ დაიქნია ახალგაზრდამ და ისევ შეწითლდა, — და თუ არ გჯერათ, აქვე არა ვარ?

— ყურისძირში, არა? — კაარი, ახლავე გკითხავთ! — დაექადნა გრიშა და მიმოიხედა.

ისე იყო აღელვებული, კარგახანს ვერაფერი მოიფიქრა. ყოველშემთხვევისათვის მაინც მაგიდას მოავლო თვალი და განსაკუთრებული ვერაფერი შენიშნა — მწვანილმოყრილი კიტრი და პამიდორი, ჭიქები, პური, ბიტკი, სულუგუნი, მწვადი, შამპანურიანი ბოთლები. ქალს ხელი ჩამოედო მაგიდაზე და აწრიალებული გრიშა უნებურად მოეფინა ხელზე. მერე თითები შუბლზე მიიჯინა, თითებშუა ჭერისაკენ აღაპყრო თვალები, იქაც ვერაფერი შენიშნა, ნათურის დანახვაზე ერთი კი გაიფიქრა — ნუ, ელექტრობა წყლის ენერგიიდან მოდის, ეს ნაღდია, ამას ხომ არ ვკითხავ... — და ფანჯარაში გაიხედა.

გარეთ ღამე იდგა, რესტორნიდან გასული შუქი ბაცად გადაკვროდა ასფალტის პატარა ნაგლეჯს და იქით კი სიბნელე იყო, მკვრივი, გაუვალი და გრიშა მიხვდა, რა იყო „მსხვილმანი“.

— აი ჩვენ, ადამიანები, როგორ წარმოვიშვით? — მძიმედ წამოიწყო ბოლოს შამ, — ჩვენ როგორ წარმოვიშვით?

— როგორ ასპვექტში — მე და თქვენ თუ ჩვენი საერთო წინაპარი?

— თუ შეიძლებოდეს, ყური დამიგდეთ, — ცივად უთხრა გრიშამ და გაიმართა, — სწავლულნი ამბობენ, რომ ადამიანის შექმნამდე იყო სხვა ტიპის არსება, იქამდე კი ათასნაირი მრავალჯერადიანი ორგანიზმი, იქამდე კი, ვთქვათ, თხუთმეტჯერადიანი, იქამდე ხუთ, ოთუჯერადიანი და დაბოლოს, დაბოლოს კი არა, თავიდან იყო ერთუჯრედიანი და იმ ერთუჯრედიანიდან თურმე წარმოიშვა, — გრიშამ დიდი წრე შემოხაზა ჰაერში, — ყოველივე ეს. ახლა კი კეთილი ინებეთ და მიპასუხეთ — როგორ წარმოიშვა სწორედ ეს ერთუჯრედიანი?

— ეგ რა საკითხია, — ჩაეცინა ახალგაზრდას, — ერთუჯრედიანი წარმოიშვა ბირთვისა და პროტოპლაზმისაგან. და საერთოდ, თქვენი შეკითხვა ძირფესვიანად მცდარია და იცით, რატომ? ეს უმარტივესი ბირთვიცა და პროტოპლაზმაც კი უამრავი ნივთიერებისაგან შედგება.

— კი ბატონო! — დაიძახა გრიშამ, — და როგორ წარმოიშვა ბირთვის უპირველესი ნამცეცი?

— ბირთვი, — ახალგაზრდამ თითები შეატყაპუპა და მაღლა ასწია, — როგორც უკვე აღვნიშნე, მრავალი ნივთიერებისაგან შედგება, მაგრამ თქვენ გაინტერესებთ, როგორ წარმოიშვა სულყველაზე მცირე და პირველადი ნივთიერება, არა?

— ჰო, ჰო!

— ეს ხომ ცნობილი ამბავია, — ალერსიანად დაუყვავა ახალგაზრდამ, — ყველაფერი წარმოიშვა ნივთიერებიდან, რომელსაც ჰქვია ფოტონი.

— რაო? — ორი თითით ყური მოიმარჯვა გრიშამ.

— ფოტონი.

— და ეს ჯანდაბის ფოტონი როგორ წარმოიშვა?

— ფოტონს, — დინჯად, გასაგებად წარმოსთქვა ახალგაზრდამ, — ფოტონს წარმოშობა არ სჭირდება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ეს როგორ!

— თავისით არის.

— როგორ თუ თავისით... — დაიბნა გრიშა.

— ფოტონი თავისით არსებობს, იმას წარმოშობა არ სჭირდება, ფოტონი — არის.

— არის კარგია, — გესლიანად ჩაიღიმა გრიშამ, — მე გეკითხებით, როგორ წარმოშვა.

— ყური კარგად დამიგდეთ და აბა, კარგად ჩაუფიქრდით ჩემს სიტყვებს... თუ გინდათ, რომ თქვენც განიფართოოთ ზღვარი — ფოტონს წარმოშობა არ სჭირდება. კარგად ჩაუფიქრდით?

— რატომ არ სჭირდება, რატომ? — დაიგმინა გრიშამ.

— თავისით არის.

— ჰე... და თქვენ ყველაფერი იცით, არა?

— დიახ, — ჩვეულებისამებრ წამოწოლილა ახალგაზრდა.

— ადვილიც?

— რა თქმა უნდა. ადვილი — უფრო ადვილია.

— მე რა მქვია, აბა?

— თქვენ? — გრიშა.

— ლაპარაკიდან გაიგეთ, არა?

— დიახ.

— აბა მაგრა გამოგიცნია.

— დავლიოთ ერთიც, რა იქნება, — თქვა დაბრუნებულმა ჯიბომ.

— რა? ჰო, დავლიოთ, დავლიოთ, — ჩაილაპარაკა შეფიქრიანებულმა გრიშამ, — ჩვენ გაგვიმარჯოს...

— მერე?

— მერე არაფერი — მიირთვით.

სადღეგრძელო რომ შეისვა, გრიშამ ისე მოულოდნელად აიქნია ხელი, ყველა შეკრთა. დამფრთხალნი მიაჩერდნენ, გრიშა კი ახალგაზრდას ჯიქურ შესცქეროდა:

— და თქვენ ამბობთ რომ ყველაფერი ეს — ადამიანიდან დაწყებული მონასპინ — კანფეტამდე დამთავრებული, რაღაც ფოტონიდან შეიქმნა, არა?

— დიახ, დიახ, — მოფერებით უთხრა ახალგაზრდამ.

— იფ, იფ, რა კარგია?! — დაიბოღმა გრიშა.

— გეყოფათ, ბოლოსდაბოლოს, — თქვა გიგლამ, მაგრამ გრიშას ყურადღება არ მიუქცევია:

— კარგით, ვთქვათ ეგრეა, დავუშვათ.

— დავუშვათ კი არა, ეგრეა.

— კარგი, ჰო! — შეუძახა გრიშამ, — ეგრე იყოს, შენებურად. ახლა კი აგერ ფანჯარაში გაიხედე — ცას თუ ხედავ...

— რა თქმა უნდა.

— ვარსკვლავებს?

— ვარსკვლავებსაც.

— და ახლა იმასაც თუ მეტყვი, რასაც გკითხავ, შენ ყოფილხარ ყველაფერი — აი, დედამიწის შემდეგ მთვარეა, მერე თუ არ ვცდები ვენერა, მარსიო, მზეო და ათასი სხვა პლანეტა.. და შენ თუ მეტყვი, სად თავდება ყოველივე ეს, მართლა შენ იქნები, რაც იქნები — საღაა სამყაროს ზღვარი!

— ოო, ეს ძალიან ადვილი საკითხია,— გულზე მოეშვა ახალგაზრდას, რომელიც ერთხანს თითქოს შეაკრთო მოდდევნო შეკითხვის სირთულემ, — აი, კარგად მიყურე, — და ტეხასური შარვლის უკანა ჯიბიდან ფანქარი და ბლოკნოტი ამოიღო, — ყურადღებით მისმინე და მიყურე — აი, ვთქვათ, ეს წერტილი არის ჩვენი დედამიწა, — და შუა ქაღალდზე წერტილი დასვა, — ეს კი, — და წერტილს პატარა წრე შემოავლო, — მზის სისტემა, აი ეს კი, სხვა სისტემა, რომელშიც ჩვენი მზის სისტემაც შედის, და ეს კი კიდევ სხვა, უფრო დიდი სისტემა, და ეს კი...

და ახალგაზრდამ მეშვიდე ოღრონჩოღრო წრე რომ შემოავლო, თქვა:

— აი ეს კი, ბოლო წრეხაზი სწორედ ისაა, თქვენ რომ გაინტერესებთ — ესაა სამყაროს ზღვარი.

— ვაბ! — აღელდა გრიშა, — და ეს ზღვარია, არა?

— რა თქმა უნდა, აბა კარგად დაუკვირდით...

გურამ ფოჩანაშვილი

იგი სიყვარულისათვის იყო გაჩენილი, ანუ გრიშა და მთავარი

— რამდენი წრეა ესე იგი?

— შვიდი.

— ბოდიში, მაგრამ თქვენ ეს შვიდი წრე ორშაბათ-სამშაბათ-ოთხშაბათ-კვირა ხომ არა გგონიათ? რაღაა მაშინ ეს მორჩენილი ადგილი მაგ თქვენი ბლოკნოტის ტევად ქაღალდზე, ანდა ეს მაგიდა, სკამი, აგერ, ჩემი ბატონო კედელი და მთელი ეს ქალაქი?

— ჰეე,— გულწრფელად ჩაიცინა ახალგაზრდამ, და ისევ იმ პირველ წერტილს დაადგინა ფანქარი,— ჩვენ ხომ დავთქვით, რომ ყოველივე ეს ამ წერტილში, ანუ დედამიწაში შედის?

— აგაშენა ღმერთმა, — გულზე მოეშვა გრიშას, — მე ახლა უკვე ნამდვილად ვიცი, რომ თქვენ არაფერი იცით.

ახალგაზრდას არ სწყენია. იგი გაღიმებული შესცქეროდა სუფრას და აი, რა იგულისხმებოდა მის ნაღვლიან ღიმილში — რომ ისეთი ლიტერატურული ტრადიციების ქვეყანაში, როგორიცაა საფრანგეთი, თავის დროზე ვერ დაადასეს სტენდალი და აპოლინერი, რომ სერვანტესი შიმშილობდა და რომ ბახის სიცოცხლეში ყველაზე აღიარებული კომპოზიტორი იყო ვინმე პიკოკი.

მაგრამ ახალგაზრდა სულ სხვას ფიქრობდა:

„არაფერი არ იცის... ბრიყვია“.

გრიშამ კი მეასედ შეათვალიერა და ისევ გაიფიქრა:

„ჰმ, ლამაზია ოხერი... მაგრამ მე უფრო სიმპათიური ვარ“.

— გეყოფათ, ბოლოსდაბოლოს, — თქვა გიგლამ და ხელისგული მრისხანედ დადო მაგიდაზე.

— ნამდვილად გვეყოფა, გიგლა-ბატონო, მხოლოდ ერთი პატარა შეკითხვა და ნამდვილად გვეყოფა, — შეეპირდა გრიშა და ახალგაზრდას მიუბრუნდა, — ყური დამიგდეთ, მცოდნეკ. მე რომ დავრწმუნდე, რომ მართლა ყველაფერი იცით, ერთი ჩემებური შეკითხვა უნდა მოგცეთ. აი, ისიც — ერთხელ კიკეთიდან მოვდიოდი ტაქსით. წინ კიდევ ერთი მგზავრი იჯდა და, რა თქმა უნდა, მძღოლიც. ... უცებ, შუადამისას, წყნეთში ვიღაცა კაცმა ხელი აგვიწია. გავუჩერეთ და ჩემს გვერდით დაჯდა. ... მთვრალი იყო და არც არაფერი. უცებ ჩაეძინა... როგორ გგონიათ, როგორი კაცი იყო ის კაცი?

— როგორ გამოიყურებოდა?

— არ ვიცით, ბნელოდა.

— მაშინ... როგორ ეცვა?

— ისევ ბნელოდა, — მოუჭრა გრიშამ.

— ეგრე ძნელია ადამიანის გამოცნობა. არა, საერთოდ კია ადვილი ადამიანის გამოცნობა, მაგრამ...

— ადვილია, არა? რის მიხედვით...

— თუნდაც... ხელების მიხედვითაც კი შეიძლება: არის ხელი — შემომქმედი, ხელი — ზარმაცი, ხელი...

— ჰეე... და თქვენ ამას უფრო აქცევთ არა, ყურადღებას...

— სხვა რაღა რჩება...

— რომ დაიძინა... — ხაზგასმით უთხრა გრიშამ.

— ეგება მთვრალი იყო.

— არა, მთვრალი არ ყოფილა.

— ეგება ავადმყოფი იყო, არანორმალური.

— არა. ხელში საქაღალდე ფრთხილად ეჭირა და ტაქსის ფულიც მოზომილად გადაიხადა — ორ მანეთამდე დაწერა მრიცხველმა და იმან სამი მანეთი მისცა.

— და ამის მიხედვით ვიმსჯელოთ?

— არა... იმან დაიძინა.

— რა მოხდა, ბოლოსდაბოლოს, რომ დაიძინა? — გაიოცა ახალგაზრდამ.

— რა და შუადამით, ქალაქგარეთ, უცნობ ხალხს მანქანაში რომ ჩაუჯდები და თუ არც მთვრალი ხარ და არც ავადმყოფი და მაინც მშვიდად ჩაგეძინება, — ესე იგი კარგი კაცი ხარ — მიმნდობი... უეჭველად — და ახალგაზრდას ამრეზილმა შეხედა, — ყველაფერი თუ იცი, ყმაწვილო, ეგეც უნდა გეცოდნოდა.

— დიდი ამბავი, თუ დაიძინა, — არ თმობდა ახალგაზრდა, — ამაში ზღვარს ვერა ვხედავ.

— და თქვენ გგონიათ, ზღვარის გარ-

და სხვას აღარაფერსა აქვს მნიშვნელობა? და არც იმას აქვს მნიშვნელობა, ადამიანი როგორია?

— როგორია, როგორია! — ცოტათი გაბრაზდა ახალგაზრდა, — აი თქვენ, მაგალითად, როგორი ხართ?

— მე კარგი ვარ! — დაიძახა გრიშამ.

და ისეთი სიჩუმე ჩამოვარდა, მაშინვე იგრძნობოდა, დიდხანს რომ ვერ გასტანდა.

...პირველმა ჩაიფუხუკუნა ჯიბომ, ბავშვობის ამხანაგმა. მერე თვით მოღუშულმა გიგლამაც გაიღიმა. შემდეგ ორაზროვანი ღიმილი დამკინავ ღიმილად შეეცვალა ახალგაზრდას. მერე ქალმაც ჩაიხითხითა — რა ხარ, გრიშა, რა ხარ; დაბოლოს, თვით დათამაც მიამიტად რომ გაიღიმა, ჯიბომ ხარხარი ატეხა. ახარხარდა გიგლაც, საოცრად შეეცვალა სახე, თავი უკან გადაადგა და მხრები აუცახცახდა. ფართოდ გაიღიმა ახალგაზრდამ და ღამაზი კბილები გამოაჩინა. ქალი წვრილი ხმით აკისკისდა და თვალზე ცრემლები მოადგა. ცრემლები მოიწმინდა გიგლამაც და ისევ გადასწია თავი, ამასობაში კი ჯიბომ, ბავშვობის მეგობარმა ღრმად შეისუნთქა, თითი მიაშვირა გრიშას და ისე გაბმულად აჭიხვინდა, მთელი რესტორანი იმათ მიაჩერდა. გულიანად იღიმებოდა დათაც და ხალხი მიხვდა, ვიზედაც ეცინებოდათ — მაგიდასთან ექვსნი ისხდნენ, ხუთი იცინოდა, მეექვსე კი გაოგნებული შესაქქროდა ახარხარებულ თანამესუფრეთ.

— ეს კარგია, კარგი ყოფილა, მართლა კარგი რამე ხარ, გრიშა! — იხრჩობოდა ჯიბო.

გიგლას მუცელზე მიედო ხელები, სკამზე ცახცახებდა, თავი გადაეწია და თითქოს გამურული ჰაღს უყეფდა.

— რა ხარ, გრიშა, რა ხარ, შენ რა გითხარი, რანაირი ხარ, იცი? — კისკისებდა ქალი.

— არა, მართლა რანაირი ხარ, ჰა? — ეღიმებოდა დათას.

— გრიშა! რა იკისრე ეს, შე ძველო! — შეუძახა ჯიბომ.

და ღიმილ-ხარხარი იქამდე გაგრძელდა, სანამ გრიშა არ წამოხტა, ოფიციანტთან მიირბინა, ფული დაუგდო და გაესალელისაკენ გაეშურა.

ყველანი ერთად გამოეფეინენ.

— კარგი ახლა, დამშვიდდი — უთხრა ჯიბომ და მკლავზე წაატანა თითები, მაგრამ გრიშამ ხელი ღონივრად დაიქნია და სიტყვებით: „გადი, თავი გამანებე“, გზა განაგრძო.

— კარგი, გრიშა, ვიხუმრეთ, ვიცინეთ, რა მოხდა! — შინაურულად შეუძახა გიგლამ.

— მიდი-მიდი, — მხარეკუღმა მიუგდო გრიშამ და კინაღამ ხორაგით დატვირთულ ოფიციანტს დაეჯახა. უნებურად ფეხისწვერებზე შედგა. წონასწორობა ვერ დაიცვა და გვერდზე გახტა, დათასკენ. დათამაც ისარგებლა და არ დაყოვნა:

— კარგი რა, გრიშა...

— თავი გამანებე, შენ ყველაზე ვარესი ხარ, — უთხრა გრიშამ.

— შევრიგდეთ, თუ კაცი ხარ! — შესთავაზა ჯიბომ.

— ბავშვობის ამხანაგი არ იყო, ჩამოგიღებდი კბილებს, — იყო პასუხი.

●

ქუჩაშიც ასეთივე თანმიმდევრობით მიდიოდნენ — წინ — გრიშა, უკან კი ჯარად მისდევდნენ: ჯერ — ქალი, მერე ჯიბო და დათა, ბოლოს კი გიგლა და მცოდნე. დროდადრო რომელიმე შეუძახებდა: — კარგი ახლა, შეჩერდი! მაგრამ გრიშა უკანმიუხედავად ჩაიქნევდა ხელს და ნაბიჯს უმატებდა. ასე გაიარეს პატარა სკვერი და ხრეში ააწრიალეს, მერე წაუარეს მწვანეში ჩაფლულ ეზოს, საიდანაც სინთლე გამოდიოდა და ამ შუქზე გატრუნულ ფინიას, რომელიც თვალზე ჩამოყრილი თეთრი კულულებიდან უშვრიტინებდა მიმავალ ხალხს და კაცი ვერ შეატყობდა, გულში რა ედო. ჩაუარეს გახევებულ მეთვეზეს, რომელმაც ხმაურზე უკმაყოფილოდ მოაბრუნა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბურამ ფოჩანაშვილი
იგი სიყვარულისათვის იყო გაჩენილი, ანუ გრიშა და მთავარი

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავი და შორს მოისროლა პაპიროსი. ჩაუარეს დიდ ხეს, რომელზედაც დანით იყო ამოჭრილი მ+ზ და სხვა ხეებსაც ჩაუარეს. და როცა გრიშამ ჭიშკარს ფეხი ჰკრა და კიბე აიობანა, ოთახში სინათლე აანთო და საწოლის ქვემოდან დიდი თეთრი ჩემოდანი გამოათრია, ქალმა ოთახში შესდია, დათა კართან შეჩერდა, ჯიბო — კიბეზე, მცოდნე და გიგლა კი ეზოში დადგნენ და უხმოდ იყურებოდნენ მაღლა, აივნისაკენ, სადაც ოთახიდან დროდადრო გრიშას უზარმაზარი ჩრდილი სხლტებოდა.

გრიშამ კი სკამზე სათუთად გადაფენილი პერანგები გაბრაზებულმა მოჭმუჭნა და ჩემოდნისაკენ რომ ისროლა, ქალი გაუბედავად შეეხო მხარზე და ჰკითხა:

— რაა, რის აპირებ გრიშა, სად მიდიხარ?

— აღარაფერი აღარ მინდა, — თქვა გრიშამ და თეთრი შარვალი მოკეცა, — მე წავალ. მე დღესვე წავალ ჩემს მოზრდილ ქალაქში, სადაც ახლა გაცილებით მძიმე კლიმატური პირობებია, და მე აღარ მინდა ზღვა, ნავი, პალმები და ყოველივე ეს, მე წავალ ჩემს ქალაქში, სადაც ბენზინის მწკლარტე სუნია და სიმხურვალისაგან ასფალტი დნება. მე აღარ მინდა აქ.

— შენ ხომ კიდევ ერთ კვირას უნდა დარჩენილიყავი, რა იყო, გრიშა, სხვამ თუ გაწყენინა, მე რატომ მიბრაზდები?

— ყველანი ერთი ხართ, — თქვა გრიშამ, — ორ-ორი ხელი და ფეხი გაქვთ და ერთი ჭკუა. თავი გამანებეთ, ყველანი ერთი ხართ, მე ჩემს ქალაქში წავალ, სადაც ახლა ბენზინის სუნია.

— აქაც კია მანქანები, დარჩი რა იქნება, გრიშა?

— ბენზინის სუნისთვის არ მივდივარ მე! — დიდ ქალაქში უფრო დავიკარგები და იმიტომ.

— რა გეპრის დასაკარგი, გრიშა.

— თქვენთვის უნდა დავიკარგო, თქვენთვის, აბა ჩემთვის კი არა. დიდი ბოდიში, რომ გაწუხებდით, — ან მე არა ვარ თქვენი ღირსი, ანდა — პირიქით.

— და რა არის ბოლოსდაბოლოს ასეთი გაბრაზება?

— გაბრაზება კი არა, — სუნთქვა შეეკრა გრიშას, — ჩემს ადგილას ჯინ გრეი ამოგხოცავდათ ყველას!—თქვა და ჩემოდანიც დაკეტა. მერე იიკაზე გავიდა და მეორე ოთახის კარზე დაეკაკუნა: — შინა ხართ? აგერ, პატონო დურუ, ჩემი ოთახის ქარა.

— რა გეჩქარება, ბაბაჩი?

— ასეა ალბათ საჭირო...—და უცებ გრიშა იმაზედაც გაბრაზდა, ჯიბიდან ქაღალდის ფული ამოიღო, სულ ნაკუწ-ნაკუწ აქცია და ჰაერში აისროლა, — ა ბატონო, ფული თუა ყველაფერი!

დურუმ კი გაჭირვებით ჩაიმუხლა, თვალი მოჭუტა, შედარებით მოზრდილ ნაგლეჯს დააკვირდა და მერე ქვემოდან ამოსცინა:

— სამი მანეთი რა ფულია, ბაბაჩი?

„უუხ... ჯიუტია, ბებერი!!“ — გაიფიქრა გრიშამ და კიბეზე დაეშვა. უგანეს და მერე ისევ გასდიეს. გრიშას მიჰქონდა თავისი თეთრი ჩემოდანი და პიჯაკი მხარზე მოეგდო, უკან ქალი მისდევდა, მერე ჯიბო და დათა, ბოლოს კი გიგლა და ახალგაზრდა. ასეთივე თანმიმდევრობით მიადგნენ ვაგზლის სალაროს და სანამ გრიშა ბილეთს აიღებდა, მცოდნეს ვიღაცა ძალიან გამხდარი ქალი ამოუდგა უკან. ის ქალი ეკუთვნოდა ადამიანთა იმ კატეგორიას, მატარებელზე დაგვიანების პანიკური შიში რომ აწუხებთ, და უცებ გრიშას ხუთიოვემ რომ გასდია და გზა სალაროსაკენ თავისუფალი აღმოჩნდა, შვებით ამოისუნთქა.

გრიშამ კი ჯიქურ მიაშურა თავის ვაგონს და სანამ გამყოლი ფარნის შუქზე გულგრილად ამოწმებდა ბილეთს, გამცილებლებს მიუბრუნდა:

— დიდი მადლობა ყურადღებისათვის, ახლა საჭირონი აღარ ხართ, კარგად ბრძანდებოდეთ!

— კარგი ახლა, დარჩი, რა მოგვიდა, რა ბზიკმა გიკბინა? — უთხრა ჯიბომ.

— ბავშობის ამხანაგი არ იყო, მე ვიცი მაშინ... ჰაი, დედასა.—ჩაიცაპარაკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

გრიშამ და ვაგონის სამი მაღალი საფეხური აიარა. მერე უფრო ღრმად დააპირა გასვლა, მაგრამ ვიღაცა წაკუზული კაცს გადაწყდა, რომელიც ძმიმე ტომრებს ეძიძგილავებოდა და ვაგონის სიღრმეში შესასვლელი ბზაც ტომრებით ჩახერგილი იყო.

„ცხოვრებაში ყველგან ნაღდია თითო ასეთი კაცი,—გაიფიქრა გრიშამ,—ხელს რომ გიშლის, ისეთი...“ და ისევ ვაგონის კართან დადგა, გამცილებლებს სახეში მიაჩერდა და იგრძნო, შამპანური რომ მოეკიდა.

„ესენი თუ არ მოვიშორე, ცუდადაა საქმე, ალაში ვარ“, გაიფიქრა და საქმეს შეუდგა:

— რატომ გაქვთ ახლა ასეთი ჩვეულებრივი სახე, გიგლა-ბატონო?—გამომწვევად დაიცქერდა ერთ-ერთ გამცილებელს,—რატომ არ იღუშებით, როგორც ეს თქვენთვის წესი და რიგია?

— მაგი ვიცი მე, როდის რა ვქნა,— თქვა გიგლამ და მოიქუფრა.

— ხომ გაცინეთ ბევრი, გიგლა-ბატონო, ხომ გაგიხართ გული? მე კი ისეთი კაცი მეგონეთ, იტალიელები რომ იტყოდნენ: იო მოდო... ი ომოდო ლა კაზა.

განრისხებული გიგლა წასვლას აპირებდა, მაგრამ ცნობისმოყვარეობამ დასძლია და მცირეოდენი ყოყმანის შემდეგ ფოლადის ბორბალს მიაჩერდა და ისე ჰკითხა:

— რას ნიშნავს მაგი სიტყვები?

— აგი სიტყვები,—გამოჯავრა გრიშამ, — იტალიური სიტყვებია და სულ სხვა რამეს ნიშნავს, ვიდრე თქვენ გეგონათ... მაგრამ თქვა კი არ იფიქროთ, რომ დაგცინოდით, არა, მე მქონდა ამ შეუსაბამო წინადადების თქმის უფლება, რადგან მთავარი სიტყვები კი არაა, მთავარია—ინტონაცია. ხოლო თავისთავად ეს სიტყვები იტალიურია და ნიშნავს: მე მივდივარ სახლში—„იო მოდო“—მე მივდივარ, „ლა კაზა“—სახლში. არ ამიხდა მართლა? ახლა მე იო მოდო ლა კაზა.

და ხმამაღლა გასძახა:

— იო მოდო! იო მოდო ლა კაზა!

გიგლა კი ჩაფიქრებული წავიდა. ჯერ დაბნეული მიაბიჯებდა, მაგრამ მერე ისევ მოიღუშა; თავიც ასწია და მრისხანედ მიაჩერდა პირველსავე შეხვედრს, რომელიც სწორედ ის მშიშარა ქალი აღმოჩნდა, სალაროსთან უკან რომ ამოუდგა და ახლა კი ასეთ უმიზეზოდ განრისხებულ მამაკაცს ფრთხილად აუარა გვერდი.

— თქვენ, თქვენ არ მიჰყვებით, ყმაწვილო?—ამჯერად ახალგაზრდას დაეკითხა გრიშა და შეტრიალებულს მიაძახა:—კარგად ბრძანდებოდეთ, ყოველივე კარგს გისურვებთ—იმ თქვენი ფოტონის მუხლი და ჯანი მოგცესთ!

მაგრამ ახალგაზრდა არ დაბნეულა და უცნაურ-ორაზროვანი ღიმილი უნებურად იმავე გამხდარ ქალზე შეაჩერა, რომელმაც გაკვირვებულმა ჩაუარა, თვალი გააყოლა და მერე სანდომიან კაცს მიაშურა:

— ბოდიში, ეს თბილისის მატარებელია?

— კი,—მიუგო დათამ.

— იძახე კი-კი და სულ წინ წახვალ, —გაბრაზდა გრიშა და დათას დაემანჭა— შენ ყველაზე ვარესი ხარ, იცოდე. წადი ახლა სახლში.

— კარგი,—თქვა დათამ და წავიდა.

— წადი შენც, ჯიბო... წადი, ჭირიმე, — მოულოდნელად დაუყვავა გრიშამ,— კი მაწყენინე ძალიან, მაგრამ რა ვქნა— მაინც ბავშობის ამხანაგი ხარ.

— კარგად იყავი, გრიშა,—შესცინა ჯიბომ.

ქალიღა დარჩა.

მეტისმეტად შესცქეროდნენ ერთმანეთს.

— რა რიცხვია დღეს, ჩიტი?—ჰკითხა ბოლოს გრიშამ.

— ცხრამეტია მგონი. ჰო, ცხრამეტი.

— ხომ მომწერ?

გურამ ფოჩანაშვილი
იგი სიყვარულისათვის იყო გაჩენილი.
ანუ გრიშა და მთავარი

— აბა რა...

— მისამართი რომ არ გაქვს?

— უი, მართლა... — ლოყაზე ხელისგული სასწრაფოდ მიიდო ქალმა.

— ქაღალდი და ფანქარი თუ გაქვს.

— არა.

— მაშინ მოკითხვამდე მომწერე— მთავარი ფოსტა, მოკითხვამდე... სახელი და გვარი, იმედია, გახსოვს.

— აბა რა, აბა რა, გრიგოლ, კეკერაძე...

— მემახსოვრები, მემახსოვრები, ჩიტი, გახსოვს, ასკინკილათი რომ გავრბოდით წვიმაში... და ისიც. ისიც გახსოვდეს, ადამიანი ად...

მაგრამ გამყოლმა გაწყვეტინა:

— ბოლოს და ბოლოს, გაატარეთ მგზავრები რას დამდგარხართ გზაში!

— ყველანი ერთი ხართ,—ისევ იფეთქა გრიშამ, ქალსაც ნაწყენი მიეჩერდა და ოდნავ შებარბაცდა, რადგან მატარებელი დაიძრა:

— იო მოდო,—დაიძახა გრიშამ,—იო მოდო ლა კაზა. ძლივს არ გამომადგა ეს ჭეშმარიტი სიტყვები?

●

და რადგან გრიშას პატარა ხანს მანც ეძინა და სადგურ სამტრედიასთან გამოეღვიძა, მანამდე დრო გვაქვს და მატარებელს ნება-ნება მივყვეთ. სულ სხვაა მატარებელი დღისით, როცა აფუსფუსებული ქვეყნის ხმას ბორბლების დგრიალი ფარავს და თუ ხნიერიც არ ხარ და ნიფოთის უზარმაზარი სასმელიდან სულ მცირეოდენი მაინც გინდა მოწრუპო, შეგიძლია სრულიად უმიზეზოდ კიბეზე დადგე, და როცა ქარი აზუზუნდება, უეცრად მაცდური სურვილი აგეკეიატება—სახელურს ხელი შეუშვა და გაითქვიფო რელსების პირას მიყრილ, სისწრაფისაგან უსაშველოდ წაგრძელებულ რიყის ქვებში, და რომ სახეში და ფეხებში ქვებში, და რომ სახეში და ფეხებში ძლიერი, დაუნდობელი დარტყმა და ნიდაყვების გადაყვლეფა ხომ ჯიბეში გიდევს. და რომ ყოველივე ეს იმდენად საინტერესოა, რომ მართლაც მზადა ხარ, ხელი შეუშვა პრიალა სახელურს, მაგრამ ამის ნაცვლად შეძლებული

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბული თითები უფრო ღონივრად ბღუჯავენ სადაც მთაში მოჭრილ ხეს, ახლა გაჭენებული რკინის სახლის უმნიშვნელო დანამატად რომ ქცეულა. თვალებსაც ჭუტავ, და მაცდურმა სურვილმა ისევ რომ არ დაგიაროს, შორს, მთებისაკენ გაიხედავ, რადგან როცა შორს იყურები, ისე ძალიან აღარ იგრძნობა სისწრაფე.

მაგრამ თუ მატარებელი მიდის ღამით, და თუ კიბეზე დადგომის, მაგვარი რამ მაინც მოგეპრიანებათ, საკმარისია, ფანჯარა ოდნავ ჩამოსწიოთ და ეიწრო კუპეში დაურიდებლად შემოჭრილი ხმაური ყოველივეს გადაგაფიქრებინებთ, რადგან ღამით, მოგეხსენებათ, ძალიან ბნელა და ხმაურსაც სულ სხვა ფასი აქვს. მატარებელი კი, ეს გაჭიმული, განათებული ღამის მაღვიძარა სრულიად უცნობ, ჩაშავებულ ადგილებში მიგრიალებს, ყოველ შემთხვევაში, თქვენი ფანჯრიდან ასე მოჩანს, ხანდახან თუ მოკკრავთ თვალს განათებულ აივანს, ანდა ვიღაცის მიერ დანთებულ ცეცხლს, ანდა შავად ჩაფრენილ ელექტრონის ბოძს, და ფანჯრიდან გავარდნილი სინათლე ტალღად გადადის იქვე, თქვენი ფანჯრის წინ მკრთალად აბაჯუტებულ მიწაზე და გაკვირთ, ასეთი მწარე ხახუნისაგან ოდნავადაც რომ არა ცვდება, და მერე თქვენი გაკვირვებაც გიკვირთ, მაგრამ არც ისე, როდგან თვლემა გერევათ და სიბნელეს შესცქერით, მაგრამ ყოველივეს ხედავს კაცი, რომელიც ზის მატარებლის თავში, მოწყენილი და მაინც დაძაბული, მის წინ კი ელავს წყვილი რელსი, ძლავრი პროჟექტორით განათებული, და პატარა თეთრი ბოძები, რომლებზედაც ციფრების გარჩევაც კი შეიძლება, და მწვანე-მწვანე შუქნიშნები, და მატარებელი დგრიალით მისდევს საკუთარ სინათლეს და რამდენიც არ უნდა შთანთქას, წინ სწორედ იმავე სიგრძის განათებული გზაა და კაცს, ვისაც აბარია ეს უზარმაზარი

სახლი მძინარე ადამიანებითა და იმათი ჩემოდნებით, თუ სადმე ძალიან მოეწყინება, ხელს ოდნავ ასწევს და მაშინვე გამმეული საყვირი დანასავით შეიჭრება სიბნელეში.

მაგრამ თუ მატარებელს გადავუსწრებთ და იქ დაველოდებთ, სადაც არც სოფელია და არც არაფერი, და თუ სიბნელესაც შეეჩვევით, ცივ რელსსაც შეგიძლიათ ხელი დაადოთ, რადგან ამ სიბნელეში, სოფლიდან მოშორებით, მხოლოდ და მხოლოდ თქვენ ბრძანდებით იქაურობის ოდნავ შეშინებული, დაძაბული პატრონი. და მოლოდინში სმენად გადაიქცევით, რადგან ღამესაც აქვს თავისი ხმები, თქვენთვის გამოუცნობი, სუსტი და შემაშფოთებელი—იქვე, სიბნელეში, რაღაცეები ხდება. ბუჩქზე ფოთოლი რომ იმართება, იმასაც ხმა აქვს, მაგრამ თქვენ არ იცით, საიდანაა ეს ჩქამი და ეგება არცაა ფოთლისაგან, და მხოლოდ ჭრიჭინას ხმა თუ დაგამშვიდებთ, რადგან იგი დღისითაც არ ჩანს, ხოლო თუ ციცინათელამაც წამით გაიკვესა, მოგეხსენებათ, დიდი ამბაია. და უცებ რაღაც აშკარა ცვლილებას გრძნობთ—ირგვლივ ყოველივე მყდარდება და მიიხედავთ, იქ კი ჩანს უზარმაზარი თეთრი თვალი და სვეტი, წინ რომ მოუძღვის ღამის მაღვიძარას და ხვევს, ბუჩქებს და ბორცვებს აჩენს, თქვენ კი ახლა რელსზე ხელის დადებას ვეღარ გაბედავთ, რადგან იგი აშკარად მატარებლისაა. და უკვე მკაფიოდ აღწევს თქვენამდე ხმა, რომელიც იზრდება, სინათლესავით მატულობს და თქვენ, შეცბუნებული, რელსების პირას სინათლისაკენ ზურგშექცევით დაჯდებით, რაღაც წარმოუდგენლად უზარმაზარი კი თავს დაგატყდებათ აღზევებული თანხმოვნებით დრბბ, დრბბ, დ!—და თუ ფეხზე დგახართ, უფრო გაიმართებთ წელში, ხოლო თუ ზიხართ, საცოდავად მოიკუნტებით და თვალებსაც ვეღარ აცეცებთ, ისეთი სინათლეა. მაგრამ თუ მოგინდებათ მატარებლის დანახვა შორიდან, მაშინ უნდა წაბრძანდეთ რელსებიდან შორს, ბნელ ღამეში გადაიაროთ ხშირი ბუჩქებით დაფარული ბორცვი, უნდა იაროთ ძალიან ფრთხილად, რადგან ყოველ ნაბიჯზე მოგეჩვენებათ, თითქოს სწორედ თქვენს წინ ღრმა ორმოა, და თუ მაინც ძალიან გნებავთ მატარებლის დანახვა, შეშინებულმა და საკუთარ თავზე დროდადრო გაბრაზებულმა კარგანანს უნდა იაროთ მარტომ, რადგან სხვასთან ერთად ღამის მატარებლის დანახვას აღარა აქვს ის ფასი—მარტოკა უნდა ბრძანდებოდეთ. და სამგზეროდ მეორე დღეს როცა გაიხსენებთ, რა გასაოცრად და რბილად ჩაიარა უზარმაზარმა შემადგენლობამ, ყვითლად და ლურჯად განათებული ფანჯრებით, მხოლოდ მეორე დღეს დააფასებთ იმ ახირებულ სურვილს, რომელმაც ბნელში შეშინებულს ფრთხილად სიარული გაიძულათ. და თქვენ შეჰყურებდით ღამის მატარებელს, საკუთარ სინათლეს რომ ნთქავდა და ლურჯად განათებული ფანჯრების დანახვაზე გაიფიქრეთ, რომ ყველა მგზავრს ეძინა, მაგრამ ეს ასე არაა, თითო-ოროლა კაცს ყოველთვის ღვიძავს ხიდმე, თავისი საფიქრალი აწუხებს და ვერს შესცქერის. ყოველშემთხვევაში, სამტრედიის იქით ნამდვილად ფხიზლობდა ერთი წამოწოლილი კაცი, რომელიც საშინელმა წყურვილმა გამოაღვიძა.

პირველი, რაც გაიფიქრა, იყო: „სადა ვარ... ჰა!.. ჰო.“

თავატკივებულს, პირი უშრებოდა. იწვა და ბუთაწში ჩაესმა:

— იქ თუ არ იყოს, სამსახურში მიდი, აბა ჰე, ადი, ადი, დაურეკე აუცილებლად.

— კი, კი.

„დათა ხომ არ იყო?—გაიფიქრა გაბრუებულმა გრიშამ,—აჰ, არა, არა.“ მატარებელი ისევ რომ დაიძრა, თანაბარი რწევა ესიამოვნა, თვალი მილულა და უეცრად რკინის ხიდზე ადგრიალებულმა ბორბლების ხმამ საბოლოოდ გამოა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფხიზლა. იწვა გრიშა ხის თაროზე, შეჰყურებდა ვაგონის ჭერს. რიონს რომ გასცდნენ, წამოდგა და პირსაბანში წყალი დალია, მერე ისევ დაწვა, ჭერში ლურჯად აციაგებულ შუქს შესცქეროდა, ლურჯი სინათლე ფარფატებდა კუპეში.

„არ უნდა მეთქვა,—გაიფიქრა გრიშამ პლატფორმა არგვეთასთან,—როგორ შეიძლება ახლადგაცნობილ ხალხთან გულის გადაშლა, არ უნდა მეთქვა... მაგრამ ნასვამი ვიყავი.“

„და, საერთოდაც,—გაიფიქრა გრიშამ პლატფორმა საქარასთან,—რა საჭიროა ლაპარაკი? საქმეს ლაპარაკი არ უყვარს, მე კი... მაგრამ ნასვამი ვიყავი.“

„კარგი—კარგია,—გაიფიქრა გრიშამ იქვე, ფერმიშენადნობთა ქარხანასთან,— მაგრამ რა საჭიროა ამის საჯაროდ გამოცხადება?“

ყველაზე მეტი რამ კი სადგურ ზესტაფონთან გაიფიქრა, სადაც მატარებელი დიდი სადგურის ხათრით მთელი ათი წუთი დგას.

„ხმამაღალ-კარგი არ შეიძლება, — ასე ფიქრობდა გრიშა სადგურ ზესტაფონში, — კარგი ვარო, რომ ვიძახდი, ტყუილი კი არ მითქვამს, მაგრამ მაინც... ხმამაღალ-კარგი არ შეიძლება, ესეც ხომ საკუთარი სიკარგის დაგროვებაა, დაგროვება კი, თანხისა არ იყოს, შეგცვლის... მაგრამ პრობლემა?“

„ხმამაღალ-კარგი არ შეიძლება,— გაიფიქრა გრიშამ ისევ დიდ სადგურ ზესტაფონში,—ჩუმ-კარგი უნდა იყო, ვინც რა უნდა თქვასო, ვისაც რა უნდა, ის გააკეთოს, შენ კი სიცუდეში არავის არ უნდა აჰყვე და ჩუმ-კარგი იყო, აი, პრობლემა.“

„კი მაგრამ,—შემოესმა გრიშას სადგურ შორაპნამდე,—სხვა? სხვამ რაღა ქნას?“

„სულელო, სხვას რას დაეძებ, შენს თავს მიხედე,—გაუჯავრდა გრიშა დათას, — მე ხომ გარკვევით ვთქვი, რომ თვითონ უნდა იყო კარგი, და სხვაც ხომ თვითონაა, სხვაც ხომ „თვითონაა“ ამ შემთხვევაში, თუკი ისაა მთავარი, რომ თვითონ უნდა იყოს კარგი? ამიტომ სხვაც თვითონ უნდა იყოს კარგი. შენ იჯექი შენთვის ჩუმად და...“

და სადგურ შორაპანთან საბოლოოდ დაადგინა:

„ხმამაღალ-კარგი არ შეიძლება,— ასე გაიფიქრა გრიშამ საშუალო სადგურ შორაპანთან,—ჩუმ-კარგი უნდა იყო, ხმამაღალ-კარგი არ შეიძლება, ეს—ნაღდია, აი, მთავარი“...

და ისევ ჩაეძინა.

ვაგონის ფანჯრიდან გამოვარდნილი მკრთალი სინათლე კი ისევ ეხახუნება ბუჩქებს, კენწებს, მიწას, ეხახუნება და ბოლოს მაინც გაიცრიცება და საერთოდ გაქრება, რადგან... გათენდა.

●

გრიშა მიაბიჯებდა თავის ქალაქში, სადაც ჯერ ძალიან არ ცხელოდა, რადგან დილა იყო, მაგრამ იგრძნობოდა, ნაშუადღევს მართლა რომ დადნებოდა ასფალტი. გრიშა თეთრი ჩემოდნით ხელში მიაბიჯებდა მშობლიურ ქალაქში და ყოველ ნაბიჯზე ეცვლებოდა გუნება—ხან ფიქრობდა, რომ მართალი იყო, ხან კი ეშვი ეპარებოდა ამაში. მაგრამ გემრიელად ისუნთქავდა ბენზინის სუნით გაჟღენთილ ჰაერს და დასადნობ ასფალტზე ისე მიაბიჯებდა.

„მე ზედმეტი არაფერი მინდა,—ფიქრობდა გრიშა, პატარა შადრევანთან მივიდა და წყალი დალია,—მე მინდა მხოლოდ ჩემი-წილი ეს წყალი, ეს ჰაერი, პური, ტანსაცმელი... ბინა, ავეჯი...“

და აქ იგრძნო, რომ შორს წავიდოდა.

„ზედმეტი მაინც არაფერი მინდა,— გაიფიქრა გრიშამ,—არც განსაკუთრებული,—და გაახსენდა,—პრობლემას თუ არ ჩავთვლით, მაგრამ ეს ხომ ფუფუნების საგანი არაა.“

მერე გრიშამ მაღაზიაში იყიდა პური, ყველი, კარაქი, დაბალი შადრევნიდან კიდევ დალია წყალი და გაიმართა თუ არა, ვიღაცა უცნობი კაცი მივარდა.

— გაუმარჯოს!

— გაგიმარჯოს?!—გაუკვირდა გრიშას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— რა რიცხვია, თუ გახსოვს დღეს? —არეულად მიაჩერდა მთვრალი.

— დღეს, ცხრამეტი... ოცი!

— ჰოდა, მერე?

— რა—მერე!

— აღარ გახსოვს?

— რა უნდა მახსოვდეს.

— დღეს რომ ჩემთან უნდა მოხვიდე, აღარ გახსოვს, არა? ესაა ჩვენი მეგობრობა?

— კი, მოვალ.—თქვა გრიშამ და გაცლა დაუპირა.

— ხომ მოხვალ,—პიჯაკის ღილზე წაეტანა მთვრალი,—რომ არ მოხვიდე, დამკარგავ. იცოდე.

— როგორ არ მოვალ, აუცილებლად მოვალ.

— ოო, მასე, ყოჩაღ,—შეაქო კაცმა და მხარზე დაჰკრა ხელი,—რვაზე შევიკრიბებით ზუსტად, აბა შენ იცი, სუფრა შინაურები ვიქნებით.

— წყალი არ გაუვა,—ხელისგული აჩვენა გრიშამ,—ხომ ისევ იქა ხარ?

რომ დაემშვიდობა, ერთი კი მალულად გახედა და გაიფიქრა, — ნეტავ ვის მიმამგვანა...

და ძალიან შეეჭვდა: „დამცინა თუ... ნეტავ მართლა ვგავარ ვინმეს?“

გრიშა მიდიოდა ქუჩაში, თეთრი ჩემოდნით ხელში, მხარზე პიჯაკმოხურული, დაეჭვებული ათვალიერებდა ხალხს, სხვადასხვანაირ სახეებს, და რძის რიგში ბევრი ადამიანი ერთად რომ დანახა, უცებ ძალიან აღელდა და ხალხისათვის თვალი არ მოუცილებია, გაბრაზებულმა ისე ჩაილაპარაკა:

„მე თუ კიდევ ვინმეს ვგავარ, კარგად ყოფილა თქვენი საქმე.“

ეროვნული ბიბლიოთეკა

გახსენება

მთელი ქალაქი მოჩანს აქედან,
ვისმენ დამშრალი მდინარის კვნესას,
და ისე ჩავა მზე, არც დახედავს
სახლების ჩრდილში მოქცეულ ეზოს.
ელავს აგურის ძველი კედელი,
გადმოდის სითბო და ჟრჟოლა მიტანს,
შეყვითლებული და დაწრეტილი,
წყდება ფოთოლი ერთადერთ ხიდან.
თბილი ჰაერი ფეხის ხმას ახშობს,
მთებმა ნასიცხი ფრთები დახურეს
და უხმაუროდ ბრუნდება სახლში
ხალხი დაღლილი და ნამსახური.
ცხელი ზაფხულის ქრება მშვენება,
ფარფატით მიდის თეთრი ღრუბელი,
და სახურავზე, მოგეხსენებათ,
ჭრელი კატაა წამოსკუპული.

I

ჩემთვის ტკივილით მთავრდება მუდამ,
რაც სხვებისათვის არის გართობა,
შენს ხმას და სახეს ღამეებს ვუთევ,
თვითონ არ ვიცი, რა მემართება.

ასე იქნება სიცოცხლის მერეც,
ვადაქცეულხარ სულის ნაწილად,
ვერ დაგთმობ, შენი შუქი და ფერი
წლებმა ვერაფრით ვერ მომაცილა.

უნდა მონახო ფუძე და ძირი,
უნდა იცოდე, რას ეძებ ქალში,
მთის ჩურგში თეთრად გამჯდარი კირი
და ტერასებზე დაღვრილი ვალსი,

ერთად გროვდება და ინახება,
მერე ყველაფერს წარსული ჰქვია;
გიცდის არყოფნის ბნელი თაღები,
გავხარ ლუღუმი გატრუნულ ტყვიას.

ახლაც ტრიალებს აგვისტო სისხლში...
ნეტავ სად არის,
სად მომწყვდეულა,
სად იმალება ქვიშაზე ცხელი
და დამღუპველი შენი სხეული.

შენგან გათელილ ბილიკზე გხედავ,
სწორედ ასეთი იყავი მაშინ,
ასე მახსოვხარ ყველაზე მეტად, —
აცურებ თითებს ჩამოშლილ თმაში...

ამოაქვს მიწის გემო და წვენი
და ბროწეული წითლად იპობა,
რომ გამახსენოს ღიმილი შენი,
რომ მომაგონოს შენი მწიფობა.

აყვავებული შენ ხარ ვენახი,
ღამეში ვიდექ,
სინათლეს მფენდი,
არ გამეგონე,
არსად მენახე,
რომ დაკარგული იყავი ჩემთვის.

უცხოდ ბზინავდა შიშველი მხრები,
ცეცხლი ვერ გწვავდა,
ქარი ვერ გღლიდა...
ყველაზე მეტად ზღვას ვეტყვი ქებას,
შენ მომეკლინე უძირო ზღვიდან.

ასე იჭრება სულში ერესი...
მაგრამ შენ სხვა ხარ,
ვინ ჩაგთვლის ბიწად.
გვირგვინი უფრო შესაფერისი
არ ეღირსება ცოდვიან მიწას.

შენთვის ყოფილა, რაც გზები ვთელე,
იმედიც მასლდა ფრჩხილისოდენი...
გნახე და მიეხვდი: ცხოვრება მთელი
შენ შესახვედრად იყო ლოდინი.

ყინვაში შენი სახელი ვანთე,
მწყურვალი ვიყავ და წყალი მასვი,
დავკარგე შენი კეთილი ლანდი,
ზღვიდან მოსული მიეწდე ზღვასვე.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ეს როდის იყო... რა დრო გასულა...
მტკვრის დაუფარავს ყველა სიმაღლე,
მშიერ-მწყურვალმა და დაქანცულმა
ჯარისკაცებმა ზღვა დაინახეს.
ზღვა — ღვთის წყალობა,
შუქი გონების,
მოუსვენარი და შემპარავი.
იმედი დამფნარ ლეგიონების,
ულანასკენელი მათი კარავი.
ზღვა — დაკარგული მათი საცოლე,
ნაპირის ნისლით პირშებურვილი,
მონატრებული,
სხვასთან ნაწოლი,
მაინც ლამაზი და სასურველი.
ეელური ქინი დაეტყოთ ხმაში,
გულის გამპობი და ჩამრაზავი,
კედლებს შეასკდა წყურვილი მლაშე
და ვაიზარდა უცხო ცასავით.
ტანში დაგროვდა ფიტვების ზინთი,
ნოტიო სუნთქვა ისმოდა სილის,
ამ ქვეყანაში სხვა იყო ბინდი,
სხვა ვემი ჰქონდა წყალსა და ღილას.

არ დავღონდები, რაც უნდა ვკარგო,
მაინც იგივე დავრჩები, რაც ვარ,
გათენებამდე დაიძრა არგო
და ბნელ ტალღებზე ბრიალით გაწვა.
ეს იყო უფრო დიდი ხნის წინათ,
ეს იყო ადრე, ძალიან ადრე,
მინდა იმ დროთა მოგეღოს ქინი
და იმ დღეების სურნელით დათვრე.
ხტის, იბურცება ზურგზე კუნთები,
მზეში მღერიან გამძლე ოფეები,
იმედის მტრედო,
რად არ ბრუნდები,
უბედურებავ,
ვის ეღობები.
რამ დაადუმა ლურჯი მინდვრები,
ვის უსაფრდები, შავო ხიფათო,
იცოდე, ძირში გადაიმტვრევი,
უმჯობესია არ დაიბადო.
როგორ ეწამენ,
რა ოფლი ღვარეს,
კუპრივით წვერი ეფინათ მკერდზე,
ესიზმრებოდათ ნანატრი მხარე,
ომებში ნაწრთობ და ცბიერ ბერძნებს.
ქიმზე სპილენძის ღუზა ბრწყინავდა, —
მიახლოებას ელოდა ფონთან...
იმედი ჰქონდა მათ მეწინავეს,
ძალიან დიდი იმედი ჰქონდა.
თვალებზე ღრუბლის ჩრდილი ეფარა,
ქარი კოცნიდა მეწამული ქიტონს,
ღიმილს მალავდა სახე მეფური
და რაც უნდოდა, იცოდა თვითონ...
ხიმალდმა ბევრი სიკვდილი ნახა,
ბევრჯერ შეება ქარიშხალს მედგარს,
დაუსხლტა კლდეთა საშინელ ხახას,
გადარჩა,
მწვანე ტალღებზე შედგა.
გამოჩნდა ისიც — ათასი ნატვრა,
მათი ყიჟინა მიაწყდა ნაპირს,
უძველეს ღვინით მორევი დათვრა,
ქეჩოზე თეთრი მოიგდო ქაფი.
ზღვამ მოიწყინა,
ეცვალა ფერი...
ბნელს მიაპობდა ლურჯი ამფორა,
მარჯნის ტყეს ჩაცდა და ბრგვალი ფსკერით,
რბილად დალექილ შლამს ეამბორა.

და დაუბრუნდა მედეა ფაზისს,
გამოჩნდა მშვიდი და საშიშარი,
გაექცა ღალატს;
ეს იყო ბრაზის
და სიძულვილის დიდი ნიშანი.
მკვდარი დრაკონის იცნო ლაშები,
შემოაღამდა დედოფალს გზაში,
ფრთხილად მოყავდა სიმწრით ნაშობი
ორი სიცოცხლე — ქალი და ვაჟი.
აღარსად ჩანდა მიწის წყალობა...
დაბერწებული იცნო მაღლარი,
შებერებული იცნო ჭალები,
იცნო ქვევრები და ნასახლარი.
ზღვას ერთვის, რაც იქ სისხლი დაღვრილა,
ეს ოქროს მიწა ჩვენი ბედია...
სამშობლოს ჯავრის ამოსაყრელად,
ფაზისის პირად დგება მედეა.
როდის იხილავს ლაღს და მოლხენილს,
შლამით ევსება მდინარეს უბე.
ნიშანს ელიან ძველი კოლხები, —
გამწარებული ბღუჯავენ შუბებს.

II

შენ შორს ხარ ახლა,
შენ არ ხარ ჩემთან,
მაგრამ არ იყო ყოველთვის ასე.
და გულში, სადაც შენი ხმა თვლემდა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაერთებელი წაშლილა ხაზი...
სულ ღვიძავს ქალაქს და ბურში დგანან
დიდი სახლები — უცხო საგნები;
იმ ერთში შენი დაცურავს ტანი,
ინელად საპოვნი და მისაგნები.
არ გეძებ,
ძებნას არცა აქვს აზრი,
უსასრულობა მაბრმავებს თეთრი,
ვდგავარ ქუჩაში და ქარი მაზრობს,
ვის შეშურდება ამგვარი ხვედრი.
ყინვა ცარიელ მოედნებს ლესავს,
ბასრი ბრჭყალებით ყველგან დაძვრება.
შენ ხედავ — ადრე დამთავრდა დღესაც
ძირს გამართული დიდი ბაზრობა.
უკვე ანათებს ყინულის მთვარე,
ფარდებზე სათნო ღიმილი ბრწყინავს,
დადიხარ,
ჩემი თვალიდან გფარავს
სამზარეულოს რძისფერი მინა.
რა საჭირო... რაც იყო, კმარა...
რის გახსენება... არავითარი...
ყველაფერს მაინც ჯობია ქმარი,
ერთგული ქმარი და კორიდორი,
სადაც გაისმის ჩუმი ხველება,
სადაც ფეხის ხმა გაისმის მისი...
სითბოს დათმობა შენ გეძებელება,
ვერ ისმენ ქარის გესლიან სისინს.
ნუ ფიქრობ, ცუდად მომექცა ბედი,
ჩემ თავზე ვწუხდე. ნუ გეგონება,
ამ აომა წელმა იმაზე მეტი
არც ჭკუა მომცა და არც ქონება.
მძინარეს ხშირად მეხდება ჭერი
და ვშფოთავ, თითქოს დავკარგე განძი.
რაც იყო, ზოგჯერ ისიც არ მჯერა,
ასე სცოდნია დროსა და მანძილს.
გაგიკვირდება, რა ტკივილს ვიტან...
წვანან ქუჩები უიმედონი,
ოვითმფრინავები ეშვება ციდან
და იცრიცება ბნელში ბეტონი.
და ლოკატორი ჭრელ ფარფლებს იქნევს,
გათოშილ ჰაერს ფლეთს პროპელერი...
შენ გივარდება ხელიდან წიგნი,
ძილს მოძალებულს ვედარ ერევი.
ჩავივლი წყნარად და ფეხაკრეფით,
არაფერს გითვლი სიკეთის გარდა,
მშვიდობით,
დროა ჩემი გაერობის,
მშვიდობით,
გტოვებ ღამესთან, ქართან.

შენს სუნთქვას ვგრძნობდი,
შენს დუმილს ვწერდი,
სავსე წუხილით უსაშველოთი,
გარდასულ ხმების, ხილვების გვერდით
ემარხე, დიდხანს, დიდხანს გელოდი.
ბოლოს გიხილე და გავიხარე,
ამოზიდული თეთრი ფსკერიდან,
ყრუ და უგულო გაქრა ტიხარი,
თვალები შენი რად განმერიდა.
არ მომასვენებს, ვიცი, სინდისი,
დაკარგვა ძალის,
სწრაფვის და რწმენის,
იქნებ სინათლე ხარ უწმინდესი
და ვერ შევძელი დანახვა შენი.
ვის გაუყვიხარ დღეთა და ღამედ,
ვის გაუყვიხარ მწუხრად და დილად,
სიამედ, ტანჯვად,
თაფლად და შხამად,
ყინვად და ცეცხლად,
შუქად და ჩრდილად.
ვის გაუყვიხარ, გაუყოფელო,
ვინ დაგაჩოქებს ამაყს და ნეტარს,
ცა გაქვს სამკვიდროდ და სამფლობელოდ,
რა მეხი დაგცემს ლიბანის კედარს.
შენ არ დაიხევ,
არ გამკრთალდები,
ნეტავ შენს ჩრდილთან ახლოს მამყოფა,
მზეს უსწორდება შენი კალთები,
რას შეუძლია შენი დამხობა.

III

და მაინც, ის დღე ყველაფერს ჯობდა,
მეყოფა შუქი იმ ერთი დილის,
ვიდექი სავსე,
დაწმენდილ გობთან,
სილას ვარცხნიდა ჭავლები გრილი.
გელოდი, როგორც უძილო ელის
ღამის გაცრეცას და გათენებას...
შეკრთა,
შექანდა ნაპირი სველი,
დაიჭიხვინეს ფსკერზე ცხენებმა.
შენ ამოხვედი,
მუხლისთავები
თეთრად გაბრწყინდა, ეს იყო ტრანსი...
ჰოირხეოდი და ვარსკვლავები,

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ცოცხალ-ცოცხალი, გეყარა ტანზე.
შენ სხვა გზა გქონდა და ჩამიარე,
სხეული შენი აევსო ნექტარს,
მიწა ვინატრე შენი ზიარი,
შენი სიმაღლე თეძოებს ზნექდა.

შენ დაექანე მწვანე ბექიდან,
შენ მოდიოდი და ინთებოდი,
მზეს გავდი,
ზედ შენ თავთან ეკიდა
ტუნგოს ნაყოფი, სავსე წებოთი,
გზადაგზა მწვანე ფოთლებს ანთებდი,
შენ მოდიოდი,
შენ მოდიოდი,
და ბალახებში უხმოდ წვებოდი.

სადა დგას ახლა ცისფერი სკამი.
ან მე სადა ვარ,
სად ვეხეტები.
მაგნოლიები ჩაუნთქავს ღამეს,
ფრთადაკეცილი თეთრი მტრედები.
ძირს ჩაკიდული თანდათან გაქრა
კიბე, ლიმონის ფერი რომ ედო...
ნაპირი გავდა ვეება საკრავს,
ზღვა შრიალებდა,
ლოკავდა ბეტონს.
შუაზე გაჭრილი იყავ ნიჟარა,
ჭრელი ზურგით და თეთრი კისერით,
მიმნდობიც იყავ და მოშიშარი,
დღეები,
წლები გადამისერე.
გულგამოშშრალი ქვები მონუსხე,
ყვაოდა შენი ამაყი სევდა
და მკერდის ორი თეთრი კონუსი
ფსკერზე დალექილ სიბნელეს ხევდა.

. . . . . .

მზე ამოგორდა — ოქრო ნალხობი —
და ზღვამაც მკერდი გადახსნა ფართე.
ვათელილ ვარდებს გავდა ტალღები,
ეგზულოდ დაყრილ და მოგრძო ვარდებს.
უკვე ისმოდა ხმა განშორების...
ასე იქნება,
ასეა დღემდე...
ნისლში შემალეს მთებმა ტორები,
ღამენათვეი ტალღები თვლემდნენ.

სულ ასე მაღლა იშრიალებ,
ოდესმე იტყვი დანანებით:
იყო ბილიკი ქვიშიანი
და უმწიფარი ბანანები.
იყო ტოტებში გარჩენილი
ფოთლების მწვანე სპირალები,
ნათურის შუქზე გაჩენილი,
ღამეში ავად მზირალები.
იყო სივრცე და გახელება.
ბევრი ბედისგან გაიწირა.
გაქრა ძვირფასი სახელები,
დროის მორევში ჩაიძირა.

ის იყო მყუდრო, პატარა კაფე,
აივსო შენი ფერით და მადლით,
ჭერზე ცეკვავდა სინათლის ძაფი,
ვერც ვინატრებდი უკეთეს ადგილს.
როგორც მიყუჟულ, დაცლილ სცენაზე,
ოცული კედლები იდგა კარტონის.
ენით უთქმელი იყო სინაზე,
იყო სიწყნარე და ჩვენ... მარტონი.
წამიღე, როგორც დინებამ ჩქარმა,
რა ცოტა მახსოვს ასეთი წუთი...
წელში ტყდებოდა გამდნარი ქარვა —
მაღალ ჭიქებში დასხმული ლუდი.
მიგეგონდა ხელი დახრილ თვალებთან,
(ვიგონებ ყველა უბრალო წვრილმანს),
გარეთ კი ცრიდა და ბრჭყვიალებდა
გაუქმებული სადგურის წვიმა.

მესიზმრა — ტრიალ მინდორზე ვიდექ,
მესიზმრა, მართლა მესიზმრა, თორემ
რა დასიზმრება უნდოდა ამას:
თეთრი ლეღვები ეყარა მოლზე,
პირგაპობილი თეთრი ლეღვები.
რაღაც საოცრად გავდნენ ისინი
ყელზე თავსაფარწაჭერილ ქალებს,
სახეზე ვნებამოწოლილ ქალებს.
მე დავიჩოქე და მოგროვება
დავიწყე მათი,
ერთად ვაწყობდი,
რომ თაიგული შემეკრა ერთი...
ხელს მიწებავდა... როგორც ძუძუდან,
რძე მოწვეთავდა გრძელ ყუნწებიდან.
ძლივს მეთორმეტე ავიღე ხელში,
ცხელი ტუჩები ვიგრძენი მისი
და დამიარა გამდნარმა ტყვიამ
მუხლებში, მკერდში და სათითაოდ
დამეპნა მოლზე თეთრი ლეღვები.
ასე მესიზმრა, ეს იყო მხოლოდ,
სხვა ვერაფერი დავიმახსოვრე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავად ვხედავდი გზასა და მიზანს —
ჩემივე თავის ვიყავ ქადაგი;
მერე ვასხენე სახელი ღვთისა,
თეთრად გაფთთლილ ზღვას მივადექი.
ისევ ამიღო ნაცნობმა ჯინმა,
წითლად დაფერილ ღრუბლებზე შემსვა.
როგორ მინდოდა მნახა ვინმე,
ვისაც ვეტყოდი სიხარულს ჩემსას.
ვმადლობ, ვინც მომცა ცხენის წვივები
და საფეთქლები გაოფლილ ცხენის...
მწვავს ცეცხლი შენგან განაღვივები,
ფლეთს ძარღვებს მიწის შავბნელი წვენი.

. . . . .

სიზმარზე სწრაფად გაქრა ნაპირი,
ციდან მოწყვეტილ ვარსკვლავზე სწრაფად;
ყალყზე შემდგარმა ქვიშამ დაფარა,
გამოეცალა ტალღების ფაფარს.
რაც ვნახე... სულ სხვა იყო მანამდე...
წუხილმაც თურმე იცის მიჩვევა
და ნაწვიმარზე აღარ ანათებს
მოოქროვილი ტანი ფიჭვების.

IV

როგორც წარსულის — შიში მაქვს ზღვისა,
მაბრუებს დროის დინება სწრაფი,
დამალულ ხიფათს ყოველთვის ღვიძავს,
შიში მაქვს ელვის,
შიში მაქვს ქაფის.
კვლავ მოდის დილა ჩიტების ხმაზე,
ვიცი ეს ნისლი — წმინდა და მჩატე,
ვიცი ამ მიწის მადლი და ფასი,
ვიცნობ ამ ქედებს,
ვიცნობ ამ ფლატეს.
ვინდათ,
ახლავე მივაგნე თიხას,
რისგანაც ჩემი სხეული ზიღეს..
წითლად მფეთქავი მზე ჩემთან იყოს,
ვიდრე დამარღვევს შრიალი სიღის,
ვიდრე მეყოფა შენი ამბორი,
შენი საუფლო და საბრძანისი,
ვიდრე მომაგნებს,
ვიდრე დამფარავს
ყვითელი ქაფი ოკეანისა.

ვიდრე ეს ყელი იქცევა თიხად,
ვიდრე თვალები იქცევა ქვებად,
ვიდრე დავტოვებ გაყინულ ნიღაბს,
ნაცრად იქცევა მდუღარე ვნება,
უნდა მოვასწრო და გითხრა ჩემი
სათქმელი, რასაც ვერ ვეტყვი ვერავინ.
მიჩვეულია სხეული ბევმას,
დაჭიმულია ყოველი ნერვი.
ზოგჯერ სხვა ძალა,
სხვა ცეცხლი მანთებს,
თითქოს ვწვდებოდე მიზეზთა მიზეზს.
მგონია ვხედავ გარდასულ ლანდებს,
მე თავს ვიტყუებ;
ვიქცევი ისე,
თითქოს მესმოდეს წუხილი ქარის
მიწაზე მავალს, დაღლილს და მჭმუნავს;
თითქოს სულერთი არ იყოს, რა რის
გარშემო ბრუნავს ან როგორ ბრუნავს.

რადგან ასეთი პატივი დამდე,
რადგან ჩამიდგი ცხოველი სული,
რადგან ამზიდე მიწიდან ცამდე,
მითხარ,
შენს გარდა რა უნდა მწამდეს.
დამადგი ქედზე რკინის უღელი,
გავდეს ცხოვრება მზის გაჭენებას,
არ დამილიო დიდი წუხილი
და მიმსახურე,
როგორც გენებოს.
ყველას ისა აქვს, რისიც ღირსია,
შენი ნათელი ვის არ მოფენე.
მადლობელი ვარ, რაც მოგიცია,
უნდა დავჯერდე და ვიყოფინო.
მჯერა — ჯერ კიდევ შორსაა ბოლო,
პატარა წრეში ვერ ჩავეტევი,
შენი ვარ,
სანამ დამშლიდეს რბოლა
მოლეკულების და პლანეტების.

იქნებ მოვტყუვდი, არ მეყო ძალა,
ამაოდ დავშვერ,
ამაოდ ვეცოდე...
თითონ მეძახდი დარჩენილს ცალად,
გამოქუთნული მეძახდა კბოდე.
შენი ხმა მესმის,
შენ ახლაც მიხმობ,
გვირაბის კედლებს აწყდება ექო...
გზადავ მარადი წვიმების მიღმა
და ტყვიისფერი გედება ლექი.
უნდა მაშორო სიცივე ტლანქი,
ჯერ კიდევ უნდა ვიბრძოლო ჟამთან.
გზადავ დაწმენდილ,
მძინარე ლანქერს —
მდინარის ფსკერზე გაწოლილ ზამთარს.

ნუგზარ შაგაიძე

ზამთარი

კოლამ ბოსელში შეჰყო თავი და მიეხედ-მოიხედა. ბნელოდა. სახეზე სითბო მიელამუნა. ნაკელისა და ნოტიო თივის სუნი იდგა. ვიწრო, გამურული სარკმლიდან შემოსული სუსტი შუქი ზღვეებსა და ფუჩეჩაფენილ ბაგას ოდნავ ანათებდა. კუთხეში მიწოლილი ვეება ტახი წამოდგა და დაიღრუტუნა. ქეჩოზე ჯაგარი წამოეშალა და კაცს ვიწრო, ბოროტად აელვარებული თვალები გაუშტერა.

— მე შენი ჯილაგი!.. — შეაგინა კოლამ და კარი გამოხურა. დერეფანში ციოდა. ეზოში თოვლი იდო. თოვლს მთელი სოფელი გადექათქათებინა და სოფლის გარშემო შემოჯარული უშველებელი მთებიც თეთრად ჩამოელესა.

გუდა-მგელი სათონის გამურულ კედლთან ჩაცუცქულიყო და კოლას პატარა ბიჭს ეხუმრებოდა. კოლამ თახჩაში გრძელი ხანჯალი მოძებნა, ხალათის ჯიბიდან სალესავი ამოიღო და ხანჯლის პირს მძიმედ აუსვა. ბოსელში ტახმა დაიხროტინა. „ტიალი, — გაიფიქრა კოლამ, — გულმა არ გაუგო?!“ გუდა-მგელი დერეფანში ჩამოვიდა და ბოსელში შეიხედა.

— რამოდენაა, ეე?! — თქვა მან.

— ჰა?

— რამოდენაა — მეთქი.

კოლა სალესავს დაუწვა, ბოსლის კარებს თვალს არიდებდა და მთელი გულისყური ხანჯლის ლესვაზე გადაჰქონდა. გულში უცნაური მღელვარება შეჰ-

პარვოდა. ბოსელში ისევ დაიხროტინა ღორმა და ფუჩეჩს შრიალი აუყენა, მერე გამოსასვლელს მოადგა და გამოხტრული კარს შიგნიდან გაეგლასუნა.

— გული უგრძნობს, კოლავ! — თქვა გუდა-მგელმა.

— მაინც რა არი, კაცო, — უთხრა კოლამ, — დილას საღორედან გამომექცა, ბოსელში ძლივს შემოვიმწყვდიე. პატარა ბიჭი იდგა და მამას გაფაციცებით შეჰყურებდა ხელებში. კოლამ შვილს შეხედა და სალესავი ჯიბეში ჩაიდო. ერთხანს დერეფანში იტორტილა, ცოლს აივანზე რაღაცა ასძახა, მერე ეზოში გადაიხედა. ქათმები თოვლში იქექებოდნენ. კიბის ქვეშ, დაგლეჯილ ნაბადზე ძაღლი მოკუნტულიყო.

— შეივიდეთ, გუდა-მგელო! — თქვა ბოლოს კოლამ და ბოსლის კარები შეაღო. ღორს ისევ წამოშალა ჯაგარი. სამგოჯიანი ყვითელი ეშვები, წაგრძელებული დინჯი და ხშირი, ჭუჭყიანი ბალანი ორი წლის ტახს ველურ ირს აძლევდა. ადგილზე მოუსვენრად ბორგავდა და კოლას თვალს არ აცილებდა. კოლამ უკან მიიხედა. გუდა-მგელი გამოოღებულ კარში ჩამდგარიყო და არიგებდა:

— მიდი, კოლავ, გვერდიდან წამოუარე, გვერდიდანა!

— შემოდი, კაცო, — გაბრაზდა კოლა, — მარტო მე რას გავხდები. ტახი უეცრად გამოქანდა, კოლას ლაჯებში შეუვარდა და ააყირავა. გუდა-მგელმა ისე სწრაფად გამოხტრა კარი, კინაღამ ცხვირი შიგ მოაყოლა. ბოსლიდან გინება ისმოდა, მერე კარი გაიღო და კოლა ფეხათრეული გამოვიდა.

— რა იყო, კოლავ? — ჰკითხა გაფითრებულმა გუდა-მგელმა.

კოლას შარვლის ტოტი აეწია და გასისხლიანებულ ფეხს ითვალიერებდა.

— რა იყო, კაცო! — დაიყვირა გუდა-მგელმა. კოლამ შარვლის ტოტი ჩამოუშვა და გუდა-მგელს თვალი აარიდა. ბიჭი ხელად გავარდა და აღელვებული დედა მოიყვანა.

— რა მოგვიდა, კაცო? — ჰკითხა ცოლმა. კოლამ ხმა არ გასცა, კუთხეში მიყუდებულ ნაჯახს ხელი წამოავლო ეროვნული ბიბლიოთეკა ბოსელში შევიდა. ტახი მოპირდაპირე კედელთან იდგა და ეშვებს აელვარებდა.

— გუდა-მგელო! — დაიძახა კოლამ.

— ჰა!

— შემოდი, კაცო!

გუდა-მგელმა გაბურძგნული თავი კარებში შეაყო და გვერდშებული ტახის დანახვაზე თვალები დაუელმდა.

— ესე გამოიარე, კედელ-კედელ მიეპარე და ფეხები დაუჭირე,—უთხრა კოლამ.

— ვისა, კაცო? — გაუკვირდა გუდა-მგელს.

ტახი ელვასავით გამოქანდა და ის იყო წელდაწყვეტილ ილეთის გამეორებას აპირებდა, რომ კოლა განზე გაუხტა, ნაჯახი მთელი ძალით მოუქნია და შუბლში ყუთი შემოჰკრა. უშველებელმა ტახმა წინა ფეხებზე წაიჩოქა და დინგით მიწა ათხარა.

— აი, ეგრე, შე კაი კაცო! — გაუხარდა გუდა-მგელს. კოლა ტახს ზემოდან გადაწვა და ხანჯალი ყელში გაუყარა.

— გულში კოლა, გულში დაკარი. მგლის ჯიშისაა, კაცო! — ყვიროდა აღგზნებული გუდა-მგელი და ადგილზე მოუსვენრად ცქმუტავდა. კოლა მთელი ტანით მიაწვა და ტახი ზურგზე წამოაქცია. მერე წამოდგა, ფერდში წიხლი ჩააზილა და ის იყო ერთი გემრიელადაც უნდა შეეკურთხებინა, რომ სისხლში ამოსვრილი ტახი წამოდგა, თავი ღონივრად გაიქნია და ყელში გარჭობილი ხანჯალი რომ ვერ მოიშორა, გაბრაზებული ადგილზე დაბზრიალდა, თან სისხლის ზხეფებს ისროდა და ხროტინობდა. გუდა-მგელი ფუჩეჩის კონებს გადაეცალა თავზე და ბაგაში პირქვე ჩაწვა. კოლა გაბტერებული უყურებდა დაფეთებულ ღორს, მერე უცებ მოპბრუნდა და კარს ეცა. ყელში ხანჯალგაჩრილი ტახი უკან გამოენთო. კოლამ დერეფანი გაირბინა, კიბეზე ჩამომჯდარ ბიჭს ხელი დაავლო და აივანზე ავარდა. ღორმა სათონეს ჩაუბრინა,

ქათმები დააფრთხო, დაკტილ ჭიშკარს დინგით მიაწყდა და უკან გამობრუნდა. ეზოში გავეშებული დარბოდა, ხმამაღლა ხროტინებდა და თოვლზე სისხლის წითელ არშიას ავლებდა. კიბის ძირში დამბული ძაღლი ღორისაენ გაავებული მიიწევდა, მაგრამ ყელში წაჭერილი ჯაჭვი არ უშვებდა და მიმხრჩვალი ხმით ყეფდა. გუდა-მგელს ბოსლის კარი სანახევროდ მოეხურა და ეზოში შეშინებული იყურებოდა. კოლა და მისი ცოლ-შვილი აივანზე იყვნენ. ბიჭს თვალებზე ხელები აეფარებინა, სისხლში ამოთხვრილ ღორს თათებშუა, ჭუჭრუტანიდან უყურებდა და ხმამაღლა ღრიალებდა. გაფითრებულ ქალს შვილისთვის სახელოში წაევლო ხელი და ოთახისკენ მიათრევდა.

ყელში ხანჯალგაჩრილი ტახი კი შუა ეზოში გაჩერებულიყო, თავი მაღლა აეშვირა და საოცრად გამჭვირვალე, მოკრიალებულ ცას ამოვრეული თვალებით შესცქეროდა. განიერი ჭრილობიდან სისხლი თქრიალითა ჩამოსდიოდა და ხელისგულისოდენა ეზოს წითლად ღებავდა.

— გამიშვით, მაგისი! — ისე დაიყვირა კოლამ, გეგონებოდა ვიღაც იჭერსო. ოთახში შევარდა და ორლულიანი თოფი გამოიტანა. კიბეს ფრთხილად ჩაუყვა, თან გადახსნილ თოფში ვაზნებს აწყობდა. გაალმასებულმა ძაღლმა თოფმომარჯვებული პატრონი, რომ დაინახა, კიბის ქვეშ შეძვრა და აწკმუტუტუნდა. კოლა უცნაურად გაშეშებულ ტახს თვალს არ აცილებდა. ეზოში რომ ჩავიდა, უადგილოდ დაგდებულ კუნძს ფეხი წამოჰკრა, წაიბორძიკა, წონასწორობის დასაცავად თოფი უხერხულად აიქნია ჰაერში და უნებურად ჩახმახსაც გამოჰკრა. თეთრ მყუდროებაში ჩაყვინთულ სოფელს თოფის ქუხილმა გადაუარა, ძაღლები აანგრიასა და მერე სადღაც მთებში ჩაიკარგა.

ტახი არც კი განძრეულა, ისევ ზევით იყურებოდა. მკერდზე ჩამონადენ სისხლს თოვლი გაეყლინთა და ფეხებთან დაგუბებულიყო. კოლამ შეიგინა და ბოსლისკენ გაიხედა. გუდა-მგელი სიცილისაგან იფხრიწებოდა. კოლამ თოვლში გადაფურთხა და გუნებაში გუდა-მგელს შეუკურთხა, მერე ორიოდე ნაბიჯი გადადგა და თოფის კონდახი მხარზე მიიბჯინა. ტახმა თვალი შეავლო კაცსა დ სისხლის გუბე დაყნოსა. მერე წინა ფეხებზე წაიჩოქა, დინგი თბილ სისხლში ჩაჰყო და ის იყო თვალებში სიცოცხლის უკანასკნელი ნატამალი უქრებოდა, რომ თოფმა ხელმეორედ დაიქუხა და შუბლი შეუნგრია.

გუდა-მგელი წელათრეული მოდიოდა. კოლა კუნძზე ჩამოჯდა და სიგარეტს მოუკიდა.

— ეს რა იყო, კაკოო!—თქვა გუდა-მგელმა და კოლას თვალი აარიდა. კოლამ მუხლზე გადებულ თოფს ხელი გადაუსვა და მეზობელს აგდებულად შეხედა.

— ძაან კი შეგაშინა და!

— მგლის ჯიშისა იყო, ტიალი!—თავი იმართლა გუდა-მგელმა.

— მწვადის ჭამაში ხო მაგარი ხარ? — კოლა წამოდგა და ტახს ყელიდან გასისხლიანებული ხანჯალი გამოაძრო. მერე სათონეში შევიდა და ლასტი გამოიტანა. ღორი ლასტზე გადააგორეს და ადუღებული წყალი გადაასხეს. გუდა-მგელმა ფერდზე ხელი ჩამოუსვა და ნაცრისფერი, ჭუჭყიანი ბალანი ჩამოაცილა, მერე თოვლზე დაგდებულ სისხლიან ხანჯალს ცხელი წყალი გადაავლო და ღორის გაფხეკვა-გასუფთავებას შეუდგა. კოლა ერთხანს იჯდა და სიგარეტს ეწეოდა, მერე ისიც მიეშველა. ქალმა სახლიდან ტაშტები ჩამოიტანა და თოვლზე დააწყო. გუდა-მგელმა მარჯვედ გამოშიგნა ღორი, ფაშვი და ნაწლავები ცალკე გამოარჩია და ქალს ანშნა, ტაშტი მომაწოდეო.

— ღორი როგორ არ დამიკლავს, კაკო, მაგრამ ესეთის მნახველი ჯერ არ არა ვარ. — თქვა მან, მერე ღვიძლიდან

ნუგზარ შატაიძე
ზამთარი

ნაღვლის ბუშტი დიდი სიფრთხილით ამოაჭრა და ღობის იქით მოისროლა. ღვიძლი ცალკე ტაშტში ჩააგდო, ელენთა და თირკმლებიც მიაყოლა და სუკეებიც ხელდახელ ამოთალა.

— აბა ნათლიდედ ერთი ეს სუკეები შეგვიწვი მე და შენ კაცსა! — დაუძახა სათონესთან მოფუსფუსე ქალს და თბილი ხორცის ნაჭრები მიაწოდა.

— აკი ვთქვი. მწვადის ჭამაში მაგარი ხარ მეთქი, — ჩაიბუზღუნა კოლამ და მერე აივანზე გადმომდგარ გაბუტულ ბიჭს ახედა. — არაყი ჩამოიტა, ვანო, არაყი!

ქალმა შამფურზე წამოცმული სუკებს მარილი მოაყარა და სათონეში შეიტანა. სანამ მწვადი შეიწვებოდა, კაცებმა საქმე მოათავეს — ღორი ნაჭრებად აქნეს და აივანზე აიტანეს. მერე სათონეში ჩავიდნენ და ცეცხლს მიეფიცხნენ. კოლას ცოლმა ფქვილიან ხონჩაზე სახელდახელო პურმარილი გაშალა. კოლამ ჭიქებში არაყი ჩამოასხა.

— შენ გაგიმარჯოს, კოლა, — უთხრა გუდა-მგელმა,—ბარაქა ჩვენ საქმეს, მრავალი დაგვეკლას.

კოლას ულვაშებში ჩაეცინა და არაყი გადაჰკრა. გუდა-მგელი მწვადს დაეძგერა. ქალი ყაურმას ხარშავდა. ცეცხლზე შემოდგმულ ქვაბს სახურავი რომ ახადა და ციცხვით ამოიერია, სათონეში მადის აღმძვრელი ოხშივარი დადგა. კოლაშვილი ისევ შეავსო ჭიქები. გემრიელად ღრეჭურალეობდნენ.

— მგლის ჯიშისა იყო დალოცვილი! — თქვა გუდა-მგელმა, — არა, ღორი როგორ არ დამიკლავს, მაგრამ...

— ორი სახარება შეგვეწიოს. — თქვა კოლამ და გადახუხა.

— შეგვეწიოს! მიაგება გუდა-მგელმა.

ერთხანს უხმოდ ჭამდნენ.

— არა, მაინც როგორ შემოგვიტია, კაცო!—არა ცხრებოდა გუდა-მგელი.

კოლამ შარვლის ტოტი აიწია. წვიეზე სისხლი შეხმობოდა.

გუდა-მგელს გაახსენდა, კოლას რომ თოფი გაუვარდა, გუნებაში გაეცინა, მაგრამ ხმამაღლა არაფერი თქვა, ემანდ არ ეწყინოსო. მერე სუკის ნაჭერი დაითრია, ჭიქა აიღო და კოლას მიუჭახუნა.

— სამი სახარება შეგვეწიოს, კოლა!

— სამება შეგვეწიოს.

სათონეში ყაურმისა და მწვადის სასიამოვნო სუნი ტრიალებდა. ღრუბელივით სქელი კვამლი კარის ღრიჭოდან ზანტად, უხალისოდ იპარებოდა გარეთ.

პატარა, გაბუტული ბიჭი ცივ კიბეზე ჩამომჯდარიყო, და წითელი თოვლით გადალესილ ხელისგულისოდენა ეზოს დაღვრემილი გასცქეროდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ახალგაზრდა გერმანელი პოეტები

იურგენ ბეკელმანი

იმას, ვინც მომავალ ომში მოკვდა

შენ სიბრალულის არა ხარ ღირსი,
შენ ასლობლები აღავსე სულით
მკვლელის და
ბრალი შენ გადევს ისევ
შენი სიკვდილის და აღსასრულის,
რადგანაც მიეც მათ შენი მოკვლის
შემთხვევა,
ანდა
თუ გნებავს ნება.
ერთი სასჯელის ღირსია მოკლედ
იგი, ვინც სხვას კლავს ან სხვისგან კვდება.

შენ სიბრალულის არა ხარ ღირსი,
მაგრამ ჩვენ გვახსოვს,
თავს ვხრით
და ვგლოვობთ.

როლფ ჰაუფსი

ჯაშუში

ის ლექსებს უძღვნის ყვავილს და მთვარეს,
მკვდარ ჩიტებს ბაღში მარხავს და ტირის.
უბის წიგნაკში ჩაწერილ გვარებს
მალულად უსვამს ჯვარსა და ტირეს.

თავს ყველა საქმეს ადვილად ართმევს.
საკუთარ ხელით აპურებს კატას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძაღლს სიყვარულით „მეგობარს“ არქმევს,
მინაზე ისარგაყრილ გულს ხატავს.

უხეშ საქციელს არასდროს ავლენს,
ბავშვებთან ბავშვად იქცევა თითქმის.
ახსენებს ხშირად მოციქულ პავლეს
და წითელი ჯვრის საწევროს იხდის.

სტრიქონებს უძღვნის ყვავილს და მთვარეს,
მკვდარ ჩიტებს ბაღში მარხავს და ტირის,
შემდეგ წიგნაკში მეგობართ გვარებს
ან ჯვარს დაუსვამს, ან კიდევ ტირეს.

სჯეფან შეპნერი

ს ურ ვ ი ლ ი

მხოლოდ ლექსის სტრიქონები
მივაწეროთ ამ ცას,
კბილის ფხვნილის და საპონის
რეკლამების ნაცვლად.
იქნებ მაშინ მიხვდეს ზოგი,
რომ ბომბების გარდა
არის ქვეყნად პოეზიაც,
დედამიწის განძი.
რომ ლექსები იბადება
დიდი წვით და გარჯით.
რომ დღეს ბომბი უფრო ფასობს,
ვიდრე ბრძენის აზრი...
მაგრამ, ზოგმა ის არ იცის,
მაგრამ ზოგს არ ესმის,
რომ ატომზე ძლიერია,
თუ აფეთქდა ლექსი.

თარგმნა ნოდარ ჯალაღონიამ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ᲘᲐᲠᲝᲡᲚᲐᲕ ᲘᲝᲡᲔᲚᲘᲐᲜᲘ

ᲥᲐᲠᲘᲝᲨᲘᲡᲐᲚᲨᲘ

როგორც იქნა, შეწყდა ბრძოლა, გაჩუმდნენ ქვემეხები, ალარ აფეთქებდნენ ყუმბარებს. სუბელიანს მოაგონდა, რომ ქვეყნად ამ ორი უბედური, გათოშილი, ყინულოვან მახრჩობელას რგოლების მარწუხში სანახევროდ გაგდდული მეზღვაურის გარდა არსებობენ სხვა ადამიანები, ამხანაგები, და რაც ძალა და ღონე ჰქონდა, შეჰკივარა:

— დაგვეხმარეთ! ჯერ ცოცხალი ვარო!

არავის არ გაუგონია მისი ძახილი. სამაგიეროდ, გემზე იყო ადამიანი, რომელიც გადარეულივით დარბოდა, დაეძებდა თავის უფროსს, და იმდენად შეშფოთებული იყო მისი „გაქრობით“, რომ კოიბი შეეკა, არავის არაფერს ეუბნებოდა. აი, გემბანზეც აიკრა, გადაიხედა და...

...ბედზე გადარჩენილი სუბელიანი და მატროსი ოლგა გოლოშევსკი სასწრაფოდ მიიყვანეს კაიუტ-კამპანიაში, საბრძოლო სამედიცინო პუნქტში და დაუყოვნებლივ აღმოუჩინეს დახმარება. სრულიად გახადეს და გათოშილ სხეულზე ფრთხილად წაუსვეს სპირტი, სპეციალური სათბური მალამები. სუბელიანმა სწრაფად მოიხედა, მალე ფეხზეც კი დადგა და, როგორც ეტყვიან, საბრძოლო მწყობრში ჩადგა. ღიმილით მიუბრუნდა სტეფან ვასილიევს, ყურებამდე გაღიმებული რომ შესცქეროდა მთების შვილს.

— მადლობელი ვარ, ჩემო სტიოპა! ეს შენ გადამარჩენე... მიკვირს, როგორ მოახერხე.

— ოო, ამხანაგო ლეიტენანტო, ასე ვიცით ვოლგელებმა! ამა, თქვენ რომ თქვენი მთებიდან დაგვეცქერით დაბლობის ხალხს, ისე კი არაა საქმე: ჩვენ, ვოლგელები, ფაფას როდი ვჭამთ! სიკეთის გადახდა ვიცით. მე ზომ სიცოცხლეთ ვიყავი თქვენგან დავალებული!

— ვალს მიბრუნებ, სტიოპა? — ბაიკინა სუბელიანმა და გოლოშევსკის მიუბრუნდა: — ამა, ოლეგ, რა გემრთობა? ზღვას გადაურჩი და ხმელეთზე კვდები? გადაიყვანეთ ლაზარეთში.

გოლოშევსკის საქმე უფრო რთულად იყო. მალე ლაზარეთში გადაიყვანეს და მძიმე დაქეცილობის მეურნალობა დაუწყეს.

პირველი, ვინც მხურვალე მადლობის სიტყვით შეეგება სუბელიანს, იყო ივანე ისაროვი.

— სწორედ შენ, ჯიგირფასო სუმა, „არანამდვილმა მეზღვაურმა“, როგორც ზოგიერთები ლაყბობენ შენზე, გამოიჩინე ჭეშმარიტი ადამიანობა და ჩაიდინე გმირობა, როცა მეზღვაური იღუპებოდა! — კიდევ და კიდევ ჩამორთვა ხელი ექიმს, რომელმაც ალარ იცოდა, საით წასულიყო, ისე დაამცირა ამ უსაზღვროდ საყვარელი ადამიანის ქება.

— გილოცავთ, გილოცავთ, — ჩვეულებისამებრ ოფიციალურად აწეული კლოთი მიუღოცა თვითონ კუჩიერენკომ. — ჩემს სკოლაში მაინც მეზღვაური გამოდექი, ეშმაკმა დალახვროს! მართალია, მოვალეც იყავი, რომ დაზარალებულს მიშველებოდი. ყველა დანარჩენი ზომ ბრძოლით იყო გართული, იმდენს ვერ მოსახოვდით...

— მორჩით სისულელის როშვას, გრიგოლ ვასილის-ძე! — უხეშად შეაწყვეტინა კომისარმა.—ჩვენ ვიცით, ვინ იყო მოუცელელი და ვინ... მოუცელელობის სპეკულაციას ეწევიდა.

„ვაცხადებთ ახლად დამთავრებული ბრძოლის შედეგს,—დაიწყო რუპორში ვიღაცამ დამტკრეულ რუსულ ენაზე, — ჩამოგდებულია და ძმიმედ დაზიანებული 22 ბომბდამშენი და 13 ტორპედოსანი. მტერთან ბრძოლაში ჩვენ დაკკარგეთ ერთი ტარანსპორტი და 7 გამანადგურებელი. ყველა ჩვენი მფრინავი გადარჩენილია, აყვანილია გემებზე. ვაცხადებ იმ გუშების

გაგრძელება. დასაწყისი იხ. „ცისკარი“, № 2.

სნას, როშელთაც მტრის მოულოდნელი თავდასხმის დროს განსაკუთრებით ჩანეს თავი: პირველად დიდი სიამაყით ვასახელებ ჩვენი სახელოვანი მოკავშირის საბჭოთა კავშირის საესკადრო ნაღმოსანს „კარლ ლიბკნეხტს“. მარტო ამ ერთმა გემმა ჩამოაგდო და დაიზიანა 14 ფაშისტური თვითფრინავი. ასეთ საესკადრო ნაღმოსანს შეეძლია დაამშვენოს რომელიც გნებავთ ერის დროშა“.

სუბელიანს შემდეგ აღარაფერი გაუგონია, თუ რა გამოაცხადა ბადრაგის უფროსმა. სასიამოვნო ცნობამ ისე გაახარა, რომ სხვა არაფერი ესმოდა. სამმე ისაა, რომ „კარლ ლიბკნეხტის“ უფროსად ახლახან დანიშნეს მისი ერთ-ერთი ახლო მეგობარი ამირან შევარდნაძე, რომლის ნიშნა და საყურადღებო საოფიცერო ღირსებებში ეჭვი არავის ეპარებოდა. თავის მხრივ შევარდნაძეც ყველაზე მეტ იმედს თავის მეგობარზე, სუმა სუბელიანზე ამყარებდა.

— შენ, დარწმუნებული ვარ, შენს გვარს ასახელებ, — არწმუნებდა სუბელიანი. — უკეთ რომ ვთქვა, გამარჯობა... გვარსაც და სახელსაც.

— ეეცდები. ცხადია, — გულგრილად მიუგო ამირანმა, — მაგრამ გემის გაძღოლა რთული ამბავია. უფროსი პასუხს აგებს არა მარტო თავის თავზე და საქმეებზე, არამედ თავის ხელქვეითთა ყოველი ნაბიჯისთვის, მომზადებისა და აღზრდისათვის...

— გვარის გამოცვლა დაგპირდება! — ეხუმრებოდა სუბელიანი: — შენი ენერგიისა და ნიჭის პატრონი ნამდვილი ზღვის არწივი გახდები.

— არა, ძმაო, ასე უბრალოდ არა ხდება ეს ამბავი. იქნებ სწორედ მე აღმოვჩნდე საესკადრო ნაღმოსნის ყველაზე ცუდი უფროსი...

ახლა, ოფიცერ შევარდნაძის ეს სიტყვები რომ მოაგონება, სუბელიანმა უნებურად გაიღიმა.

— რას იღიმები? — უკუდგება მიაქცია იასნოვმა.

სუბელიანი დაიბნა, მაგრამ ვერ დაფარა საყვარელი ადამიანის წინაშე თავისი აზრი და მოკლედ მოუთხრო შევარდნაძესთან საუბრის შინაარსი.

თოდა. ქარის მიმართულების შეცვლის გამო ტალღა ცოტა „დაიბნა“, შეყოვნდა, შეტოტრმანდა. ახალგაზრ ჯერ კიდევ, როგორც იტყვიან: „მთელი ძალა ვერ მოიკრიბა“, და ზღვა თითქოს ბუბუნებდა, მდეღარე ქვას დამსგავსებოდა.

— ამინდი ფუქდება, სუმა, ეშშოს ამყრიაფ უფრო არ გაგვეჭირდეს, — მობუზა იასნოვი და თვალებიც მოკუტა.

— რა უჭირს, მიჩვეულები ვართ.

— ჩვენ, ძმაო, მიჩვეულები ვართ, მაგრამ ჩვენი ხომალდი, სიმართლე რომ თქვას, ურაგანისთვის არაა გათვალისწინებული. შეიძლება გვერი შეუნგრიოს.

— ნუთუ მართლა შეიძლება ვერ გაუძლოს?

— წარმოიდგინე, შეიძლება ვერ გაუძლოს. უთუოდ იცი „გრომკის“ ბედი, მისაბაძ[illegible] ცხენი წაატეხა? მაგრამ იმედი უნდ[illegible] ნოოთ...

ახლა ისევ გიახსენეს! ვიღრე კომისარმა არ უთხრა, ამხანაგების ლაპარაკს ყურადღებას არ აქცევდა, როგორღაც ვერ წარმოეიდგინა, ქარი თუ ვემს დალუპავდა, მაგრამ იასნოვის სიტყვას მისთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა. როგორ? ნუთუ თანამედროვე საბრძოლო ხომალდი, დაიზიდეგენ საუკეთესო ფოლადისაგან, აღჭურვილი ასეთი სრულყოფილი იარაღით, შეიძლება ოკეანის ტალღებში დაიღუწოს და დაიღუფოს? დაუკვირვებელია! მაგრამ ეტყობა, ეს მაინც შესაძლებელი ყოფილა. ხომ იცის „გრომკის“ შემთხვევა!

კატასავით უზმაურო ნაბიჯებით ჩამოირბინა ბოგიორის კიბე ისაევმა და ჯიხურისაკენ გაემართა. მისი ყურადღება ექიმმა მიიპყრო.

— შენ ამ რას დამდგარხარ და სიერცეს გაპურებ პაგალნოვით? — გადაულაპარაკა სუბელიანს, ისე რომ არ შეჩერებულა. — გიიენები.

— მომისმინე, ეალდია, რას იტყვი: ამინდის პროგნოზი როგორია? ძალიან ცუდი?

— არა: ძალიან ცუდი და ცოტა უარესი. აქ, ინიერპოლარეთში, ზედან ერთი და იგივე პროგნოზია: „ქარიშხალი“. აქ შტორმანი არც არის საკირო: ექიმსაც ისეთივე წარმატებით შეუძლია რამდენიმე დღით ადრე იწინასწარმეტყველოს მოსალოდნელი ამინდს.

— სერიოზულად გეკითხები: ურაგანია მოსალოდნელი?

— სწორედ ასეა, ითმალიანი ქარი იქნება, მაგრამ... ეს ქარი როდი მთავარი, ექიმი. ყველაზე დიდი საძაღლობა ისაა, რომ ტალღა პირდაპირ მარკვენა ფერდში დაგვიწყებს კოშმლის შენას, რათა ჩვენი ნაღმოსნის სიმაგრე მოსინჯოს, — ისაეევმა თავი ჯიხურში შეიერა.

— მაგრამ დარდი ნე გაქეს, სუმა, მიღებულია ბრძანება: „გემის გატეხვა არ შეიძლებაო!“ — თითქოს ციდან ჩამოვარდაო, ისე გაჩნდა სუმას გეერდით ელადიმეროვი.

— ვისი ბრძანება? — უცვნ ვერ გაიგო ექიმმა. — ოჰ, შენც ერთი! ჯოჯოხეთიც რომ დატრიალდეს, შენ ხუმრობას არ მოიშლი.

„სტრაშნი“ ერთბაშად თოვლის საბურველში გაეხვია. თოვდა კი არა, ისეთი განუზომელი სიუხვით ბარდნიდა, რომ ოფიცრები ერთიმეორეს ორ ნაბიჯზე ვერ არჩევდნენ. ეს თოვლის ფრქვევა, ან როგორც იმიერპოლარეთის განდებში იტყვიან, „თოვლის მეზტები“ ხილვადობის თვალსაზრისით წყვდიად ღამეზე უარესია. თუ ბნელ ღამეს პროეკტორით, რაკეტებით და სხვა საშუალებებით როგორმე კიდევ გაანათებ, თოვლის ერთიანი კედლის გაღწევა აღარავითარ სინათლის წყაროს არ შეუძლია,

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაკვირვების ტექნიკურ საშუალებებსაც რომ მიმართოთ.

ვლადიმროვმა და სუბელიანმა აგერ უკვე მერამდენედ შეადარეს თავი გემის ჩარდახს და დიდი ცნობისმოყვარეობით შესცქეროდნენ თავისებურად ლამაზ „თოვლის იერიშს“, რაც ასე საინტერესო იფარავდა „მეცრავ ქალაქს“ ფაშისტური ავიაციის თავდასხმისაგან.

— უბედურება მხოლოდ ისაა, რომ ეს „თოვლის მუტანტ“ თავის დროზე არ მოდის ხოლმე.

— პირიქით, სუმა, ეს მუტანტები მუდამ თავის დროზე ბარდნიან, მაგრამ მტრის ავიაციია არ გვეხმის თავს, როცა თოვლით „დამუტტტენ ვართ“. საერთოდ კი, თეთრი ძაღლი, შავი ძაღლი — ორივე მამაძაღლია. ასეთი ხილვადობის დროს მტრის ფუალქვეშა ნავებს დაუყენებდ შეუძლიათ თავს დაგვესხნან. ნავები ხომ სულ უფრო და უფრო ფართოდ იყენებენ აკუსტიკას, სულაც არ ესაპრიოროვთ თვალები, ფუალქვეშ მოსმენას კი თოვლი ხელს არ უშლის.

— აკუსტიკა ხომ ჩვენცა გვაქვს?

—ჩვენც გვაქვს, მაგრამ ტრანსპორტზე არაა, ასე რომ თუ ახლა „მელის ზროვა“ შეგვეჩეხა, ბევრი ცხვარი დაიფლითება.

თოვლის კედელმა გაიწია და სიესკადრო ნალმოსანი გაშლილ ადგილზე გავდა. თოვლის მუხტი, რომელიც ზეცადან აკაფებულ ტალღებამდე გადაქმეულ თეთრ ფარდაეს ჰგავდა, კრჩოს მხრიდან ნელ-ნელა უკან იხევდა.

— წავიდეთ, ცოტა დავისვენოთ, — პირველად დაარღვია დუმილი ვლადიმროვმა. — ხილვადობა ისევ გვარიანი გახდა, ეშმაკმა დალბერის. ეტყობა, გერმანელები დიდხანს არ გაგვაჩერებენ ასე გულდამშვიდებით.

— დავისვენებდი, რომ... უკვე ავადმყოფებიც გვყავს.

— ჰო, მართლა, სუმა, როგორაა ვასია ჩიბინოვი? ჩემი საყვარელი, სიცოცხლით სავსე სარატოველი ყმაწვილი.

— ტანის ძლიერი შერყევა აქვს, — ამოოიხრა სუბელიანმა. — ძალიან გაუჭირდება. განა ახლა გემზე იმისი საშუალებაა, რომ ასეთი ავადმყოფები მოვარჩინოთ? რა თქმა უნდა ყველაფერს ვაკეთებთ, რაც შეგვიძლია, მაკრამ რა შეგვიძლია?

— რა სამწუხაროა! დაიღუპება ყმაწვილი, ჯოჯოხეთური ამბავია!

— სხვათა შორის ჩვენს „სტრაშნიზე“ ვასია ჩიბინოვი რე მოვიყვანე, —თქვა ვლადიმროვმა, რომელიც ბოლოს სკემდა, თითქოს დასეირნისსო. — ახლა ცოტა მწყანს და მეტი არა? ბრძოლაში მაინც დაღუპულიყო, თორემ... კედელს უტაკა თავი ოხერშია! მისი წარსული... აი, გეტყვით. მუდიუკის რაიონში, ტუნდრაში, ღამით გერმანელებმა ორი პარაშუტისტი ჩაბოუშვეს. ჩვენმა მზვერავებმა მათი დაშვების ადგილი დაწინეს. საბრძოლო ვანაში გამოცხადდა. როგორც იტყვიან, მთელი ჯორიზონტი ფეხზე დაბრუნდა. ეს ამბავი ვერავინ მოაბრალა ბერეზინა სანტეგებს. მეორე დღის მიწურულს ამაო ძებნა შეწყვიტეს. სათვალთვალო პუნქტები ლბათ შეცდნენო, ფფერეს. რამდენიმე საათის შემდეგ, იმავე ღამეს, დიევრსანტები პირდაპირ შტაბში მიიყვანეს. ხელფეხშეკრული დამრღვევნი ძალლებშებმული მარხილთან მოაბრძანა და მერე ვინ? ვასია ჩიბინო

ბი, რაღაც უხეირები ვართ. სამოთხის კარი რომ ღია იყოს, ჩვენ ჯოჯოხეთში შეეტანავთ ხოლმე თავს.

— კომკავშირელებთან მორიგ საუბარში შენს გმირობას გავაცნობ, — თქვა სუბელიანმა და ინანა, არ უნდა მეთქვაო მისთვის.

— ამხანაგო ეკიმი, მე, ნაღდი საქმეა, ვერ გასწავლიან, მაგრამ თუ შეიძლება, ნე იზამთ ამას. პავლე ივანეს-ძესაც უნდოდა ჩემი „დამუშავება“, მაგრამ ეთხოვე და გადავთქმევინე... — მე კი ვერ გადამთქმევინებ, ამხანაგო. „ნაღდი საქმეა“, პირველსავე კრებაზე „დაგამუშავებ“, როგორც შენ ამბობ.

„პირველი კრებაც“ მალე შედგა.

მეზღვაურები სუბელიანის დამაჯერებელ მოთხრობას სულმოუთქმელად უსმენდნენ. კუბრიკში დუმილს არღვევდნენ მხოლოდ ძალუმი ტალღები — ოკეანის მძიმე სუნთქვა, მსგავები დედამიწის ბიძგისა.

ჩანს, ერთნაირად სუნთქავენ მიწა, ოკეანე და კაცობრიობა!

სტალინგრადიდან ცუდი ცნობა მიეღოთ. იმის მოუხედავად, რომ უკვე რამდენმე თვე გრძელდებოდა ამ უსიამოვნო ცნობების რიგი, მეზღვაურები ვერ შერიგებოდნენ საშინელ აზრს — სტალინგრადის ხელში ჩაგდების საფრთხეს, რუსეთის დიდებულ დედა-მდინარეზე გაშენებული ქალაქის დაკარგვის ამბავს. ბაღრაგის გადარჩენა უშუალო დაზმარება იქნებოდა სტალინის სახელობის ქალაქისათვის.

სუმა ცოტა შეაცბუნა კუბრიკში მოულოდნელად ბოგნიაკის შემოსვლამ. ჩვეულებრივ გრიცკო ეტვით შესცქეროდა ყოველნაირ საუბრებსა და აგიტაციას, პოლიტიკურ ინფორმაციებსა და ბიუროს ცნობების ერთფეროვან კითხვას, აქ კი თვალი ფეხით მოეფი, რომ ეკმის, „არასრულფასოვან“ მეზღვაურს მოუსმინოს. „ნუთუ იმისათვის უნდა მომისმინოს, რომ მერე ოფიცერთა წრეში დამცინოს? — გაიფიქრა სუბელიანმა. — არა, შეუძლებელია: ამ კაცისათვის უცნობია ხუმრობა. რაღაც სხვა მიზეზია, მაგრამ რა?“

სუმა მალე კარს მოეკო, ავდიტორიას არც შეუნიშნავს მისი დასწრეულობა. ბოგნიაკი შეუმჩნევლად ჩამოჯდა კუბრიკის შემოსასვლელთან და მხარბეჭგანიერ მეზღვაურთა ზურგს უკან თითქოს გაქრა, გაუჩინარდა. სუბელიანმა საუბარი ისე დაამთავრა, არც კი შეუნიშნავს მისი სიახლოვე.

— მითხარი, სუმა, ღმერთმა ჯანი მოგცეს, — ეუბნებოდა საუბრის შემდეგ გვერდით მიმავალი ბოგნიაკი ეკმის, — ერთი გულზე ხელი დაიდე და მითხარი, ბეჭერა ყველაფერი, რასაც მე საკოდვე ჯარისაკაცებს უქადაგებ? თუ ისეთი გამბრძმედილი პოლიტიკური მოდგაწე გაზეი, რომ... ნუთუ მართლა ბეჭერა, რომ ჰიტლერს მოვერევთო, გაგანადგურებთ ჯარებს, რომლებიც დღესა თუ ხვალ სტალინგრადს აიღებენ, და მოვიგებთ ომს, რაც უკვე წავაგეთ?

. სუბელიანმა თვალები დაკუნტა და თავის თანამგზავრს ჩაუჩერდა. თითქოს დაკარგა მოძრაობის უნარი, ქანდაკვიდან აისვეტა და არ იცოდა, რა ექნა. ბოგნიაკისათვის ასეთი რეაქცია ალბათ არ იყო მოულოდნელი, რომ იმავე დაწყნარებული კილოთი განაგრძო:

— ეიცი, არამზადა არა ხარ, არ გამეკეტ, მხოლოდ ამისათვის გადავწყვიტე შენთან ლაპარაკი. როგორღაც ძნელი კაცისათვის, როცა ვერავის გაანდობ შენს აზრსა და ფიქრებსი. ვიცი, ამისათვის შეუძლიათ კედელთან დამაყენონ და მიმახვრიტონ, მაგრამ... შენი წესიერების იმედი მაქვს...

სუბელიანი განაგრძობდა ბოგნიაკის ბუტლვას გამომცდელი თვალებით, თითქოს რაღაც ზუბენებრივი ნახა და მზერას ვერ აცილებსო. მის თავში სწრაფად გაიარა აზრთა ისეთმა ნაკადმა, რომ უწინ ასეთ რამეზე არც უფიქრია.

რა ძალას უნდა ექცია ასეთი მამაცი, ბრძოლისუნარიანი ადამიანები მხდალ, სულმოკლე, მოწყენილ ქალაქენებად? დაიხვრიტონ ასეთნი? ომი ამას ითხოვს. კომისარი ამბობდა, თე ერთ ასეთ ლაჩარს არ მოვიცლებთ, ძმიმე წუთებში შეუძლია აშკარა მტერზე მეტი ზიანი მოგვაყენოსო. მაგრამ ბოგნიაკი შეეკოდა. ყველაფერთან ზანგია, რომ ნამდვილად დაბეული იყო. პოლიტიკური მეშპობის უპატივცემლობამ, ეოდნის ამაღლებაზე ნებაყოფლობით უარის თქმამ მიიყვანა ასეთ სიბრმავემდე, ფაქტების არასწორ შეფასებამდე — ქუმბორნილობამდე. სუბელიანმა განიზრახა დახმარებოდა ოფიცერს. აეხსნა მისი შემცდარი დასკვნებისა და დაბნეულობის არსი.

— იცი, გრიცკო, შენ შემცდარი ხარ, — სუბელიანის სახეზე ისევ ჩვეულებრივი გამომეტყველება მიეღო; ზაგიდეთო, ანაშნა. — ცდები უმთავრესში. საქმე ისაა, რომ ჩვენი სახელმწიფო გაიმარჯვებს, ესე იგი მისი დამარცხება არ შეიძლება. ისტორიულად ეს წარმოუდგენელია. სამამილოდ საჭირო ვახდებოდა მთელი საბჭოთა ხალხის განადგურება, ეს კი შეუძლებელია. ვე და შენ, მაგალითად, პარტიის წევრები არა ვართ, მაგრამ საბჭოთა ხელისუფლების ბარეშე სიცოცხლე ვერ წარმოგვიდგენია. აი, მე, მაგალითად, დიდი ხნის დაოუკეთი ვიქნებოდი, რუტინის, ძველი ადათის მსხვერპლი...

— ეს ყველაფერი ასეა, ღმერთმა ჯანი მოგცეს. მაგრამ გერმანელთა ჯარები რომ მაინც ვოლგაზე არიან?

— მერე, რა ვუყოთ! მოსკოვთანაც იყვნენ, მაგრამ გაიგეცეს, და ისიც დიდი დანაკლისი.ი. მთელი მოსკოვის მიდამოები მათი გვემებითაა მოფენილი. ვოლგიდანაც გავდევნით, ეს მწვანეა. აი, ნახავ.

— ვინც ნახავს, ღმერთმა მშვიდობა მისცეს,

ზოგი კი ვერ ნახავს. ეს ჩვენი ბრძოლები ოფთალმფრინველებთან, ისიც ყინულოვან ოკეანეში, შენი არ ვიცი და მე კი სულ არ მომწონს. ხომ გახსოვს, წინა ბადრაგი რომ გერმანელებმა მთლიანად დაანადგურეს? მაშინ საბრძოლო გემებიც დაიღუპნენ. იგივე შეიძლება მოუვიდეს ჩვენს ბადრაგსაც.

— რაც მართალია, მართალია! — დაუდასტურა სუფევლინმა. — ომი ომია. და რაც შეგვეხება ჩვენ, ჩვენ სამხედროები ვართ და შეგვიძლია ყოველ ომში დავიღუპოთ, მაგრამ ჩვენი საქმე არასოდეს არ დაიღუპება, რა ძვირადაც არ უნდა დაგვიღეს ეს გამარჯვება.

— აი, უბედურებაც მაგაშია. მე ფანატიკოსი არა ვარ, და ჩემი დაღუპვის შემდეგ ჩემდა ამად თავად სულერთია, ვინ ვის მოერევა, ჩვენ ვები თუ ფაშისტები. მე მგონია, შენც, ღმერთმა ჯანრთელობაც, ასევე უნდა ფიქრობდე, თუ ნორმალური ადამიანი ხარ, რა თქმა უნდა. მგონი, ამიტომაც არა ხარ პარტიის წევრი, რომ ფანატიკოსი კი არა ხარ, არამედ ნორმალური ადამიანი.

დერეფნის ბოლოში ისევ შიკრიკი გამოჩნდა და შორიდანვე განაცხადა, გემის უფროსი ლეიტენანტ ბოენიაკს ბოგიტზე იწვევსო.

გემზე მართლაც გაისმოდა ბრძანება, რაც სამეთაოო ბოგირიდან მოდიოდა: „შემოშეშეთ ქარიშხლის საშინაოდმდგო სამაგრები, მოსალოდნელია ამინდის გაუთანხლებს!“ მაგრამ სუბელეანი რეპროდუქტორს არ უსმენდა. ისე გამოიყვანა წონასწორობიდან რაღაც უზიამვა საუბარმა ბოენიაკთან, რომ სხვა საგანზე ფიქრის ღონე აღარ ჰქონდა. მეტისმეტად უმძიმდა იმის შეგნება, რომ გვერდგვერდ მსახურობდა ისეთ ჩამორჩენილ თუ მბდალ ადამიანთან, როგორიც ბოენიაკი აღმოჩნდა.

კაიუტაში დაბრუნებული სუბელიანი დიდხანს გონს ვერ მოეგო. რაზედაც არ უნდა დაეწყო ფიქრი, ისევ და ისევ იმ საგანს უბრუნდებოდა. თვალწინ ედგა ანა ბოენიაკი, არამედ წელში მოხრილი ვერაგი კაცი.

კაიუტაში დაუკაკუნებლად შემოვიდა სტიოპა და მოახსენა, რომ სანიტარულ ნაწილში ქარიშხლის საშინაოდმდგო სამაგრები შემოწმებულია, შენიშვნები არაა, ყველაფერი წესიერადაა. მატროსმა ნებართვა ითხოვა და გაბრუნება დაიპირა, მაგრამ ექიმმა მოულოდნელად ჰკითხა:

— სტიოპა, შეიძლია ჩემთან ამსოლუტურად გულახდილი იყო? გვულისხმობ ისეთ რამეებს, რაც არ არის სალაპარაკო მეზღვაურებთან, უფროსების დასწრებით.

მეზღვაურმა წარბები გაიღიმა, გაოცებით აიჩეჩა მხრები, ერთ ადგილზე ტოკვას მოჰყვა, კეფა მოიქცევა და ფრთხილად გამოცარა:

— ამხანაგო ექიმო, მე ისედაც ყოველთვის გულახდილი ვარ თქვენთან, და... არც სხვები გიჩიდებიან.

— არა, სტიოპა, მეტი მინდა ვიცოდე: რას ფიქრობთ, მაგალითად, ჩვენი გემის ოფიცრებზე? ლბათ სათითაოდ გვმორავთ და გვაბასიერებთ, როცა მარტო რჩებით ხოლმე?

— ჰო, ეს მართალია, ამხანაგო ექიმო! — მეზღვაურს სახე ღიმილით ვაებადრა. — რაც არის, არის.

— ეს ხომ ვიცი, მეც ოთხი წელიწადი ამატროსობდი, ვიცი, რითაც სუნთქავს თქვენინი. აი, ჩვენთან, კატერებზე, სადაც სამსახუს ვიხდიდი, ოფიცრები ცოტანი იყვნენ და მეზღვაურები ყველას მეტსახელით ნათლავდნენ.

— ამხანაგო ექიმო, მაშ თქვენც იყავით მატროსი? — აშკარად გაუხარდა სტიოპას. — ის არ მიკვირდა? ეს კაცი იენობს-მეთქი ჩვენს გულს, ყველგან და ყველაფერში ოკრძნობს, რომ ჩვენთვის ზრუნავთ. ხშირად მიფიქრია, მატროსობდა უთუოდ-მეთქი.

— კმარა, ნუღარ გაიმეორებ მაგ სიტყვას, თორემ უფროსს თანაშემწე ძმარს გადეწს. საერთოდ, ენის დანაგვიანება არ ვარგა უენაური სიტყვებით, მხოლოდ ხუმრობით თუ იტყვის კაცი, და არც ესაა სასურველი. სიტყვებს დამახინჯებაზე აგებული ნაკვესიც მუდამ უგემური და უფერული გამოდის. რაც შეეხება ზრუნვას, წესდებას თანაბამდ, ყოველი ოფიცერი ვალდებულია ყოველნირად იზრუნოს მეზღვაურების კეთილდღეობისათვის.

— სწორედ ასე გახლავთ, ამხანაგო ექიმო, ასე. რამდენი ხანია ემსახურობ და ყველა ოფიცერი ზრუნავს. ყველა თავისებურად, მაგრამ ზრუნავს. აი, ჩვენს „სტარშინაზე“... მეცა და სხვებნაც ვამბობთ, ყველაფერი რიგზე არ არიაო. იქნებ არ არის მართალი, — მეზღვაურმა ისე ჩაახვედა, თითქოს დრო გაკავსო, — მაგრამ ჩვენ, პატარა ადამიანებს, ასე გვეჩვენება...

— აბა, აბა! რა გეჩვენებათ? ჩვენ ხომ შეეთანხმდით გულახდილობაში?

— აი, ოფიცრები კერილნეკო და ბოენიაკი რაღაც სხვანაირები არიან და არავის არ ვვიკვარს, — ამოღერღა მატროსმა და თითქოს ეხრიბდან ტვირთი გადაეგდო, ისე ამოისუნთქა.— იქნებ ეს ცოდვაცაა, მაგრამ ჩვენ, პატარა ადამიანებს, მეტი რა მოგვეთხოვება?

— აბა რას ამბობ, უფროსი თანაშემწე მკაცრადაც უნდა მოექცეს მეზღვაურებს, მაშ აბა რისი უფროსი თანაშემწეა? — სუბელიანი წამოდგა და გაიარ-გამოიარა. — იქნებ ამიტომაც არ მოგდით თვალში?

— არა, ამხანაგო ექიმო, ეს ასე არაა. ყველაზე მეტი მომეხოვნინ გემზე კომისარია, მაგრამ ყველაზე მეტად მეზღვაურებს ის უყვართ. ვინც რამეს დაპშავებს, მაშინვე ვირის ბანაში გზავნის, უფროსის თანაშემწე კი წესიერად აბაგის არ სჯის. კომისარი, უბრალოდ რომ ითქვას,

ნამდვილი ადამიანია. ალალი გული პატრონია... იმათი კი, რა მოგახსენონ.

— მაინც არ მეტყვი, რა აკლათ? ასე უბრალოდ ახსნა როგორ იქნება?

მეზღვაურმა მხრები აიჩეჩა, ვერაფერი პასუხი ვერ იპოვნა და უმჯობესად გადახედა ექიმს, თითქოს ვეედრესა, ნუ მაიძულებ, რომ პასუხი გაგცეო.

— მაინც რატომ არ გიყვართ უფროსის თანაშმწე და იგივე ბოგნაიკი? დფფიქრებულხარ ამაზე? ეს ოფიცრები კარგად ასრულებენ უფროსის დავალებას, აქვთ ავტორიტეტი, თქვენც ადექით და შეიძულეთ. მაგ რა მოხდა?

— არც ჩვენს უწინდელ წინამძღოლს, უყვარდა, — თითქოს საკუთარი სიტყვებისა ეშინიათ, ისე წამოძახა სტიბამპმ. — ახალი უფროსი კი როგორღაც თვითნაც ისეთი კოქია, როგორიც ეს კუნილია და ბოგოლიები.

— როგორც ვხედავ, ოფიცრები უკვე შეგიმკიათ ზედწოდებებით: „კუნილია“, „ბოგოლიები“... საინტერესოა, მე რას მეძახით?

— თქვენ „ზღვის სული“ გიწოდეთ. „ზღვის სული და გული“...

— ეს ალბათ დაცინვით. სპეციალური სახელეაო განათვალა არ მიმიღია, როგორც ოფიცერს, და უცად „ზღვის სული“ როგორ გავხდე?

— ჩვენ, რა მოგახსენონ, შეგისწავლიათ თუ არა რაღაც საზღვაო გრამატიკა, მაგრამ ამას კი ვხედავთ, რომ ნამდვილი მეზღვაური ხართ. შვიდი, უდრეკი, უშიშარი, მომთმენი, ამტანნ... რაც შეეხება ცოდნას, ჩვენი უბრალო ქკეთან გვგონია, რომ იმ კუნილიაზე მეტი იცით. როცა გვედის, მოგვაცხო, არ არისო სწორი პასუხი, როცა პასუხი სწორია. თქვენ კი ვემის ოვალეულის ყველა წერილმანზე სწორი პასუხი გაქვთ. გამოდის, რომ თქვენ იცით, იმ კუნილიან კი არ იცის...

— ამისი განსჯა კი თქვენი ვალი არ არის, — მიეკო სუბლიანმა. — თქვენცა და მეც უფროს თანაშემწეზე ნაკლები ვიცით, ის კაცი — მეზღვაურია.

— არა, ამხანაგო ექიმო, ჩვენც ვიცით ვემის ალსაბამა. როგორც ტკევან, საკუთარი ხეთი თითივით ვიცით, კუნილიან კი...

ექიმი და სანიტარი დიდხანს საუბრობდნენ. სუმამ მხოლოდ მაშინ იგრძნო გაძლიერებული რწევა, როცა მარტო დარჩა და კარი მიხურა. კარი უეცრად მთელი ძალით მოწყდა ადგილიდან და ჯახებით დახეთრულ კარს მიეჯახა. „შტურმანის პროგნოზი მართლდება“, — გაიფქრა ბრაზმორეულმა სუბელიანმა. ალპაკის სამოსი ჩაიცეკა, წყალგაუვალი მუზარადი დაიხურა და ზედა გემბანზე ავიდა. გზად ავადმყოფოთა ნახვა გადაწყვეტა. ორივე ავადმყოფი თვალებდაჭყეტილი იწვა. როგორც კი ექიმი შენიშნა, ჩიბისოვმა ცხრაფი დაიწყო!

— ამხანაგო ექიმო, მსზვილკალბრიანი ტყვიიამფრქვეველ დამაგრება საეჭვოა, უნდა ვგრძნობ. სინჯოს. როცა მე არ ვიყავი, ნაღდი საქმეები ... ...

რომელსაც ცალი ხელით ქუდი ეჭირა, რომ ქარს არ მოეგლიჯა თავიდან. — ასეთ ამინდში ჯობს კაიუტაში იყო, დაკიდებულ საწოლზე ირწეოდა.

ბოკუჩავას კაიუტაში სივიწროვე იყო, მაგრამ სასიამოვნო მყუდროებაც სუფევდა. საწოლთან მიდგმული პაწაწინა მაგიდა ისე იყო სუნამოებით, ოდეკოლონებითა და ყვავილებით მორთული, რომ ქალწულისა გეგონებოდათ. გვერდით, გემის ქიმში ჩატანებულ პატარა კარადაში ეწყო წიგნები რუსულ, ქართულ და ინგლისურ ენებზე. სუფლანმა კარადიდან ამამიღო პირველი წიგნი რაც ხელში მოხვდა. ეს აღმოჩნდა შტეფან ცვაიგის თხზულებათა ტომი.

— რას ფუფრავ? — ბორისმა დაუდეგრად შეიწმინდა სახე.

— ჰო.... აი, ჩემს ძველ მეგობარს შევხვდი... ვისაც რა ენებოს, მე კი მისი „მაგელანი“ მიმიჩნია დიდად მხატვრულ ნაწარმოებად.

— წიგნები, ჩემო მეგობარო, ერთადერთი სიამეტდო თავშესაფრებია ამ მერწეკ ტალღებში, — აქ ბოკუჩავა კინაღამ წოიქცა. — მაგრამ დღეს მეტისმეტი მოსდის ამ ქარიშხალს. — დახუჭულ ილუმინატორში ჩიხედა, გარეფთან რომ ჰქაფებული ტალღებით იყო დაფარული. — ო, რა გაბორიტებულია ეს სტიქია! ქარი წეწავს მაგელანის იალქნებს.

რეპროდუქტორებმა დაიხრიალეს, ბოგირიდან ატყობინებიდნენ, ქარის სიმძლავრემ თერმიტ ბალს მიაღწია და აუცილებელია მთელი საავარიო მოწყობილობის სახელახელოდ გამზადებაო. მოსალოდნელი იყო ფერდის შენგრევა და ზღვის წყლის შემოჭრა.

ეიღრე თავის კაიუტას მიაღწევდა, სუმა რაკეან რამდენჯერმე დასცა, ისე რომ ყოველ წუთს ელოდეს ეხეთქებოდა მთვრალივით. ასეთი რაკეა ჯერაც არ მოსწრებოდა. ქიმზე მეხთამტეხი ტალღების დაჯახების ხმა სიღრმის ბომბების შორეულ აფეთქებას მოგაგონებდათ და ყოველი ახალი დარტყმა წინანდელზე ძლიერი იყო. ლაზარეთში ავადმყოფები თავიანთ დაკიდებულ საწოლებზე ისე ქანაობდნენ, თითქოს საგანგებოდ არწევენო მთელი ძალით. უჩვეულო ხახუნისაგან მექანიზმები უწყალოდ ჭრიალებენ, თითქოს სნეული ბუმბერაზი კბილებს აკრაჭუნებსო, სადღაც ფოლადის ლუკები ჯახუნით იხურებოდნენ, როგორც სიმპლეგადების კლდეთა კედლები, იგივე მოსდიოდათ კარებს, სტალდებს. ზედა გემბანზე მონავარდე წყალთა ნაკადი მორეულ ლუკებსა და კარებში შედიოდა, შიგ გემში იერებოდა. საქაჩავი მოწყობილობა მთელი ძალით მეშაობდა, ტონობი წყალს ღერღი ქიმის გადადგა. ძმიმე გამოცდაზე დაეყენებინა სტიქიას სასკალო ნაღმისანი.

— ცა როგორია, ამხანაგო ექიმო, შეიძლება გაგება? — ჩიბისოვმა დასწრო სუფლიანს, რომელსაც ჯანმრთელობის მდგომარეობა უნდა ეკითხა. — თუ ასეთ ჯოჯოხეთში ცა მოწმეებ[illegible]ლია, გერმანელებს შეუძლიათ ჰაერიდან [illegible] ირიში გაგვისწორონ, ნათელი საქმეა.

— ძალიან დაბალი და სქელი ღრუბლებია. წამდაწუწამ თოფლის ბაფთა გვფარავს, — სუბეილანი ძლივს იქერდა თავს პილერსზე. — ისე რომ, ბადრაგი, შეიძლება ითქვას, ქალღმერთმა ნისლით დაბუნა და უშიშრად მიიწევს წინ. ახლა ვერც ნავი დააკლებს რასმე და ვერც თვითმფრინავი. ჩვენი მდგომარეობა ცოტა უარესია, მაგრამ ეს არაფერია. მთავარია ბადრაგმა ტეირთი მშვიდობით მიიტანოს დანიშნულ ადგილზე. სტალინგრადს უჭირს, მოზდოკთან მტერია, ვორონეჟს იარაღი ესაჭიროება — ყველაზე იარაღი და სანოვაგეკი საჭირო.

— რა თქმა უნდა, ექიმო, ჩვენ, ნაღდი საქმეა, მოვითმენთ, ოღონდ ბადრაგი მივიდეს ადგილზე, — დაუმოწმა მატროსმა. — ქვეყრმაღლებმა ისედაც ბევრი ზიანი მოგვაყენეს.

— ისე კი, ჩვენს შორის რომ ითქვას, არც ჩვენ გვაწყენდა გადარჩენა, — თითქოს თავისთვის ჩაიბურტყუნა ონუფრიენკომ.

— გადავრჩებით როგორმე, — თითქოს კასრიდან ამოსძახა გოლოშეკსკომ. — გადავრჩებით და ფაშისტებსაც გავწყვეტთ, მკერდს შევუნვრევთ.

— ო, შენა შუბლი რას არ შეანგრევ, ლამის გემს შეუნგრევ ფერდი, — გაეხუმრა ამხანაგს ჩიბისოვი. — ოღონდ მორჩი და ტაკეი რას გაკნებს!

— შენი შერეყეული ტვინი რომ მორჩეს, იმედი მაქვს, ვედარე იქ შეაღწევს ერთი ჭკვიანური აზრი, — ვალში არ დარჩა გოლოშეკსკი.

— პირიქით, სულ რჩეული აზრები მოუვა, რადგან გზა გაეხსნათ, — ხუმრობით შეედავა ექიმი...

ეეეცრად. თითქოს ბრაგებს დაეჯახაო, გემი შეირყა. ძლიერი დჯახება, კიდევ და კიდევ. თითქოს მოკრეკე ღრეჩონი უშენსო ფოლადის მუშტებს! სუბეილანი ასეთ შემთხვევას არ მოელოდა, პილერსს მოწყდა, კუთხეში აღმოჩნდა, ონუფრენკოსთან ერთად, თავდაყირა დაკეფილი. ეემი ძლიერ გადიხარა მარცხენა მხარეს და კარგა ხანს ასე დარჩა, თავდაპირველ მდგომარეობას აღარ უბრუნდებოდა. რა უნდა მომხდარიყო?

მთელს გემზე გაისმა საავარიო განგაშის სიგნალი, რასაც მოჰყვა ბრძანება: „მოაბდინეთ სამანქანო განყოფილების იზოლაცია!“

ყველა მიხვდა, რომ მანქანებმა მეშაობა შეწყვიტეს, სასკალო ნაღმისანს სელა არ ჰქონდა და გაშმაგებული ტალღები თავიანთ ნებაზე ათამაშებდნენ. თანდათანობით, ზანტად და უხალოდ გასწორდა გადახრილი სასკალო ნაღმი-

სანი, „გაუმარჯოს ბელ“ დახრილობას თავი დაადწია და „სტარშნმა“ ისევ დაიწყო ორსავ ქმბზე რწევა, მაგრამ ახლა სპეციალურერო ინარჩარმალური მდგომარეობა შეიქმნა: გემზე აღინიშნა მტკიცე, თითქმის უეცელი დიფერენტი ეიჩოს მხარეს. ეს რა უნდა ყოფილიყო? ყველას წუწუნდა ეს კითხვა, მაგრამ არაფის არ უკითხავს ამ ავბედით მოვლენის მიზეზი.

მალე რეპროდუქტორმა აუწყა ეკიპაჟს: „ტალღამ გემს ეიჩო მოაგლიჯა. ყველა საავარიო საშუალება გამოიყენეთ ავარიასთან საბრძოლველად!“

ავარიებსულია ფლოტის სიიდან

აღმირალი წუნარი ნაბიჯით დადიოდა ფართო, ვასსიიოსნებულ დარბაზში და ისე ფრთხილად ადგამდა ფეხს, თითქოს დუმილის მცირეოენი დარღვევისაც ეშინოდა. რბილი კიკვასიფრი ფეხსაცმელი ეცვა. ყუბანელი კაზაკისა და ყაბარდოელი ჭალის შვილი, ახსენ გრიგოლის-ძე გოლოვკო, თავს კიკვასიელად თვლიდა და ამაყობდა თავისი ჩამომავლობით. ფეხსაცმელს მარილაც მუდამ მთიელთა მანერაზე იცვამდა, თუმცა ამით ერთგვარად არღვევდა სამხედრო კაცის წესდების მოთხოვნებს. არწივისებური თვალებით, რომელთაც ხშირი წარბების შავი რკალები შშვიდებეზით ეკლებოდა, გაკრიალებული პარკეტის იატაკს დასცქერიდა, ეზრით კი სადღაც შორს დაჰქროდა, ყინულოვან ჩრდილოეთში, ოკეანეში, სადაც ახლა შეუტოვარი ბრძოლის ასპარეზი გადაშლილიყო, სამკედრო-სასიცოცხლო ორთაბრძოლაში ჩაბმულიყო საბჭოთა და ინგლის-ამერიკელთა ფლოტი ფაშისტურ საზღვაო და საჰაერო ძალებთან. დროგაბმულებით ადმირალი კაბინეტის ბოლოში დადგმულ უზარმაზარ მაგიდასთან მიეიდოდა. ოპერატიული მდგომარეობის ამსახველ რუკას დახედავდა და ისევ ბოლთის ცემას მოჰყვებოდა. დუმილს არღვევდა მხოლოდ კედლის საათი, რუკით დაფარული მაგიდის თავზე რომ მომაბეზრებლად ტიკტიკებდა. ამ ღრმა მიწისქვეშეთში კედლების მაგიერობას ასრულებდა მრავალმეტრიანი სისქის კარგად დამუშავებული გრანტი.

1942 წლის შემოდგომისათვის ჩრდილოეთის ყინულოვანი ოკეანის სამარინი მოქმედების თეატრში საბჭოთა სარდლობა მძიმე მდგომარეობაში ჩავარდა. ჰიტლერელებმა თითქმის შთელი თავიანთი საბრძოლო ხომალდები აქ მოყარეს, უამრავი ყაალქვეშა ნავი და ავიაციაც მოაშველეს. მთელი ეს ძალები აღეურველი ჰყავდათ უახლოესი ტექნიკით, თანაც საკმაოდ მდიდარი საბრძოლო გამოცდილება ჰქონდათ. ჩვენი ჩრდილოეთის ფლოტი ყველა სხვა ფლოტზე ახალგაზრდა და მცირერიცხოვანი იყო. და ბედის ახრეგნით მოხდა სწორედ ისე, რომ ამ ფლოტს მოუხდა გამკლავება ფაშისტური საარდლობის უზარმაზარ ძალებთან. სწორედ ამ ჩვენს ფლოტთა შორის ყველაზე ახალგაზრდა და რიცხვმცირე ნაწილს მოუხდა წინ აღდგომა გერმანელთა მიზნისაკენ, რომ მოესპოთ ეს საშინელი სამხედრო ძალები ბარენცის ზღვაში, მოეშალათ კავშირი გარე სამყაროსთან ირხანგელსკისა და მურმანსკის გზით და ამრიგად მოესპოთ ჩვენთვის საარსები წყარო, საბრძოლო ტექნიკისა და სურსათის მოწოდება ჩვენი დასაყენელი მოკავშირეებისაგან. სტალინგრადის დაცვის უმძიმეს დღეებში ფაშისტებმა განსაკუთრებული დაფინანთნი სცადეს თავიანთი მიზნის მიღწევა ჩრდილოეთის მიმართულებით, რათა ხელი შეეწყოთ სტალინგრადის დაცემისათვის. გერმანელებმა ჩრდილოეთში გადაისროლეს, ეგრეთ წოდებული, ჯიბის სახაო გემი „ტირპი“, ორი კრეისერი „ადმირალი შეერი“ და „კელნი“. ათამდე საესკადრო ნაღმისანი.

ინგლისიდან საბჭოთა იმიერპოლარეთამდე მიმავალ მთელს გზაზე განეწყვეტელ დათარაშობდა გერმანელთა ოცი წყალქვეშა ნავი და განეწყვეტელ ნადირობდა ბაღრაგებზე. საბრძოლო მოქმედება მტრის საზღვაო და საჰაერო ძალებთან წარმოებდა უზარმაზარ გზაზე ჩრდილოეთ ინგლისის ნავსადგურებიდან, ვიდრე ლაპტევების ზღვამდე. ჩრდილოეთის ფლოტის შტაბში განეწყვეტელ მოდიოდა ზღვაში მოქმედი გემების გაერთიანების უფროსთა მოხსენებები ფრონტზე არსებული მდგომარეობის შესახებ. სარდალი მაშინვე იღებდა გადაწყვეტილებებს შემდგომი მოქმედების შესახებ, შტაბი კი გამოიმუშავებდა ხალმე პრაქტიკულ ღონისძიებებს ამ გადაწყვეტილებებზე განსაზოგიელებლად, და საბჭოთა კავშირის უჩინარი არხებით გადასცემდა ჩრდილოეთ ეკრობის უზარმაზარი აქვატორიის სხვადასხვა მხარეს. აი, ახლაც აღმირალ გოლოკოს კაბინეტის მეზობლად იმუშავებდნენ იმ ფაშისტურ საესკადრო ნაღმისანთა სრული განადგურების გეგმას, რომელთაც იუგორსკი შარის რაიონში ჩვენს ფლოტთან ბრძოლაში მარცხი განიცადეს და დასავლეთისაკენ დაიხიეს. იმ ბრძოლაში ერთი საესკადრო ნაღმისანი ჩაიძირა, ორი კი დარწმუნდა სრულიად გაჭრის ცდის ამაოებაში, ამიტომ მიატოვეს კარის ზღვაში შემოსვლის განზრახვა, ისარკებლეს ეუფი ხილვადობით, ქარიშხლიანი ამინდით, და დასავლეთისაკენ დაიხიეს. ჩრდილოეთის ფლოტის სარდალმა გადაწყვიტა მტრის საესკადრო ნაღმისანთა განადგურება, რათა არ დაეშვა მათი გასვლა „კიუ-18“ ბაღრაგის გზაზე. თორემ ბაღრაგთან მებრძოლი გერმანელთა ძალები კვლავ უფრო გაიზრდებოდა.

კარზე დაკაკუნეს. აღმირალი ელოდა შტაბის უფროსს და მის ოფიცრებს, რუკებთნი და მტრის განადგურების გეგმით აღეურვილნი. ამის ნაცვლად კაბინეტში შემოვიდა მეკავშირე მორიგე და სასწრაფო გაშიფრული წერილი შემოტანა. სარდალმა ერთბაშად ვერ მოსწყვიტა მზე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რა ავბედით ქაღალდს. ორჯერ დაკვირვებით წაიკითხა, მაშინვე შუბის უფროსი დაიბარა, მერე მაგიდასთან მივიდა, რუკაზე დაიხარა, ფარგალი შემოხაზა კოორდინატები და ერთ წერტილზე ფანქარი დაკარა.

— აი, აქ განიკადა ავარია მალინოვსკიმ, — შეშდიდა, თითქოს ისეთი არაფერი მომხდარიყოს, ათეული შუბის უფროსს, რომელიც ის იყო შემოვდა. — საესკადრონ ნაღმოსანს ტალღამ კიბო მოატეხა ზედ სამანქანო განყოფილებასთან. კიბო ჩაიძირა და ვინც იმ განყოფილებაში იყო, დაიღუბა. წაიკითხეთ შიფროგრამა! — მოგრძო ცალისებურ სახეში შეხედა შუბის უფროსს და ჩვეულებისამებრ ბოლთის ცემა გაწაგრძო კაბინეტში. ერთხანს სარდალი დუმდა, ოღონდ ახლა უფრო მტკიცე ნაბიჯით დადიოდა, და ჩუჩუნი უშლიდა მოწაყნეულ საზღვაო საათს, კედელზე რომ ეკიდა. უეცჩეელი, ორიეულ თავში ქრიშმალივით დაჰქროდა შექმნილი მდგომარეობიდან გამოსავალის საძიებელი ვარიანტები. ორიეე ადმირალი ოცდაჩვიდმეტე წლისა იყო, ორივე შემომქედებით ძალუბს გაფფრჩქენსა და საბრძოლო სულისკეთების ალმევლის ასაკში შეიდა, ამასთან საკმარისი საბრძოლო გამოცდილება ჰქონდათ და არც კეთილგონიერება აკლდათ, რომ ნაჩქარეი გადაწყვეტილება არ მიეღოთ, საზღვაო ოპერაციები ნაუეცბათეკად შედგენილი გეგმით არ ჩაეტარებინათ. ახლაც ყოველ ნაბიჯს წონიდნენ, ყოველ წერილებს, ბრძოლის ყოველ ეარიანტს წერილად არჩევდნენ.

— სტეფანე გრიგოლის-ძეე, — ადმირალი შუბის უფროსის პირისპირ დადგა. — გადაწყვეტილება ასეთი იქნება: ფაშისტების საესკადრონ ნაღმოსნებს დავიდეენთ „რაზიარიონი“, „გრემიაშჩი“, „სტრემიტელნი“ და აეიაციეა. ეს საკმარისი იქნება მტრის გასანადგურებლად. ჩვენი „სტარშნას“ ეკიპაჟის გადასარჩენად კი გავგზავნთ საესკადრონ ნაღმოსნები „ეერიკეა“, „ეუიბიშევი“ და „რაზუმნი“. მაგრაგში კი მათ შეაკვლიან საესკადრონ ნაღმოსნები „ბაკო“, „სტალინსაადი“ და „თბილისი“. ჩაატარეთ აუცილებელი გაანგარიშებანი, გაეცით ბრძანება-განკარგულებანი შემსრულებელთ.

კაბინეტიდან შუბის უფროსის გასვლისთანავე სარდალთან შემოვიდა საქმის კარგი მეცოდე ფლოტის სამხედრო საბჭოს წევრი ალექსეი ბიკოვი, ტანად მძიმე და ავადმყოფობით ოღნავ მოტეხილი კაცი, რომელიც ყოველ ნაბიჯს ფრთხილად ადგამდა, თითქოს ეშინია, წონასწორობა არ დაკარგოო. მაგრამ უჩვეულოდ გაწოლილეული სახე ამხელდა მის მღელვარებას, გამოწვეულს ავარიის საქმესთან ახლო გაცნობით.

— თქვენ მართალი აღმოჩნდით, არსენ გრიგოლის-ძეე. — ჯერ კიდევ ზღურბლიდან დაიწყო ბიკოვმა, — არ შეიძლებოდა საესკადრონ ნაღმოსნის უფროსად იმ უნდილ და უმეცარ მალინოვსკის დანიშვნა. ვიდრე ასეთი კადრებიდან დაწინაურებაში ბიძაშვილობა — ნათლობა არ მოისპობა, ამნაირ უბედურებებს თავს ვერ დავიდეწევთ.

— სერგეი გრიგოლის-ძე უნიჭო ოფიცერი არაა, მაგრამ მეტისმეტად უყვარს თავისი საამხედრებრივი მდგომარეობის გამოყენება. ისეთი შთაბეჭდილებაა, ძალაუფლება რომ მისცე, მთელს საზღვაოფლოში ყველა თანამდებობაზე თავისიანებს დანიშნავს, ასე რომ დანარჩენებს თავშესაფარიც არსად დარჩებათ. პირდაპირ თავი მოგვიბერა თავისი ბიძაშვილის, ამ უნიჭო მეზღვაურის, დაწინაურების თხოვნით, და აი, შედეგიც ნეპოტიზმმა ასე იცის.

— საბედნიეროდ, გოროშკო

სამხედრო საბჭოს წევრი გვერდით იდგნენ და შემქმნელ ეთნიკურებას აკვირდებოდნენ. ორიეენ ერთი ფიქრი ჰქონდა: რა ვარიანტი მოეფიქრებინათ, რომ გასაჭირში ჩავარდნილები უფრო სწრაფად და წარმატებით გამოეხსნათ ხიფათიდან, როგორ მიეღწიათ მიზნისათვის, რომ გადაერჩინათ ასორმოცდაათზე მეტი რჩეული ზეზღვაური საესაკერო ნაღმოსნიდან, რომელიაც ავარია განიცადა.

კაბინეტში შემოვიდნენ ფლოტის შტაბის უფროსი და ოპერატიულ სამმართველოს ოფიცერი, ხელში რუკები და დოკუმენტები ეჭირთ. ადმირალმა მოკლე მოხსენება მოისმინა, შტაბის მიერ შემოთავაზებულ გეგმას გაეცნო, სამხედრო საბჭოს წევრს დაეკითხა და დოკუმენტებს მაშინვე ხელი მოაწერა.

ასე გადაწყდა: საესაკერო ნაღმოსნებს „კუტიბიშევს“, „რაზუმნის“ და „ურიეკის“ დაზიანებული საესაკერო ნაღმოსნის პოვნა ეკალეთხოდათ. გემი ბუქსირზე უნდა აეყვანათ და ბაზაში მოეყვანათ. თუ ბუქსირი არ მოხერხდებოდა, ეკიპაჟი მაინც უნდა ეხსნათ.

მალე შტაბის გადაწყვეტილებას ეთერის ტალღები ყოველ მხარეს მიაქროლებდნენ, მთელი საბრძოლო თეატრის სიერცეზე.

ორივე ადმირალი და სამხედრო საბჭოს წევრი ფეზმოუცველად იდგა საუფროსო პუნქტში. ადმირალი ბოლთას სცემდა კაბინეტში, იშვიათად იყურებოდა ოპერატიულ რუკაზე, იძლეოდა მითითებებსა და განკარგულებებს, ხოლო შტაბის უფროსი და სამხედრო საბჭოს წევრი თითქოს მიწებებული იყვნენ რუკაზე, იშვიათად იტყოდნენ სიტყვას, და ისედაც დაზეპირებულ ეთერებას კიდევ უფრო ღრმად ეცნობოდნენ.

სამოცდამეთოთხმეტე პარალელზე მომზდარი ამბავი სამივეს ძლიერ აწუხებდა. არც ერთს არ უნდოდა თავისი მმიმე ეარაუდებით სხვათა ფალონება, მაგრამ ყველანი უმძიმეს ბოლოს ელოდნენ. ტალღებში გადატეხილი საესაკერო ნაღმოსნის ეკიპაჟის გადარჩენა მეტისმეტად მძიმე საქმე იყო.

„სტრაშნის“ უფროსი იტყობინებოდა, საესაკერო ნაღმოსანი ექვს საათზე მეტს ვერ გაძლებსო, რადგან იძირება ის, რაც ახლა უკვე კიბოდ უნდა ჩაითვალოსო, იძირება ოკეანა ნაკეეთერები, დიფერენტი მატულობს და გემი თანდათან ფსკერისაკენ მიიწევსო.

საღამოს შიფრიანი წერილი მოუტანეს, მალინოვსკი „სტრაშნის“ კატასტროფის ამბავს ატყობინებდა დაწერილებით.

ამინდი ისევ გაუარესდა, სულ მალე ქარის ძალამ 11-12 ბალს მიაღწია ბოფორტის შკალაზე. „სტრაშნი“ სრულიად დაჯახნა ტალღამ, რომელიც მარჯვენა ქიმზე ურტყამდა. ტალღის ზემოქმედებით ძალის შემცირების ცდამ სვლისა და კურსის მანევრით შედეგი არ გამოიღო. სვლა ზოგჯერ ექვს კვანძამდე მცირდებოდა, მაგრამ საქმეს არც ეს შველოდა. 14 საათსა და 36 წუთზე გემის კორპუსში ზედა ბანზე ეანგნნდა. მომდევნო დარტყმებმა გემს ციხის ნაწილი მოაგლეჯეს, თითქოს დანით გადაკეთხა ეს სამოცდაშეკვეტე შპანჰოუტზე, შეიდი წუთის შემდეგ კი მოტეხილი ნაწილი ჩაიძირა ექვსმეზღვაურთან ერთად, რომელთაც ბანი მიტოვება ვერ მოასწრეს. ციხის ჩაძირვის დროს წყალში მოხდა „სტრაშნიზრი ძალის აფეთქება: ჰაერში წყალთა ნაკადთან ერთად აფრინდა სიღრმის ბომბების მთელი სერია, ციხის მხარეს რომ იყო მოთავსებული. ცხერის ნაწილი წყლით აიკსო, რადიოაპარატური მწყობრიდან გამოვიდა, მაგრამ ის შედარებით მალე ისევ მწყობრში ჩაყენენს. ასე რომ, 14 საათსა და 40 წუთზე მომხდარი კატასტროფის ამბავი უკვე სარდლობას შეატყობინეს.

ოპერატიული შტაბის მოხსენებას რომ ისმენდა, სარდალი თითქოს არც კი სუნთქავდა. მოხსენების დამთავრების შემდეგ კი ისევ დაიძრა და შარელის ჯიბეში ხელჩაყოფილი განაგრძობდა ბოლთის ცემას კაბინეტის გარშემო.

— თქვენი აი ვიცი და მე კი აღმაშფოთებს თვით კილო ამ ცნობისა, — გოლოვკო მაგიდასთან მდგარ შტაბის უფროსსა და სამხედრო საბჭოს წევრს მიებრუნდა. — მოხსენებაში ერთი სიტყვაც არ არის ნათქვამი კატასტროფის ნამდვილ მიზეზებზე. ზღვაში ხომ ათამდე საესაკერო ნაღმოსანია, გადატყდა კი მხოლოდ ერთი, რომელსაც ის ლენინ უფროსობს...

— აი, ასეთები არიან ყველა უმწიფარნი, — ამოოხრა სამხედრო საბჭოს წევრმა. — თვითდაჯერებულნი, ყველაფერს რომ ჰკიდებენ ხელს, სინამდვილეში კი არაფრის უნარი არა აქვთ! თავიანთი ამოცანის მთელი სიღრმის გაგების ჭკუაც კი არ გააჩნიათ.

— რა ვითარებაა ამჟამად 74 პარალელზე?

— „სტრაშნი“ ძლიერ დრეიფშია, — დაზეპირებულივით მოახსენებდა ოპერატიული განყოფილების უფროსი. — ჭარი ოთხ მილზე მეტი სისწრაფით მიაქროლეს საათში. ცოტა იმედია, რომ ზშირი თოვისა და ცუდი ხილვადობის პირობებში საესაკერო ნაღმოსნები მალე იპოვნიან ავარიულ გემს, მაგრამ „რაზუმნი“ უკვე მივიდა რაიონში და რადიოპელენგატორის შემწეობით შეუდგა ინტენსიურ ძებნას. თუმცა შტორმი მძვინვარებს. მაღალი ტალღებია და უაღრესად არახელსაყრელი მეტეოროლოგიური პირობები, მაგრამ გემი ოცი-ოცდაორი კვანძის სისწრაფით მიდის საათში და ძლიერ აქტიურად ეძებს.

გოლოვკომ რამდენიმე ნაბიჯი გადადგა, შემდეგ ისევ მიუბრუნდა მაგიდასთან მდგარ იდმირალუმს და კომენტარებზე გადავიდა:

— მიაქციეთ ყურადღება: „რაზუმნი“ ოცდაორი კვანძის სისწრაფით დანავარდობს თორმეტბალიან ღელვაში და არ ტყდება, „სტრაშნიმ“

კი იმავე პირობებში კუდი მოიტეხა. რას იტყვით?

არსენ გრიგოლის-ძის ამ კითხვაზე მსმენელმა მხოლოდ თავები გადაკქნეს, თქმა კი ვერაფრისა ვერ მოასწრეს. კარებში გამოჩნდა მეკავშირე ოფიციერი და ახლად მიღებული დავალება გადასცა.

ჩვიდმეტ საათსა და ორმოცდათხუთმეტ წუთზე ეპოვნა სასესადრო ნაღმოსან „რაზუმნის“ ავარიული გემი „სტრაშნი“ და მისულიყო მასთან დახმარების აღმოსაჩენად. მისი ადგილსამყოფელი აღმოჩნდა 75 გრადუსი და ერთი მინუტი, გრძედი 41 გრადუსი და 25 მინუტი. ეს ადგილი ოთხას ოცდათვრამეტ მილზეა კოლის უბის ჩრდილოეთით. „რაზუმნის“ უფროსი სარდლობას მოახსენებდა, სასესადრო ნაღმოსან „სტრაშნის“ გადარჩენას ვიწყებთ.

— გერმანელთა წყალქვეშა ნავებისათვის „ერგო“ სამაზნე არ იქნება მაღალ ტალღებში უმწეოდ მოქანავე ორი ერთიმეორეზე გადამდები სასესადრო ნაღმოსანი, — თქვა შტაბის უფროსმა.

არსენ გრიგოლის-ძემ მხოლოდ გადაბედა, მაგრამ არაფერი უთქვამს. — რა მანძილზე არიან კატასტროფის ადგილიდან სასესადრო ნაღმოსნები „ეუიბშეკი“ და „ურიეკი“? — ცივად იკითხა, ისე რომ ბოლოის ცემა არ შეუწყვეტია. — ყველაფერი რუკაზე გადაიტანეთ.

შტურმანი, რომელიც სულ რუკასთან იყო, დახრილი, უცებ წელში გასწორდა, სარდალს გამოეშვა და მოახსენა, რეკა მზად არისო.

გოლოკეკო მაგიდასთან მივიდა, ყურადღებით შეათვალიერა რუკა. დუმილი ტელეფონის ზარმა დაარღვია. ათამდე ასარატიდან, კუთხეში მიდგმულ პატარა მაგიდაზე რომ მოკალთებულიყო, მაშინვე შეარჩია ერთი, მორუხო ფერისა. მორიგე მეკავშირე ატყობინებდა უკანასკნელ ცნობას, რაც ზღვიდან მოსულიყო: სასესადრო ნაღმოსნები „ურიეკი“ და „ეუიბშეკი“ ხედავენ ავარიულ გემს, საშველად მიეშურებიანო.

— კარგია! — მსუბუქად ამოისუნთქა გოლოკომ. — „ეუიბშეკი“ და „ურიეკი“ ხომ „ნოვიკის“ ტიპის სასესადრო ნაღმოსნებია! ტალღებზე ჭკვიან ჩერდებიან, უფრო მოხერხებულიც არიან მაშველი მიზნებისათვის, ხოლო „რაზუმნიმ“ უზრუნველყოს მათი დაცვა მტრის ნავებისაგან. სხეთთა შორის, ჰიდროაკუსტიკური ასარატურაც „რაზუმნიზე“ უფრო სრულყოფილია.

— ამხანაგო სარდალო, — გაუბედავად მიმართა ოპერატიული განყოფილების უფროსმა. — უბედურება ისაა, რომ „რაზუმნიზე“ სათბობი ცოტა დარჩა, სადაც არის ბაზაში დაბრუნება მოუხდება, ნავთსაწინააღმდეგო დაცვა კი მოითხოვს ამტიკრ მანევრებს გემების გარშემო. იქნება ჯობდეს...

— ვიცი, — შეაწყვეტინა ადმირალმა. — მე შევიდე გადაწყვეტილება, სასწრაფოდ გადაეცით შემსრულებლებს! — რუკას აღმოსავლეთის მხარეს გადაავლო თვალი. — ამხანაგო შტურმანი, უფროსო, აი, შეხედეთ: უკან დახეულ გერმანელთა სასესადრო ნაღმოსნებსა და ჩვენს მდევრებს შორის მანძილი უკვე ათ მილზე ნაკლებია. ამინდი უარესდება, ჩვენები მტერს მალე დაეწევიან. ვბრძანებ ფაშისტების ინ დაჯვუფებაზე იერიშის მიტანას მისი სრული მოსპობის მიზნით სრულ ცხრამეტ საათზე, აი ამ ადგილას. თავდასხმაში მონაწილეობას მიიღებს ჩვენი სამი სასესადრო ნაღმოსანი, ორი იმ რაიონში მოქმედი ფუალქვეშა ნავი და ღამის ბომბდამშენთა ჯგუფი. რაც შეიძლება სწრაფად დამეშვიეთ დოკუმენტები და ბრძანება გაიეცით აღმსრულებლებს. მტრის ამ სამი სასესადრო ნაღმოსნის გაშვება არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება, მით უმეტეს „კიუ-18“ ბადრაგთან მიშვება, ისინი კი ნება-უნებურად იქით მიდიან, გასაგებია?

— ზუსტად ასეა, ნათელია! — გამოკვეთა შტაბის უფროსმა და მაშინვე გავდა ოფიცერთა თანხლებითა.

— ბადრაგი ჯერ ერგოდ არ მოძრაობს, — თითქოს თავისთვის თქვა საბჭოს წევრმა, ისე რომ რუკისათვის თვალი არ მოუცილებია.

— გადამღობი აეროსატყბა მოცილებულია, — შენიშნა გოლოკომ. — ქარი ძლიერია, არ შეიძლება ამ ღობურებთან სარგებლობა. არც ავიოსნებს არ შეუძლიათ ჰაერში გამანადგურებელთა აშვება. მაშასადამე, მაღლიდან დაცვა ფაქტიურად არ არის. ასეთ პირობებში ბადრაგის მდგომარეობა შეიძლება ითქვას, კრიტიკულია.

— დიახ, მაგრამ დაღამებამდე... სულ ცოტა დარჩა, მერე კი... ღამით ბადრაგი ჩვენი გამანადგურებელი ავიაციის მოქმედების არეშდე მოაღწევს, მაშინ კი, ვფიქრობ, ყველაფერი კარგად იქნება.

— მაშინ კი, მაგრამ ჯერ შორსაა ჩვენი სახდვრებიდან. დაღამებამდე კიდევ რჩება ორი საათი, თუ მეტი არა. ამ დროში ბევრი რამ შეიძლება მოხდეს. ჩვენი მოკავშირეები ზოგჯერ მეტისმეტად ფილოსოფიურად მსჯელობენ: რა დიდი საქმეა, ერთი ბადრაგი მეტი იქნება თუ ნაკლებიო! წინა ბადრაგი სწორედ ასეთი მსჯელობით დაღუპეს.

— სასესადრო ნაღმოსან „რაზუმნის“ ცნობაა, — მოახსენა აღმირალს ტელეფონით კვანძის მორიგე მეკავშირემ. — ორგზის სცადეს „სტრაშნის“ ქიმთან მისვლა მისი ბუქსირზე აყვანის მიზნით და ორჯერვე უშედეგოდ. ბუქსირის ბოლოები წყდებიან და არავითარ იმედს არ იძლევიან წარმატებისათვის. უფროსი ნებართვას ითხოვს: ხალს ავიყვან და ავარიული სასესადრო ნაღმოსნის ბუქსირზე უარს ვიტყვიო...

იაროსლავ იოსელიანი
ქარიშხალში

ეროვნული ბიბლიოთეკა

— როგორ? — წამოიძახა სამხედრო სპბ-ს წევრმა. — „რაზუმნის“ ხომ ნავთსაწინააღმდეგო დაცვა აქვს დაგალებული ოპერაციის დროს, რატომ იწუხებს თავს ბუქსირით?

— ოპერაცია ჯერ არ დაწყებულა, — აუხსნა სარდალმა. — ბუქსირის ამბავს მომახსენებს ჩემი ბრძანების მიღებამდე. პასუხს არ გავცემთ. ალბათ უმალ ბრძანებას მიიღებს. მორიგეე! მომახსენეთ ამინდის მდგომარეობა ბადრაგის მოძრაობის რაიონში.

— სამხრეთ-დასავლეთის ქარი თერმეტი ბალის სიმძლავრისა. ცხრა-ათბალიანი ტალღა. დაბალი ღრუბლიანობა. ხმირი თოვა. ხილვადობა ცუდი, — ტყვიამფრქვეველთან ჩაარაკაკა ტელეფონის აპარატში ოფიცრის მკვეარე ხმამ.

— კარგია, თუ ხილვადობა მაინც ცუდია, — ადმირალმა გოლოვკომ ისევ განაახლა „შემპარავი ნაბიჯებით კბინენტის სიგრძე-სიგანის გაზომვა“.

თითქოს საგანგებოდ, ქარიშხლის წინ კბინენტში დუმილი ჩამოვარდა, მხოლოდ საათის წიკწიკი გაისმოდა და სარდლის ფეხსაცმლის ოდნავი შრიალი. თავიანთ აზრებში ჩაერმაგებული ადმირალები დუმდნენ.

უეცრად ტელეფონები აწკრიალდნენ. გოლოვკო მაგიდას მიეარდა და ერთბაშად ორი ყურმილი აიღო. ფლოტის ავიაციის მეთაური მოახსენებდა, ფაშისტური საესკადრო ნაღმოსნების წინააღმდეგ უკვე გაფრინდა ბომბდამშენი ავიაციის 85-ე პოლკი. კაეშირის მორიგე კი საესკადრო ნაღმოსან „რაზიარიონის“ უფროსის ცნობას იმეორებდა, იმ საესკადრო ნაღმოსანთა მეთაურისას, რომლებიც გაქცეულ ფაშისტურ საესკადრო ნაღმოსნებს დაადევნეს. საბჭოთა მეზღვაურები ცეცხლსასროლ მანძილზე მიუახლოვდნენო მოწინააღმდეგეს. „საეცხლე კონვოიოსა ეს მოკლე სტერეოტიპული ფრაზა ნიშნავდა, რომ მოპირდაპირეთა სახომალდო დაჯგუფებებს შორის ბრძოლა უკვე დაიწყო.

— მომახსენეთ ამინდის მდგომარეობა ბრძოლის რაიონში! — ავტომატურად ბრძანა სარდალმა, მაშინვე დადო მილი და მეორე აიღო.— ოპერატორები მთავარ პოსტზე!

თითქოს ქარს უკან უცდიდნენო, კბინენტში ს

ეროვნული ბიბლიოთეკა

თეიმურაზ ჟურღოვანიძე

ვ. ი. ლენინის სახე ქართულ ხალხურ პოეზიაში

ირეალად თუ მოიძებნება მეორე ისეთი ადამიანი, რომელიც ისევე საყვარელი და ახლობელი იყოს ხალხისათვის, როგორც მსოფლიოს მშრომელთა ბელადი ვლადიმერ ილიას ძე ლენინი. ვ. ი. ლენინის სახე, მისი საქმენი, დაუცხრომელი ლტოლვა და ბრძოლა ხალხს თავისუფლებისა და ბედნიერებისათვის ცოცხლად დარჩა ადამიანთა გულებში.

ლენინის მთელი ცხოვრება და მოღვაწეობა, ხალხისადმი მისი განუზომელი სიყვარული, ბრძოლა ჩაგრულთა მძიმე უღლისაგან განთავისუფლებისათვის იყო, არის და იქნება საბჭოთა ხალხის ბრძაწყაღისადმი თაყვანისცემის, მისი გალმერთებისა და ლენინის გენიალური პიროვნებისადმი ქედის მოხრის უშრეტი წყარო.

ჩვენი მიზანია ვაჩვენოთ კომუნისტური პარტიისა და მსოფლიოში პირველი სოციალისტური სახელმწიფოს დამაარსებლის ვლადიმერ ილიას ძე ლენინის პიროვნებისა და მისი საქმეთა ასახვა ქართულ ხალხურ პოეზიაში.[1]

ვლადიმერ ილიას ძე მასების, მშრომელთა ნაფიქრსა და ნაოცნებარში ხედავდა დიდი ესოტიაყური ღირებულების მასალას, მათი აზროვნებისა და ფსიქოლოგიის ნაყოფს. ლენინს ღრმა რწმენა ჰქონდა ხალხის ძალისა, მშრომელთა რევოლუციური აღტყინებისა. მისი ურყევი აზრით ხალხი უძლეველი, შეუდრეკელი ძალაა.

ლენინს სოციალი ძალთი იზიდავდა ზეპირსიტყვიერება. იგი მასში ხედავდა მშრომელთა იმედისა და მოლოდინის ცხოველ გამოვლინებას.

1917 წელი, პროლეტარიატის გამარჯვებით დაგვირგვინება დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუცია. ხალხმა მოიპოვა თავისუფლება და ახალ სოციალისტურ სახელმწიფოში შექმნა ახალი ცხოვრება.

რევოლუციის გამარჯვების, განსაკუთრებით კი ნაციონალურ რესპუბლიკებში საბჭოთა ხელისუფლების დამკვიდრების შემდეგ, შვებით ამოისუნთქა მშრომელმა კაცმა. თავისუფალმა შრომამ მას შემოქმედების სურვილიც გაუღვიძა და გაზაფხულის ნიადაგიერით მომძლავრდა ადამიანთა გულისთქმა. ხალხმა ლექს-სიმღერებში შეასხა ხატება ახალი, ბედნიერი ცხოვრების შემოქმედ — დიად ოქტომბერს, ვლადიმერ ლენინს:

> **დიმეხო ძველი სამეფო**
> **მტარვალთა ბატონობისა,**
> **და მის ნანგრევზე აშენდა**
> **ტაძარი კაცთა ძმობისა.**
> **განთავისუფლდა ქვეყანა,**
> **ბანგი აღმოხდა შვებისა,**
> **კიდით კიდემდე მოეფინა**
> **ამბავი გამარჯვებისა.**[2]

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვება საბჭოთა ხელოვნებისა და სიტყვაკაზმული მწერლობის ძირითადი თემაა. ძირითადი და წამყვანი თემაა იგი ხალხური შემოქმედებისათვისაც. ხალხურ შემოქმედთა მრავალთასიანმა არმიამ — ლითონის მუშადავებმა,

---

1 ქართულ ფოლკლორში ლენინის თემის, მისი სახის წარმოსახვის მეცნიერულ შესწავლას მიეძღვნა პროფ. ქს. სიხარულიძის, პროფ. ვ. ჩიკოვანის, დოც. გ. სამხარაძის გამოკვლევები და წერილები.

2 გამოკვლევაში წარმოდგენილი ხალხური ლექსები ამოკრეფილია შ. რუსთაველის სახ. ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტის ფოლკლორული არქივიდან, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფოლკლორული არქივიდან, საქართველოს ლიტერატურული მუზეუმის ზოთას კულტურული ლაშქრობის ფონდიდან, ბელადისადმი მიძღვნილი სპეციალური კრებულებიდან და ხალხური სიტყვიერების კრებულებიდან.

ხისა და ქვის მკეთებლებმა, ხელქარგულობის ოსტატებმა, მუსიკოსებმა, მელქესეებმა და მთქმელებმა — ამ ნახევარი საუკუნის მანძილზე შექმნა ბევრი მაღალმხატვრული ნაწარმოები. ისინი ყურადღებას იქცევენ თემების სიაბლითა და ორიგინალური მიდგომით, სისადავით, გულწრფელობითა და დახვეწილი გემოვნებით. ხალხური შემოქმედნი თვალნათლივ ხედავენ იმ ნაყოფს, რაც დიდი ლენინის ხელმძღვანელობით მოეტანა ხალხს ოქტომბრის რევოლუციის ბრწყინვალე გამარჯვებამ.

ლენინის მოღვაწეობა და ხალხის თავისუფლებისათვის ბრძოლა საუკუნოდ შეედულებინენ ერთმანეთს. დღეისათვის ხალხის მიერ მოპოვებული ყველა სიკეთე, ყველა გამარჯვება დაკავშირებულია ოქტომბრის რევოლუციასთან, დიდი ლენინის უკვდავ სახელთან.

მშრომელი ხალხის გამარჯვებული გამოსვლა ოქტომბრის ქარცეცხლიანი ბრძოლებიდან, ხალხის განთავისუფლება საუკუნოებრივი მონობიდან, ოქტომბრის რევოლუციის გამარჯვების შედეგად შექმნილი ახალი ცხოვრება განსთებულია მისი დიდი შემოქმედის შუქით, მისი თავგანწირული სწრაფვით მშვიდობის, თავისუფლების, ძმობის, ერთობისა და მეგობრობისადმი:

ლენინ, ბელადო, პირველად
შენ დაამარცხე მტერია,
ძველი სამყარო დაამხე,
ახალს დაადგი ჭერია.

ლენინის სახითაა შთაგონებული უამრავი ხალხური ლექს-სიმღერა, რომელთა უცნობი ავტორები გამოხატავენ ბელადის ნათელი აზრისა და ნამოქმედარის სიღიადეს, მის თავდადებასა და გონიერებას, მისი ანდერძის უკვდავებას:

ჩვენი ქვეყანა გაწვითლდა,
სულ სხვა გვაქვს მთა და ველია,
ხედ ალმოცენდა მთავრობა
მუშის და გლეხის მცველია.
მოსპო ბრწყინვალე წოდება,
მოუსვა რკინის ცელია.
შეცვალა მკაცრი კანონი,
რაც კია შესაცვლელია.

ახალი წყობილების დამყარებამ მშრომელი ხალხი უჩვეულოდ გამოაცოცხლა. ყველაფერი საერთო-სახალხო საკუთრებად გადაიქცა. შეიქმნა ახალი სიმღერები მრავალი კლასების დაშრობისა და ახალი, სოციალისტური ცხოვრების დაწყებაზე. ამ პერიოდის ამსახველი ახალი ყღერადობის ლექს-სიმღერებისათვის ნიშანდობლივია მონობის ულლისაგან განთავისუფლებულ ადამიანთა სიხარული. აღტაცება — გამოწვეული ახალი წყობილებითა და განახლებული სოფლის ცქერით. ყველა მონაწილეა ამ საერთო სახალხო სიხარულისა. დედები თავიანთ ყრმებს ბავშვობიდანვე ასწავლიან დიდი ბელადის სახელს. [illegible] უთხრობენ ხალხისადმი მისი თავდადების შესახებ:

ახალ დრომ მოგვცა იმედი,
ჩვენ ესე ტბილი ქონება,
მუშურ-ბლეხურმა თავრობამ
ყველას გაუხსნა გონება.
და დაგვაშორა ძველი დრო,
ძველი ტყვეობა, მონობა.
გულს ჩაინერგე ეს სიტყვა,
შვილო, გაზრდილო დედისა,
უკვდავი ლენინი არის
გამხსნელი ხალხის ბედისა.

თუ რევოლუციამდე ხალხი სევდიანი ხმით აღწერდა თავის დამონებულ ყოფას და მორალურ დამცირებას, როგორც, მაგალითად, მუხრანბატონზე შექმნილ ლექსში:

მუხრანბატონის ყმობითა
ფქვილი ვერ დავდგი გოდრითა,
ვერც ლურჯი ჩობა ჩავიცვი,
ვერც ახალუხი ქობითა,
ვერც დეკეული გავზარდე,
ვერც კალო ვლეწე მოზვრითა.

ახლა სხვა ხმაზე ეღერს ქართველი გლეხაცის სიმღერა:

ბევრი რამ კარგი გაკეთდა
მუშურ თავრობის ყოლითა:
მიურუებული სოფლები
მთლად მიიფინა სკოლითა,
ვინახ-მინდვრები — არხებით,
წყლის გასაყვანი ბრილითა,
ეს ყველაფერი, იცოდეთ,
ლენინმა მოგვცა ბრძოლითა.

დიახ, ეს შემარიტება ღაღადებს ქართველი მოლექსის პირიდან. ყოველგვარ სიკეთეს ლენინის ბრძნული ხელმძღვანელობით მიაღწია ხალხმა. ეს კარგად იცის ფშაველმა მეფანდურემ:

უნდა შეეკერ ლენინი,
ეგ მამა არის ჩვენია,
ზღვაში ჩაადგო ყორღანი,
გაანადგურა მტერია.

ახალ, სოციალისტურ ყაიდაზე გარდაქმნის დაექვემდებარა ბარი და მთა, ქალაქი და სოფელი. გარდაქმნები მნიშვნელოვანია, ხელშესახები. ადამიანები საკუთარ მაგალითზე გრძნობენ ლენინის სამეთა სიღიადეს, სიმართლეს:

ჩვენო უკვდავო, ლენინო,
მასწავლებელო, მამაო,
ჩვენ ხევსურებსაც გვეღირს,

ეროვნული ბიბლიოთეკა

თქვენი სიმპრთლის ძალაო.
თქვენი ენინების ნაყოფით
გულ გაიხარა მთამპო.
...მოგვცეოლდა ბნელი ცხოვრება,
სამარეს ჩაეგბარაო.

საინტერესოა, კახეთში, სოფელ ყვარელში ს. ჭიბოშვილოსაგან ჩაწერილი ხალხური ლექსი „ლენინმა უთხრა თავადებსა", სადაც მთქმელი ბატონყმობის გადავარდნისა და გაბატონებული კლასის მოსპობით გამოწვეულ სიხარულს ვერ ფარავს და ამას ვლადიმერ ლენინს სახელს უკავშირებს:

ლენინმა უთხრა თავადებს:
ვინ მოგცათ მტკიცე გვარია,
ყველაყა ხელში გიგიჰრამთ
სამპრთალი და ძალია.
საითაც გადავიხედე,
ხელ თქვენი მთა და ბარია.
ხალვენიდან გამორეკა,
წაართვა მიწა-წყალია,
ქალაქშიაც ჩაირეკა,
ჩაიცვა მოკლე ტყავია.
გაიწეთ, წადით, იმუშავეთ,
აიღეთ თოხი, ბარია!
ეს რომ გიგეტს თავადო,
ცრემლით აევსოთ თვალია,
დახედეთ, მუქთად წავიდა
ხელ ჩვენი ჯვარ-მეფდალია.

ამ ლექსში კარგად არის გადმოცემული ქართველ მშრომელთა დამოკიდებულება დიდი ბელადისადმი. ისინი იმედიანი თვალით შესცქერიან მის ნაოელ სახეს. მასში მხსნელ ბრძენ კაცს ხედავენ და მის სახელს უკავშირებენ ამ საყოველთაო ბედნიერებას. ლენინის თავმდაბლობა და ადამიანურობა, მისი საქმეები აახლოვებენ ხალხს ბელადთან. ის თავიანთი ჭირისა და ლხინის თანაზიარად მიიჩნიათ. საბჭოთა ადამიანების მიერ მიღწეული ახალ-ახალი გამარჯვებები ლენინიზმის იდეების გამარჯვებაა. ხალხი საკო

ლებებით. ხალხური პოეტი ამ საერთო სევდის გამოხატვისას საკმარისად არ მიიჩნეს გლოვის ჩვეულებრივ, ადამიანურ გამოვლინებას და ბუნების ძალების მოხმობით ამძაფრებს ბელადის გარდაცვლებით გამოწვეული, ტრაგედიის მნიშვნელობას.

საინტერესოა, რომ თანამედროვე ხალხური მოქმედები ძველი, ტრადიციული ფოლკლორისათვის დამახასიათებელი პოეტური ფორმით გადმოსცემენ ლენინის გარდაცვალებით გამოწვეულ მწუხარებას.

განსაკუთრებულ ინტერესს იწვევენ ის ლექსები, რომლებშიც ლენინის პიროვნება ლეგენდარულ სამბრეველშია გახვეული. ტრადიციული ლეგენდის ფორმით არის გაფორმებული ბელადის დაბადება, თავისუფლებისათვის ბრძოლა და სიკვდილი.

ლენინის დაბადება შედარებულია ცაზე ბრწყინვალე ვარსკვლავის გამოჩენასთან. ეს ვარსკვლავი ცოცხალი მოწმე იყო ყველა იმ მორიტებისა, რომელიც ხალხს ჩაგრავდა, ავიწროებდა, სულს ხდიდა. ეს ვარსკვლავი იყო მშრომელი ხალხის ჭირისუფალი. იგი ეძებდა ადამიანთა ტანჯვა-წამებისაგან გამომხსნელ გმირს და აი, მნათობმა მაღალ, თოვლიან მთებში თვალი მოჰკრა ჯოხს, რომელშიც ყრმას ეძინა. ვარსკვლავმა დაწვრილებით გააცქო ყრმას ქვეყნის ჭირ-ვარამი, შეაბარაა თავისი ქვეყანა.

ჭაბუკი თავის დაუზოგავად შეება ბოროტებას და დაამარცხა იგი. გამარჯვებულმა ახალი ქვეყანა შექმნა და ბედნიერება მოუტანა ჭირგამოვლილ ხალხს. ლეგენდის ბოლოს ჭაბუკი კვდება. ხალხს წარმოდგენით ეს ჭაბუკი ლენინი იყო. თუ მისი დაბადება ხალხურმა მოქმედმა ცაზე ბრწყინვალე ვარსკვლავის გამოჩენას შეადარა, სამაგიეროდ მისი სიკვდილი ზზის ჩასვლას ჰგავს:

ზზის ჩასვლას უგავს სიკვდილი
იმ ჩვენ ბელადსა ლენინსა,
ამქვეყნად ცეცხლის მომტანსა,
გამნათებელსა ბნელისა.

ხალხი წუხს, რომ ვერ მოესწრო ბელადი თავისი ნამოღვაწარის ნაყოფის ნახვას და მის აღმომჩენ ვარსკვლავს მიმართავს:

მანათობელო ვარსკვლავო,
ამბავთა მომმწერე ამისა,
ეტყოდე დიდსა ლენინსა:
— შენი ქვეყანა ჰყავსავსა,
დავვაყაკდით და დავდექით,
როგორც დიდი კლდე ხალისა.

ყურადსაღებია ის ფაქტი, რომ ამ ლეგენდაში ხალხური მოქმედი ლენინს თვლის ქვეყნად ცეცხლის მომტანად და სიბნელის გამნათებლად („ამ ქვეყნად ცეცხლის მომტანსა, გამნათებელსა ბნელისასა"). ეს არ არის შემთხვევითი [illegible] ამ საქმე გვაქვს მთქმელის მიერ შეგნებულად გავლებულ პარალელთან. როდესაც ხალხი ლენინისადან ქვეყნად ცეცხლის მოტანაზე ლაპარაკობს, მას უთუოდ მხედველობაში ჰყავს მიჯაჭვული ამირანი, მისი საგმირო საქმე. ამირანი კი საყოველთაოდ საყვარელი გმირია ქართველი ხალხისა. ის სიმბოლოა თავისუფლებისათვის ბრძოლისა და ლენინმაც ხომ მშრომელთა განთავისუფლებას შესწირა თავი.

დიდი ბელადის დაკარგვით გამოწვეულ სევდას ქვეყანა საგონებელში არ ჩაუდგია. მრავალტირნახული ხალხი თავის სუფეთნებრივ ოპტიმიზმს მიეგო და გამოსაალიც მონახა — ირწმუნა ლენინის უკვდავება და მზეს შიუყენა გვერდით, თუმცა უპირატესობა მაინც ბელადს მიანიჭა. ეს ლექსი პროფ. მ. ჩიქოვანმა 1934 წელს ჩაიწერა ქ. ქობულეთში მ. ჯიბლაძისაგან.

ლექსი „ორი მზე" მზისადმი მიმართვას წარმოადგენს:

ვით გაალრო, მაგრამ თქვენს შუა
დიდი განსხვავებაი,
შენ მარტო დღისით გვინათებ,
ეს კი ღამითაც მზე არი.
კარგია შენი სხივები,
მაგრამ ის გულსა ვერ ზვდება,
გარეგან სახეს გვიბრწყინებს
და იხეე უკან ბრუნდება.
ლენინის სხივნი კი გულის
და სულის სილრმეს სწვდებიან,
მოყვარეს განსაკურნავად
მტერს ლახვარივით ხვდებიან.

მზე, ქართველთა უძველესი ღვთაება და თვალისნირნ გაფეიქრცხალდა დიდი ბელადის პიროვნების წინაშე, მისი სულის ბრწყინვალეებასთან შედარებით.

ხალხს არ დავიწყებია ის შავბნელი დრო, როცა ქვეყნად ულესნირდ ცხოვრობდა. მაშინ მარტო ციური მნათობი ათბობდა მათ, თუმცა სულმდე მაინც ვერ აღწევდა. ლენინის გამოჩენამ კი უმალ გაათბო ხალხის გული და სული. გაკერო ძალმომრეობა და თავისუფლება დათესა ყველგან, აყვავა სიცოცხლე.

ახლა კი ლენინის სიკვდილზე ლაპარაკობს დიდი და პატარა, მაგრამ ხალხს მაინც ვერ დაუჯერებია, რომ შეიძლება ზზეზე ადრე მოკვდეს დიდი ბელადი, ხალხის უსაყვარლესი ადამიანი. მთქმელს ღრმა რწმენა აქვს ლენინის უკვდავებისა. იცის, რომ ქვეყანად არ არსებობს არავითარი ძალა, რომელიც გულის ძგერას შეუჩერებს ამ გმირთა-ვმირს, მსოფლიოს მშრომელთა მხსნელსა და ბელადს:

ორივე მზე ხართ ბრწყინვალე,
სიცოცხლის ამყავებელი,

არ არის ქვეყნად ძალა
თქვენთა სხივთ ჩამაქრობელი.

მრავლისმეტყველია შესანიშნავი პოეტური „თქმულება ლენინზე“, რომელიც დახვეწილი ხალხური პოეტური გემოვნების ნიმუშად უნდა ჩაითვალოს. ამ დიალოგური ფორმის ლექსში დიდი მხატვრული ტაქტით არის გადმოცემული ვლადიმერ ილიას ძის სიდიადე, მისი დაუცხრომელი ბრძოლა ხალთა თავისუფლებისა და ბედნიერებისათვის.

დედისა და შვილის საუბარი ნათელი დადასტურებაა ხალხის ბელადისადმი სიყვარულისა. დედის პასუხიდან ვიგებთ პოეტურ ფორმაში ჩამოყალიბებულ საზოგადოდ ცნობილ ჭეშმარიტებას: რომ მოისპო მჩაგვრელთა სამყარო, მონობა, უსამართლობა; დამკვიდრდა სამართლიანობა და თანასწორობა, ადამიანთა შორის მეგობრული ურთიერთობა:

გულს ჩაინერგე ეს სიტყვა,
შვილო, გაზრდილო დედისა,
უკვდავი ლენინი არის
გამხსნელი ხალხის ბედისა.
დაუღალავად მებრძოლი,
მტერს წინა სისხლის მჩქეფისა.
მან გაიმარჯვა ხმელეთზედ,
დალეწა ძველი ძალები
და ამოწყვიტა მთლიანად
ნიკოლოზისა ჯარები.

„ხალხის ბედის გამხსნელის“ — ლენინის მეთაურობით შეკმნილმა საბჭოთა ხელისუფლებამ, კომუნისტურმა პარტიამ მშრომელ მასებს დაუკავშრა ბედნიერი ცხოვრება. სწორედ ამიტომ მღერის ხალხი ხმაშეწყობილად და ლაღად დიდი ბელადის სადიდებელს:

ახალ დრომ მოგვცა, დედაო,
ჩვენ ესე ტკბილი ცხოვრება,
მუშურ-გლეხურმა მთავრობამ
ყველას გაუხსნა გონება
და დავგაშორა ძველი დრო,
ძველი ტყეებიც, მონობა.

ლენინისადმი ხალხის სიყვარული განპირობებულია არა მარტო მისი სასახელო საქმეების გამო, არამედ მისი დიდი ადამიანური თვისებების წყალობითაც. ბელადის უბრალოებამ, გულწრფელობამ, ადამიანისადმი მშობლიურმა დამოკიდებულებამ და ყურადღებიანობამ მისი სახელი სამუდამო შარავანდედით შემოსა და დიდისა და პატარისათვის საყვარელ სახელად აქცია.

პირად ცხოვრებაში ლენინის გულისხმიერების, უბრალოებისა და მაღალი ადამიანურობის შესახებ საინტერესო მოგონებები შემოგვინახა პროლეტარიატის დიდმა მწერალმა, სოციალისტური რეალიზმის ფუძემდებელმა მაქსიმ გორკიმ.[3]

ხალხმა თავის შემოქმედებაში ლენინთან შეჯიბრებული სიკვდილიც კი დამარცხებულად გამოიყვანა.

საინტერესო ფილოსოფიური გააზრება მისცა ლენინის გარდაცვალებასთან დაკავშირებით ხალხურმა კოლექტიურმა ატორმა სიკვდილს. ხალხის რწმენით სიკვდილსაც კარგი უყვარს. ის საგანგებოდ ამოარჩევს ხოლმე კარგ ვაჟკაცებს შორის საუკეთესოს. ლექსში „მსგავსად ჭისა და მთვრისა“ გადმოცემულია ბრძოლის ველზე სასიკვდილოდ დაცემული ბრძოლის საუბარი „შავ, ყორნისფერ“ სიკვდილთან:

უცებ მოფრინდა სიკვდილი,
შავი ყორანის ფერისა,
დაგლონდი, გულში ვიფიქრე,
ალბათ სიკვდილი მეღირსა.
ვუთხარი: ნუთუ, სიკვდილო,
დარდი არ იცი, გულისა?
რატომ არა ხარ შემბრალე
უდროოდ დაკარგულისა.
ან შვილი არა გეოლია,
იმედი სიყვარულისა,
არ გიწოვბავ ძუძუი —
მომგვრელი სიხარულისა?

ვაჟკაცი თავის სულს სთავაზობს სიკვდილს, მაგრამ ამჯერად სიკვდილი თვალცრემლიანი ჩანს, იგი თვალს ვერ უსწორებს ბრძოლის ველზე დაჭრილს:

გავკვირდი, ნუთუ სიკვდილსაც
გული უწუხის სხვაზედან!
მითხრა: ცოდვაი ბევრი მაქვს,
მით ვეღარა ვარ ჭკვაზედა!
ერთი მოგკალი ისეთი,
არ გაიცვლების სხვაზედა.
ლენინი ერქვა სახელად,
შვილი რუსეთის მხარისა.
ჩემგან მოკლული, უკვდავი
მსგავსად მზისა და მთვარისა.

სურათი ნათელია. ხალხურ კოლექტიურ ავტორს სურს გვიჩვენოს, რომ მართალია ლენინი გარდაიცვალა, მართალია, სიკვდილმა თავისი საქმე გააკეთა, მაგრამ მაინც ის დარჩა დამარცხებული, ცოდვიანი და ჭკუაზე გადასული.

უნდა შევნიშნოთ, რომ ამ შემთხვევაშიც ხალ-

[3] М. Горький, В. И. Ленин, М., 1966 г.

თეიმურაზ ჯურღოვანიძე

ვ. ი. ლენინის სახე ქართულ ხალხურ პოეზიაში

ხური შემოქმედების ტრადიციას არ დალატობს მთქმელი. ქართულ ფოლკლორში ცნობილია ლეგენდები, სადაც ადამიანი სიკვდილზე მძლავრია.[4] ზოგჯერ სიკვდილი უძლურია ადამიანთა წინაშე და იძულებულია შეურიგდეს თავის ბედს, რადგან ადამიანს, უკვდავებას დრო, ხალხი, მისი საქმიანობა უმკვიდრებს.

სამყაროს შეცბუნების, გლოვისა და მწუხარების გამოხატვაში მაღალ ოსტატობას იჩენს ხალხური მთქმელი, რომელსაც ბელადის დაკარგვა დიდ უბედურებად, თვალის ჩინის დაკარგვად ესახება:

...მოკვდა გამტეხი კერპების,
გამკვლევი სწორი გზებისა.
რა თვალის ჩინი დაკკარგეთ,
ვაჰმე, რა ბედი გვეღირსა.

მართალია, დიდი ბელადი ფიზიკურად წავიდა ცხოვრებიდან, მაგრამ საქმენი მისი ცოცხლობენ და კვლავაც იცოცხლებენ. მართალია, ლენინი აღარ არის, მაგრამ მისი შთამომავლნი მხარში უდგანან ბრძენ კომუნისტურ პარტიას და აგრძელებენ მის დაწყებულ საქმეს:

ქვეყნის ნუგეშო, ლენინო,
დარდ ნუ გგაკვება დარდზეო,
ზეზედა დაგრჩენენ ვაჟკაცნი,
მტრის ჯავრს არ სჭამენ ჯავრზეო.

საბჭოთა ხალხი ყოველი დიდმნიშვნელოვანი საქმის დაწყების წინ, ან წარმატებით დაგვირგვინების შემდეგ, ფიცს აძლევს ლენინს, რომ ერთგულად შეასრულებს მის ანდერძს, თვალის ჩინივით გაუფრთხილდება მის დანატოვარს, ააშენებს მის საოცნებო კომუნიზმის დიადი ეშენობას.

ლენინს საქმეები უკვდავია. ლენინის სახე და სახელი კვლავ შუქურასავით ანთია. დღესაც ლენინია ჩვენი ყველა დიდ საქმეთა დამწყები და შთამაგონებელი. იგი უკვდავია და ასევე დარჩება მანამ, ვიდრე დედამიწაზე ერთი ადამიანი მაინც იცოცხლებს. კომუნიზმის მშენებელი საბჭოთა ხალხი, ლენინური პარტიის ხელმძღვანელობით, დიდი სიყვარულითა და მოწიწებით უმღერის ახალი ცხოვრების მზეს, ვლადიმერ ლენინს, მის შექმნილ კომუნისტურ პარტიას:

ლენინურ ანდერძს ასრულებს
კომუნისტური პარტია,
ის ჩაგრულ ხალხის იმედად
შუქურასავით ანთია.
ლენინურ სახელს ატარებს,
ლენინურ გზაზე მავალი,
წინ მიგვიძღვის და გვალაღებს
დიდი ბელადის ვარსკვლავი.
გაგვიადვილა წინ-წინ სვლა
გზა ვიწრო, ძნელად სავალი.

ხალხი უკვდავია. უკვდავენი არიან მისი უბიდან გადმოსული გმირებიც. უკვდავია ლენინი. მისი სახელი მუდამ იქნება შთამაგონებელი ქართული მხატვრული სიტყვის ხალხური ოსტატებისათვის.

ვლადიმერ ილიას ძე ლენინის სახის დახატვისას ქართველი ხალხური მგოსნები ძირითადად ტრადიციულ ფოლკლორს მისდევენ. ტრადიციულია ლენინზე შექმნილი პოეტური ნაწარმოებების ფორმა. სიახლით ხასიათდება თემები, ნაწარმოებთა იდეური გააზრება, ზოგიერთი პოეტური სახე. ლენინზე შექმნილი ლექს-სიმღერები ძირითადად სახოტბო პოეზიას განეკუთვნებიან.

---

4 ალ. ღლონტი, ქართული ზღაპრები და ლეგენდები, 1948, გვ. 1. შენიშვნები, გვ. 261—263.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გიორგი ნატროშვილი

60 წელი

გიორგი ნატროშვილის გარეგნობაში ერთი შეხედვითვე შეინიშნება გამრჯე, მშრომელი კაცი, რომელსაც მისი დღე და მოსწრება მძიმე ჯაფაში გაუტარებია. ეს მადლი გამოყოლილია იმ მამა-პაპათა წყალობით, ჭიაურის გაუვალ ტყეში რომ გაწალდეს პირველი ბილიკი, შირაქის ველზე რომ გაჰკვიდათ პირველი კვალი — იმ გულნისდედების, ღამის მეხრეების, მეზვრების წყალობით, საქართველოს ისტორიაში ამდენი ნათელი რომ დატოვეს, როგორც თავისუფლებისთვის თავგანწირულმა ხალხმა. გიორგი ნატროშვილის მიხრა-მოხრასა და დადინჯებულ საუბარში იგრძნობა იმ კაცის უჯიათობა, რომელიც მიწას ეჭიდებოდა, ვაზს ელოლიავებოდა, ხარიპარიას ამოსვლისას თავს მიუდებდა ხოლმე საქონელს. ქართული ლიტერატურის მეზვრე და მეურნეა ეს კაცი. მის თვალს არ გამოეპარება ნაკლი და სიკეთე, შუქი და ჩრდილი... ყველას და ყველაფერს ღირსეულად უზღავს. ლიტერატურაში ახლადფეხადგმული ვინმე გზას გადაიცდება და ხელს შეაშველებს, გაამხნევებს, იმ გზაზე დააყენებს, საითაც მხოლოდ სიკეთეს შეხვდება.

გიორგი ნატროშვილი დღეს იმ მცირეთაგანია, წმერალი რომ ჰქვია, დრამატურგიც, კრიტიკოსიც, პუბლიცისტიც და ლიტერატურის ისტორიის მკვლევარიც...

ამ დაუზარელი, დაფიქრებული კაცისათვის არაფერი ადამიანური არ არის უცხო — სიტკბოც უნახავს და ჭირ-ვარამიც. ომი დაიწყო და ჯარისკაცის რუხი ფარაჯა ჩაიცვა. მერე იმ ომიდან მძიმე ჭრილობები, მაგრამ მშვენიერი წიგნი ჩამოიტანა, რითაც ახე თვალნათლივ, ხელშესახებად გადაგვიშალა ომის საშინელებანი. კაცმა რომ თქვას, მისთვის ისევე გრძელდება ბრძოლა — მთელი ოცდახუთი წელია რედაქტორის მძიმე ჯაპანს ეწევა — არანაკლებ საამიმოა ქართული სიტყვასთან ჭიდილი, ამაში ალბათ ის დაგვეთანხმება, ვისაც ერთხელ მაინც უნახავს იგი რედაქტორის კაბინეტში, სადაც საქმეში ჩაფლული კაცის მაგიდა სავსეა ათასნაირი წიგნებითა და ხელნაწერებით.

ნაომარმა კაცმა ომის შემდეგ გამოქვეყნებულ მოთხრობებში მძაფრად შეიგრძნო სიმშვიდისა და მშობლიური მიწის ფასი. განუმეორებელია მისი მოთხრობების მიწიერი კოლორიტი, ქართული სიტყვის სურნელითა და გემოთი სავსე.

ის დიდი ცხოვრებისეული გამოცდილება, წიგნური ცოდნა და მადლი ნიჭისა, რაც სამშობლოს კეთილდღეობას მოახმარა და ახმარს, საწინდარი გახდა მკითხველთა ღრმა პატივისცემის და სიყვარულისა.

ჟურნალ „ცისკრის" რედაქცია, სარედაქციო კოლეგია და მისი ათასობით მკითხველი მიეალმებიან იუბილარს, უსურვებენ დიდხანს სიცოცხლისა და ჯანმრთელობას; არასოდეს დატყობოდეს სიბერე მის მადლიან კალამს.

ᲝᲖᲘᲐ ᲞᲐᲭᲙᲝᲠᲘᲐ

ᲓᲠᲝ ᲓᲐ ᲡᲐᲮᲔᲚᲔᲑᲘ

3

.....დაე ზერელედ მოაზროვნე ადამიანებს ეგონოთ, თითქოს არარსებული უფრო უპასუხისმგებლოდ და იოლად გადმოსაცემია სიტყვებით, ვიდრე არსებული...

არადერი არ გაურბის ისე სიტყვიერ სამოსს და იმავე დროს ისე ჯიუტად არ მოითხოვს ადამიანთა სამსჯავროზე გატანას, როგორც ის, რისი არსებობის დამტკიცებაც ძნელია, თითქმის შეუძლებელიც. მაგრამ მოკრძალებული და კეთილსინდისიერი ადამიანები მას არსებულად აღიქვამენ და სწორედ ამით უახლოვდება იგი, თუნდაც ერთი ნაბიჯით, საკუთარ ყოფიერებას, საკუთარი დაბადების შესაძლებლობას".

ᲰᲔᲠᲛᲐᲜ ᲰᲔᲡᲔ

ახლახან დაიბეჭდა ვლადიმერ სიხარულიძის მოთხრობა „მეათე მოწმე".

ერთ სოფელში ცხოვრობდა კაცი, ცხოვრობდა თავისთვის; ჰქონდა სახლი და ეზო, ჰყავდა ცოლი და ჰქონდა გვარი და სახელი. ის კაცი არც უქნია იყო და არც დიდად შრომისმოყვარე; არც ბოროტი და არც კეთილი; არც არავის ერჩოდა და არც მას ერჩოდა არავინ.

ერთ დღეს ამ სოფელში ორი მეზობელი წაჩხუბა. სოფლის თავკაცმა მოწმეებს მოუხმო, სურდა მიეგნო მტყუანისა და მართალისთვის. ყველას ახსოვდა, შფოთს ათი კაცი დაესწრო, მაგრამ არავის ახსოვდა — ვინ იყო მეათე.

მაშინ თავკაცმა მთელ სოფელს მოუყარა თავი და სიტყვით მიმართა:

„სად არ ვყოფილვარ და რა არ მინახავს, მაგრამ ასეთ სასაცილო ამბავს აქამდე არ მოვსწრებივარ!.. თვალსა და ხელს შუა ერთი კაცი გაგვიქრა, ისე გაუჩინარდა, თითქოს არც არსებულა ოდესმე...

...შფოთის მოწმე ათი კაცი ყოფილა...

ვარრეედი საქმეს შვიდი დღის უკანაც, დღესაც, და ორივეჯერ ცხრა მოწმე გამოცხადდა, მეათეს ვერ მივაგენით; ვერც მოჩხუბრებმა გიხსენეს და ვერც მოწმეებმა, ვინ იყო საცოდავი მეათე...

ეგ მეათე ახლა დგას მოედანზე თქვენს შორის და ალბათ დარწმუნებულია: კაცი ვარ და ცოცხლებშიაც ვირიცხებიო. ათმა თანასოფლელმა თუ ვერ გაგიხსენა, ორი დღის წინ რომ მათ გვერდით იდექი, რად გინდა, ბიჭო, ამნაირი სიცოცხლე".

(საკუთარ მეკვრმტყველებას აყოლილი თავკაცი უშვებს პირველ შეცდომას. იგი ამბობს სიმართლეს, გამოაქვს კაცისთვის „არარსებობის" განაჩენი და ეს განაჩენი პირადად მისთვისაც სავალალო აღმოჩნდება).

მართლაც ასე იყო. ცხოვრობდა კაცი და არასოდეს დფიქრებულა — ვარსებობ თუ არაო.

ერთ მშვენიერ დღეს მის არსებობაში დაეჭვდნენ და ივიც მიხვდა, რომ არსებობს;. ოღონდ მიხვდა საერთო უარყოფის, „არარსებობის"

ეროვნული ბიბლიოთეკა

მძაფრი განცდით. ამ უარყოფის მეშვეობით შეიცნო საკუთარი არსებობა და იმასაც მიხვდა — არსებობას მოქმედებით უნდოდა დადასტურება. ის კაცი ერთი უბარი ვინმე გაზღდათ და აბა რა ექნა?! ვერც ძალაფლებას ჩაიგდებდა ხელში და ვერც დოვლათს მოიხვეჭდა, სამისოდ არც ძალა ეყოფოდა და არც ჭკუა. მაშინ უსაკნო პროტესტით სცადა საკუთარი არსებობის დამტკიცება.

ადვა კაცი და გაფირალდა. შეაფარა თავი მაღალ მთას და იქიდან სოფელს ლოდები დაუშინა.

ჩვენ არ გავაკეთებთ მოთხრობაში აღწერილი მოვლენების თანმიმდევრობას. ისინი საკმარისი სიზუსტით გადმოცემენ ჯანიკოსთან ბრძოლის, მისი მოსყიდვის ცდის, მისდამი აღვილნილი ვეფრების ყველა ეტაპს და ამასთან დაკავშირებულ კოლაზიებს.

ჯანიკოს ამოქმედებას წინ უძღვის სრული პროსტრაციის ღღეები და აქ ავტორი მართალია. გადაწყვეტილი ნაბიჯის გადადგმის წინ, არამც თუ ჯანიკოს ყიოდის კაცს, გაეკლებთ რთული ინტელექტის ადამიანებსაც ეწევათ ასეთი პროსტრაცია. სწორედ ამ წუთებში ამოქმედდა ჯანიკოს თითქოსდა გათოშილი გონების ულრმეს ზრეებში საკუთარი არსებობის დამტკიცების სურვილი, რასაც საკმაოდ ინტენსიური რეაქცია მოჰყვა და რაც დაგვიგვენდა კატეგორიული განცხადებით:

„არ მინდა მე თქვენი სოფელი“!

ჩვენც ამ ფრაზით დავიწყოთ. ფრაზა დასკვნაა. აქ მიღწეულია სულიერი აღზეკებისა და ვანწმენდის, ყოველ შემთხვევაში, საკუთარი პიროვნების მნიშვნელობის, საკუთარი არსებობის სრული შეგრძნების ზღვარი, რის შემდეგაც იმ მატერიალურ „ხაფანგს“, რასაც სამალახო ჯანიკოს დაუგებს, ყოველგვარი ფასი ეკარგება.

თუ წარმოვიდგენთ, რომ სამალახო გარკვეული პრაქტიკული ღირებულების შემცველი სოციალური წრეა, მაშინ ჯანკო უეჭველად ამადლდა ამ წრეზე; მან განკლო თავისი გოლგოთის ვზა, იტკივრთა ჯვარი და ახლა თამამად შეუძლია უარყოს „სოფელი“.

არაფერია საზიფთო, თუ სამალახოს რამდენადმე ალეგორიულ შინაარსს მივეცემთ. ეს არის მეშჩანური ქვეყანა, სადაც მოქმედებენ საზოგადოებრივი ურთიერთობები, კავშირები, იერარქია... ეს არარსებული ქვეყანაა, მას არ გააჩნია ეროვნული ხასიათი და არც შეიძლება გაჩნდეს, რადგან ერთიანადაა მოწყვეტილი კონკრეტულ ეთნიკურ სფეროს (და ამდენად, ჩემთვის გაუგებარიც კია, რატომ უქცევენ სამალახოელები გურულად. იქნებ იმიტომ, რომ ბარეგნულად ეროვგაარი რეალობის, ნამდვილის იერი მიიღონ), მაგრამ რეალურია ის ირონიული დამოკიდებულება, რასაც ავტორი გარკვეული სოციალური სტრუქტურისადმი ამჟღავნებს.

წუთით უკუვაგდოთ ის მთავარი, რაზეც, ჩვენი აზრით, მოთხრობა დაიწერა: იმ სულიერ ფსიქიკურ მდგომარეობაზე, რასაც განიცდის ადამიანი, მოქცეული წრეში, სადაც მთლიანად ოქვიფეზა. სადაც ერთიანად წარიწლება მისი პიროვნების კონტურები, ქრება ხასიათი. შეგრჩოდეთ ბოროტესულ სერთაზე (ამ გროტესკს მოქმედების მიკროსამყაროში). გადადანა ქმნილ) ჩვეულებრივი ბიოროკრატული ყოფისა, ყველა თავისი ბიუროკრატული რეგალიებით და წვრილმანებით. ყოველივე ამას არა აქვს კონკრეტული სოციალური მისამართი, მაგრამ აქვს ზოგადი სოციალური ხასიათი, გადმოცემული სარკაზმით. ეს უარყოფაა, უარყოფა ადამიანის გაუფერფლების, მისდამი უყურადღებობისა და უპატივისცემლობის, მისი გაწმყობილობისა და გასაჭირის უგულებელყოფის.

(„ოფლში გაღერილი ჯანკო შარაზე მიჩანჩალებდა და მწარე ფიქრისგან თავბრე ეხვეოდა. რატომ უნდა დამამდლოს კეთილი მოკითხვა და მადლიანი სალამი უბრალო, მაგრამ ბატანიერი თვინიერ კაცს?.. დღემდე ავი განზრახვა არ ჩადია გულში და არც მკვახე სიტყვა შეუბედავს ვინმესთვის... ეითომ ამით დაიმსახურა?.. აგერ ანლაც!.. ერთი თვის გაუპარსავი ჭეერი წამოუზრდია კაცს. თმაც ჭირისუფალი დიაცივით მოუშია და აბა თუ შეეკითხება გზად შეხვედრილი თანასოფელი რამეს?!. დილიდან ბარე ორმოცი გლეხი შემოხდა და მთაგან მხოლოდ ზოგიერთმა ძლივს ინება ჯანიკოსთან გამარჯობა გამოელეწა... ეს მზიან, დახუთულ ამინდში მატყლის სამანივით ცხელი ნაბადი მოუხურავს და ტანზე შემოკრულ ირაფსაც ანჩარეგნს... გაჩერდი, ღვთისნერო კაცო!... შეეკითხე ჯანკოს, ვინმე ხომ არ დაეღუპა, ჭეერი რომ მოუშია?.. იქნებ ძალიან ავადაა და თბილი ნაბადი იმიტომ მოეგდია მხრიგზე?.. ან ისე კითხე, რატომ არ უელის ჯანკო თავის ვენახსა და ბაღსო?.. რატომ უნდა მიაგდოს კაცმა მარჩენალი, თუ რაღაც უბედურება არ შეემთხვა?!. არ გინდა შეეკითხო? კარგი, იყოს ასე!.. ჯანკო არც ტლუა და არც ჭიანჭველა...“).

დაშვება იმისა, რომ სამალახო ირიგალური ქვეყანაა, რომლის არსებობის სიტყვებით დამტკიცებაც თითქმის შეუძლებელია, ერთის მხრივ საქმეს აადვილებს. მაგრამ ჩვენ ჯერეკრობით მივიჩნიოთ სამალახო ნამდვილ, ეთნიკურად ლოკალიზებულ სამყაროდ. თუმცა, ეს აუცილებელი არცაა. ყოველივე თავის ადგილზე დადგება, გადავიტანთ თუ არა ჯანკოს ხვედრს ადამიანური მარტობის, თუ შეიძლება ასე ითქვას, სულიერი უსამართლობის სფეროში. რა თქმა უნდა, ეს განყენებული მსჯელობების სფეროა, მაგრამ არც მოთხრობისა აქვს

ოტია პაპაკორია
ფრო და სახელები

პრეტენზია მაინცდამაინც ზუტტი მისამართით ამბილოს რაღაც, თვითონ შემორჩენილი, **რო**გორც ამბობენ — გადმონაშთი. ობიექტური გარემო აკ მხოლოდ ფონია, რაზეც ადამიანის ძნელბედობა უნდა გამოიკვეთოს და ამ გარემოს თუ მაინცა აქვს სოციალური ფორმა და სახე, იმდენად, რამდენადაც გმირის ბედის სოციალურიდან მოწყვეტა შეეძლებელია.

შეეჩერდეთ ერთ მომენტზე — სპპალახო თავისი ბატონი სალეთი; ტიპიური პოლიტიკური ავანტურისტი, რომელსაც ძალუძს თავისი მცირე უპირატესობა, გამოცდილება, თავის პაწწაწინა მაკიაველიზმი უალრესად გამოიყენოს; სპპალახო თავისი სასაციო მედროვეებით, გარესამყაროსგან იზოლირებული არსებობით — რამდენადმე თავისთავში დასრულებული, ერთხელ და სამუდამოდ შეჩერებული, თითქმის გაყინული მიკროსამყაროა. ეს ისეა და არცერთ სპპალახოელს აზრად არ მოსდის, რომ მათი ცხოვრების წესი საუკუნეთა მანძილზე დადგენილი, მყარი და შეუფალი **ერთადერთი** ჭეშმარიტება არ არის. მით უმეტეს, ვერ გრძნობს სპპალახო ამ გაბმული მელოდიის დარღვევის ხიფათს. მისთვის არ არსებობს პიროვნება, ინდივიდი, დაპირისპირებული ხასიათები. პირდაპირ სტალკერიდან მოვიდა, სადაც ერთადერთ კაცს, სავლეს, შემორჩენია ცოცხალი მოგონებები და, ასე ეგისნკეთ, ფსიქოლოგიური ანალიზის უნარიც კი. მაგალითად, სავლეს მსჯელობა ცალკეული ადამიანების მიერ რაიმე მოვლენის შეფასებისა და ტკივილის განცდის თაობაზე სწორია. სწორია ისიც, რომ უბედურება განიზომება იმის მიხედვით, თუ რა ფსიქიკის, რა სულიერი კონსტიტუციისა და ინტელექტის ადამიანს ეწევვა იგი და არა თავისთავად, კონკრეტული ფსიქიოდან გამოთიშული. ერთი სიტყვით, ეს იგივეა, რასაც ფეუსტენი სულ ერთი უბრალო ფრაზით ეუბნება რობერტ ჯორდანს — „ზოგი ყველაფერს განიცდის, ზოგი არაფერს“ („ვის უნდოს ზარი“).

ეროვნული ბიბლიოთეკა

და ეს, სპპალახო ითმენრა — ჯანკოოგმ საკუთარ თავში ადმოჩინა რაღაც სასიკოცხლო ძალა. წინააღმდეგობის გაწევის უნარი, საკუთარი არსებობის დამტკიცების სამუალება და უნებლიეთ სპპალახოშიც აღძრა სასიკოცხლო ძალები. სპპალახო ადგილიდან დაიძრა, ამოძრავდა, აქოთქოთდა. სპპალახომ იგრძნო, რომ ზამთრის სეიფის, საგაზაფხულო თესვის, შემოდგომის ქორწილების, დამაგებინა და სიბერით სიკვდილის გარდა, კიდევ არსებობს რაღაც... არსებობს ნიფთი, პროტესტი, ადამიანური უფლება, გათოშილი გონების გამოკოცხლების აუცილებლობა... სპპალახო გოიდა, შეკრთა და დაიწყო ცხოვრება. ერთ-ერთი პირველი, რაც გააკეთა, იგრძნო თუ არა თავი ცოცხალ ორგანიზმად, საზოგადოებად, თავისი გაქვავებული კერპი, ბატონი სავლე, დაამხო და ახალ კერპს დაუწყო ძებნა. მიაპყრო თვალი მაღალ და ზეკრდალ-ზამთულ მთას, სადაც მიმალულიყო თოვლქმის, არარსებული კაცი, მიაპყრო, რადგან იმ ადგილას ულალ უფრო ძლიერი აღმოჩნდა და მისი შერიყვნება უფრო მაცოცხლებელი, ვიდრე ცხოვრების დადგენილი წესი.

ბოლოს ჯანკოოგ გაკრა. მან ერთადერთხელ მიაწვდინა ხმა სოფელს, რათა საბოლოოდ უარეყო იგი და შეუმჭნველად, ძალდატანებულად გადაიქცა ლეგენდად.

მოთხრობის ფინალს შეიძლება „ჯანკოოს მოლოდინში“ დაეარქვას. და ეს მოლოდინი საოცარად ჰგავს ყველა იმ მოლოდინს, როგორთაც ადამიანები უსხოვრო დროიდან ელოდენ ვიღაცას, მათზე ძლიერს, მაღალს; ელოდნენ მას, ვისაც რაღაც ხსნა, რაღაც სულიერი შვება უნდა მოეტანა. სასაცილო და უბრი ჯანკოო სპპალახოელთათვის ბედნიერებად და ოფენებად გადაიქცა.

ერთის შეხედვით თითქოს არაფერი შეცვლილა — გარდა იმისა, რომ სავლემ ეეღარ დაიბარეთ თავისი მდგომარეობა და ახლა თავისივე ბაღის უზიარებს სინგაპურულ მოგონებებს; დაჭკნა ცირუნია — მან თავისი ქალური ბუნება სრულად გამოამეღავნა და არ გაუმართლა: დარჩა ვით „ჯანკოოს მხეალი“, სპპალახოდ ნაზიარები უნაყოფობასა და უცალოობასა...

მოსავალიც მოვიდა, ბეგარის აკრეფვებიც მოვიდნენ, კომედიანტებიც და მუშაითბიც.

მოვიდა კიდევ რაღაც, მოულოდნელი და შამაკთობელი — საკუთარი არსებობის უაზრობის შეგრძნება და თავისი ემოციური სინლუგის გამო უდაღდელ სპპალახოელთა შეგნებაში ჩაჩნდა სევდა და მოწყენილობა, რასაც სპპალახოელნი არასოდეს განიცდიდნენ და არც შეეძლოთ განეცადათ. ჯანკოოგ დაარღვია მათი ადრინდელი, **შეუღნობი** მოწყენილობა, ხოლო შემდეგ გაქრა და უკვე **შეცნობილი**, ჩქეეთრად ნაგრძნობი მოწყენა დაუტოვა სოფელს. სწორედ ამ შეუღნობსა და შეცნობილს შორის ჩადგა ჯანკოოს „ხანა“ და არსებული კაკშირები დაარღვია. ეს სპპალახოელთა ფსიქიკისთვის მოულოდნელი და აუტანელი ნახტომი იყო. ყოველივე, რაც ჯანკოოს შემდეგ სპპალახოში ხდება, წარსულთან, ცხოვრების ჩვეულ ფორმებთან ვერ დაბრუნების ყრუ შეგნებითა და ახლის ვერ მიგებებით გამოწვეული უწონასწორობაა. ის დებოში, ბუზოული და მთვრალთა აყალმაყალი, რაც სპპალახომ დაიჩივა, ჯანკოოზე ოცნებაა, მის სახელთან დაკავშირებული საკულტო რიტუალი.

სავლე — პოლიტიკოსი და სავლე — თვითმატი ბკეეთრად გამოკვეთილი პპლატიური სახეა. არის თუ არა ასეკე პპლამეური სიცხადით დახატული ჯანკოო? ამ აკტორის წინაშე გაცილენით რთული ამოცანა იდგა. ის პრობლემა, რაც ჯანკოოსთანაა დაკავშირებული (და რაც კონდიციამდე დაყვანისას რამდენადმე გაუბრა-

ლობულ შინაარსსაც კი შეიძენს). მხატვრულად უფრო ძნელი გასახორციელებელი იყო. ჯანეკო განყენებულ წარმოდგენად რჩება, მისი ფიზიკური ხატი და მორალური მისია ერთმანეთს არ შეესატყვისება. ავტორი საგანგებოდ უსვამს ხაზს წინააღმდეგობას. მაგრამ ხომ უნდა არსებობდეს რაღაც წინაპირობა, რაღაც წვრილშანი, დეტალი, რამაც ჯანეკოს გაბედვა, მისი პროტესტი უნდა გაამართლოს, ხომ არ შეიძლება მართლაც ტლუსა და ჩლუნგ კაცს უეცრ აღმოჩნიხნა თავისთავში სოფელთან შერკინების ძალა?

იქ, სადაც საველ ჯანეკოსა და თავისთავს შორის პარალელს ველებს, და უხსნის თანასოფლელებს „ჭმუნვის“ თავისებურებას, ჩასმულია ერთი მოულოდნელი, თითქოს უადგილო ფრაზა, რომელიც პირველად შეედომაც კი მეგონა. ჯანეკო უცეს, სოფლართან დაუკავშირებლად, მხოლოდ მისთვის გასაგები ასოციაციით, „ამოილულლულებს“:

„თუთრის სინათლეზე მოალე ხანლლებივით ჩანა მდინარეში თევზები“.

თურმე ჯანეკო სახეებით აზროვნებს. მაშინაც კი, როცა ჯერ კიდევ „არავინაა“, იგი რაღაც ისეთით განსხვავდება თანასოფელთაგან, რაც საბალახოსთვის გიუგებარია. ჯანეკო ქმნის ტროპს, მას გაუთხელეი შემოქმედებით ენერგია ახასიათებს. ერთი სიტყვით, ანიმალიაა, რადგან პოეტური ხილვებიც კი სნეკვია, მართალია ყრუ და ოდნავ მფეთქავი, მაგრამ სხვათაგან გამორჩეული.

„დღემდე ავი განზრახვა არ ჩაუდია გულში და არც ჭკვაზე სიტყვა შეუუბდავს ვინმესთვის“... ვითომ ამით დაიმსახურა უუფრადღებობა და უარყოფა? — ფეკრობს ჯანეკო და იგი მართალია. საბალახოში ავი განზრახვა, უკეცხ სიტყვა მოქმედებაა და საქმე. ჯანეკოს მართლაც არ ჩაუდია გულში ავი განზრახვა. იგი „მთავრის შექმნე მოალე ხანლლებივით“ გამოჩენილ თევზებს ფუთალთალებდა ღამდამბინი და სოფლისთვის უმნიშვნელო, არარსებული ვახდა.

საქმე ისაა, რომ სწორედ ჯანეკო განიცდის უფრო ძალუმად და ღრმად ჭმუნვას, ვიდრე სალეკი. საველსთვის ჭმუნვა, შეჭირვება, შეურაცხყოფა რიტორული ვარჯიშის ან რაიმე ტაქტიკური კომბინაციის საბაბია და სხვა არაფერი. ჯანეკოსთვის შემარყეველი და დაუმბენელი ტკივილი. ჯანეკოს უპირატესობა სულის, იდეის უპირატესობაა საველს პრაქტიკულ პრინციპებსა და მიზნებზე.

დაეუბრუნდეთ კვლავ საბალახოს. საბალახო გამოგონილი ქვეყანაა. უახლეს ქართულ პროზაში საკმაოდ გვაქვს გამოგონილი გეოგრაფიული „დასახლებანი“. თუნდაც ნოდარ წულაძიკრის „საკალნდარიო“ ან რეზო ჭეიშვილის „აია“... ყოველ მათგანს ზუსტი ეთნიკური შეხატყვანი მოეძევება. „საკალნდარიოში“ და „აიაში“ ჩასვლაც შეიძლება; მეტიც, აიაში ჩასული კაცი იქნება გაოცდეს კიდეც, იმდენად ცოტა აღმოჩნნდება ჭეიშვილის რომანში გადმოცემული გონილი... საქმე ისაა, რომ ზოგად პირველპირველ პირიულად მეორდება არსებული (აია), ზოგან კი იქმნება ისეთი მოდელი (საკალნდარიო), რომლის არსებობაც იოლი დასაშვებია.

საბალახოში ვერ ჩახვალ და არა იმიტომ, რომ მოქმედება მანძილდამინე მორეულ წარსულშია გადატანილი. ერთის მხრივ, ამას მნიშვნელობა არცა აქვს, მაგრამ ავტორი გრძნობს, იმ განყენებული კონკრეტიდან, რაც მოთხრობას საფუძვლად დაუდო, ჩვეულებრივ სქემამდე მცირე მანძილია, რომ აუცილებელია ზოგადიდან კონკრეტულისენ შემობრუნებისას რაღაც ყოფისეული, მიწიერი დეტალების მიგნება და გამოყენება (არა მგონია, ეს რელი, როგორც უკვე აღვნიშნეთ, დიალექტმა აკსიოსოს), წინააღმდეგ შემთხვევაში მოქმედება მექანიკურ მოძრაობად გარდაიქმნება. მაშინ სხეულები კარგავენ მოცულობას და მუყაოსად გამოქრილ ემსგავსებიან; რჩება მხოლოდ სიბრტყე და იკარგება პერსპექტივის შეგრძნება. აქ უკვე იცვლება ზემოქმედების ხარისხი. იგი ტოვებს ემოციის სფეროს და აზრობრივი ძიებების, მიხედრებისა და ფეორიული დასკვნების რკალში ექცევა.

თრთოლვის ფიზიკური შეგრძნებას მხოლოდ ათრთოლებული საგნის შეხება აწვევს. რაღაც ამდაგვარივე ხდება მხატვრული ნაწარმოების წაკითხვისას.

ერთის შეხედვით, მთელი ეს მსჯელობა „მეათე მოწმესთან“ ფიოქოს არაფერ შუაშია, თუმცა... იოლი როდია „მეათე მოწმის“ ზემოქმედების ძალა უცეს ირწმუნნა. (მე მინდა გავიხსენო ერთი მეთხზველის აზრი, იგი აღტაცებული იყო მოთხრობით. ოღონდ, ეგონებ ქართული უჭირსო ავტორს. „ქართული“ ავტორს არ უჭირს, მაგრამ ერთგვარი ნაკლულოვანის გრძნობა მკითხველს მაინც გაეჩნდა, იგი ალბათ უცეს ვერ გაეკვეა ამ გრძნობის გამომწვევ მიზეზში და ეს მიზეზი მართლაც არაა ადვილი გასარკვევი). მოთხრობის დასაწყისში გამოკვეთილი მხატვერული სახეების, თავისებური ირონიისა და დინჯი ტონის წყალობით საკმაოდ მკვეთრი, პლასტიურად ცხადი სურათია **დახატული**. მოთხრობა, ეპიური ინტონაციის მქონე პირველივე აბზაცებიდან თამამად მიედინება ჩამოყალიბებული აზრობრივი ფორმულსკენ, ეს ფორმულა ყოველ წვრილმანზე მოქმედებს, ყოველივეს განაპირობებს... მოქმედება ეითარდება... ირონია თანდათან უთმობს ადგილს სარკაზმს, ჩნდება სატირული ელემენტი და იცვლება მოთხრობის რიტმი. უკვე იქ, სადაც თავკაცის სახლკარის მოთხრება, ჭურების სპატიმროდ გადაქცევა და „ჭურში ჯდომა“,

ოთია პაჭკორია
დრო და სახელები

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეტროვე შაქრის მეტროვე მიხათი შეიცლაა მოთხრობილი, იტორისა საგრძნობლად იცვლება. თავს ინენს სქემა, მტიც, „ცივი მეტყველება“, თუ შეიძლება ასე ითქვას, ჩნდება ზედმეტი დისტანცია აუტორსა და გმირებს შორის. უეცარია, ამ დისტანციის, თავისებური გულგრილობის გაჩენას ხელს უწყობს ნაწარმოების ძირითადი ბრთან, იდეასთან მიახლიება. თითქოს იდეის განყენებული და წინასწარგამიზნული ხასიათი აფერხებს კიდეც კონტაქტს პერსონაჟებთან.

ინელია გულგრილობა დააბრალო მწერალს, რომელსაც შეუძლია დწეროს — „ზზე ეისერში აჭერდა, თითქოს, მძიმე, გახურებული მძიე ეკიდა კაცს“ — მაგრამ ეს მხოლოდ ტრიპია. იგი დასატურეს ფიზიკური შეგრძნების მეტაფორულად გადმოცემის უნარს. ჩვენ ამას არც ვფუილსხმობთ.

ირონიას შეუძლია სითბოს შენარჩუნება, სარკაზმს არა...

ელადიმერ სიხარულიძე არც ცდილობს სითბო შეინარჩუნოს, მას ვგრძენ, არც ჯანიოსთან აქვს დამყარებული სულიერი კონტაქტი და, მოუმეტეს, არც სხვებთან.**ავტორს უშუალო კონტაქტი მხოლოდ კონცეპციასთან აქვს დამყარებული.**

იქ, სადაც მთავრდება მხატვრული ნაწარმოები, იწყება კრიტიკული ანალიზი. მაგრამ სად მთავრდება მხატვრული ნაწარმოები?

„ალრნილი სპალახოოლები ყურს უგდებდნენ ესაამო სიმღერას, მომკონ ჭიქით ღვინოს წრეპაჯდნენ და მჭიქაცო ტკივილივით გრძნობდნენ, რომ ვეღარ შეეგუებოდნენ ფუნდელ ფუნ ცხოვრებას. მძიმე ფურგონებში შებმული ვეეები ცხენების ჩამოსულამდე, ვაზაფხულის დადგომამდე რაიმე მნიშვნელოვანსა და გამაცოცხლებელს ითხოვდა უკეე მათი აფორიაქებული სული...“

ეს ადგილი ნიშნსდობლივია. მწერალმა თავისი სამეველია თქვა და სხვისიც. ამ დასკვნის წერილში გადმოტანა პირდაპირ შეიძლება და კრიტიკოსიც გაოცებით შეაშრნეს, რომ ეს უკეე ანალიზია და დასამატებელი ალარაფერი რჩება.

ჯანიკოს გაფირალებით მთავრდება მოთხრობის ერთი თავური მონაკვეთი, რჩება მეორე, აგრეთვე მნიშვნელოვანი — ფინალი, სადაც სახეშეცვლილი სპალახოს „ტრაგედიაზეა“ უნდა ითქვას. ამ ორ მომენტს შორის ვრცელი სამოქმედო არეა და მისი შესესა აუცილებელი იყო. იქნებ ეს მცდარი შთაბეჭდილებაა, მაგრამ სწორედ ამ შუალედში მოთხრობას ახასიათებს ქარაფული ზღაპრის ინტონაცია, თხრობის მანერა, იქნებ სქემატურობაც.

მოთხრობის წინა პლანიდან ჯანიკოს გაყვანისთანავე ქრება, თუ შეიძლება ასე ითქვას, გმირთა სულიერი სამყაროს ინტერიერი. ფორმალურად ავტორი თითქოს აქაც მართალია: ეს სულიერი, შინაგანი რამ ერთადერთ კაცს გააჩნდა, იგი კი მოქმედებას ფაქტიურად ვამოუთაშა. ხოლო ვინც დარჩა, მათი არსი იმდენად გლუვია, რომ ავტორს რაღაც ემოციების, განცდათა ნიუანსების ძიება ზედმეტად მიაჩნია. და სწორედ აქ ჩნდება ერთგვარი უკმარისობის, ტონის დაცემის შეგრძნება.

წუთით შეეჩერდეთ ერთ ვითარებაზე, რომელიც შესაძლოა „მეათე მოწმეს“ ნაკლებად, მაგრამ მაინც ეხებოდეს. თუ დაკავკირებდით ამ ბოლო დროს გამოქვეყნებულ ნაწარმოებთა უმეტესობას, ერთ საერთო თვისებას შეეამჩნევთ, მეტნაკლებად გამოხატულს — **გრძნობა და განცდა გადმოცემულია რენტგენის პრინციპით, მოცილებულია ფერ-ხორცი, სანაცვლოდ უალრესი სიზუსტეთაა ასახული ჩონჩხი, არმატურა.** იქნებ ეს გრძნობათა განგებ შეკავების, რაღაცნაირი შინაგანი კედმამოსილების გამოცხდება, თითქოს ემოციის, პოეტური განწყობილების, ძლერი ენების უშეალოდ გამოხატვა უხერხული იყოს. მე ვგრძნობ, რომ ამას გონების პრინციპი განაპირობებს (ხოლო მინი უარყოფა არც საჭიროა და არც სასურველი), მხატვრული მეტყველების პრინციპის შეცვლაც... მაგრამ, იქნებ იდეალური მდგომარეობისთვისაც ვიზრუნოთ (ყოველ შემთხვევაში, ამის უფლება ჩვენთვის არავის წაურთმევია). ამ პრამატის და მხატვრული წარმოსახვის მაღალი სინთეზისთვის.

ელადიმერ სიხარულიძემ მკვეთრად განსხვავებული მხატვრული აზროვნების ზოგადი წარმოდგენების, ალეგორიისა და გროტესკის ძნელი გზა აირჩია. გზა, სადაც გამოგონილი „საკუთარ ყოფიერებას, საკუთარი დაბადების შესაძლებლობას“, ანუ რეალობას უნდა დაუახლოვდეს და არსებობის უფლება მოიპოვოს.

და კიდევ...

არსებობს სტანდარტი — ჩვენს ლიტერატურას შემოემატა ახალი სახელი და თან მოიტანა სამყაროს თავისებური ხედვა... ეს იმედის მომცემი ძალაა, მისი უკანასკნელი მოთხრობა უდაო გამარჯვებაა და ა. შ.

კრიტიკოსი ტრიუმფატორის წინ მიმავალი ლეკტორი არ არის. მე არ ვიცი, „მეათე მოწმე“ გამარჯვებაა თუ „დამარცხება“, მაგრამ ერთი რამ ვიცი: როცა ფიქრობ ახალვაზრდა მწერალზე, ცდილობ გიგრკვე — რამდენად შეიძლება მისი ნდობა, როგორც მწერლისა და, თუნდაც, ადამიანის. რამდენად ენდობი მის შემოქმედებით ენერგიას, ინტუიციას, აზრსა და კეთილსინდისიერებას.

პირადად მე ენდობი მის შემოქმედებით ენერგიასა და კეთილსინდისიერებას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

აკაკი ბაქრაძე

«ბახტრიონის» მითოლოგიური სარჩული

ჰიპოთეზა

„ბახტრიონის" ფინალში გაუგონარი რამ_ხდება: გველი ჰკურნავს სასიკვდილოდ დაჭრილ ადამიანს. ამ სურათის ალეგორიული შინაარსი ნათელია. ამას ერთი უსწავლული ფშაველიც მიმხვდარა. ვაჟა გვიამბობს: ფშაველი „შეხვეწებოდა, მეკითხებოდა: „ვაჟავ, თუ დმერთი გწამ, ნუ დამიმალავ, სწორედა თქვი, საქართველოს თავისუფლებას არა გულისხმობ „ბახტრიონში", რომ ამბობ „ეღირსებამ ლუხუმსა ლაშარის გორზე შადგომამ?" ვაჟას არ უარუყვია ფშაველის მიგნება. იქნება გგულისხმობდეო, უპასუხებია **პოეტს.**

დიდი პოეტისა და უბირი მკითხველის აზრი დაემთხვა ერთმანეთს. ზუსტად გააზრებული ალეგორია ზუსტადვე იქნა წაკითხული. მაგრამ მაინც საინტერესოა ამ ალეგორიულ სურათში დახატული სახეების — ლუხუმის, გველის, ლაშარის გორის — კონკრეტული შინაარსი. ლუხუმი საქართველოა. ეს უდავოა. მაგრამ გველი რაღაა? რა მაინცდამაინც უნასმა უმკურნალოა ლუხუმს? ნუთუ მხოლოდ იმიტომ, რომ „ადამის ტომის მტერი", „ბევრის ცოდვის მოქმედი" ლუხუმის ვაჟკაცობით მოიხიბლა და „მისი გველური ბუნება" სიბრალულით აივსო? ასე უბრალოდ არ უნდა იყოს საქმე. აქ სხვა აზრიცა და შინაარსიც უნდა იმალებოდეს.

მივაქციოთ ყურადღება ერთ გარემოებას: ლუხუმს (ე. ი. საქართველოს) გველი მფარველობს, მტრის წინააღმდეგ ამხედრებულ ქართველთა ლაშქარს — ლაშარის ჯვარი, ე. ი. წმიდა გიორგი. ლაშარის წმიდა გიორგი ქართველთა ლაშქარს მარტო „ბახტრიონში" არ მფარველობს. იგი ყველგან და ყოველთვის იცავს ქართველთა მხეცრობას. „ფშაველი ჯარისკაცის წერილში" ნათქვამია:

„ერთი რამ უნდა გაუწყო,
გავკვირვებულვარ ამითა:
როცა ომი გვაჭვ, ქართველის ჯარს,
ნათელი გვიძღვის ღამითა,
კაცი რამ ლურჯ ცხენიანი,
ამოლებულის ხმალითა,
მაღლიდან თავზე დაგვბრუნავს
ტურფა იერით, ტანითა.
სახე აქვს შავად მოცული
მას დიდის კაეშანითა.
ეს ჩვენი ჩუბი მფარველი
ლაშარის ჯვარად ვსცანითა".

ფშაველი ჯარისკაცის ამ ხიღვას უენაურად ეხმიანება ქართველი მემატიანის ერთი ცნობა: „რამეთუ პირველსავე ომსა იოტა ბანაკი მათი და ივლტოდა, რამეთუ ქელი მაღლისა შეეწეოდა, და ძალი ზეგარდმო ჯარვიდა მას, და წმიდა მოწამე გიორგი განცხადებულად ყოველთა სახილველად წინაუძღოდა მას და მკლავითა თუესითა მორჩიდა ზედამოწვეულთა უსჯულოთა მათ წარმართთა, რომელ თუით იგი უსჯულონი და უმეცარნი მოღმრთ აღიარებდეს და მოგუითხრობდეს სასწაულსა ამას მთავარ-მოწამისა გიორგისსა". როგორც ვხედავთ, დიდგორის ომში დვითი აღმაშენებელს იფარავდა და წინ უძღოდა წმიდა გიორგი. „ბახტრიონშიც" ხომ ასევე გამოცხადება ლაშქარს ლაშარის წმიდა გიორგი!

„შადგეთ", ჰკვირის ლუხუმი,
სამკლავიანის ხელითა:
„ვერა ჰნახეთა, ბატონი
წინ მიგვიძღვება ცხენითა?!"
ენახე, ცის ტატნად დავატყვე,
მთა გადალახა სწრაფადა,
გარს ეფლო შუქი ბრწყინვალე,
ციდან მოსული ძაფადა.
ლურჯს ცხენზე იჯდა, ლამაზი
სხივი თავს ედგა ღვთიური,
რო ენახე, გულში ჩამიდგა
სიამოვნება ციური"...

და ასე შემდეგ. ერთი სიტყვით, ქართველი კაცის წარმოდგენით, წმ. გიორგის ძლევამოსილი მარჯვენა იფარავს ქართლოსის მოდგმას და სადაც წმ. გიორგია, იქ ქართველიც გამარჯვებულია. თუ ასეა,

მაშინ დაჭრილი და მომაკვდავი ლუსუმი რატომღა მიატოვა ამ მზრუნველმა პატრონმა? რატომ დაიგიწყა გასაბრაწილი ლაშარმა ცმა? იქნებ არც მიატოვა, არც დაიგიწყა: სურიელის სახით გამოეცხადა, უმკურნალა და უშველა. „შაალეთნინა ხნეუფსა ფეხზე დადგიმა“. ვფიქრობ ასეა: „ბახტრიონის“ ფიანური გველი ლაშარის წმიდა გიორგის ხტინურ ჰიპოსტასია.

შევეცდები დავასაბუთო ეს.

წარმართული რელიგიისა და მითოლოგიისათვის ღვთაებათა ორპირნიობა ჩვეულებრივი მოვლენაა. როგორც ჩანს, წარმართული წმ. გიორგიც (სამწუხაროდ, ვიცით ამ ღვთაების მხოლოდ ქრისტიანნაზირებული სახელი. არ ვიცით, რა ერქვა მას წარმართულ პანთეონში) ორი ჰიპოსტასის მატარებელი უნდა ყოფილიყო. ქართული ფოლკლორი იცნობს როგორც თეთრ გიორგის (მაგალითად, საყოველთაოდ ცნობილი აწყურის თეთრი გიორგი. ამას ოსურ ფოლკლორში ანსებული უსა-გერგიც, ნათელი, თეთრი გიორგიც, დავუმატოთ.), ისე ჯოჯოხეთის წმ. გიორგისა და უმზეური გიორგის. ღვთაებათა ორპირიანობის გამოვლენა უნდა იყოსო, ამბობს ვახტანგ კოტეტიშვილი, ჩვენი წმ. გიორგი უმზეური, როგორც თეთრი გიორგის ქვესკნელური სახე ან ე. წ. ჯოჯოხეთის წმ. გიორგი, რომლის კვალიც ატენის ხეობაში აღმოჩნდაო.

მაშასადამე, ერთი მხრივ, ყოფილა თეთრი გიორგი ანუ ზესკნელის გიორგი, ხოლო, მეორე მხრივ, მის საპირისპიროდ — უმზეური, ჯოჯოხეთის გიორგი, ე. ი. ქვესკნელის გიორგი.

ქართულ მითოლოგიაში ქვესკნელის გიორგის არსებობას ისიც ადასტურებს, რომ აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში წმ. გიორგის თიკუნია ნაფვარამშვენიერი, წყაროსთაული. ე. ი. წმ. გიორგი წყალს უკაშმირდება. წყალი კი მითოლოგიაში ქვესკნელის ატრიბუტია.

სხვათა შორის, შეიძლებოდა გვეფიქრა, რომ ლაშა-გიორგიც თეთრ გიორგის ნიშნავს. სიტყვა „ლაშა“ სპას „ქვეყნის მანათობლად“ აქვს განმარტებული. ამასვე ამბობს „ისტორიანისა და აზმანის“ ავტორიც: ლაშა „განმანათლებლად სოფლისა ითარგმნა“. განმანათლებელი, ნათელი, თეთრი ამ შემთხვევაში სინონიმებია. ე. ი. ლაშა-გიორგიც თეთრი გიორგია. თუ ეს ასეა და ლაშარი სიტყვა „ლაშას“ (ნათელს) უკავშირდება, მაშინ ხომ არ ნიშნავს ლაშარის გიორგი თეთრ გიორგის, ზესკნელის გიორგის? მეტი საბუთია საჭირო. ჯერჯერობით ეს მხოლოდ ვარაუდია.

ქართველთა წარმოდგენით, წმ. გიორგი უნივერსალური ღვთაებაა. იუანე ჯავახიშვილი წერს, რომ „წმ. გიორგი ყოველდღეთიერი და ძლიერი ღვთაებაა, უმთავრესი ადგილი უკავია და თვით ღმერთებსაც კი აღემატება“. იგანე ჯავახიშვილი ამსახავს, რომ „ხალხში გავრცელებულია რწმენა, რომ საკარიველოში იმდენი წმ. გიორგი ეკლესიაა და იმდენი წმინდა გიორგია, რამდენიც წელიწადში დღეებია“. ამ მხრივ ფრიად სანტტერესოა ერთი სალოცავის სიტყვები, რომელშიც ნათქვამია — ცხრა ოც და სამი წმ. გიორგია!.. ცხრაჯერ ოცი ასოთმოცეა. ამას სამსაა თუ მივუმატებთ გამოვა ასოთმოცდასამი. მივუმატოთ ასოთმოცდასამს ასოთმხოცდასამი და მივიღებთ სამას სამოცდაექვსს, ე. ი. იმდენს რამდენიც დღედღისაა წელიწადში. აჭაც დასტურდება ხალხის რწმენა — იმდენი წმიდა გიორგია, რამდენი დღედღისა წელიწადშია. თუ ასეა, მაშინ რატომ არ მიმართავს მლოცველი სამას სამოცდაექვს გიორგის (თუმცა ასეთი ლოცვაც არის: სამას სამოცდაექვსი გიორგი შეგეწიოსო) და ეეფდრება ცხრა ოც და სამ გიორგის? საქმე ის არის, რომ აჭაც წმ. გიორგის ორი ჰიპოსტასია გამოვლენილი — თეთრი ანუ დღე და შავი ანუ ღამე. მლოცველი მიმართავს წმ. გიორგის ერთ-ერთ სახეს, ერთ-ერთ ნახევარს და ამბობს: ცხრა ოც და სამ გიორგივ!

რაკი ორი გიორგია ზესკნელისა და ქვესკნელისა, როგორი აღით ვლინდება მითოლოგიაში თითეული მათგანი? ზესკნელის გიორგის სახეა ხარი და მუხა, ქვესკნელის გიორგისა კი — გველი.

სადაც კი წმ. გიორგის ლოცულობენ, ყველგან სასსხვერპლოდ ხარი მიქაჯეთ. ეგ სულერთია, ქრისტიანულად ხდება წესის აღსრულება თუ ნახევრადწარმართულად. ასეა ილორობის დღესასწაულზე ილორში, ასეა თეთრგიორგობას აწყურში, ასეა ხევში ბარბანის წმ. გიორგის ხატობისას... ერთი სიტყვით, ჩვენში ყველგან და ყოველთვის წმ. გიორგის სახელი ხარს უკავშირდება. ეს საერთოდ. კოსერეტულად, ლაშარის ჯვარიც ხარს ითხოვს მსხვერპლად ზორვისას:

„ოქვენ დამაცალეთ, ფშაველებო, მალოცეთ ხატის კარიო,
სამსხვერპლოდ მომიყვანია თეთრი ორმაი ხარიო“...

ნათქვამია ლეკსში „ლაშარს მოვიდა თიღლისძე, გულღიდად დაჯდა ხარიო“... მეორე ლეკსში ფშაველი ვმირი იკვეხნის, „ლაშარის მიხოცავ ქისტის ხარები რქიანი“.

ლაშარის წმ. გიორგის სადგომი კი მუხაა. ერთ ფშაურ ლოცვაში წმ. გიორგი მუხის ანგელოზად იწოდება: „დიდება შენთვის, გიორგი მუხის ანგელოზო“. იქვე სქოლიოში თავად ვაჟა განმარტავს, გიორგი მუხის ანგელოზი ლაშარის ჯვარიაო. ხოლო თედო რაზიკაშვილის მიერ ჩაწერილი ხალხურ ლეკსში თავად ლაშარის ჯვარი ამბობს:

„ბერი გიორგი მეც ვიყავ, ცას ვეში ოქროს შიბითა,
გორაზე მედგა ბერმუხა, ზედ ავდიოდი კიბითა“.

თედო რაზიკაშვილის სიტყვით, ბერი გიორგიც ლაშარის ჯვარია. მუხისა და ლაშარის ჯვრის ურთიერთობის ამბავი სხვა ლეკსშიც აღინიშნება:

„დიდობდა ლაშარის ჯვარი, — ცასა
ეკიდივარ შიბითა,
ხმელ გორზე მედგა ბერმუხა, ვერვინ
დამწონა შიშითა“,

ერთი გადმოცემის თანახმად, ეს მუხა ზუთაბ ერისთავმა მოაჭრევინა თურმე მსაკვრობითა და ვერაგობით.

აქ აღსანიშნავია თინათინ ოჩიაურის შენიშვნა: ლაშარის ბერმუხის ამბავს „საგანგებო განსილება ესაჭიროება, ვინაიდან მათში მხოლოდ ღვთაების სადგურად კი არ გვევლინება ხე, არამედ იგი სიცოცხლის ხის მოტივსაც უნდა უკავშირდებოდეს“. ამას ისიც უნდა დავუმატოთ, რომ ამ ხეების ძირში ყოველთვის წყარო დის. ეს წყაროებიც უკვდავების წყალი უნდა იყოს. „ანამე ვინ ვეშა წყარო გვქნა, გუდან ბეელის კარს ვვადინა“. გუდანიც წმინდა გიორგის სალოცავი, ვეშა წყარო კი უკვდავების წყარო.

როგორც ზემოთ ითქვა, ხარი და ხე წმიდა გიორგის მოუცილებელი ატრიბუტებია. მაგრამ რა აკავშირებს ხარს უსსენებელთან? ბერძნული მითოლოგიის კლასიკური ფორმულა ამბობს: გველის მმობელი ხარია და ხარისა — გველი. ეს ფორმულა ყველა მითოლოგიისათვის კანონი ყოფილა, რამეთუ ღვთაების ხტენური სახე გველია, ხოლო ზეციური — ხარი. ამას ისიც უნდა დავუმატოთ, რომ თინათინ ოჩიაურის გამოკვლევის თანახმად, სურიელი „ადმისაკენაი საკრთველოს მთიანეთის რელიგიაში წარმოდგენილია ღვთისშეილთა დამხმარე პერსონაჟის სახით“. „ბახტრონშიც“ გველი ეხმარება ლაშარს სასიკეთოდ განწირული ლუხუმის გადარჩენაში.

საერთოდ მითოლოგიაში გველი ყოველთვის უკავშირდება მკურნალობას. საკმარისია გავიხსენოთ, რომ მკურნალობის ძველებურნული ლეგენდა ასკლეპიოსი უნასის პიპოსტასს აკუმრდა (დღესაც ხომ მედიცინის ემბლემა გველია!). ასკლეპიოსი არა მარტო სწორუპოვარი მკურნალი იყო, არამედ მკვდრეთით აღდგინებაც შეეძლო. განა მომაკვდავი ლუხუმის განკურნებაში იგივე მითოლოგიური მოტივი არ ჟღერს? აქ უთუოდ უნდა აღინიშნოს ისიც, რომ საერთოდ სიკვდილს ლაშარისა ეშინია.

„სიკვდილმ თქვა: „ზღვა-ზღვა წამოვედ,
ზღვა ჩქეფით შამოვიარე,
შეკკაზმე ლურჯი აქლეში, ხმელეთი
შამოვიარე.
ფშავიასკე გადავიხედე, — ყოოდნენ ვარ ნენ,
იანი.
ჩაჯელირე და ვერ ჩავედ: ხატი ხუოლეყო
ძრიალი,
ჭვარის ძირს შამიგებე გიორგი
პირ-ოფლიანი,
ფშავიასკე აღარ გამიშვა, ყოფილა
დაგლათიანნ“.

გიორგი პიროფლიანი ლაშარის ჯვარია. დაგლანი კი ეტლიანს, იღბლიანს, ბედიანს ნიშნავს. ვის მხარეს ლაშარი — გიორგი პიროფლიანია, მას ბედისწერა, ეტლი სწყალობს. ამიტომ გადაურჩა ფშავი სიკვდილს. მელექსესაც ამიტომ უკვირს ქაჯთარის სიკვდილი. ქაჯთარს ხომ ლაშარის ჯვრის ნაჩუქარი შიბი ჰქონდა!

„ნეტარ, ქაჯთარსა რა მოხკლავდა?
შიბი ცხრა-კეცი ედვა ყელსა
ლაშარის ჯვარის ჩადებული“.

გიორგი თიღლისეულა აძლევს სურიელი წამალს:

„ჩიღლს ძირ დაგძინებიყვა,
მაშვრალო, გრილსა ქვაზედა,
ყელს გველი გადმაგხვევიყვა,
თავი დაედვა თავზედა.
მე რომ არ მოვსულიყავი,
წამალს გაყიდდა ტანზედა“.

ამ ლექსების მიხედვით, ლაშარიც მკურნალია და გველიც. ორივე ერთსა და იმავე ფუნქციას ატარებს, რადგან ერთიდაიგივე ღვთაებაა, ოღონდ სხვადასხვა პიპოსტასით გამოყენული.

სხვათა შორის, ერთ ხალხურ ლექსშიც ლუხუმს გველი მკურნალობს:

„სიმშილით დაღონებულმა ქუნი მოძოვა
მთისაო;
წყურვილით დაღონებულმა ცვარი ალოკა
ცისაო.
ლუხუმს გველ შამეეჩვია, მუხლს ულოკს,
უკურნისაო.
ორი კვირა რო წვადდა, ლუხუმს მუხლ
ექნა მგლისაო“.

მართალია, არ ვიცით, ეს ლექსი როდის შეიქმნა — — ვაჟას პოემის დაწერამდე თუ შემდეგ, — მაგრამ მაინც საყურადღებოა იგი. აქაც მშვიელელი და მკურნალი გველია, თუმცა ეს ლუხუმი სრულიად არ ჰგავს ვაჟას ლუხუმს. ხალხური ლექსის ლუხუმი ლეგებსა და თუშებს ებრძვის. დაიჭრება (მუხლი მოტყდება), მგრეხი დაჯაბნიან — ხირიმსა და ფრანგულს წაარბევენ. მგრეხი წესსაც დაარღვევენ: დაჭრილ ლუხუმს მარჯვენას მოაჭრიან (ცოცხალს არ შეიძლება მკლავი მოჰკვეთონ). ამის შემდეგ უშვილის გველი ლუხუმს. მართალია, ვაჟა ამბობს, რომ „ცმირები პოემისა — ლუხუნი, ხოშარეული, სუფლეჯი, კვირია, სანაა, გარდა ზეზვასი ხალსურ ლექსებში ერთიც არ არის ნაჩვენები, რომ იმათ მიეღოს რაიმე მონაწილეობა ბახტრიონის ბრძოლებში“, მაგრამ ეს არ ნიშნავს იმასა, რომ ვაჟა ხალხური პოეზიიდან არ იცნობდა გველის მიერ ლუხუმის განკურნების მოტივს. ასეა თუ ისე, ერთი რამ ცხადია: ვაჟასთანაც და ხალხურ ლექსშიც მკურნალი გველი მითოლოგიური სახეა. ამ მითოლოგიურ სახეს ეღუპოდ შიერე ასე განმარტავს: რა მნიშვნელობას ანიჭებდა გველს ძველი ტაძრები? ინდური, ეგვიპტური და

აკაკი ბაქრაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბერძნული მისტერები ერთხმად გვპასუხობს: რეალად დასვეული გველი ნიშნავს მსოფლიო სიცოცხლეს, რომლის მაგიური ძალაა ასტრალური სინათლე. უფრო ღრმა ახრით Nahash (გველი) აღნიშნავს იმ ძალას, რომელიც ამოძრავებს სიცოცხლეს. „ბაბტრიონშიც“ გველი სიცოცხლეა. ვაყა მბატერულად ასახავს იმას, რასაც მეცნიერულად განმარტავს ედუარდ შიურე. ეს რომ ასეა, ამას შემდეგი კომპონენტები გვიმტკიცებს:

ედუარდ შიურე ამბობს (გაგიმეოროთ): გველი სიცოცხლეა. მისი მაგიური ძალაა ასტრალური სინათლე.

საერთოდ წმ. გიორგი და ქერძოდ ლამარის წმ. გიორგი სინათლეს უკავშირდება. ჯერ ერთი, გიორგის ეპითეტია თეთრი (ოსურ ფოლკლორში — „უს“ — „ნათელი“); გიორგის ხტინური ჰიპოსტასის თიკუნია „უმზეური“ ე. ი. არანათელი. მეორეც, ლამა და ლამარი, მიუხედავად იმისა, რომ ზუსტი ეტიმოლოგიური ახსნა არ მოგვეცოება, უთუოდ დაკავშირებულია ერთმანეთთან (ამას ხალხური ლექსებიც ადასტურებს). ლამა კი მანათობელია, ვამანათებელია, ე. ი. სინათლეა, ლამარის წმ. გიორგი რომ ასტრალური სინათლეა, ამას იხიე ამტკიცებს, რომ ლამარის ზეციური ანე მზიური ჰიპოსტასი ხარია, ხოლო ლამარის სადგომი — მუხა. მითოლოგიის თანახმად ეკი, მუხა მზის ბინაა, ერთი სიტყვით, ყოველი მხრით, ლამარი ასტრალურ სინათლეს უკავშირდება. „ბაბტრიონშიც“ ლამარი ნათელმსილი სახით წარმოდგება.

1. „ბელლის კარს მოდგა მზეებრა“...
2. „გარს ეკლო შუქი ბრწყინვალე, ციდან მოსული ძაფდა“...
3. „მე ტრედისფერად მეჩვენა, სხივი მისდევდა მზიურ“...
4. „ლამარის ჯვარის ცხენისა ნატერფალია ელვარე“...
5. „ლურჯს ცხენზე იჯდა, ლამაზი სხივი თავს ედგა ღვთიურ“.

„ბაბტრიონის“ ავტორის მიერ დასაბუთული ლამარიც ასტრალური სინათლეა (აქ ვაყა ზუსტად იმეორებს ლამარის ხალხურ წარმოდგენას). რაკი ასტრალური სინათლე სიცოცხლის მაგიური ძალაა, ბუნებრივია, რომ ლუხუმს ლამარი უბარებს სიცოცხლეს. ისიე ბუნებრივია, რომ ლამარი ლუხუმს გველის სახით გამოეცხადება. გველი ხომ ასტრალური სინათლის ხტინური ჰიპოსტასია, რომელიც სიცოცხლეს განასაზღვრავს. შემთხვევით არ არის ნათქვამი „ბაბტრიონში“ — „ერთ დღესა გველი, ვით ნისლი, გაწოლილიყო ზეზედა“... ნისლი ლამარის ფერია („ლამარის ჯვარო, მიშველე, მიბოძე ნისლის ფერია!“ „ლამარის ჯვარის ლურჯისა ფაფარი სხვის გიშრისა. ნახანს გვემარჯვა, კოტრო გაპყვება ნისლისა“. „ეადაჯდა ნისლის ფერზედა, არ ჩამოიღო თავიან“), ხოლო ხე — მისი საცხოვრისი. მაშასადამე, ნისლისფერი ლამარი ცხოვრობდა გველის სახით ხეზე და, რა იხიეა მომაკვდიდი ლუხუმი, უშველა მას.

წმ. გიორგი ზოგადქართული, საერთოქართული ...
ღმერთია. როგორც ვიცით, მან ქრისტიანულ „ბაბ...
ონში“ წარმართული მთვარე შეცვალა (ივ. ჯავახიშვილი). ამის გახსენება იმიტომ დამჭირდა, რომ ახლას მოითხოვს „ბაბტრიონის“ სტრიქონები:

„ბადმოდგა ბორბალაზედა
თავისუფლების მთვარეკ“.

საკმე ის არის, რომ ეს სტრიქონები თითქოსდა ლოგიკურად არ უკავშირდება წინა სტრიქონებს:

„ხუთშაბათ დილა გათენდა,
ნისლნია ნიაღვარია,
ბაბტრიონს თათრის შვილებსა
დღე გაუთენდათ მწარია.
გადმოდგა ბორბალაზედა
თავისუფლების მთვარეკ“.

ისეთი შთაბეჭდილება რჩება, რომ „თავისუფლების მთვარის“ მაგიერ უფრო უპრიანი იქნებოდა „თავისუფლების მზე“. ვაყა ის პოეტი არ არის, რითმის გულისათვის სიტყვა უაზრად იხმარის. მაშ რა მოხდა? აქ აუცილებელია გახსენება იმისა, რომ „ასტრალური კონცეფციიანად მომდინარეობენ სიტყვები ბორ-ცეი (ბურცვა), როგორც ბინა ამ ღვთაებისა (მასისის ბორცვი) და ბურ-თი, ბორბალი, როგორც გახსენება მზის სიმრგვალისა. აღსანიშნავია, რომ ცის განსახიერებას ბორბალი ანუ თვალი წარმოადგენდა“... (დ. შენდელია). მთა ბორბალაც (ბორბალიდან წარმომავალია) ქართულ მითოლოგიურ ცოცლ-ში უნდა შედიოდეს და ეი ჩსეეე ეყოს მზის ღვთაების ბინა, როგორც ოლიმპო—ზეეეს საცხოვრისი. მერე და, გაბა უაზრობა არ არის მზის მთაზე მთვარის გადმოდგომა? მაგრამ აკი ითქვა, რომ წმ. გიორგი სამას სამოცდაექვსია!.. ასოთხმოცდასამი დღეა და ასოთხმოცდასამი ღამეა. ე. ი. წმ. გიორგი ნახეკარი მზეა და ნახეკარი მთვარეკი. ახლა ლოგიკურია, რომ იგი ბორბალაზეა გადმოდგა და თავისუფალ სამეფოსოს დაბედა.

წმ. გიორგი მთელი საქართველოს მფარველია. ლამარის ჯვარიც არ არის ოღენ ფშაველ ღვთაება. იგიც მთელი საქართველოს დამრიგებელია: „დიდო ხელმწიფეეე, ლამარის ჯვარო, საქართველოს დამრიგებელეეო“ — ილოცავს ფშაველი. და ეს დამრიგებელი და პატრონი საქართველოსი ეხსმარება დაჭრილ ლუხუმს („საქართველოს). მისი წყალობით შეიძლება იგი ალორძინებას (შედგება ლამარის გორზე). აქ ალეგორიულად იგივეა ნათქვამი, რასაც ვაყა პარდაპარ და აშკარად ამბობდა წერილში „ცრტანკა ბ. ი3. ვართაგავაანი“: „როგორ გგონია? არ მაქვს მე წარმოდგენილი მომავალი ჩვენსა ბრწყინვალეად? ნუთუ ეს არა სჩანს ჩემი ნაწერებიდან? რომ ეს ყრა წწამდეს, თქვენ გგონიათ მე კალამს აგიდებ ხელში?!.. ურწმუნოთა შრომა ამაოა, შეუძლებელიეე“...

ამ რწმენას გვნიშნავ ფშაველი გლეხის ვიზიონერული სიტყვა „ბაბტრიონში“. მითოლოგიური პლანით გამოსახატავს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხელოვნება

თინათინ ჩიჩუა

ჩვენი ქალაქის რეკონსტრუქციის ზოგიერთი საკითხი

ამ ბოლო ხანებში სპეციალურ ლიტერატურაში, პერიოდულ პრესაშიც, ხშირად იწერება ჩვენი ქალაქის რეკონსტრუქციის შესახებ. ეს გასაგებიცაა, რადგან ძველი ქალაქის რეკონსტრუქცია, რომელთაც ისტორიული განაშენიანება დღეევანდლამდე მოუტანიათ, ერთ-ერთი ურთულესი გადასაწყვეტი პრობლემაა თანამედროვე ქალაქთმშენებლობაში.

ცნობილია საბჭოთა მწერალი დანილ გრანინი ამბობს: „სიძველენი თანამედროვე ადამიანს არა მარტო ცხოვრების მოსახერხად ესახერობა. ისინი სამშობლოსადმი განსაკუთრებულ სიყვარულს აღძრავენ, ისინი საყოველთაო სტანდარტიზაციის შხამსაწინააღმდეგო საშუალებას წარმოადგენენ, მათში კიდეც, რაღაც აუცილებელი, ზნეობრივი ვიტამინია“.

სიძველენი საერთოდ, და მათ შორის ჩვენი ქალაქის სიძველენიც, რომელთაც სხვასთან ერთად ზემოაღნიშნული ღირსებებიც გააჩნიათ, თავისი ნირსახეობით გამოირჩევიან და მათი დაცვის საკითხიც სხვადასხვაგვარ სიძნელეებთანაა დაკავშირებული. თბილისის სიძველენი — ეს, უპირველეს ყოვლისა, არქიტექტურული მემკვიდრეობაა. მათ შორის: მონუმენტური არქიტექტურული ძეგლები, თბილისური საცხოვრებელი სახლები, მთელი ქუჩები და მოედნები საუკუნეების მანძილზე ჩამოყალიბებული დაგეგმარებითი თავისებურებებით და თბილისის საეკიდიეკურ ლანდშაფტთან მთლიანობაში შერწყმული განაშენიანების საერთო სახე, მისი სიერცული კომპოზიცია.

რა თქმა უნდა, ცალკეული არქიტექტურული ძეგლის აღდგენა-დაცვის სამუშაოები განსხვავდება მთელი ქუჩისა და მოედნის აღდგენა-დაცვის სამუშაოების, ანდა ქალაქის მთელი უბნის სიერცული კომპოზიციის დაცვის ამოცანისაგან, რომელიც თავისთავად რთულ საქალაქმშენებლო საკითხს წარმოადგენს.

ხშირად, როგორც ეს ჩვენს ქალაქშია, ასეთი სხვადასხვა სახის სარეკონსტრუქციო სამუშაოები ერთმანეთთანაა დაკავშირებული და მათი კომპლექსური გადაწყვეტა ერთადერთი პირობაა სრულფასოვანი შედეგების მიღწევისათვის.

თვითეული ზემოჩამთვლილი საკითხი იმდენად რთული და საპასუხისმგებლოა, რომ მრავალმხრივ შრომატევადაც, თეორიულ და გრაფიკულ კვლევასთანაა დაკავშირებული. მაგალითად, დაცვისათვის განკუთვნილი ისტორიული ქუჩებისა და მოედნების დადგენა ცოცხალი ქალაქის ქუჩების მთლიანი სისტემის სატრანსპორტო ურთიერთობაში უნდა იქნეს ჩატარებული, რაც თავისთავად ერთ-ერთ მნიშვნელოვან საკითხს წარმოადგენს. შემდეგ დადგენილი მოედნებისა და ქუჩების განაშენიანების რეკონსტრუქციის მეთოდებისა და ხერხების ძიებაა. საჭირო და მას განსაზღვრავს მთელი რიგი ფაქტორები, როგორიცაა: შენობების ძველი და ახალი ფუნქციური მონაცვლეობა, მათი მხატვრულ-არქიტექტურული ღირსებები, საქალაქთმშენებლო ჰიგიენური მოთხოვნილებანი და სხვ.

ჩვენს წერილში კი მხოლოდ ერთ კონკრეტულ საკითხს განვიხილავთ — თბილისის ისტორიული ბირთვის მონუმენტური არქიტექტურული ძეგლების დაცვის ამოცანას, რეკონ-

სტრუქციის ზემოაღნიშნული საკითხების შუაჭზე.

დღეკანდელ თბილისის ისტორიული ბირთვი — ეს, ფეოდალური ქალაქის ძირითადი ტერიტორია, ციხეებთა და სამოსახლო რაიონებით, სადაც განლაგებული იყო სამეფო ადმინისტრაციული ცენტრი, სავაჭრო ცენტრი და საცხოვრებელი კვარტალები. დღეს ეს ტერიტორია შემდეგნაირად წარმოგვიდგება: განაშენიანება მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე, დადიანის, ბუშკინის, ბარათაშვილის ქუჩებიდან დაწყებული ქვეითი (მტკვრის დინების მიხედვით), ნარიყალასა და ანანოების უბნის ჩათვლით; მარცხენა სანაპიროზე კი მეტეხის უბანი შაუმიანის მოედანამდე. აქაა როგორც თავისთავად მხატვრული ღირსებების მქონე არქიტექტურული ძეგლები, ისე განაშენიანების საერთო კომპოზიციისათვის მნიშვნელოვანი არქიტექტურული მიცეცლობები. მათ შორის: ანჩისხატის ეკლესია და სამრეკლო, სორნის ტძარი და სამრეკლო, მეტეხის, ჯვრის-მამის სუბმნშნის, ნორაშენის, წმ. გიორგის, ფეთხაინის ეკლესიები, ნარიყალას ციხის კომპლექსი, ანანოების შენობები, აგრეთვე. ქარავსლების რამდენიმე შენობა, თუმცა საგრძნობი გვიანდელი ცვლილებებით მაგრამ დღეკანდელამდე მოტანილი. ამ ტიპის ნაგებობებისთვის დამახასიათებელი, დაგეგმარების პირველი ხასხი. მათ შორის ანჩისხატის ეკლესია გამოირჩევა თავისი არქიტექტურული მნიშვნელობით. მსოფლიოში არც თუ ისე ბევრი დიდი ქალაქის ბედნიერი ხვედრია ასეთი უძველესი ნაგებობის შემორჩენა.

1958-1960 წლებში არქიტექტორ-რესტავრატორ რ. გეგრიწფოლის ხელმძღვანელობით, ანჩისხატის ეკლესია შესანიშნავად იქნა რესტავრირებული.

ამ ძეგლის დაცვა მეცნიერულ კვლევაზე დაყრდნობით წარიმართა, სწორედ ისე, როგორც უნდა იყოს ძეგლის რესტავრაცია დღეკანდელ საშუალებებია და პირობებიდან გამომდინარე. „სარესტავრაციო სამუშაოების წყალობით ქალაქ თბილის შეეშალა VI ს. დასაწყისში აგებული ძეგლი, მთელი მისი დედაქალაქობის ისტორიის უსიტყვო მოწმე. რომელიც ამ თითქმის ეხეიკარ საუკუნის მანძილზე მასთან ერთად ინაწილებდა ავსაც და კარგსაც.“*

მაგრამ უნდა ითქვას, რომ ანჩისხატის დაცვის ამოცანა ჯერ მთლიანად გადაწყვეტილი არაა. ნაგებობის გამაგრება-აღდგენა დაცვის ერთი მხარეა, მეორე უფრო მნიშვნელოვანი და საპასუხისმგებლო ძეგლის გარშემო განაშენიანების რეკონსტრუქციაა. სწორედ ეს ეჭიდება მთელი რიგი მძაფრი, საქალაქმშენებლო საკითხები. მათ შორის — ძეგლის გარშემო განაშენიანების მასშტაბის შენარჩუნებისა თუ შეცვლის ირგვლივ. საკითხის ასეთი სიმძაფრე განაპირობა იგრეთვე ისაც, რომ ბოლო დროს როგორც ჩვენი ქალაქის, ისე მოსკოვისა თუ საზღვარგარეთის არქიტექტურულ საზოგადოებაში არსებობს ორი, დიამეტრულად საწინააღმდეგო აზრი და იმისდამიხედვით, სად რომელი აზრი იმარჯვებს, შედეგებიც დიამეტრულად განსხვავდება ერთმანეთისაგან.

საყოველთაოდ ცნობილია, ნაგებობათა დიდი მასშტაბის რა საშუალებები მისცა XX საუკუნეში არქიტექტურას მეცნიერების და ტექნიკის განვითარების დღეკანდელმა დონემ. ცნობილია ისიც, რომ დიდი ქალაქების ერთ-ერთი მტკივნეული ამოცანის — განაშენიანების სიმჭიდროვის შემცირების — ერთ-ერთ საშუალებას მრავალსართულიანი შენობების აგება წარმოადგენს; ამდენად, მრავალსართულიანი, მაღლები შენობები, საცხოვრებელი თუ ადმინისტრაციული, დღეს უკვე ლოგიკურ, ეპოქის შესატყვის არქიტექტურულ ნაგებობებს წარმოადგენს და დიდი ქალაქებისათვის თანამედროვე იერის მიმცემნი არიან.

საწინააღმდეგო აზრთა ერთი მხარე ჩნდება იქ, სადაც არქიტექტორთა ერი ჯგუფი თავის პროექტებში თუ პრაქტიკულ მოღვაწეობაში უგულებელყოფს ძველ მასშტაბს და ძეგლების გვერდით მაღალ შენობებს აპროექტებს თუ აშენებს. რა ხდება ასეთ შემთხვევაში? თვალსაჩინოებისათვის მოვიტანთ კონკრეტულ მაგალითს: რამდენიმე ხნის წინ მოსკოვში დამთავრდა ქალაქის ერთ-ერთი ძველი უბნის, არბატის ერთი ნაწილის რეკონსტრუქცია, სადაც სწორედ ის აზრი იქნა გატარებული. რომელიც ძველი განაშენიანების მთლიან დანგრევას, ცალკეული ძეგლების დატოვებას და თავისუფალ ადგილზე თანამედროვე, მაღალი შენობების აგებას გულისხმობდა. დღეს უკვე თვალნათლივ ჩანს, რა მოუვიდა რესტავრატორ-არქიტექტორების მიერ გულდასმით რესტაურირებულ, ამ რაიონში მდებარე „სიმონ შესეკეს“ XVII საუკუნის ეკლესიას. ის ვებერთელა შენობების ფონზე იმდენად მასშტაბდაკარგული და უსუსური ჩანს, რომ ბავშვის სათამაშოსავით გამოიყურება. ახალი არბატის მხატვრულ-არქიტექტურული ანსაზრი ჩვენი წერილის მიზანი არ გახლავთ. აქვე უნდა ითქვას, რომ სპეციალისტთა აზრით, ის ალიარებულია როგორც თანამედროვე არქიტექტურის ანსამბლური გადაწყვეტის თვალსაჩინო მაგალითი; მაგრამ, ცხადია, რომ ეს ეკლესია ახალი არბატის არქიტექტურას შეეწირა. აქ გამოყენებული კონტრასტული მასშტაბის პრინციპი, ამკარად, მაღ-

* რ. გეგრიწფოლი, ანჩისხატის რესტავრაცია. „ძეგლის მეგობარი“, კრებული მეშვიდე, გვ. 42, 1966 წ.

ლიები შენობების სასარგებლოდ არის მიმართული? და თუ შევადარებთ ძველისა და ახალი არქიტექტურის მნიშვნელობას, შეიძლება უკანასკნელმა კიდევაც გადაძლიოს.

დაბეჯითებით უნდა თქვას, რომ ასეთი წონასწორობა ანსიხატის ირგვლივ განაშენიანების რეკონსტრუქციის შემთხვევაში მთლიანად გამორიცხული უნდა იყოს. მტკიცებას არ საჭიროებს, რომ როგორც კი ანსიხატის გვერდით 18-20 სართულიანი შენობები აიგება, შეიქმნება ძველის სრული დემატერიალიზაცია, ქალაქი თავის წონადობას, კონსტრუქციულ ძალას დაკარგავენ და შედარები ფონზე მთელი ნაგებობა სასაღილო იერს მიიღებს. არ უნდა ვიფიქროთ, რომ ეს ანსიხატის შენობის ნაკლებფიფრსების შედეგი იქნება. მსოფლიო არქიტექტურის ძეგლთა საგანძურიდან რომელი დიდმნიშვნელოვანი ძეგლიც არ უნდა წარმოვიდგინოთ, ყველას ძაბობენება და დაქვეითება შეიძლება. სამშენებელო ტექნიკის დღევანდელი შესაძლებლობების წყალობით.

ანსიხატის უბანში ზემოაღნიშნული სარეკონსტრუქციო მეთოდის გამოყენება თითქმის ძეგლის დაკარგვას უდრის და როდესაც დიდმნიშვნელოვანი არქიტექტურული ანსამბლიც არ უნდა შეიქმნას ამ ადგილებზე, ის ვერ დაჰფარავს იმ დანაკარგის მნიშვნელობას, რომელიც ექნება მას ჩვენი ქალაქისათვის.

ძეგლის ირგვლივ განაშენიანების რეკონსტრუქციისას ერთ-ერთ მნიშვნელოვან საკითხს, აგრეთვე, წარმოადგენს ნაგებობათა არქიტექტურული სახის გადაწყვეტა. ანსიხატის ეკლესიის ეზო გაანია, რომელიც საცხოვრებელი სახლებითაა განაშენიანებული. ეზოდან, სამრეკლოს ეზიქრით, შავთელის ქუჩაზე გამოდგებოდა, რომელიც ძველი თბილისის სამეფო-ადმინისტრაციული ცენტრის ერთ-ერთ მთავარ ქუჩას წარმოადგენდა. ამ განაშენიანების დღევანდელი იერი ძლიერ ჩამორჩება ღირსებით ის მხატვრულ-არქიტექტურულ სახეს, რომელიც ქუჩას გაანნდა, როდესაც ის ქართველ დიდებულთა ორ-სამ სართულიანი საცხოვრებელი სახლებით იყო დამშვენებული. თბილისის ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმში დაცულია XX საუკუნის დასაწყისამდე შემორჩენილი ერთ-ერთი ასეთი სახლის მაკეტი (ბუხრან ბატონის). როდესაც ამ სახლის ფასადს უყურებ, თვალში ეცემა ისლამის არქიტექტურისათვის დამახასიათებელი ფორმების გამოყენება (შესრულილ თაღები, აგურის წყობის სახე), მაგრამ სახლის დიდი ანვანი, ლოჯის სახით გადაწყვეტილი და ქუჩის პირას გამომავალი, ჩვენებური, თბილისური.

ასევე თბილისური, დამახასიათებელი იერით ხასიათდება შავთელის ქუჩის მიმდებარე კვარტალებში და საერთოდ მთელი ისტორიული ბირთვის განაშენიანებაში გავრცელებული საცხოვრებელი სახლები, რომელთაც პატარა, სამ-ოთხ მხრიდან აიენებიან ბარშემოგარგლული და მეოთხე მხარეს ეზოქრით ქუჩაზე გამომავალი ეზოები აქვთ. უმრავლესობა ამ სახლებისა მოძველებულია; ზმირად ფასადებიც სხვადასხვა მინაშენებით დამახინჯებული და თანამედროვე საცხოვრებელ პირობებს მოკლებულია. რა თქმა უნდა, საცხოვრებელი განაშენიანების განახლება, იქ თანამედროვე ქალაქის კომფორტის შექმნა დღევანდელ თბილისში ერთ-ერთი აქტუალური ამოცანაა. ეს საზღვრავს, აგრეთვე, ანსიხატის ახლოახლო განაშენიანების რეკონსტრუქციის აუცილებლობასაც. ასეთ ვითარებაში აუცილებლად ისმება კითხვა, იქნება თუ არა გამართლებული ანსიხატის ირგვლივ ტერიტორიის თანამედროვე არქიტექტურული სახის მქონე ახალი ნაგებობით განაშენიანება (ვგულისხმობთ მასშტაბის საკითხს გადაწყვეტას ძეგლის შესაბამისად)? ვფიქრობთ, რომ არა. ამ აზრის დასასაბუთებლად შემდეგ არგუმენტს მოვიტანთ. უნდა წარმოვიდგინოთ, რომ ანსიხატი თანამედროვე სახის არქიტექტურულ, თუნდაც მასშტაბით მასთან ახლო მდგარ გარემოცვაში, აუცილებლად უცახ საერთო ანსამბლოდან ამოვარდნილ და ამდენად არქიტექტურული მეტყველების თვალსაზრისით „მკედარ სხეულად" გადაიქცევა. საყოველთაოდ ცნობილია, რომ მსოფლიო არქიტექტურის განვითარების მრავალსაუკუნოვანი ისტორიის მანძილზე არქიტექტურული ანსამბლები შექმნილა იქ, სადაც ერთიანი გეგმითა და არქიტექტურული სტილით, ერთ გარკვეულ პერიოდში შენდებოდა ნაგებობათა ჯგუფი, რომლის კლასიკური მაგალითია ათენის აკროპოლისის ანსამბლი; ანდა იქ, სადაც თანდათანობით, სხვადასხვა დროს შენდებოდა ნაგებობა, დროის შესატყვისი სტილით, მაგრამ ყოველ წინა პერიოდში აგებულ ნაგებობათა არქიტექტონიკასა და მასშტაბის გათვალისწინებით და გარკვეულ მხატვრულ პრინციპებზე აგებული შესაბამისობის გამოძებნით. მაგალითად, როგორც ეს საყოველთაოდ ცნობილ ვენეციის წმ. მარკოზის ანსამბლშია, სადაც IX-XVI საუკუნეების მანძილზე ბიზანტიურ, რომანულ, გოთიკურ და რენესანსულ სტილებში აგებულ ნაგებობათა ერთობლიობაა. ორივე შემთხვევაში სხვადასხვანაირი გზით, ერთნაირი შედეგი — ნაგებობათა ჯგუფის ერთიანი არქიტექტურული კომპოზიციის შექმნა მიღწეულია; და სწორედ ხანგრძლივი პერიოდის მანძილზე ჩამოყალიბებულ ანსამბლებში მხატვრული მეტყველების მოლიანობის ერთ-ერთ განმსაზღვრელ ფაქტორს, არქიტექტურულ სტილთა სხვადასხვაობას შორის გა-

თინათინ ჩიჩუა
ჩვენი ქალაქის რეკონსტრუქციის ზოგიერთი საკითხი

რაგვარ ნაგებობებზე ეკეთებოდა ფასადი. ეს ფასადი ეროვნული ფერადოვნებით ხასიათდებოდა. ეროვნული ფერადოვნებ ეროვნული ფერადოვნებ ეროვნული ფერადოვნებ

ეროვნული ფერადოვნებ ეროვნული ფერადოვნებ ეროვნული ფერადოვნებ

ეროვნული ფერადოვნებ ეროვნული ფერადოვნებ ეროვნული ფერადოვნებ

ეროვნული ფერადოვნებ ეროვნული ფერადოვნებ ეროვნული ფერადოვნებ

ეროვნული ფერადოვნებ ეროვნული ფერადოვნებ ეროვნული ფერადოვნებ

ეროვნული ფერადოვნებ ეროვნული ფერადოვნებ ეროვნული ფერადოვნებ

ეროვნული ფერადოვნებ ეროვნული ფერადოვნებ ეროვნული ფერადოვნებ

ეროვნული ფერადოვნებ ეროვნული ფერადოვნებ ეროვნული ფერადოვნებ

ეროვნული ფერადოვნებ ეროვნული ფერადოვნებ ეროვნული ფერადოვნებ

ეროვნული ფერადოვნებ ეროვნული ფერადოვნებ ეროვნული ფერადოვნებ

ეროვნული ფერადოვნებ ეროვნული ფერადოვნებ ეროვნული ფერადოვნებ

რეკეული წონასწორობა წარმოადგენს და არა ერთი ეპოქის არქიტექტურული სტილის ბატონობა სხვა სტილის ერთეულ ნაგებობაზე.

რადგან საერთოდ ყოველი რეკონსტრუქციის ერთ-ერთი მიზანი არქიტექტურული ანსამბლის შექმნა გახლავთ, ანრისსტის უბნის რეკონსტრუქცია (თუ ის ძველის დაცვის პრინციპით წარიმართება), ძირითადად უნდა განხორციელდეს ძველი განაშენიანების არქიტექტურული სახის შენარჩუნებით, რომელიც არ გამორიცხავს გარკვეულ ადგილებში შესაბამისი შემოქმედებითი მიდგომით თანამედროვე ფორმებში აგებულ ნაგებობის ჩადგმის შესაძლებლობასაც.

როდესაც ასეთი ორი, რამდენადმე საწინააღმდეგო მიზანია — ძველ განაშენიანებაში თანამედროვე ქალაქის კომფორტის შექმნა და მისი ისტორიულ-არქიტექტურული იერის შენარჩუნება, ნათელია, რომ ასეთი ორი ამოცანის თანაარსებობა გადაწყვეტის სირთულეს ქმნის და მრავალნაირი ხერხებით, კომპლექსურად საჭიროებს გადაჭრას. მათ შორის, ალბათ ყველაზე უპირველესი გზა ძველი საცხოვრებელი ფონდიდან არქიტექტურული ღირებულების მქონე სახლების გამოცლნა და მათი რესტავრაცია-რეკონსტრუქცია. ეს ყანანსყნელი კი ეკონომსხმობს: ფასადები არქიტექტურული სახის აღდგენას, უცხო მინაშენების მოხსნასა და ინტერიერში შესაძლებელი დაგეგმარებითი ცვლილებებით თანამედროვე საყოფაცხოვრები კომფორტის უზრუნველყოფოს. ამ გზის გვერდით შესაძლებელია მეორე გზის გამოყენებაც — ისტორიულ — კრაფიკულ მასალაზე დაყრდნობით ზოგიერთი, ღღეისათვის დაკარგული ღირსშესანშნავი ნაგებობის ხელახალი აშენება და მესამე — სრულიად ახალი საცხოვრებელი თუ სხვა დანიშნულების ნაგებობის აგება ძველი არქიტექტურული ფორმისა და ხერხების გამოყენებით; როგორინაცა, მაგალითად, ეზოებით ქეჩის პირას გამომავალი იფრანნი სახლები და სხვა.

ჩვენ ძირითადად ანრისსტის უბანს ვეხებოდით. რა თქმა უნდა, თბილისის სხვა ძველი უბნების რეკონსტრუქციისას, იქ სადაც არსებული არქიტექტურული ძეგლები დაცვა იქნება ერთ-ერთი წარმმართველი ფაქტორი, ანალოგიური მიდგომა იქნება საჭირო.

ზემოაღნიშნული — თეორიული შედარებითი ანალიზის საფუძველზე კელევით ჩამოყალიბებული მოსაზრებებია, რომლებიც ამოსავალი დებულებების სახით უნდა იქნეს მიღებული და საპროექტო შემოქმედებითი ძიებისას, უკვე რეალურ პირობებიდან გამომდინარე, კონკრეტულად გადაწყვეტილი.

არქიტექტურული ძეგლის დაცვის საკითხისადმი ასეთი მიდგომა ისტორიულად განაშენიანების რეკონსტრუქციის სხვა საკითხებს: ქუჩებისა და მოედნების არქიტექტურული იერის, სივრცული კომპოზიციის დაცვის საკითხებს უკავშირდება და მათი განეყოფელობის [illegible] ტაციებელია. ძეგლის დაცვისადმი ასეთი მიდგომა ძეგლის ირგვლივ ისტორიულად ჩამოყალიბებული გარემოს დაცვას განაპირობებს და თბილისის საქალაქთმშენებელო შემეცდრეობის დაცვის ინტერესებს წარმოადგენს. ეს კი ნიშნავს ქუჩებისა და მოედნების ძველი კონფიგურაციის, კვარტალების განაშენიანების სისტემის, მისი სიმეჭიდროვის დაცვას გარკვეულ ფარგლებში, დღეკანდელი საქალაქთმშენებელო მოთხოვნილებით დადგენილ ნორმების ფარგლებში.

განსაკუთრებულ ყურადღებას ისსტრუმს განაშენიანების სიმეჭიდროვეს საკითხი. თანამედროვე საქალაქთმშენებლო ნორმები ძველ კვარტალებში ინრაციისა და ინსოლაციის დამაკმაყოფილებელი პირობების შექმნას მოითხოვს, რაც განაშენიანების სიმეჭიდროვეს შემცირების გზით უნდა ჩატარდეს, გარკვეულ ადგილებში მზისა და ჰაერისთვის სივრცეების ვახსნით უნდა განხორციელდეს. საკითხის სირთულეს ამაც სიძველის დაცვისა და ახალ მოთხოვნილებათა დაპირისპირება განსაზღვრავს. ძველი ქალაქების რეკონსტრუქციის თანამედროვე პრაქტიკა, მაგალითად, ჩეხოსლოვაკიისა და პოლონეთში, ამ საკითხის შესანიშნავ გადაჭრას იძლევა. იქ ძველ საცხოვრებელ უბნებში კვარტალებსშიდა ტერიტორია გაათავისუფლეს და გამწვანებული ეზოები შექმნეს, სადაც ხშირად ერთი ქუჩიდან მეორე ქუჩაზე გამავალი კვარტალშიდა ფეხით სასიარული გზები გაიყვანეს. ამავე დროს კვარტალებს ძველი, პრიმიტიული სახის მოშენება დაუტოვეს, ძველი იერი შეუნარჩუნეს.

ამ საკითხზე ყურადღების გამახვილება გამოიწვია, აგრეთვე, იმან, რომ ამ ბოლო დროს ფეხს იკიდებს ძეგლების ირგვლივ სივრცის გახსნისა და იქ ყვავილნარების, სკვერებისა და მოედნების მოწყობის ტენდენცია — მისწრაფება ე. წ. „ხედების გახსნისაკენ". უნდა ითქვას, რომ ეს საქალაქთმშენებლო საკითხის ზერეული, პრიმიტიული გაგებაა, და მისი გადაწყვეტის ვიწრო, ლოკალურ მიდგომიდან გამომდინარეობს. ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ ეს ხერხი შესაძლებელია გამოსადეგი იყოს ერთგან, მეორე შემთხვევაში კი პირიქით, ძეგლის მდებარეობა, მისი გარემო სულ სხვა მიდგომას მოითხოვდეს და ძეგლის ირგვლივ ჩაკეტილად განაშენიანებულ მოედანს თუ ქუჩას შეესაბამებოდეს.

რეკონსტრუქციის შედეგად განახლებულ უბნებს ისტორიულად ჩამოყალიბებული არქიტექტურული სახე ექნებათ და უდგიოდ დიდი თბილისის სხვა რაიონებისაგან განსხვავებული, ასევი აღდგენილი უბნების დაკავშირება ქალაქის სხვა ნაწილებთან, როგორც მხატვრული თვალსაზრისით, ისე ფუნქციური მნიშვნელობითაც, არქიტექტურულ გაზრდასა მოითხოვს. მსოფლიოს უამრავ ქალაქში ეს საკითხები სხვადასხ-

ანაირად არის გადაწყვეტილი (ან მიზანდასახულად, გეგმიერად, ანდა სტიქიურად ჩამოყალიბებული). ზოგ შემთხვევაში ეს განხორციელებულია დაპირისპირების პრინციპზე, ქალაქის ძველი და ახალი ნაწილების მხატვრული კონტრასტების საფუძველზე, ძველი და ახალი ნაწილების სილუეტების შორის ოპტიმალური სივრცული მანძილების გამოძებნით; ზოგან კი თანდათანობით გადასვლით, როგორც ეს ნაწილობრივ ჩვენს ქალაქში არის წარმოქმნილი.

ზემოთქმულის საილუსტრაციოდ ერთი ქალაქის შესანიშნავ მაგალითს მოვიტანთ. გერმანელი ოკუპანტებისაგან ვარშავის განთავისუფლების შემდეგ დასავლეთ უკრაინის ეკონომიკურ-ადმინისტრაციულ ცენტრად ლვოვი ითვლებოდა. ეს ქალაქი ადრეულ შუასაუკუნეებში ერთ-ერთ ძველ ქალაქად ითვლებოდა. ეს ქალაქი ეკონომიკურ-ადმინისტრაციულ ცენტრ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბოგი ჩარკვიანი,
რევაზ გაბრიაძე

ფ ე ო ლ ა

ჩიქვანმა ღვინო დაცალა, პირი სახელოთი მოიწმინდა და მეგობრულად მიმართა ამერის:

— რა იყო აქ დასატოვებელი?! — დაცლილი ბოცა გაუწოდა „პიშჩევეიას“ დირექტორს და მოედანს გადახედა. — ვერ გამიგია, გლეხები ხართ და ასე რამ გაგაზარმაცა. თქვენი რომ ვიყო, ღვინო დაულეველი მექნებოდა; ჩაყარეთ ამ მოედანზე ვენახი, მზისკენ კარგა გვარიანად კია დახრილი, მოუთმინეთ სამი წელიწადი, მერე — წყვიტე და წურე, წყვიტე და წურე, წყვიტე და წურე! — სიამოვნებით გაიმეორა რამოდენიმეჯერ ჩიქვანმა, — მაგრამ უსაქმურები ხართ, შრომა გეზარებათ, სხვას უყურებთ ხელში!

ჩიქვანს ღვინოს დარდიმანდობა დაუბრუნა; ლამაზად შეათამაშა ტანი, ხელი მოიჩრდილა და მზეს გახედა:

— ამაზე ამბობთ ხომ გლეხები — მზე თოხის ტარზე იყოო? — თქვა მან, — წავედი ახლა მე.

ო�oდე წუთში ჩიქვანი უკან დაბრუნდა.

— რადაც მგონია დამრჩა აქ, — უთხრა ამერის.

— დაგრჩა კი არა, რაც არ გერგებოდა, ისიც წაიღე! — პირქუშად უპასუხა ამერიმ.

— მოიცა, კაცო. კარგად მახსოვს, რაღაც თბილი და რბილი მქავა ხელში, — ჩიქვანს კარა ამდაგვარად დამახსოვრებოდა.

— არაფერიც არ გკავებია, — ნიშნისმოგებით თქვა ამერიმ.

— კაი ბაბ, თქვენისთანა კრიეანგი კი არა ვარ, თქვენი იყოს, რაც დამრჩა! — მხიარულად თქვა ჩიქვანმა და სიმღერით გაუყვა სარბენ ბილიკს.

11

გუნდი — „უქმიერიონი“ თავის ტრიუმფალურ სვლას განაგრძობდა. ბონდო თამაშს აღარც უყურებდა, იჯდა ბალახზე მოედნისაკენ ზურგშექცეული, თავზე ცხვირსახოცი ედო და სოფელში ნაყიდ მჭადს ხრავდა. დამთავრდა? — იკითხავდა მხოლოდ. მოგებაში დარწმუნებული იყო, ანგარიში კი სულ არ აინტერესებდა. აგვისტო სექტემბერმა შეცვალა, მზე — წვიმამ. ჩრდილი, იცოცხლე, ნაბადივით გადაეფინა სტადიონ „პიშჩევეიას“, მაგრამ დასაჯდომი არსად იყო და ტრიალ მინდორში სტადიონიდან ასიოდე მეტრში, მიწაში ჩაფლული, ცხენივით ფეხზე იდგა მარტოხელა ფიგურა, სკვეები შემზარავად დასჩხაოდნენ და ის კი საათობით დასცქეროდა თავის კალოშებს.

ერთხელ ბონდო ხელფასის მისაღებად იყო მისული სახლმმართველოსაში და სხვათა შორის უფროსის კაბინეტში თავი შეყო.

— აქ არ გგიდგებიან, პატივცემულო? — გადაუკრა სიტყვა ბებსალომს.

— იქ უნდა იყო, სადაც ყველაზე უფრო საჭირო ხარ, იმოქმედე! — მიუგო ბებსალომმა.

მეორედ უკვე ქარაგმებს დაეთხოვა ბონდო და პირდაპირ იკითხა:

— კი მარა, მისჯილი მაქვს ეს მწვრთნელობა?

ბებსალომმა სეიფზე მიუთითა და ბონდო სტადიონ „პიშჩევეიას“ კარგად შესწავლილ გზას დაადგა.

ბოლოდაბოლოს ყველაფერს აქვს დასასრული და ფინალის დღეც დადგა. ბონდომ ფინალსაც ზურგშექცევით უცქირა, დამთავრებისას შეებით ამოისუნთქა, წასვლა დაპირა, მაგ-

---

ფასასრული. დასაწყისი იხ. „ცისკარი“ № 1, 2.

რამ ვინ გაუშვა. დაავლეს ხელი, მოედანზე გამოათრიეს და ხვედელიძის გვერდით დაყენეს. ხტუკეკენი გამოვიდნენ სხვადასხვა ორგანიზაციების წარმომადგენლები. ბინდოს თასი და სიგელი მისცეს. აჭრეად მანქანით წაიყვანეს ქალაქში. საბარო მანქანით, ოღონდ ბინდო კაბინაში იჯდა

დილის ცხრა საათზე გამოცხადდა ბინდო სახლმმართველობაში. უფროსი გეძახისო, უთხრეს. ბინდო წელგამართული შევიდა კაბინეტში.

— დიდი პატივი დაგვდეს, ბინდო ჩემო, — უთხრა ბესალომმა, — ყუბანში იგზავნები საკავშირო ზონალურ პირველობაზე. ბიღეოებზე ნე იფიქრებ, დაკვეთილია. ერთი კვირა დაგრჩა და ინტენსიურად გამოიცენ. ქალაქის სტადიონი შენ განკარგულებაშია.

ბინდოს ხმა არ ამოუღია. იმ საღამოსვე გაგზეთვებიდან ამოჭრილი სასათაურო ასოებიდან ანმიმერი წერილი გამოაცხო და ერთ-ერთ დაინტერესებულ ორგანიზაციაში გაგზავნა.

„გაცნობებთ, — წერდა ბინდო, — რომ სრულიად დაუშვებელია ვინმე ბინდო დოლაბერიძე ავარჯიშებდეს გუნდს „უკმეკრიონს“, რომელიც ჩვენი ქალაქის ღირსებას იცავს. ბინდო დოლაბერიძე უნდა გამოვიყენოთ იქ, სადაც მას შეუძლია გამომძღვანოს თავისი საკმაო ნიჭი და დიდი გამოცდილება, ე. ი. სახლმმართველობა № 9-ში. ზემოთდასახელებული სახლმმართველობის უფროსის ბესალომ ხუსკიკეძის ინტრიგების გამო, სამუშაოს სრულიად უმიზეზოდ მოწყვეტილია საქმის მტოდნე კადრი. ამჰ. დოლაბერიძის ფეხბურთის საქმის უცოდინარობის გამო გუნდში დაპარაშუტეს და რასაც უნდა იმას ზერეგნან ისეთი ამორალური პირნეგნები, როგორიც არიან აფეროსტი ხვედელიძე გიორგი (ორა), ძაღლების სპეკულიანტი ცხადაძე გივი ვლადიმერის ძე, სახელმწიფო მანქანების ფეტალების მიმთვისებელი გვენტაძე (გოლკიპერი) და მათ აყოლილი შემდეგი მოთამაშეები: ოელგიური ჯერგების იატაკქვეშ გადამყიდველი, ცოტამორწმენე კობახიძე, ოროსანი კაცეტაძე, უზრდელი თეკორაძე, ტუტლეი გრეჩუხინი, შეშლილი ენუქიძე, უტვინო გაბუნია. მათი ადგილი გუნდში კი არა, ნამდვილად სპბაშვო კოლონიაშია. შესანიშნავი გუნდი „უკმეკრიონი“ ღირსია, რომ მას ხელმძღვანელობდეს ფეხბურთის ისეთი გამოჩენილი სპეციალისტი, როგორიცაა კარლო ზედგინიძე. კეთილსმსურველი“.

მალე ბინდო გამოიძახეს, სადაც საჭიროა. ანონიმური წერილი წააკითხეს, მტრები ეკვეს ბევრნი უთხრეს, მაგრამ ნუ გეშინიო. ამ შეჯიბრების წინ შენთვის ნერვების აშლა არ შეიძლება, შვიდდათ იმუშავეო. ეს სულ კარლო ზედგინიძის ინტრიგებიაო, მაგრამ, სადაც არ უნდა იჩიგლოს, საჩივარი ისევ ჩვენთან მეგზურეს ჩვენ კი შენ მხარეზე ვართო. მარჯვენა ფეხიც ვეო.

ბინდო ბედს მინებდა, ბედმა ყუბანში წაიყვანა და ყველა თამაში მოაგებინა. ბინდო სტადიონზე მხოლოდ მატჩის წინ რაღაც-რაღაც ქაღალდების ხელმოსაწერად მიდიოდა და დაუყოვნებელივ სასტუმროში ბრუნდებოდა. ასეთ ქეიფებს ეკურნალისტები და სხვა გუნდების მწერრნელები თავისებურად ხსნიდნენ. ზოგიერთი ამბობდა — ეს ფსიქოლოგიური შეტევაო, ზოგიერთი ქედმაღლობას, მოწონაადმდგომს ამბობდ ადგილს აწერდა. ყოველშემოხვევაში ყველა მწრთნელი ველოვარძალანად ეღოდა, როდის დამარცხდებოდა ეს ულოგიკოდ მოთამაშე გუნდი „უკმეკრიონი“. ამ უკანასკნელს კი თასისაკენ მიმავალ გზაზე ერთხელაც არ დაცდენია ფეხი. ბინდო ძალიან მოწყენილი იყო. ხმის გამეცემი არავინ ჰყავდა. პირველი სამი დღეღამე შეუსვენებლივ ეძინა, მაგრამ შემდგ თავის ტვინის ქერქმა დამუხრუჭებაზე უარი განაცხადა და ბინდოს მისდა განსაცვიფრებლად უძილობა დაემართა. მთელი ღამე ლოგინში წრიალებდა და ძმინდდ ოხრავდა. „ეკვდები ალბათ, გამზადებული ვარ საუკეთესო ძილისთვის, — ფიქრობდა ბინდო, — მაშინ ხომ მოისვენებ, ახესალომ, ხომ შეეშვები სპორტს! ჩემ საკვდილ ასე ეიოლდ კი არ გაპატიებენ, — ტკბილად განაგრძო ფიქრი ბინდომ, — რომ მოგარტყამენ სასტიკ საყვედურს უპასუხნელი გაფრთხილებით, მაშინ გეტრეზა ყოფა! ეგება პირად საქმეზე ჩაგიწერონ!“ — იმედიანად დაეყოლა ბინდომ.

შავი მელანქოლიის გასაფანტად ბინდომ ერთი-ორჯერ კულტმასობრივი ღონისძიება ჩაუტარა თავისთავს. სასტუმროსთან ახლომდებარე სახლმმართველობაში შეიარა და რამოდენიმე ამხანაგურ სასამართლოს დაესწრო, მაგრამ ამანაც ვერ უშველა.

ერთი სიტყვით „უკმეკრიონმა“ შეჯიბრებაში გაიმარჯვა და ბინდოს გუნდთან ერთად ტრიუმფალური წრის გაკეთებამ მოუწია. ბინდოს სიარული ეზარებოდა და მოედნის კუთხეებს ჭრიდა. ასე რომ, საკუთარ სახლ-დიდებასა და ტრიუმფს ორმოცოდდ მეტრი მოპარა.

12

ქუქეანა ტრაპაიძე თავის ეგზო-ეკეალოდ დაკარგული მეუღლის ბინდო დოლაბერიძის სუფთა, გაუთოვებელ პერანგს რეცხავდა და ტიროდა.

— მოეშვი ტირილს, შე უბედურ დღეზე გაჩენილო! — შეუტია მას ვენერამ. — გიჩარობდეს უნდა, ამისთანა ქმარი რომ მოგშორდა!

ორი თვე იყო, რაც ბონდოს შესახებ ოჯახმა თითქმის არაფერი იცოდა. ამას წინათ ედისონს ნაცნობი ჩამოვიდა მიელინებიდან და მოპყვა, თითქოს ინსულის ბაზარში შეხვდა ბონდოს, რომელსაც ვიღაც უცნობი ბავშვები ახლდნენ, ვერ მიცნო და სულ რუსულად მელაპარაკებოდაო. იმდენი შეეკერა, ოთხი ეაშლი უფასოდ ვარუკეო. ეს ეაშლები იქვე დახლზე დანით დაჭეულმაც და ბავშვებს დაურიგაო.

შემდეგ ვიღაცა მეზობელმა ტრაპაიძეებს გაჰკივლა: სადაც წვრილი, ძნელად ამოსაკითხი ასოებით „ეწერა, რომ ბუნ „უქმერიონი“ მწვრთნელი ამხ. ბ. ვ. დოლაბერიძესთან ერთად ომსკიდან ხაბაროვსკში გაეგზავნოო. სხვა ვერაფერი გაიგეს, ბებულლმაც არაფერი იცოდა. როდესაც ვენერა სახლმმართველობაში მიდიოდა ბონდოს ხელფასის ასაღებად, ბებულლმი უსაყვედურებდა ხოლმე:

— როგორ გაიყოლეთ ქალი მაგისთანა უთავბოლო კაცს. ორი თვეა სადღაც დაბეტონილს და ერთი წერილი არ გამოუგზავნია.

— აბა, ამა, ფუტბოლისტს შეიძლება ქალი გაატანო?! მისამართი მაინც ეიცოდე, რომ ფული გადაეუგზავნო! რად გვინდა მაგის ხელფასი! — ამბობდა ვენერა და სახლმმართველობიდან პირდაპირ ბაზარში მიდიოდა.

ეუტუნა კი გაუთავებელი რეცხვადა და აუთავებელი ბონდოს პერანგს, ერთადერთ საკანს, რომელიც ბონდოსგან სახსოვად დარჩა, და ცრემლებს ღვრიდა.

— მოდი აქ! — უყვირა ერთხელ ვენერამ,— მოდი ტელევიზორი ჩართე, გული გადაყოლე! რას იკლავ თავს! აცივდება ახლა რუსეთში და ბონდო უსაღლოოდ იქ გაჩერდება?! ჩამოგბრძანდება შენი ხეითო.

ჩართეს ტელევიზორი. გაისმა მხნე მარში. შემდეგ ეკრანი განათდა და უცებ ეეეენამ და ვენერამ ბონდო დაინახეს, რომელსაც ვიღაც კაცმა ხელი ჩამოართვა და ბერთი აჩუქა. შემდეგ სტადიონი გამოთიშეს და დიქტორმა გამოაცხადა:

— გადმოცემა ხაბაროვსკიდან წარმოვადგა დედამიწის ხელოვნური თანამგზავრის საშუალებით. ვიწყებთ გადაცემას სოფლის მეურნეობის მუშაკთათვის. მოისმინეთ საუბარი თემაზე „რითი სჯობია ქართული ჩაი ქართულ ღვინოს“, სტუდიაშია — დავით მადალაშვილი....

— ღვინომ დალუბა ბონდო, ღვინომ! — ამოიოხრა ვენერამ, რომელსაც სიძესთან განშორებამ სულის სიღრმეში ბონდოსადმი სიყვარული გაუღვიძა.

— თქვენ მოუგონეთ მაგი, როდის სვამდა ღვინოს? — აქვთინდა ეეეეენა.

— ფული არ ჰქონდა და იმიტომ არ სვამდა, ამა ფული ჰქონოდა, ნახავდი მაშინ შენ, თუ ჯერ გალოთდებოდა! მაგისთანა კაცს რაც ნაღლები ფული აქვს, უკეთესია, — მონახა გამარჯვება ეეეეენამ. — გამოთიშე მაგ ტელევიზორი, რადგან ჩართე, კაი მუსიკა იციან ამ დროს! — ვენერას შვილი ებრალებოდა და ცდილობდა, როგორმე გაერთო, რათა გამოეკვანა დეპრესიული მდგომარეობიდან.

— ეგრძელებში პიონერთა დაფინინის გადაცემას, — ალაბარაკდა რადიო, — ჩვენი ნორჩო მსმენელებო, დღეს ბავშვთა ფეხბურთელთა გუნდმა „უქმერიონმა“, რომელსაც გამორჩენილი მწვრთნელი ბონდო ეარლაძის ძე დოლაბერიძე ხელმძღვანელობს, ხაბაროვსკში ანგარიშით 3:2 სძლია ბობრუისკის „პოლესიეს“ და ფინალში გავიდა...

— უყურე შენ?! — სცქვიტა ყურები ვენერამ და გაიფიქრა: „გონია, დასაკარი სიძე არაა ეს ბონდო. დოლაბერიძეებმა მაინც იციან თავის გამოჩენა, სხვანაირი ხალხი“.

— ფინალური ასპპარეზობა, — განაგრძობდა რადიო, — ჩვენ გუნდს ექნება სამი დღის შემდეგ მოსკოვში პიარნეს „ეალეეეალსთან“. სინტტრესოა, რომ ეს შეხვედრა წინ უძღვის დიდ სპორტულ მოვლენას, სპპვნოა კვიშრისა და ბრაზილიის ფეხბურთელთა ნაკრება გუნდების მაგჩს. ბუნებრივია, ჩვენო პატარა მეგობრებო, თქვენ დაგებადებათ კითხვა, როგორ მიაღწია „უქმერიონმა“ ასეთ წარმატებას. ამაზე პასუხს გაგცემთ გუნდის უფროსი მწვრთნელი ბონდო დოლაბერიძე, რომელსაც ბავშვები სიყვარულით ფეოლს ეძახიან. გთხოვთ, პატივცემელო ბონდო.

რადიო ცოტახანს დუმდა, შემდეგ ვენერამ და ეეეეენამ გაიგონეს ბონდოს მწუხარე ხმა:

— როგორც ცნობილია, — დაიწყო მან ჩვეულებისამებრ, — სსრკ-ს ნაკრებმა ინგლისში მსოფლიოს პირველობაზე მეოთხე ადგილი დასაკუთრა, ცნობილია, აგრეთვე, რომ ფეხბურთის მომავალი საბავშვო გუნდებში იქცდა. მე წლების მანძილზე დიდი სელეკციონერული მუშაობა გაეწია ეზოებში, მაგრამ მარტო ნიჭი და მონაცემები არ კმარა სპორტსმენსთათვის...

— სიტყვა რომ არ დაცდენია კაცს სახლში, — იწყინა ვენერამ, — მტრები ვართ მაგისი თუ რა!

ეეეეენამ ხელით ანიშნა გაჩუმდიო.

— სპორტსმენი, — განაგრძობდა ჩაეარდნილი ხმით ბონდო, — ყოველმხრივ განათლებული კაცი უნდა იყოს. ჩვენი გუნდის კარი დახურულია სამოსნებისათვის. გუნდის წევრები ძალიან მეგობრობენ ერთმანეთს. ერთად აგროვებენ როგორც შავი, ისე ფერადი ლითონის ჯართს, ერთად დადიან კინოში, თეატრში, მუზეუმში, ეხმარებიან ერთმანეთს გაკვეთილების მომზადებაში. მართალია, ყოველ მთგანს თავისი გატაცება აქვს, გუნდის კაპიტანი

გიოკო ხვედელიძე. მაგალითად, ძალიან დინტერესებულია ელექტრონიკის საკითხებით, მეკარე გიგი ცხადაძე ზოოლოგიის საკითხებს ამუშავებს, კერძოდ, მეძაღლეობას ეწევა. თავდამსხმელი კუკური კოხრეიძე მოტოციკლითაა გატაცებული და მისი დეტალების, განსაკუთრებით სპბრაკების სრულიფაზე ფიქრობს. გენდის წვეროს ისე გულწრფელად უყვართ ერთმანეთი, რომ ყველაფერს თანაბრად იყოფენ. ერთი ვაშლიც კი რომ იშოვის კაცმა, არაკინ არ დარჩება ვანაწყენებული — ყველა თავის წილს მიიღებს.

— ბოროტი არასდროს არ ყოფილა, — თქვა ვენერამ, — თუ რამე აქვს, არ დაუკავებს კაცს, მაგრამ არა აქვს დრო ქნას!

— უკეკ ორი თვეა არ წაგვიგია, — სინანულით ამბობდა ბონდო, — ახლა მე, როგორც მწვრთნელი, მოუთმენლად ველი უკანასკნელ მატჩს, რომლის შემდეგ დაბრუნდებით შშობლიურ ქალაქში. ვინც არ უნდა გიმაჯოჯოს, გიმძაფრებს მეგობრობა. ჩვენ შეეცდებით მაყურებელს ვარეკნთ ლამაზი ფეხბურთი.

— ჩამოვა! — ალტაცებით წამოიძახა ეუეეუნამ.

— ჩამოვა, აბა სად სიკედილში წავა! — თქვა ვენერამ, — ჩემი მიცვალებული ქმრის ტაკეის პალტო აქვა და უპალტოდ სიცივეს როგორ გაუძლებს!..

..გოგგაბაშვილი ქეჩიდან ორი კილომეტრის დაშორებით, რობესპიერის ქუჩაზე მდებარე სახლის პირველ სართულზე, მარტოხელა მაგული დიდხანს ვერ იძინებდა. ტელევიზორში სატრფოს ნახვამ ააღელვა და ადგაფრთოვანა. დახუმვედა თვალებს და მთელი გადაცემა ისევ აღსდგებოდა მის წარმოდგენაში. მაგული ხედავდა ზოლებიანი პიკამოთი და კედებით მორთული ბონდოს, რომელსაც ბურთი ეკავა ხელში.

„არ უხდება თე, — ალერსით ფიქრობდა მაგული, — ტანი არ უვარგა ეგეგა, ანდა მიხვრა-მოხვრა. ყველას ჯობდა, ვინც კი როდესმე გამოჩენილა მაგ ტელევეზორში. ეს, ბონდოელია, ბუდეტია. მე ხელიგანო, ხო დაუეს ყველას თვალები!...“

13

ბონდოს მოსკოვში ერთმა რამემ გაუმართლა: სასტუმრო, რომელშიც მოათავსეს „უქმერიონი“, იქვე ლუჟნიკის სტადიონთან მდებარეობდა. ბონდოს, როგორც მწვრთნელს, ცალკე ოთახი მისცეს. სასტუმროს ფანჯრიდან უნივერსიტეტის უზარმაზარი შპილით დამშვენებული შენობა ჩანდა. ვრძელ, დაქანებულ ხიდზე წამდაუწუმ ჰქროდნენ მტერთა მატარებლები. მდინარე უამინდობის გამო თითქმის ცარიელი იყო. წყლის ტრამვაები სევდიანად დაცურავდნენ. რუსეთში სპორტული მოღვაწეობის დროს ბონდო „ბელომორს“ დაეწიეოდა.

ბონდო ფანჯარასთან იჯდა და პაპიროსს აწევდოდა. „ასე, ჩემო აბესალომ, — ფიქრობდა ის, — ხომ გამხადე ჩემპიონი! თუ გგონია, რომ შეიძლება ჩვენ ხელ წავაგოთ, ტყუილი იმედია, არ გამოვა მაგი! არ დაიჯერო. ისე მეც მჭირდა მაგის იმედი და ორი თვეა სახლში, არ დამძინია. მადლობა ღმერთს, მეშველეს მგონი, ხელ ბოლო თამაშია — გიდდა მომიგია, გიდდა შეგიგია — მაინც მოვდივარ სახლში და სამშობაბის კამოვცხადდები სამსახურში. ცხრა ათას მეტრ სიმაღლეზე ხომ მაფრინე აქეთ-იქით, ქვეყნიერ რომ ჩამოვიხედავდი. სული ფრჩხილებში მიმდიოდა. მაგრამ ახლა გადარჩენილი ვარ და არსად მეჩქარება. არა, ერთი მაინდაერესებს — ეს აკეთებს ახლა სამეფო სახლმმართველობაში? ქარმა წაიღო ალბათ სახურავები. წყალი ჩადის ბინებში და მობინადრეები მე ტელევეზორში თუ დამინახავენ ხანდახან — ოფსაიდებზე და კორნერებზე რომ მაქვს ენა გადმოგდებული და ხვედელიძეზე რომ უნამუსოდ ვიძახი მთელ ქვეყანაში — ფრიადოსანია და ელექტრონეკა ესმისო. აწი ფეოლა ვარ, ბონდო რომ დამიძახო, ეგება ვერც მიეხვედე, მე რომ ბეძახი. თურმე ბრაზილიაში მყოლია მოგვარე. გულნი გამაცინეს კიდეეგ“.

ბონდომ მართლაც კიიცნო თავის სახელმოხეეეული კოლეგა. რომელიღაც გაზეთის რედაქტორს თავში ასეთი იდეა გასჩენოდა: უნდოდა პირველ გვერდზე ვამოვქეეყნებინა ბონდოსა და ფეოლას ფოტოსურათი ლაკონიური წარწერით — „ორი ფეოლას სატანი: ფეხბურთის მომავალი“.

რადგან ნამდვილი ფეოლას მოყვანა ბონდოსთან ძნელი საქმე იყო, ფოტოკორესპონდენტმა ეს უკანასკნელი ჩაიყვანა სეხნიასთან, რის ვაივაგლახით შესძლეს მოზდავეებლო ხალხის გარღვევა. ბონდომ და ფეოლომ სულ სამოდე წუთი უყურეს ერთმანეთს. ბონდომ შეიტყო, რომ კოლეგას რვა წელიწადია თამაში არ წაუგია.

„ეს ჩემზე უბედური ყოფილა ვიღაც“, — შეიბრალა ბონდომ, — რვა წელიწადში ერთი წაგება როგორ ვერ მოახერხა. ასეთი დამშეხრებული სახე იმიტომ აქვს ალბათ. ჩემი არ იყოს, მაგასაც მისჯილი ექნება მწვრთნელობა. მაგრამ მე რა — სამ თვეში მოვათავე ეს საქმე, მაგი რვა წელიწადია წვალობს და კიდეე ვინ იცის, რამდენ ხანს იწვალებს?!“.

ფოტოსურათი „ორი ფეოლა“ რედაქტორის გულის მოსაკლავად გაზეთში არ დაბეჭდა. უკანასკნელ წუთს ის ადგილი ოფიციალურ მასალებს დაეთმო.

ეროვი ჩარკვიანი, რევაზ ბაბრიაძე
ფეოლა

საფინალო შეხვედრის დაწყებას ბევრი არაფერი აკლდა. ბონდო კომფორტაბელური გასვლელის ერთ-ერთ ოთახში სავარძელში იჯდა. მეზობელ ოთახში „უქმიერიონი“ გადამწყვეტი ბრძოლისთვის ემზადებოდა. ეს-ესაა ბონდომ ახლომდებარე გასტრონომიდან უკვე ნასადილევ მოთამაშეებს საჭმელი მოუტანა.

— ჭამეთ, მაგრად დაიწექით! — დაარიგა ბონდომ ბიჭები, — მშიერი კაცი რისი მაქნისია, ქარი წააქცევს. ღიმონათიც მიაყოლეთ. ნახეთ სადმე ლუსმანი, ჩამოაკრთი ბოთლი და გახსენით.

შემდეგ ბონდო თავის ოთახში გავიდა, კარი მიიხურა და სავარძელში მოიკალათა. გარედან გუგუნი ისმოდა. ხალხის მძლავრი ტალღები ასკდებოდნენ სტადიონს.

— გამიშვით! — აყოლდა ეიღაცა აქეთ, სულ ახლოს.

— არ შეიძლება!

— მე ვიცნობ დოლაბერიძეს! — გაისმა ხმაური, ჩოჩქოლი და ოთახში კარლო ზედგინიძე შემოვარდა.

— გამარჯობა, უქმიერიონ, — თქვა კარლომ, — მომლოცავს ფინალისტობა!

— რა გინდა, ბიჭო, შენ აქ? — გაოცდა ბონდო.

— როგორ თუ რა მინდა?! თამაშების საყურებლად მოვედი. არ გრცხვენია, ამსა რომ მეკითხები, დღეს სხვაგან სად უნდა ვიყო?

— არა, მოსკოში რა გინდა? — იკითხა ბონდომ.

— შენ ჩვენ გაზეთს არ კითხულობ? — ოდნავ იწყინა კარლომ და ჯიბიდან მცირე ფორმატის გაზეთი ამოღო, — ა, წაიკითხე, ჩემზე რა წერია.

ბონდო კითხვას შეუდგა. მასალას წინ უძღოდა რუბრიკა — „ეს საინტერესოა“, ხოლო სათაურად „ვედიცინა სპორტის სამსახურში“ აერჩიათ.

„ამას წინათ მოსკოვგარშემო გამართულ კროსში თავის შესაძლებლობები ბოლომდე ვერ გამოამჟღავნა ჩვენი ქალაქის წარმომადგენელმა კარლო ზედგინიძემ. წარუმატებლობა მას პირველ ეტაპზეევე მიეწია. სპორტსმენმა სპატიო მიზეზის გამო დასტოცა დისტანცია (გული წაუვიდა) და სასწრაფო დახმარების მანქანით მიეკანონ იქნა დედაქალაქის ერთ-ერთ საუკეთესო კვლევით ინსტიტუტში. აკადემიკოსმა ხრისტოლიუბოვმა მას დაუყოვნებლივ გულის ოპერაციის ენიკალური ოპერაცია გაუკეთა. ამჟამად ავადმყოფი კარგად გრძნობს თავს და იმყოფება მკაცრი ზედამხედველობის ქვეშ. მალე კარლო ზედგინიძეს ჩვენ ისევ ვიხილავთ სპორტულ ასპარეზზე. მოსკოვი, ტელეფონით ჩვენი სპეც. კორ. ზედგ. კარლომ ვილისაგან“.

— ვინა ეს ზედგ. კარლომელი, — იკითხა ბონდომ.

— რა ვიცი, — დაიმორცხვა კარლომ, — რამდენი ხალხი მეხვეწოდა თავზე?

კარლოს ეუნაურად ეცვა. ძვირფასი ბეწვის რეგლანანი პალტო ერთგვარ კონტრასტს ქმნიდა ღამის პიჟამოს შარვალთან და ფლოსტებთან.

— ამისთანა ზედამხედველობის ქვეშ თუ ხარ, აქ როგორ მოხვედი? — გაუკვირდა ბონდოს.

— მეორე სართულზე ვწუხარ ცალკე პალატაში, ფანჯრიდან გადმოვხტი და წამოვედი, — ჩვეულებრივი ხმით თქვა კარლომ, — ხოდა, ეკმეიმს ერთი ამბავი რომ არ აეტეხათ, ჩემს მაგივრად ფლეივინე დავაწყინე.

— რა უნდა ფლეივინეს მოსკოვში?

— მოდდლუბის საკავშირო შეკრებაზეა ჩამოსული, თან ტურისტთა საბჭოს უჩივის.

— რაზე უჩივის?

— როგორ თუ რაზე. დაღუპეს კაცი, მარშრუტები გამოცვალეს, ახლა მხოლოდ უცხოელი ტურისტები დადიან წმინდა სამების გამოქვაბულში. ჩვენებივით კი არ არიან, არც საჭმელი მოაქვთ და არც სასმელი. მარტო სუფთაებს უღებენ ფლეივინეს. ამერიმ კიდეე კარა ითხოვა და ფლეივინეს ჭამას ეეღარ აუეიდა.

— აქ სად გაჩერდა ფლეივინე?

— პასპორტი არა აქვს და სასტუმრო არ მისცეს. ჩემთან ყძინავს პალატაში.

— როგორ შემოდის საკადმყოფოში?

— რა ვიცი, — გაიკვრცა კარლომ, — შემოდის ღამის თორმეტ საათზე და ექვს საათზე მიდის. მართლა საინტერესოა, როგორ შემოდის, — კარლო ეტყობა პირველად დაფიქრდა ამ საკითხზე.

— შენ ოვითონ როგორ აპირებ საავადმყოფოში შესვლას? — იკითხა ბონდომ.

— ფანჯრასთან საწევამარი მიღი ჩამოდის, კარგადაა დამაგრებული და იმას ავყევი, — აუხსნა კარლომ.

ბონდომ კიდევ ერთხელ გულდასმით შეათვალიერა კარლო.

— ეს პალტო სად იშოვე, კაი ჩანს ხომ იცი? — თქვა ბონდომ.

— ხრისტოლიუბოვისაა, ჩემი აკადემიკოსის.

— ვარუქა?

— რა მშვინს სხვისი სამაოხოვრო! — ზიზღით თქვა კარლომ. — ხრისტოლიუბოვი შემოვლაზე გავიდა და პალტო ჩემს პალატაში დარჩა. ფლეივინე სამედიცინო აპარატურაში იმალებოდა — დღეს „პახმელიაზე“ ღილით ადრე ვერ გაიღვიძა. ფლეივინე ჩემს ადგილს დავაწყინე, სამანი თავზე გადავახურე, ეითომ მე ძმინავს, ჩავიცვი ხრისტოლიუბოვის პალტო, გადმოვხტი და წამოვედი. აბა, ხრისტოლი-

უბოვის პალტის გულისთვის პელეს არ ვნახავდი? — წერეთელად დაიყოლა კარლომ.

„კარლო გიეი“, — გაიფიქრა ბონდომ და ფრთხილად იკითხა:

— კი მარა, შემოველ როდის უმთავრდება იმ აკადემიკოსს?

— დიდხანია დაუმთავრდა, — დარწმუნებით თქვა კარლომ, — სულ ოციოდე ავადმყოფი ჰყავს.

— მერე ფლავიანეს რომ დაიჭერენ?

კარლომ ბეჭები აიჩეჩა.

— რატომ? ხომ გითხარი, ფლავიანეს თავი არ უჩანს, სპბანი აქვს გადახურული, იმათ ეგონებათ, რომ ფლავიანეს კი არა, მე ვწევარ და ძმინავს. ჩემი გაღვიძება კი ქვეყანა რომ იქცეოდეს, მაინც არ შეიძლება, — გადაჭრით თქვა კარლომ.

— მართალს ამბობ? — შერით იკითხა ბონდომ.

— მართალს ვამბობ, აბა რა, მე ძილის დროსაც მაქვს ჩართული აპარატურა, მეცნიერებისთვის ძმინავს — ჩემზე ერთი წამით არ შეიძლება შეწყდეს დაკვირვება.

— ახლა ხომ შემწყდარია?

— არაა შემწყდარი, ფლავიანეზე გადავრთე ყველაფერი.

„ხო“, — ჩაფიქრდა ბონდო და კარლოს ჩიტისებრ ბრგელ თვალებში ჩახედა.

— ბიღუთის ფული სად იშოვე? — ყოველშემხვევვისათვის ჰკითხა ბონდომ.

— ფული! — აგდებულად თქვა კარლომ, პალტოს გულის ჯიბეში ხელი ჩაიდო და ასამნეთიანების რამოდენიმე დასტა ამოიღო. — შეხედე ამ პალტოში რამდენი ფული, „ეოლგას“ ეიყიდდი, რომ მინდოდეს.

ბონდომ შიშით მიიხედ-მოიხედა.

— ჩაიდე უკან, ბიჭო, ვინმე არ დაგეტაკოს...

— ვინ უნდა დაგეტაკოს? მოგვერეკიან მე და შენ თუ?!

— შერში არ გიეხეო, კარლო! — ბონდო ღელვდა, „ამას საგიეეთი თუ გადაარჩენს ციხეში ჩაჯდომას“, — ფიქრობდა ბონდო.

— რატომ უნდა გავეხვიოთ შერში, ხომ არაფერი მოგვიპარია მე და შენ, რა უნდა დაგვაბრალონ?

— მე რატომ გაგაყავარ საქმეში? — დაცემული ხმით წარმოსთქვა ბონდომ.

— შენ გეშინია, თორემ მე არაფრის მეშინია. მე კარგი საქმე გავაკეთე. იქ ფული დატოვებს კაცი? ჩემს შესაწყალად მეცნიერები რომ დაყავთ, ისინი ფულს გაუშვებენ ხელიდან? ჩვენში დარჩეს და ფლავიანესაც ვერ ვეწდობი მაინცდამაინც. ამდენ ფულს რომ წაიწყდებოდა, მეორე კი არა მეოცე სართულიდან გადმოტეხებოდა. მე კი თითქმის არაფერი დამიხარჯია.

— მაინც რამდენი დახარჯე? — იკითხა ბონდომ.

— ორასამეოცდაათამინაწილიანი ქალაქი ბონდომ.

— ორიგინალ ორმაგი სიროფიანი წყალი დავლიე, მტეროს — ხუთი კაპიკი და სტადიონის ბილეთი — მანეთნახევარი. მერე თვითონ ხრისტოლიუბოვისთვის რაღაც ბატეი ხომ უნდა მეცა, გადაფყვა კაცი. ვუყიდე ესპანელი და შოკოლიდი „სპორტი“. ამ კვარტალის ბოლოს „პიშჩეევის“ „განთიადს“ შეუერთებენ და მაშინ ყველა ვალს გავისტუმრებ.

— ბევრი ვალი გაქვს? — ბანაგრძო დაკითხვა ბონდომ.

— ჩემი ვალები რა სახსენებელია, ღღეს შენ გაქვს ყველაზე დიდი ვალი!

— მე? — დაფრთხა ბონდო. — რა ვალი?

—შენ, ფლავიანესი არ იყოს, არაყი ხომ არ გაქვს დალეული? — შეიცხადა კარლომ, — ასი ათასი კაცი მარტო ამ სტადიონზე გიცქერის.

14.

კარლო მოუყვა ბონდოს განსაკეთილშობილ ამბებს. თვითონ რომ არ იცოდა ისე, ბონდო მეტისმეტად პოპულარული კაცი გამხდარიყო. ყუბანში გამარჯვების შემდეგ „უმამერონის“ შესახებ ალპარაგდა სპორტული საზოგადოებრიობა. ბონდოს თაყვანისმცემლები გამოუჩნდნენ, ყოველი მისი მატჩი საუბრის საგნად იქცეოდა. ღღეს კი ცენტრალური ტელევიზიის მეშვეობით მთელი საქართველო ნახავდა ფინალურ შეხვედრას.

ბონდო მიხვდა, რომ მისგან მოგებას მოელან, მოელის მარტო აბესალომი კი არა, არამედ...

— არიქა, მიშველე რამე, კარლო! —იგრძნო თავისი მდგომარეობის სიმძიმე ბონდომ, — საქართველოს თორმე მე დავრჩენიეარ იმედად.

ბონდო იმ ოთახს ეცა, სადაც გუნდი ეგულებოდა. ოთახი დაცარიელებული დახვდა.

— სად წავიდნენ? — აღმოხდა ბონდოს.

კარლომ საათზე დაიხედა და გაშმაგებული ბონდოს ეძგერა.

— რა მოქენი ეს?! ვალებზე და პალტოზე მალაპარაკე! დამთავრდა უკვე პირველი ტაიმი. ორივენი დერეფანში გავარდნენ. აქეთ ეცნენ, იქით ეცნენ, რათა ამ ლაბირინთში გზა გიეკვლიათ, მაგრამ გასასვლელი ვერა და ვერ იპოვეს. ბოლოს რომელიღაც დერეფანში მოედნიან მომავალ უმამერონელებს შეეჩეხნენ და გასახდელში მათთან ერთად დაბრუნდნენ.

— რა ანგარიშია? — იკითხა ბონდომ.

გოგი ჩარკვიანი, რევაზ გაბრიაძე
ფ ი ო ლ ა

— ერთით ნოლი.

— ეოტაა. ამ დროისთვის მეტი უნდა იყოს. ფეხბურთში ეშმაკობაა საჭირო, — ნაწყვეტ-ნაწყვეტად დაიწყო ბონდომ.

— სწორია, ფეხბურთი გონიერული თამაშია, — დაეთანხმა კარლო.

— მაცალე, კარლო! — შეაწყვეტინა ბონდომ. — ამათ რადაც-რადაცეებს ვასწავლი. ეშმაკები უნდა იყოთ... მე რომ თქვენი ხნის ვიყავი, ჩვენ სოფელში კბილის ექიმს მდინარეში საათი ჩაუვარდა. რა ქნა თუ იცით ბონდომ? — დაუსვა კითხვა ბავშვებს, რომლებიც რბილ სავარძლებში ისხდნენ და სუფლ ძოვეს ითქვამდნენ.

— რა ქნა? — უხალისოდ იკითხა ხვედელიძემ.

— ვერ ხვდებით? წყალში ჩახტა და რა დაინახა?

— რა დაინახა? — ზრდილობის გულისთვის თქვეს ბავშვებმა.

— ამასაც ვერ მიხვდით? — პანიკა მოედო ბონდოს. — ექიმის საათი. რა ქნა მერე ბონდომ, ამა თუ მიხვდებით?

— ამოიღო საათი და ექიმს მისცა.

— კობახიძე, — კატეგორიულად თქვა ბონდომ, — შენ ღღეს მეტს არ ითამაშებ. სულ გამოთაყვანებუხლარ. არც მანამდე გქონდა ტვინი! ბონდოს კი ჰქონდა. ექიმს უთხრა, არ არის აქ საათი. რა ქნა მერე ექიმმა?

— უთავა ფეოლას, — დაასკვნა ხვედელიძემ.

— ბონდო ძნელი გასალახი იყო, — იწყინა ბონდომ, — სამ კაცს შეკრავდა ერთდროულად, თუმცა რა დროს მაგაზე ლაპარაკია. ექიმი თბილისში წავიდა. მერე რა ქნა ბონდომ, ამაზე მინც მიპასუხეთ, სულ ნე გადამიწურეთ იმედი.

— რა ვიცით.

— ამოიღო საათი და ხელზე გაიკეთა, — დაამთავრა თხრობა ბონდომ.

— სად არის ახლა საათი? — კარლომ ხელზე დახედა ბონდოს, — ვერ ვხედავ, მაჩვენე.

— დამეკარგა, — შეცდა ბონდო, — დამეკარგა, ფრონტზე რომ ვიყავი, ოდერში ჩამავარდა იერიშის დროს.

— რატომ არ ჩაყვინთე და არ ამოიღე? — არ უშვებდა კარლო.

— ამ სროლაში საათს ვინ დაეძებდა! — ბონდომ ოდერის ფორსირება გაიხსენა და ტანში გაყარეოდა, — კარლო, მაცალე! ხვედელიძე, ჭკეთი რომ არ თამაშობთ, იმიტომ არ იგებთ ერთის მეტს.

ხვედელიძემ მწარედ გაიცინა.

— ჩვენ კი არ ვიგებთ, ვაგებთ ერთით ნოლს, ფეოლა.

— ასე ხუმრობა არ შეიძლება, — ჭკეის დამრიგებლური ტონით თქვა ბონდომ, — ვინმეს მართალი ეგორება. ვიცი მე რისი წამგები ხართ, სამი თვეა მაგას ვუფურებ.

— „პიჩჩევეკზე“ ყველი კი მოიგებს.

— ყუბანში? ხაბაროვსკში? ხარკოვში? ომსკში? — ისხენებდა ქალაქებს ბონდო.

— რას იზამ, როდისმე ხომ უნდა წაგვეგო!

— მართალს ამბობთ მაგას? — დაეკვედა ბონდო, — დავიჯერო? შემომხედეთ რომელიმემ თვალუბში.

გასაბდელში სიჩუმე ჩამოწვა. „უქიმერიონი“ მდუმარედ განიდიდა პირველი ტაიმის მარცხს.

— მღუპავთ ხომ?! — ისტერიულად იკივლა ბონდომ, — ჩემს ჯინაზე აკეთებთ ყველაფერს?! მე რასაც მოვინდომებ, ყველაფერს უკეთებ მიკეთებთ? წაგება მინდოდა — იგებდით, ახლა როცა მთელი საქართველო მე მიყურებს, ახლა აგებთ, დანას მისვამთ ყელში!! როგორ ჩავიდე ქალაქში! კაცად ვინ ჩამაგდებს. ხომ იტყვიან, ფეხბურთი თუ არ ესმის, რას კიდებდა ხელსო! არა, მოსკოვიდან წამსვლელი მე აღარა ვარ. დავრჩები აქ და ამ სტადიონზე ვავაკეთებ გუნდებს. რათ მინდა მოგება „პიშჩევეკზე“, დამშეული სკვეების მეტი არავინ გიყურებს. ახლა მინდოდა მოგება... — მოთქვამდა ბონდო.

უცებ ბონდომ ხელი გულზე იტაცა, წაიბორძიკა და სავარძელში ჩაეკეცა.

— ვაი გული!.. — ამოიხვნეშა მან.

გუნდი მოედანზე გაიბმეს. ბონდომ უკანასკნელი ძალ-ღონე მოიკრიფა, წამოიწია და მთამაშეებს გასძახა:

— ორი გოლი მინდა მე! ორი გოლი თუ არა და სუკეკელს მოედანზე დავმარხავთ! — ბონდო ისევ სავარძელში ჩაეშვა.

— ვაი გული! მაგათზე ადრე მგონი მე გავხდე დასამარხი. მაგრამ აქ ვინ დავმარხავს. აქ პანაშვიდები, ქელეხები, წლისთავები არ იციან. პირდაპირ წვავენ მკვდრებს. აფსუს ქვაშავა! ეუტუნა და ვენერა ხალხის დასანახად მაინც დამიტირებდნენ. ეს რა მიქენი, აბესალომ, ქვაშავას სასაფლაო გამიხადე სანატრელად? კარლო, ძმაო, შენ მაინც არ მიმატოვო! — ხვასს ეკიდებოდა ბონდო.

კარლომ შეეფალი სახე მიიღო.

— ბოდიშო, ბონდო, უნდა წავიდე.

— არ მიმატოვო, კარლო, ავადა ვარ!

— მე ფეხბურთის სანახაოად ვარ მოსული, — აღშფოთდა კარლო, — თორემ ავადმყოფები გულის ინსტიტუტშიც ბრლმად არიან. მერე და, არ დავავიწყდეს, მეც ავადმყოფად ვითვლები, მიედიარ, — კარლომ გასასვლელისაკენ ფეხი გადადგა.

— სად მიდიხარ, შე იუდა ისკარიოტელ! აწი ვერსად წამიხვალ! ჩემი დაღუპვა გინდოდა

ხომ! — ირეკქონის საყვირივით დაიგრგვინა ხმამ.

კარებში ხელგაწვდილი მ. ფლავიანე იდგა და ეიდეკა ხალს კარლოზე უთითებდა.

— აი ქურდი! — ყვიროდა თმაწვერაბურძგნული მ. ფლავიანე.

— ოთახში ჯერ მიღიციელი შემოიჭრა, მას რა-ოდენიმე თეთრხალათიანი კაცი შემოყვა, რომლებმაც მყისვე საკაცე გაშალეს.

კარლო სულ არ აღელვებულა.

— რატომ გადაიხადე თავზე სამანი? — მიამიტურად კითხა კარლომ მ. ფლავიანეს, — ხომ გაგაფრთხილე, სანამ მე არ დავბრუნდები, ნუ გადაიხდი-თქო.

— ირლანდიანი ოყნა რომ მდღელიზეს, გადავიხდიდი ამა რა სიკვდილს ეიზამდი! — გაკოფდა მ. ფლავიანეს და კარლოსკენ გაიწია.

კარლო არ დაიძრა და მოკრიალის ელსაიკენი დგომა მიიღო. ფლავიანე დაეკაკვენ.

კარლო არაფერ შუაში იყო. მამამ ფლავიანეზე ჩართულმა სამედიცინო აპარატურამ აღნიშნა გულის კატასტროფიულად არარეგულარული მუშაობა, რომელიც საერთოდ ნამთვარევად მ. ფლავიანეს ახასიათებდა. კარლოს ნაპერაციები გული გაცილებით უკეთ მუშაობდა ზოლმე, მთელი ინსტიტუტი ფეხზე დადგა, აკადემიკოს ხრისტოლიუბოვის ხელმძღვანელობით გადაწვეტეს კარლოსთვის ძილის დროს შეუმჩნეველად ოყნა გეეკეთებინათ და სპეციალიზრად მეცნიერებისათვის მ. ფლავიანე შერჩათ ხელში.

სტადიონისკენ მანქანებით გამომგზავრნენ.

— ფირალია! —ყვიროდა მამამ ფლავიანე.

— ამხანაგო მილიციელო, — მკაცრად თქვა აკადემიკოსმა ხრისტოლიუბოვმა, — ეს ადამიანი გულით ავადმყოფია და არავითარ შემთხვევაში ბორიტმიმქმედი.

— უკაცრავად, — ზრდილობიანად მოუხადა მას ბოდიში მილიციელმა, — მე მითხრეს ფული მოიპარაო.

— გაუგებრობას აქვს ადგილი. კრისტალური სულის ადამიანია, მაგას მე ბანკი შემიძლია ვანდო. დაგვტოვეთ, — მოითხოვა აკადემიკოსმა.

მილიციელმა უკან-უკან დაიხია და კარებში გაიძურწა.

— კარლ სერაპონოვიჩ, — მზრუნველად ჰკითხა აკადემიკოსმა კარლოს, — როგორ ვრძნობთ თავს, როგორ შესძღლით საავადმყოფოდან გამოსვლა?

— ფანჯრიდან, — წყნარად აუხსნა კარლომ.

— როგორ ფანჯრიდან? — გაოგნდა აკადემიკოსი.

— გადმოვხტი, — ფაქტის კონსტატაცია მოახდინა კარლომ.

— მაშასადამე, თქვენ მეორე სართულიდან გადმოხტით საკუთარი ფეხებით, — ვერ იჯერებდა აკადემიკოსი ხრისტოლიუბოვი.

— ამა თავით ხომ არ გადმოვხტებოდი! — გაუკვირდა კარლოს. — ქვეკეთ ასფალტია, საცურო აუზი ხომ არ არის?

აკადემიკოსმა მაჯაზე წაავლო კარლოს ხელი და პულსის თვლა დაიწყო.

— სამოდაოთო! — გაუბრწყინდა სახე აკადემიკოსს. — თქვენ ყველა ჩემს მოლოდინს გადააჭარბეთ კარლ სერაპონოვიჩ! ეს გულის ქირურგიის უდიდესი გამარჯვებაა! ამით იწყება ახალი ეპოქა! კარლ სერაპონოვიჩ, ძვირფასო, — თავს ეფლებოდა კარლოს ხრისტოლიუბოვი.

— წამობრძანდით ინსტიტუტში, ინგლისელი კოლეგა მელის, თქვენ სანახავადაა სპეციალურად ჩამოსული.

— თამაშის მერე წამოვალ, — დაიმედა კარლომ.

— არავითარ შემთხვევაში, კარლ სერაპონოვიჩ! — თქვა აღტაცებულმა ხრისტოლიუბოვმა და თეთრხალათიან კაცებს მიუბრუნდა, — დაიწვინეთ საკაცეზე, ფრთხილად, ფრთხილად.

— არ მინდა საავადმყოფო! — ხელიდან უსხლტებოდა თეთრხალათიანებს კარლო, — ბელ უნდა ვნახო!

— ნახავთ, აუცილებლად ნახავთ, — ამშვიდებდა მას ხრისტოლიუბოვი, — ჩვენ აწი მთელ მსოფლიოში ვიმოგზაურებთ. თქვენით მთელი მსოფლიოს ქირურგები არიან დაინტერესებული. ბრაზილიაშიც ჩავალთ, არგენტინაშიც, თქვენ სადაც მოისურვებთ.

— ინგლისში, — მოითხოვა საკაცეზე გაკრულმა კარლომ, — „მანჩესტერ-იუნაიტედის“ თამაში არ მინახავს.

— თავისთავად ცხადია, დიდ ბრიტანეთში წავალთ, სფორანგეთშიც, შეერთებულ შტატებშიც... ოღონდ ახლა უნდა წამოყვეთ საავადმყოფოში.

— საავადმყოფოში მე წამიყვანეთ, მე ვარ გლახაკ, მაგას რა უჭირს, — ავადმყოფისათვის ჩვეული ეგოიზმით წამოიძახა ბონდომ და საცოდავი მზერა მიაპყრო აკადემიკოსს.

ხრისტოლიუბოვმა ერთ-ერთ თეთრხალათიანს თავით ანიშნა — გასინჯე, რა სჭირსო. თეთრხალათიანმა ბონდოს მაჯაზე მოჰკიდა ხელი და დიაგნოზი იქვე დაუსვა.

— ბანალური ნევროზი, — თქვა მან.

— წავიდეთ ამა, — თქვა ხრისტოლიუბოვმა.

საკაცე ასწიეს და გასასვლელისაკენ დაიძრნენ.

— არ მინდა, — ჭირვეულობდა კარლო, შე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა
ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა, რევაზ გაბრიაძე
ფ ე ი ლ ა

მდგე თავი მოატრიალა და საკარმიდლში გაშხლართულ ბონდოს გადასძახა:

— ბონდო, პელე ნახე აუცილებლად.

— რომელია? — უხალისოდ იკითხა ბონდომ.

— შავგვრემანი, თმა ხუჭუჭი აქვს, ამერის ბაზაში რომ უკიდია სუფთათი ისაა.

— რა ვუთხრა მერე? — ამოიკვნესა ბონდომ.

— სალამი გადაეცი ჩვენი სპორტსაზოგადოების სახელით.

— რომელი საზოგადოების, „პიშჩეევიკ“ თუ „განთიადის“? — ყოველშემთხვევისთვის აზუსტებდა ბონდო.

— რა თქმა უნდა, „პიშჩეევიკის“, — ადელი საკაცეზე მწოლარე კარლო, — მასე მოუხდება „განთიადის“, რომ არ გვეერთებს!—აყვიროდა უკვე დერეფანში გატანილი კარლო.

— სწორი ხარ!— დაედასტურა ბონდომ.

მამაო ფლავიანე დაბნეული მისდევდა ხრისტოლიუბოვს და ეკითხებოდა:

— მე სად დავიძინებ? ქეჩარში ხომ არ დავრჩები?

— ჩემთან, ოჯახში, — გულწრფელად თქვა აკადემიკოსმა.

— პასპორტი რომ არა მაქვს? — შიშობდა ფლავიანე.

— რა საჭიროა პასპორტი, თქვენ ისეთი პაციენტი მომაძღვნინეთ, თქვენგან ძალიან დავალებული ვარ.

ისინი უკვე სტადიონის ეზოში გამოსულიყვნენ. დაგვიანებული მაყურებლები თავქვიმოგლეჯილი გარბოდნენ შესასვლელებისაკენ, საკაცეზე დაწოლილ კარლოს კი ტრიბუნების გუგუნი ხანჯლივით უსერავდა ავადმყოფ გულს და თვალები ეცრემლებოდა.

„კარლო ჭკვიანი არასდროს ყოფილა, — ფიქრობდა გასახდელში ბონდო.—მაგრამ ამათ სულ გაუგიეებიათ. რაში მჭირდება ახლა ჰელე. ჩემს ბიჭებში რომ გავერო, აწი მინდ ვერ მოვიგებ თამაშს“.

ბონდოს წარმოდგენაში მთელი მისი სპორტული კარიერის ეტაპებმა გაიარეს. ამეესლომის დავალება, სტადიონი „პიშჩეევიკი“, ცხაკაიას ქეჩაზე სირბილი ინ სიცხეში, ბენალტებში დახარჯული ხელფასი, ვუნდერკინდების სკოლა, ჭარე ყუბანი, ხარკოვი, ომსკი, ხაბაროვსკი...

„ეგაგებ; რა უშნოდ ვაგებ?! — გამოიერკვა ბონდო, — ხომ ვამბობდი თავიდან, რა ჭირად მინდა ეს ფეხბურთი-მეთქი! ჩემისთანა კაცი სახლმმართველობისთვისაა ზედგამოჭრილი. რა სჯობია; ადგები დილას ადრე, კანალიზაციას გარეშოტავ, კრამიტს გაასწორებ.. არა, ისე რომ ეთქვათ, მინდადამინც სახალოსო და გულისდასატკბობი საქმე არც მაგია, მაგრამ თუ ვინმე მობინდრე თავში რაღაცას ჩაგარტყამს, ან შეგაგინებს, ამას ეე მაინც მთელ მსოფლიოში ტელევიზორით არ გადასცემენ! ეჰ, რას ვერჩი ვინერას! სწორია ის ქალი. არ მაქვს ჭკუა, ტვინის მაგიერად ბალის ფქვილი მაქვს თავში. ვერ ავაწყე ცხოვრება, როგორც საჭიროა. ყველა კოოპერატიულ მშენებლობაში ჩაეწერა, ყველს მანქანა ჰყავს, ყველგან ორსართული წყება ცოლშვილი გამოიცვალა უფრო უკეთესის ძებნაში. ერთი ფუხბურთი მჭირდა დარჩენილი, რაც გამომდიოდა ამ ქვეყანაზე და იქაც ლაფი გადამესახა“.

უცებ დერეფანში ხმაური გაისმა შემდეგ კარი გაიღო და გასახდელში ხალხი შემოვარდა. ბონდო ხელში იატაკეს და რამდენიმეჯერ შეერამდე აადგეს. ვიღაცეები ხელს ართმევდნენ, კოცნიდნენ, ულოცავდნენ. შემდეგ ერთმა კარგად ჩაცმულმა კაცმა ყველა გარეთ გააგდო. ოთახში მარტო გუნდის წევრები და ის უცნობი კაცი დარჩნენ.

— რა ამბავია? — იკითხა გაოგნებულმა ბონდომ.

— მოვიგეთ, — თქვა ხვედელიძემ, — სამი: ერთი. ხვალ ხუთ საათზე პარიზში მიდიხართ.

— სად მიდიხართ? — გაოცდა ბონდო.

— პარიზში.

მთამაშეები ერთმანეთს არ აცლიდნენ ლაპარაკს. ბონდომ მათი ნათქვამიდან გაიგო, რომ დღეგანდელ თამაშში გამარჯვებული გუნდი საფრანგეთის დედაქალაქზე უნდა შეხვედროდა იქაურ ბავშვებს.

— მართალს ამბობთ ახლა მაგას? — ვერ დაიჯერა ბონდომ.

— დიახ, მართალს ამბობენ, — ჩაერია საუბარში უცნობი კაცი. შემდეგ მოთამაშეებს მიუბრუნდა და ბრძანების კილოთი წარმოსთქვა, — ბავშვებო, გადით მეორე ოთახში, ჩაიცვეთ ახალი ფორმა და მოემზადეთ ტრიუმფალური სვლისთვის.

ბონდო და უცნობი მარტენი დარჩნენ.

— დოლაბერიძე, არა? — მკვახედ იკითხა უცნობმა, — მე გახლავართ ოთარ ოროკა. ხაბაშვეო გუნდის „უქმიერინის“ მწვრთნელი.

ბონდომ უკან დახია.

— აბა მე ვინ ვარ? — თავის თანამდებობის დადგენა მოისურვა ბონდომ.

— თქვენ ყოფილი მწვრთნელი ხართ, ორი თვის უკან გაგანთავისუფლეთ. თქვენი თხოვნით, რა თქმა უნდა, — დაამოო როყვამ.

— რატომ არ მაცნობეთ მერე? — გაშტერდა ბონდო, — რაზე მაწვალეთ ეს ორი თვე ტყუილუბრალოდ?

— ახლავე მოგახსენებთ. თქვენი განთავისუფლების და ჩემი დანიშვნის ბრძანება ახლახან დაიწერა, რასაკვირველია, უკანა რიცხვით. თქვენც დამეთანხმეთ, სხვა გზა არ გვქონდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

არაა საჭირო ხალხმა იფიქროს, ვითომ მე არ მიმუშავია ამ გუნდთან.

ბრძანება ტრიბუნაზე დაიწერა იმის შემდეგ, რაც ხვედელიანემ მესამე გოლი გაიტანა და „უქიმერიონის“ პარიზში წასვლა არავითარ ეშეს აღარ იწვევდა.

— იციან რა, — განაგრძობდა როყვა, — სანამდე ჩემი გუნდი, ესე იგი „უქიმერიონი“, შეჯიბრების რიგითი მონაწილე იყო, ჩვენ კიდევ შეგვეძლო შვერიგებოდით თქვენისთანა მწერონელს, მაგრამ ჩემპიონებს და ისიც საზღვარგარეთ არ შეიძლება ხელმძღვანელობდეს ისეთი მორალურად თავშეუკავებელი კაცი, როგორიც თქვენნა ხართ.

ბონდო გაწითლდა და თავი დახარა.

— რატომ მაყვენებთ შეურაცხყოფას? — ჯულამისყენილად თქვა მან, — რატომ ვარ მორალურად თავშეუკავებელი?

როყვამ მძიმედ ამოისუნთქა, შემდეგ ჯიბიდან გაზეთი ამოიღო და ბონდოს გაუწოდა.

— აი ამ გაზეთში, — განაცხადა როყვამ, — თქვენზე ფელეტონია მოთავსებული — „წლისთავების დონ-ჟუანი“. მართალია, ჩვენი თხოვნით ვვარი არაა მოხსენებული, მაგრამ სპორტული წერეტნისათვის ნათელია, ვისზეა ლაპარაკი.

— ოჯახისთვის თუა ნათელი? — შეწუხდა ბონდო.

— არა მგონია.

ბახარებულმა ბონდოს გაზეთი წაუკითხავად დაუბრუნა პატრონს.

როყვა ეტყობა სკანდალს მოელოდა და ვინაიდან დაინახა, რომ ბონდო დამყოლი კაცი აღმოჩნდა, კარგ ხასიათზე დადგა.

— საზღვარგარეთ, სხვა ქალაქში, — კმაყოფილად ლაპარაკობდა როყვა, — კიდევ დასაშვები იყო თქვენი გამგზავრება, მაგრამ პარიზში, — ნიტარებით თქვა როყვამ და სარკეში ჩაიხედა, — თქვენი ტემპერამენტის მქონე მამაკაცის გაშვება მეტისმეტად სახიფათოა. ხომ წარმოგიდგენიათ, იქ ცხოვრობენ ბრიყიტ ბარდო, ჯინა ლოლობრიჯიდა, სოფი ლორენი. გაგიკვირდებ ამ გოგონებს, შეიძლება თავი ვერ შეიკავოთ, აყვეთ ენებებს, ვინ იცის, რა შეიძლება მოხდეს, — ოცნებით თქვა როყვამ, თავისი ანარეკლი ალტაცებით შეათვალიერა სარკეში და გავარვარებული ელექტროსპირალიანი წვრილად დახუჭუჭებულ თმაზე ხელი გადაისვა.

— არა ვარ მე გაფუჭებული კაცი, პატივცემულო, — დარწმუნებულად თქვა ბონდომ, — ერთხელ ცოლისთვის ვის არ უღალატია.

— მე, — ამაყად მოუჭრა როყვამ, — ვინაიდან ცოლი არა მყავს, მაგრამ ახლა ამ საკითხებს დროს ვერ დავუთმობთ. ბავშვებო, — დაუძახა მან მოთამაშეებს, — მზადა ხართ?

მოთამაშეები ოთახში შემოვიდნენ.

— ფეოლ, წამოდი წრე დავარტყათ სტადიონზე, — იძახდა სახეგაბადრული ხვედელიანი, — ტელევიზორში გადასცემენ, ვენერა დაგინახავს.

— უკაცრავად, — გადაეკოცა გასასვლელად გამზადებული ბონდოს როყვა, — თქვენ აქ დარჩებით.

— რა მოხდა, პატივცემულო, გამოვჩნდები მეც ტელევიზორში, — ბონდოს ხმა აუკანკალდა, — შემაყვარეს გონია ამ მამაძალებმა თავი. დამინახოს ოჯახმა, თორემ არ იციან სად ვარ. ხალხი უბედურია, ალბათ იმას ამბობენ, ბონდო ციხეში ზისო.

— აი სწორედ იმას ვშიშობ, რომ ხალხი დაგინახავთ, დამეთანხმეთ, რომ ამორალური კაცის გამოჩენა ცისფერ ეკრანზე მიზანშეწონილი არ არის. გუნდთან ერთად მე გავაკეთებ ტრიუმფალურ სვლას. მომყეთი, — მიმართა როყვამ მოთამაშეებს.

ფეზბურთელები უხერხულობას განიცდიდნენ, მაგრამ ხალხმრავალი ტრიბუნების ყიჟინა და ტაში მძლავრად იზიდავდა ბავშვებს. ისინი გაჰყვნენ უცნობ კაცს.

რამოდენიმე წუთის შემდეგ ოლიმპიურ პიეესაში გამოწყობილი ბონდო ცოვდება სტადიონის ტერიტორიას. ტრიბუნები გუგუნით ესალმებოდნენ „უქიმერიონს“. რადიო მხნედ გაიძახოდა:

— თქვენ ხედავთ დაუმარცხებელ გუნდს, რომელმაც ჩემპიონობა მოიპოვა. მიეუღლოცოთ ბავშვებს და მის მწრთვნელს ოთარ როყვას დიდი გამარჯვება.

ბონდო ქუჩაში გავიდა. — რას ვაკლავდი ამ საქმეს თავს, — ფიქრობდა ბონდო, ტელევიზორშიც კი არ მაჩვენეს. მე რომ არა, მაგენი ჩემპიონები გახდებოდნენ? არაკინ დაიჯეროს მაგ სასულელე, — უსინდისოდ ატყუელებდა თავის თავს ბონდო და ნათქვარლის სკერიდან, — არა, ისე პარიზში რა მინდოდა, ნათესავები მყავს იქ თუ ნაცნობები? ნათესავები არ მყავს, ნამდვილად არ მყავს, რა უნდათ დოლაბერიძეებს პარიზში? აბესალომს იქ არ გაუგზავნივარ. ტელევიზორზე მწყდება გული, თორემ პარიზის სტადიონზე ყოფნას სახლმმართველობაში ჯდომა თუ არ სჯობია, რაც გინდათ ის მითხარით, — ბონდო ამას უკვე გულწრფელად ფიქრობდა.

მატარებელში ჩაჯდომის წინ კურსკის სადგურზე ბონდომ ერთხელაც გაიხსენა პარიზი. „კიდევ კაი, პარიზის სტადიონზე რომ არ გამაგზავნეს, ეს მაინც მოვიგე, — სიამოვნებით გაიფიქრა ბონდომ, — სტადიონზე უბედურ ადგილს რას მოიგონებს ადამიანი.“

ვაგონში მესამე თაროზე აბობდა ბონდო, კარგად ფფუებული პური თავქვეშ დაიდო, ცოტახნის შემდეგ პური გაისწორა. „ტელევიზორშიც

გოგი ჩარკვიანი, რევაზ გაბრიაძე
ფ ე ო ლ ა

კაი ქნეს, რომ არ გამომაჩინეს, — გაიფიქრა მან, — სწორია ის „უქიმერიონის“ მწვრთნელი. დამინახავდა ცისფერ ეკრანზე ვენერა და მერე მაგას შენ გადაურჩებოდი — მოსკო

ეროვნული ბიბლიოთეკა

ᲙᲘᲗᲮᲕᲐ ᲔᲡᲬᲘᲠᲔᲑᲐᲜ

ᲐᲨᲨ

ᲡᲘᲛᲓᲘᲓᲘᲐᲜᲘ ᲞᲣᲢᲘᲔᲠᲘ ᲗᲝᲛᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲘᲡ ᲙᲝᲜᲒᲠᲔᲡᲘᲡᲗᲕᲘᲡ

ცნობილი ამერიკელი ზანგი კინომსახიობი სიდნეი პუატიე იძულებული გახდა მიეტოვებინა ამერიკის შეერთებული შტატები.

გაზეთი „ნიუსდეიზ“ კორესპონდენტის შეკითხვაზე, თუ რატომ მიატოვა მან ამერიკა, პუატიემ უპასუხა: „მე აღარ შემეძლო მეცხოვრა და მემუშავა იმ ატმოსფეროში, რომელიც გამსჭვალულია ადამიანებისადმი სიძულვილით. ვგრძობდი დღითიდღე როგორ მწვავდებოდა პოლიტიკური და ეკონომიური მიზეზებით გამოწვეული კონფლიქტი ადამიანებს შორის, იზრდებოდა უნდობლობის, შიშისა და მღელვარების გრძნობა.

ამერიკის საზოგადოებრიობა ბორტკეტებისა და სინარბის მკაცრ მარწუხებშია მოქცეული“.

„ვიეტნამში დღითიდღე იზრდება მოთხოვნილება ნარკოტიკებზე,“ კერძოდ, მარიხუანაზე. ეს ფაქტი ძლიერ აღელვებთ ამერიკის შეერთებული შტატების ჯარის მეთაურებს“ — წერდა ფურნალი „ნიუს ენდ ფორლდ რიპორტი“.

სამხრეთ ვიეტნამში მარიხუანა ლუდვივით იოლი საზოგნელია და ძალიან იაფი ღირს. სამხრეთ ვიეტნამი ყოველწლიურად აწარმოებს 100 ათას კილოგრამ მარიხუანას (1000 სიგარეტის დასამზადებლად საჭიროა 1 კგ მარიხუანა).

ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო სამედიცინო კომისიამ დაადგინა, რომ ვიეტნამში მებრძოლი ამერიკელი ჯარისკაცების 30% მარიხუანას ეწევა, ან სხვა ნარკოტიკს იღებს.

ამერიკის მთავრობა ყოველმხრივ ზღუდავს ვიეტნამში მარიხუანას წარმოების საქმეს, ცდილობს ძირფესვიანად ამოფხვრას მარიხუანას მავნე პლანტაციები.

ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲘᲘᲡ ᲓᲔᲛᲝᲙᲠᲐᲢᲘᲣᲚᲘ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲐ

ᲚᲔᲜᲘᲜᲘᲡ ᲗᲮᲖᲣᲚᲔᲑᲘᲡ ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲣᲚ ᲔᲜᲐᲖᲔ

გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში, ბერლინის გამომცემლობა „დიციფერლაგში“ 20 წლის მანძილზე სისტემატურად გამოდის ვ. ი. ლენინის თხზულებები. როგორც პრესა იტყობინება, გერმანელ მკითხველებს შორის დიდი პოპულარობით სარგებლობს ლენინის რჩეული თხზულებანი გამოცემული ორ და სამ ტომად.

ბელადის დაბადების 100 წლისთავთან დაკავშირებით გამომცემლობა „დიციფერლაგმა“ მომამზადა ლენინის წერილების ათტომეულის მე-6 და მე-7 ტომები, სანებდად მზადდება რჩეულ თხზულებათა ახალი გამოცემა ექვს ტომად, რომელიც გამოვა 1970 წლის პირველ ნახევარში და გამოყენებული იქნება როგორც სასწავლო სახელმძღვანელო პარტიულ სკოლებსა და უმაღლეს სასწავლებლებში. იუბილეთან დაკავშირებით სპეციალურ წიგნად გამოვა მოგონებები ლენინზე, აგრეთვე მრავალი ბროშურა, სამეცნიერო კონფერენციის მასალები.

ᲘᲜᲓᲝᲔᲗᲘ

ᲬᲘᲠᲣᲚ ᲞᲠᲔᲛᲘᲘᲡ ᲚᲐᲣᲠᲔᲐᲢᲔᲑᲘ

დელში საზეიმო ვითარებაში ჩატარდა ჯავაჰარლალ ნერუს სახელობის პრემიის მინიჭება იმ ცნობილი ინდოელი მწერლებისა და ჟურნალისტებისათვის, რომელთა ნაწარმოებები ხელს უწყობენ ინდოელთასაბჭოთა კავშირის მეგობრობის განმტკიცებას. ნერუს სახელობის პრემია 1964 წელს დაენიჭა ჟურნალ „სტრანა სოვეტოვის“ რედაქციამ. ამ ჟურნალს ინდოელში საბჭოთა კავშირის საელჩო სცემს.

ოთხი ლიტერატურული პრემია მიენიჭა შემდეგ მწერლებს: უფროსი თაობის პოპულარულ წარმომადგენელს მწერალ იაშპალს, პოეტ ვილოპილის შრიდარ მენონს, პოეტ ვინდი კარანდიკარს. ცნობილ ბენგალელ პოეტს ბიშნუ დეს.

პრემია მიენიჭა ჟურნალისტთა და მთარგმნელთა დიდ ჯგუფს. მათ შორის ა. ნატარჯაზს — ვ. ი. ლენინის ბიოგრაფიისა და მ. გორკისა და ნ. კრუპსკაიას ნაწარმოებთა თარგმნისათვის, ს. ზოდაკს — ვ. ი. ლენინზე მოთხრობებზე თარგმნისათვის. მასვე თარგმნილი აქვს ფადეევის, გორკისა და ერენბურგის ნაწარმოებები. კოტიპუეე კრაშენეპელაის — მარქსის კაპიტალის თარგმნისათვის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პოლონეთი

ფილმები კოპერნიკზე

1973 წელს სრულდება დიდი პოლონელი ასტრონომის ნიკოლოზ კოპერნიკის დაბადებიდან 500 წელი. ამ თარიღთან დაკავშირებით ლონის სამეცნიერო-პოპულარული ფილმების სტუდია აპირებს სამი ფილმი გადაიღოს კოპერნიკის ცხოვრებასა და სამეცნიერო მოღვაწეობის შესახებ. ფილმებს გადაიღებს რეჟისორი ზბიგნევ ბოჭენეკი. ამჟამად ბოჭენეკი აგროვებს მასალებს მომავალი ფილმებისათვის. ამ მიზნით მან შეისწავლა იტალიელი მეცნიერების მიერ თავმოყრილი დოკუმენტები კოპერნიკის ცხოვრებასა და მოღვაწეობაზე, აგრეთვე ის მასალები, რომლებიც ინახება საფრანგეთისა და ავსტრიის მუზეუმებში.

ლეონ პასტერნაკის ხსოვნას

გარდაიცვალა ცნობილი პოლონელი პოეტი, პროზაიკოსი, სატირიკოსი და მთარგმნელი ლეონ პასტერნაკი.

ომის ჭარეცეცხლიან დღეებში პასტერნაკი მჭიდროდ იყო დაკავშირებული რევოლუციონერებთან. იგი კომუნისტური ჟურნალ „ლეკვარის" ერთ-ერთი პირველი დამაარსებელი იყო. ომის წლები პასტერნაკმა საბჭოთა კავშირში გაატარა, სადაც პოლონური ჟურნალებისა და გაზეთების რედაქციებში მუშაობდა. 1943 წლიდან მუშაობდა თადეუშ კოსტიუშკოს სახელობის პირველ დივიზიაში.

ომის შემდგომ წლებში პოეტი აქტიურ მონაწილეობას ღებულობდა პოლონეთის კულტურული ცხოვრების მშენებლობაში. იგი იყო მრავალი პოპულარული ხალმარი სიმღერის ავტორი, ცნობილი სატირიკოსი და საბჭოთა ნაწარმოებების ბრწყინვალე მთარგმნელი.

ჰოლანდია

რით ერთობოდნენ წარსულში

ამსტერდამის თეატრალურ მუზეუმში მოეწყო „მუყაოს თეატრის" გამოფენა—გასული საუკუნის დასაწყისში ჰოლანდიაში ასე უწოდებდნენ თვითნაკეთებ საოჯახო თეატრებს. ამ გასართობმა მალე ჰოლანდიიდან ინგლისსა, საფრანგეთსა და გერმანიაში გადაინაცვლა. როგორც კი წამყვანი თეატრის სცენაზე ახალი პიესა დაიდგმებოდა, მაშინვე გასაყიდად გამოდიოდა „მუყაოს თეატრი", რომელიც პიესის სიუჟეტის მიხედვით იყო შექმნილი — პიესის დეკორაციებისა და პერსონაჟების მთელი კომპლექტი ქაღალდზე ჭკონდათ გადატანილი. გამოსახულებები უნდა გამოეკრათ, გაეფერადებინათ და მუყაოზე დაეწებებინათ. კომპლექტს თან ახლდა პიესის სრული ტექსტი.

ამგვარად აწყობდნენ ამა თუ იმ პიესას ან ოჯახის წევრები და მათი მეგობრები დგამდნენ საოჯახო სპექტაკლებს.

იბეკდებოდა აგრეთვე დეკორაციები „თავისუფალ თემაზე"; სოფლის და ქალაქის პეიზაჟები. ეამიეამ იწერეს პეიზაჟებისათვის ტექსტების შედგენაც. საოჯახო თეატრებით გატაცებამ ევროპის ქვეყნებში გასული საუკუნის ბოლომდე იბატონა.

ჟურნალი გაამზადეს: დ. ერისთავმა და ჯ. ლოლუამ.

ტექნიკური ხელმძღვანელი ე. ამდუშელიშვილი.

რედაქციის მისამართი: თბილისი, პლეხანოვის პროსპ. № 91.

ტელეფონები რედაქტორის — 95-08-75. პ/მგ. მდივნის — 95-08-86. განყოფილებების: პოეზიის კრიტიკისა და ბიბლიოგრაფიის — 95-08-35. პროზის, კულტურისა და ხელოვნების — 95-08-85.

გადაეცა ასაწყობად 1/I-70 წ., ხელმოწერილია დასაბეჭდად 24/II-70 წ., ქაღალდის ფორმატი 70×108 1/16. ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 10. პირობითი ნაბეჭდი ფურცელი 14.

შეკვ. № 3892. უე 01965. ტირაჟი 23.800.

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, თბილისი, ლენინის ქ. № 14.

Типография изд-ства ЦК КП Грузии, Тбилиси, ул. Ленина № 14.

ᲤᲐᲡᲘ 60 ᲙᲐᲞ.

б 14/42

ЕЖЕМЕСЯЧНЫЙ ЛИТЕРАТУРНО-ХУДОЖЕСТВЕННЫЙ ЖУРНАЛ

«ЦИСКАРИ»

ИЗДАТЕЛЬСТВО
ЦК КП ГРУЗИИ

ИНДЕКС 76236